


კვირის პალიტრა

გზა

№10(91) 7/III - 13/III, 2002. ფასი 60 თ.

1168
2002



**ანტიდეპრესანტი:
მას უბერავდა
გერამ ფირცხალავა**



**„სისფერთვალება
დეგონი“
გაგაქაძებს გულებს
უსეთქავს!**



**„დიდი ინტრიგანის“
სსფპრალი თევზრ უორუოლიანი**

როგორ შევარჩიოთ სუნამო



**მრავალზვილიან ოჯახში,
გავზვი ზიმზილით მოუკვდათ!**

**საუკეთესო
სარვაბარტო
სარუქარი**



მედეა ჩახავა:


**..... შემიძლია გითხრათ, რომ უდიდესი
სიყვარული იყო ჩემსა და მას შორის.
ამ ბრძნობის გამო, გავჩი რამ
მივაბიებია მისთვის... გაგრამ დამთავრდა.
მოსაშორებელი კბილი დროზე უნდა ამოიღო...“**

გვ. 24



შინაგარეო	
„ჩახელე მეგობარს...“	3
ერთი კითხვა	4
ოპოზიციონერი	
„დიდი ინტრიგანის“ მსხვერპლი ანუ დისიდენტური იდეებით გაბნეული არადისიდენტი	5
ქალი საქმთან	
„ნიკი ლაულად“ წოდებული ტელეწამყვანი ცაშვი აკრასან ლაშოვს...	8
ფოტოგატიანი	
მეტიხი ქვანია და მთვარიანი ღამე „ბალაკტიონის ბოსით“	10
ტანტი	
ერთგული მკითხველი	11
ტალანტი	
„ბალიან მიყვარს ნაყინი, მაგრამ არ მაჭმევინ...“	12
კრიტიკალი	
• „ვინ მესროლა?“ – მს 20 წლის დათოს ბოლო შეკითხვა იყო...	14
• ტრაგედია სკოლაში	16
მოდა	
რა უნდა ვიცოდეთ სუნამოს შერჩევისას	18
სიღატაკე	
„ჩემი შვილები სიღარიბე დააბერა. დიდი აღამიანებივით, უთქმელად იტანენ ყველაფერს...“	21
ქალბატონი დედა	
სახელოვანი ოჯახების შვილი და დედა	24
დეკლარანტები	
ვისთან ცხოვრობს უსახლკარო პარლამენტარი	27
ანტიფაქსიანი	
ინფორმაციულ-მედიცინებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის ნიზნაკიდან	30
პროფია	
სუთვარსკვლავიანი რესტორანი	30
საყარო	
მს იღუბალი ხელმოწერა	32
ტრაფიკიანი	
გველი ორგვარი ყოფილა – „ალალი“ და „არამი“...	34

ქართული პრესტიჟული ეკლესიის ავტორიტეტის აღდგენისთვის ბრძოლის დრამატული ეპიზოდები



რუსული ეკლესიისა და ეგზარქატის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, საქართველოს ეკლესიის ქონების ხელში ჩაგდება იყო. ამ მიზნით დაიწყო ეპარქიების შექმნა და დახურული ეკლესიების ქონების სეკულარიზაცია. მაგალითად, ქართლ-კახეთში, 13 ეპარქიიდან 9 გააუქმეს.

40


„დიდი ინტრიგანის“ მსხვერპლი ანუ დისიდენტური იდეებით გაბნეული არადისიდენტი

ერთი საინტერესო იდეაც გაჩნდა, რომ საქართველოში საზღვარგარეთ მცხოვრები ბაგრატიონების პაგარა შთამომავლები ჩამოგვეყვანა, პატრიარქის ზედამხედველობით გაგვეზარდა და ასე, 10-15 წლის შემდეგ, რომელიმე მათგანის გამეფებაზე გვეფიქრა.



5

დაზარალებული ავტობიზოგა, რომ მას ტყვენი მეგობრები მსროლა



მეგობრებთან ერთად საქეფოდ ემზადებოდა და კიდევ ერთი მხიარული დღის გაგარებას აპირებდა... მცირე გაუგებრობა, საბოლოოდ, უდიდესი ტრაგედიით დასრულდა – მეგობრის მიერ სანადირო თოფიდან გასროლილმა გყვიამ დათოს სიცოცხლე შეიწირა...

14

ვისთან ცხოვრობს უსახლკარო პარლამენტარი

საურანგეთში წასვლა-წამოსვლა სულ რაღაც 50-60 ლარი დაგვიჯდა. პროდუქტს სუპერმარკეტებში ვყიდულობდით და სადილებს სულ სახლში ვაკეთებდით. მერე მღვაზე, სხვა ქალაქში ვიყავით 5 დღე, სასტუმროში ვცხოვრობდით და გაცილებით მეტი ხარჯი გვექონდა...



27

საგანგებო

გუთანს ამოყოლილი
კვირფასი მგითევი 35

ფაქტობრივი

ბუღალავით მგვილი
და უიღბლო რობი 36

ისტორია

ქართული ქრისტიანული
ეკლესიის ავტორეალის
აღმშენებლის ბრძოლის
ღრამატული ეპიგრაფიკი 40

სასარგებლო აზრები

აზორიგებების ენციკლოპედია 42

პარსკლავი

რაციონალისტი ქალი და
მისი „მხირელოვანი“ ქმარი 43

შეაფრთხეთ თქვენი სოფალი

ტესტი ერუდისიანზე 45

რომანი

ბესიკ კეკელიძე.
უსასრულობა (გაბრძელება) 46

ავტო

39

ტექნოლოგია

51

აქეთური-ჩიეთური

52,53

ჯანმრთელობა

- საფრთხე 54
- პროფილაქტიკა-მკურნალობა 55
- ღიასახლისის კუთხე 56
- კითხვა-პასუხი 57

კინოგონი

ეჭვის სტუდია, რომელის
ჰოლივუდის ამინდს ქმნის 58

საწარმო

61

ჰოროსკოპი

კვირის (11-17 მარტი),
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

შეგიძლიათ თუ არა
საკუთარი აგრის
მკაფიოდ გადმოცემა? 63

კალენდრული

ჩრდ-ჩრდილი ამბები 64

**„ნაპი უპილავი სიღარიბე დასაბრუნებელი. დიდი
ალამინდობით, უთქმელად იბანენ ყველაფერს...“**



შემზარა შელახული ფასადის, უა-
ვეჯო, ნესტიანი ოთახისა და სველი
კედლების ხილვამ. მასპინძელი ღო-
რის ნაწლავებს რეცხავდა: მეზობ-
ლის ქალმა მომცა, გაახარებს ღმერ-
თი, - დღეს ჩემს შვილებს ვახშამი
ექნებათ... მერვე შვილი ქალბატონ
ლენას შიმშილისგან დაეღუპა.

21

**რა უნდა ვინცოდეთ
სუნამოს შერჩევისას**

შერჩევის დროს, სუნამო უნდა
დაიპყროთ მაჯაზე და არ დაყნო-
სოთ მანამდე, სანამ ის კანზე არ შეშ-
რება. თუ შერჩევის დროს, სხვა სუ-
ნამო გასხიათ, ახალი სურნელი აუცი-
ლებლად სპეციალურ ქაღალდზე -
ბლოგერზე დასხმით უნდა შეარჩი-
ოთ. არის კიდევ ერთი წესი, რომელ-
იც არ უნდა დაგვავიწყდეს.



18

**რაციონალისტი ქალი და მისი
„მხირელოვანი“ ქმარი**



იმ დღეს სან-ფრანცისკოს ერთ-
ერთი ეკლესიის წინ იმდენ ხალხს
მოეყარა თავი, რომ ვინმეს ეგონე-
ბოდა, თითქოს თვით რომის პაპის
ვიზიტი იყო დაგეგმილი. ხალხმრ-
ვლობის მიზეზი კი, გაცილებით
მარტივი იყო: ადამიანთა ყურად-
ღება ჰოლივუდის ორი ვარსკვლავ-
ის ქორწილმა მიიპყრო.

43

უსასრულობა

სიგარეტი ჩაეაქრე, ხაფად ვა-
დავიცივი, ერთი ფოთოლი მოვწ-
ყვიტე და გულის ჯიბეში ჩავიდე.
ნაგომ მაშინვე შემაგყო, რომ ჩემს
თავს რაღაც ხდებოდა.
- როდის მოხდა ეს ყველა-
ფერი?



46

გარეკანზე: გიორგი შოროღლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“
გამოღის კვირავი მრთხელ, სუთუაბათობით
გაჯეთ „კვირის კალიტრის“ ღამატება
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ეთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რა არის ახალი ახალ ინიციატივაში?

— რა აზრის ხართ „ახალი მე-მარჯვენეების“ ახალ ინიციატივაზე — შეიქმნას კრიზისების მართვის ცენტრი, რომელიც პროფესიონალი ექსპერტებით დაკომპლექტდება და უშიშროების საბჭოსთან იარსებებს? როგორ გეხსებათ მისი ფუნქციები და რეალური უფლება-მოვალეობანი? **მისხილ მაჭავარიანი**, სმკ-ის წევრი ექსპარლამენტარი:


— ამის შესახებ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იყო საუბარი. ვი ბარამიძემ, როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, მაშინ კრიზისების მართვის ცენტრის შექმნის შესახებ წერილით მიმართა პრეზიდენტს, მაგრამ ეს

პროექტი ვერ განხორციელდა. ასე რომ, ეს არ არის „ახალი მე-მარჯვენეების“ ინიციატივა, თუმცა, მისასაღებელია, რომ პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებენ უშიშროების საბჭოსთან ამ ცენტრის არსებობას. რაც შეეხება მის ფუნქციებს — საქართველოში ბოლოდროინდელმა მოვლენებმა (პანკისის ვვლისხმო) ცხადყო, რომ არც ერთი სტრუქტურა მზად არ არის ასეთი კრიტიკული სიტუაციებიდან თავის დასაღწევად! მხოლოდ კრიზისული სიტუაციის დროს სამხედრო გადატრიალების საშიშროება იქნება ეს, მასობრივი არეულობა თუ რაიმე სხვა, არ უნდა დაეიწყოთ ფიქრი იმაზე, თუ რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ... ეს ყველაფერი წინასწარ გათვლილი უნდა



იყოს და უნდა არსებობდეს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური სცენარი. ამ ყველაფერს კი, კრიზისების მართვის ცენტრი მოაბამს თავს...

„პრეზიდენტის პრეზიდენტის პრეზიდენტი არ მიუყვლია!“



— გაფრცვლდა ინფორმაცია, რომ რუსეთმა ამერიკას აფხაზეთი 20 მილიონ დოლარად მიჰყიდა და ამით

საგარეო ვალი შემცირდა... ეს ინფორმაცია მას შემდეგ გაფრცვლდა, რაც გადაწყდა, რომ ამერიკა პანკისში ანტიტერორისტული ოპერაციისთვის ოთხ ბატალიონს გამოგზავნიდა. ამ დღეებში კი, ჯემალ გოგიტიძემაც განაცხადა: პანკისი აფხაზეთში გაიცვალა და ფაქტობრივად, აფხაზეთი დაკარგეთო. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ?

ირაკლი ბათიაშვილი, პარლამენტარი, უშიშროების ექსპერტი:
— ეს არის სრული სისულელე! არავის არავისთვის არაფერი არ მიუყვლია! ყოველად უაზროდ და უსაფუძვლოდ აცხადებენ, თითქოს პანკისი აფხაზეთში გაიცვალა.

ლა და აფხაზეთი დაეკარგეთ! ან კი, პანკისში რა ფართობს შტაბიანი ღონისძიებების ჩატარებაზე ლაპარაკი?! ამერიკელები უბრალოდ, სპეციალური დანაყოფების მომზადებაში დაგვეხმარებინ, რომლებიც შეძლებენ, პანკისის ხეობაშიც და სხვაგანაც კრიზისულ მოვლენებთან ბრძოლას, — ეს არის და ეს. პანკისში უნდა ჩატარდეს ღონისძიებათა კომპლექსი (ეს იქნება პროფილაქტიკური თუ ოპერატიული სამებრო ხასიათის ღონისძიებები) — არსებული კრიმინოგენული სიტუაციის აღმოსაფხვრელად. უკვე დიდი ხანია, ეს უნდა გაკეთებულყო და რეალურადაც შესაძლებელია, რადგან ადგილობრივ მოსახლეობასაც ამის დიდი სურვილი აქვს.

პანკისიდან — ღონღონაშვილი

— ქალაქში ხმა გაფრცვლდა: მაკა ასათიანი, ახლო მომავალში, პარიზში ჩვენების მონაწილეობას აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით ამ ამბავს საიდუმლოდ ინახავს... ეს მორიგი ქორია თუ სიმართლე?

ქეთი ბაქრაძე, მოდელიერის თანამშრომელი:
— პარიზში?! არა, არაფერი ამის მსგავსი

არ იქნება! ეტყობა, ვიღაცას პანკისი და პარიზი აურია ერთმანეთში: მაკას უნდა, 10 მარტს თავისი ახალი კოლექცია პანკისის ხეობაში წარმოადგინოს, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიცი, მოხერხდება თუ არა ჩვენება ქეობაში. არ ვიცი, საიდან გაფრცვლდა ეს ქორი. შეიძლება, იმის საფუძველზე, რომ 12 მარტს, მაკა ასათიანი, ინგლისის საელჩოს მიწვევით, ღონღონაში გამართავს ჩვენებას.



მაკა ასათიანი

„ჯავახეთიდან საქართველოს პრეზიდენტი საშიშროება არ ეშუქრება“

— დროდადრო, ჯავახეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ავტონომიის მოთხოვნით გამოდის სოლმე. ზოგი კი, სომხეთთან შეერთების მოთხოვნასაც კი აყენებს. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა ამ საკითხზე თავის სხდომაზე იმსჯელა, რამაც ძალიან აღგავსოთათ: თქვენი თქმით, ჯავახეთში ვითარება სტაბილურია; მა-

შინ, ვის აძლევს ხელს ჯავახეთის პრობლემის „აგორება“?
ზან ბაიბურთი, პარლამენტარი:
— ძალიან გამაღიზიანა ამ ფაქტმა: ბარამიძის კომიტეტს პანკისისა და ჯავახეთის პრობლემა ერთ სხდომაზე ნამდვილად არ უნდა განეხილა — ჯავახეთიდან საქართველოს არანაირი საშიშროება არ ეშუქრება და იმიტომ! რამდენიმე კაცის უკან, მთე-

ლი სომხური მოსახლეობა რომ არ დგას, ეს დანამდვილებით ვიცი! ამიტომაც ვფიქრობ, რომ ვიღაცას ხელს აძლევს ჯავახეთში ვითარების დაძაბვა. ფაქტია, რომ ეს ვიღაც, არც სომხეთია და არც რუსეთი. აზერბაიჯანის სააგენტო „ტურანმა“ გაავრცელა ინფორმაცია, ვითომ სომხებსა და ქართველებს შორის შეტაკება მოხდა, რაც მტკნარი სიცრუეა...

რუსკან ლეხანიძე

— ბატონო თემურ, მაინც ვინ ხართ და საიდან მოდისხართ?

— აბა რა ვითხრათ... ერთი ჩვეულებრივი ქართველი ვარ, პროფესიით — ისტორიკოსი, სულით, მრწამსით და მოწოდებით — მონარქისტი. მართალია, დისიდენტი არ ვყოფილვარ, მაგრამ დისიდენტური იდეები ყოველთვის მიტაცებდა და მასულდგმულებადა. თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ერთხანს კომკავშირშიც ვიმუშავე, უფრო ზუსტად კი, ვიწროილე.

— არ მითხრათ ახლა, კომკავშირიდან თავი პირდაპირ მონარქისტებთან ამოვყავიო...

— რა თქმა უნდა, არა. ისე, სულით რომ კარიერისტი ვყოფილიყავი, კომკავშირს, ალბათ, ბოლომდე არ მივატოვებდი, მაგრამ ყოველთვის შინაგანი თავისუფლების მოთხოვნებიდან გამომდინარე და ეროვნულ მოძრაობაშიც ამან მიმიყვანა, სადაც ჯერ ზვიად გამსახურდია გავიცანი, მოგვიანებით — მერაბ კოსტავა. რაც შეეხება მონარქისტულ პარტიას, ის თანამოაზრეების ერთმა ჯგუფმა ჩამოვყალიბეთ. მასსოვს, როგორ შეეკრიბებოდა 9 აპრილის შემდეგ ანჩისხატის ეკლესიასთან და გამწარებულებმა მონარქისტული პარტიის შექმნის შესახებ როგორ გამოვაცხადეთ.


— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ საქართველოში კიდევ დარჩა მონარქიზმის ადგილი?

— იცით, ახლა ჩვენს გამწარებულ ხალხს ის რომ ვუთხრა, მეფე მოვა-მეთქი, სულ გადაირევა, მაგრამ მე მაინც ღრმად მჯერა, რომ ამის დრო საქართველოში უთუოდ დადგება. ხომ არსებობს გაბნობილი ხალხი: ბრბოს სჭირდება დიქტატორი, ხალხს პრეზიდენტი და ერს მეფე!

— ისე, მაინც, კონკრეტულად ვინ გესახებოდათ ან მომავალში ვინ გესახებოდათ საქართველოს მეფედ?

— ჯერ ერთი, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს არჩევანი მე ან ჩემმა პარტიამ ვაკეთოთ, ეს მილიანად ქართველი ერის გადასაწყვეტია. ისე კი, ღვთის მადლითა და ნებით, ბაგრატიონები ჯერ არ გადაშენებულან... 1992 წლის ბოლოს ერთი საინტერესო იდეა გაჩნდა, რომ საქართველოში საზღვარგარეთ მცხოვრები ბაგრატიონების პატარა შთამომავლები ჩამოგვეყვანა, პატრიარქის ზედამხედველობითა და ზრუნვით გაგვეზარდა და ასე, 10-15 წლის შემდეგ, როცა ისინი ქართულს ისწავლიდნენ, ქართულ მენტალიტეტსა და სულიერებას ჩასწავლებოდნენ, რომლიმე მათგანის გამეფებაზეც გვეფიქრა. მართალია, ეს იდეა ბოლოს, მრავალი მიზეზის გამო, არ განხორციელდა, მაგრამ მაშინ ამ მიზნით საზღ-

როგორც ჩანს, კარგა ხნის მანძილზე ჩრდილში ყოფნის შემდეგ, საქართველოს კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია ისევ სამზეოზე გამოდის. მისი ლიდერო, თემურ ჟორჯიანი კი, უახლოეს მომავალში არსებულ სხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ახალი ეტაპის დაწყებასაც გეგმავს. თუმცა, ჩვენი შეხვედრის მიზეზი მართო ეს არ ყოფილა. ქვეყნის უპირველეს მონარქისტს რვა შვილი და უკვე ხუთი შვილიშვილიც ჰყავს და, როგორც თავად მითხრა, ყველაზე დიდ სიხარულს სწორედ მათთან ურთიერთობა ანიჭებს...



„დიდი ინტრიგანის“ მსხვერპლი ანუ დისიდენტური იდეებით გატაცებული არადისიდენტი

ვარგარეთ მე და ვია ჭანტურია, უფრო სწორად კი — მონარქისტები და ეროვნულ-დემოკრატები ერთად წავყავით.

— რამდენადაც ვიცით, თქვენ და ვიას საერთოდაც ბევრი რამ გაკავშირებდათ?

— დიას. თანამოაზრეები ხომ ვიყავით და, ჩვენებურად, ქართულად რომ ვთქვათ, გადამხლები მძაკობაც გვქონდა. ვია ჩემი შვილის — თეოს ნათლიაცაა... სხვათა შორის, 1992 წელს ეროვნულ-დემოკრატებმა მონარქიზმის იდეა გაიზიარეს და ხმამაღლა გამოაცხადეს: პერსპექტივაში, ჩვენ მივესალმებით საქართველოში მონარქის მოსვლასო. სამწუხაროდ, ვიას მოკვლით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ფაქტობრივად განადგურდა, იმიტომ, რომ სწორედ ვია იყო მისი მთავარი ბურჯი და მასულდგმულელები, თორემ მერე რაც ედამ და კერძოდ ირინა სარიშვილმა შეცდომები დაუშვეს?! თუმცა, მე ირინას საქციელს შეცდომას კი არა, ედუარდ შევარდნაძესთან, როგორც პირველ სელისუფალთან, კურკურს უფრო დავარქმევდი...

— ისე, თავის დროზე ედუარდ შევარდნაძის, თქვენც და ვიასაც საკმაოდ გჯეროდათ. ის კი არა და, ოპონენტები ვია ჭანტურიას ერთ-ერთ ცოდვად იმასაც უთვლიან, რომ ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანაში ლამის ლომის წილი უდევსო...

— მერწმუნეთ რა, ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა-არჩამოყვანას ჩვენ ნამდვილად არავინ გვკითხავდა. თუმცა, ისე, ვაღიარებ, რომ მაშინ ორივეს გვეკრო-

და, რომ შევარდნაძე საქართველოს მხოლოდ სიკეთეს მოუტანდა. დღეს ვაღიარებ, რომ შევეცდით. თუმცა, მართო ჩვენ კი არა, ლამის მთელი საქართველო შეცდა. იცით, რომ მაშინ... შეურაცხყოფას კი არავის ვაყენებ, მაგრამ ლამის მთელი საქართველოს ინტელიგენცია მოსკოვში, შევარდნაძის კართან იყო ატყუებული და ხსნასა და შევლასაც მხოლოდ მისგან ელოდა? ვიას, მაგალითად, მტკიცედ სჯეროდა, რომ ორ-სამ წელიწადში შევარდნაძე საქართველოდან გაეროში წავიდოდა, ამიტომაც, თავად რეალურად ემზადებოდა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, მაგრამ შემდეგ რაც მოხდა და ვია როგორც გაიმეტეს, ეს ყველა იცის...

— თუ არ ვცდები, პირადად თქვენ პირდაპირ ადებთ ხელს ედუარდ შევარდნაძეს — ვია ჭანტურია კვირაიას ხელით მოიშორაო...

— იცით, რა არის? მე კრიმინალისტი არა ვარ, რომ ეს საბუთებით ვამტკიცო. მე ვარ პოლიტიკოსი და შემძლია ვაგაანალიზო, თუ ვის უშლიდა ხელს ვია ჭანტურია ყველაზე მეტად. ვის და, პირველ რიგში, ქვეყნის პირველ პირს და შემდეგ, მილიანად მოქმედ სელისუფლებას. იმიტომ, რომ ის იყო დასავლეთისთვის აბსოლუტურად მისაღები, პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა კაცი, რომელიც საქართველოში საკმაო პოპულარობითაც სარგებლობდა. ადვილი შესაძლებელი იყო, რომ თანაბარ პირობებში, ვია ჭანტურიას 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მოეგო. აი, ამიტომაც ასე ვერაუღლად ჩამ-



(მარცხნივ) თემურ ჯორჯოლიანი, (მარჯვნიდან) ვია ჭანტურია და ირინა სარიშვილი ოცილე გზიდან.

ამის მერე აქტიურ პოლიტიკას თქვენც მალე ჩამოსცილდით თუ ჩამოგაცილეს...

ჩამოგაცილებდნენ აბა რა... ჩვენ ხომ მაშინ შევარდნაზე რამდენიმე ძალიან მძიმე შეტევა განვახორციელეთ და ჩვენი საპროტესტო აქციებითა და შიმშილობებით იმდენს მივაღწიეთ, რომ პარლამენტში მისი ნდობის საკითხიც კი დავაყენებინეთ. როგორც წესი, ასეთ საკითხებზე პარლამენტში ფარული კენჭისყრა იმართება ხოლმე, მაგრამ შევარდნაძის მაშინდელი თავდადებული მომხრის, ზურაბ ჟვანიას თავგამოდების შედეგად, ღია კენჭისყრა ჩატარდა. მიუხედავად ამისა, პარლამენტში მაინც აღმოჩნდა 74 პატიოსანი ადამიანი, ვინც ხმა არ მისცა ელუარდ შევარდნაძეს.

იმ 74 ადამიანს შემდგომში რა ბედი ეწია?

დღეს არც ერთი მათგანი აქტიურ პოლიტიკურ არენაზე აღარ არის, მეტი რა გითხრათ... მე მაშინ, პირადად შევხვდი ელუარდ შევარდნაძეს და 12 მწვევე კითხვაც დავუსვი, რომელიც დღემდე პასუხგაუცემელია. აბა, ამდენს ვინაა მაპატიებდა და კვირაიას კაბინეტში ჩემი დაპატიმრებაც დაიგეგმა.

კონკრეტულად ვინ დაგაპატიმრათ?

1995 წელს დამაპატიმრეს, თანაც — დეპუტატის იმუნტეტის მოუხსნელად, ახალ არჩევნებამდე უსუსტად ოთხი დღით ადრე. გზაში დამხვდნენ ვიღაც ნიღბიანები, ხელები გადამივრისხეს და ჯიბეში ნარკოტიკი ჩამიდეს. ერთი წლის შემდეგ კი, სასამართლოზე გაირკვა, რომ ნარკოტიკებთან არავითარი კავშირი არ მქონდა. მაგრამ ოთხი წელი მაინც მომისაჯეს იმ იარაღის „უკანონო შენახვისა და ტარებისათვის“, რომელიც დაპატიმრების დროს შინ მქონდა და საერთოდ, როგორც დეპუტატს, ოფიციალურად რეგისტრირებულიც მქონდა. უბრალოდ, იმ მომენტისთვის, რეგისტრაციის ვადა არ მქონდა გაგრძელებული და ამის გამო, დიდი-დიდი, ჯარიმა თუ მეკუთვნოდა.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ

ძლიერი პოლიტიკური ფიგურა იყავით და არჩევნების წინ ამიტომაც დაგაპატიმრეს?

იცი, რა... მოდით, პრესაში გამოქვეყნებული მაშინდელი რეიტინგები გავიხსენოთ: ჩვენ მაშინ პირველ სამეულში ვიყავით. მიუხედავად ამისა, იმის ილუზია, რომ არჩევნებს მოვიგებდით, ნამდვილად არ გვქონია. რომელ მოგებაზეა ლაპარაკი, როცა მაშინ მოქალაქეთა კავშირმა არჩევნების გაყალბების მთელი სისტემა შეიმუშავა. ამიტომ, ჩვენც ყველა საარჩევნო უბნიდან ძალიან ადვილად ამოგვაგდეს. იცი, რომ ერთ-ერთ უბანში, სადაც, სხვას ყველას რომ თავი დავანებოთ, დედაჩემსაც მოძეცა ხმა, — არც ერთი ხმა არ „ამოგვივიდა“? ასე რომ, ილუზიები ნამდვილად არ მქონია. არჩევნების წინ კი იმიტომ დამაპატიმრეს, რომ შეემინდათ არჩევნების ასეთი ტოტალური გაყალბების შემდეგ, ისევ ქუჩაში არ გავსულიყავით...

ბატონო თემურ, ცხადია, ჩემგან არ გესწავლებათ, მაგრამ პოლიტიკა ხომ კომპრომისების ხელოვნებაცაა...

ცნობილი ფაქტია და ამას ზურაბ ჟვანიაც ვერაფრით უარყოფს: ვია ჭანტურია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ის (ჟვანიას ვგულისხმობ) ჩემთან, სახლში მოვიდა და შემომთავაზა: ედვ არ გვაწყობს და მომავალ პარლამენტში ოპოზიციის როლი თქვენ ითამაშეთ. დამიჯერეთ, ეს მთელი სცენარი იყო: სულ წინასწარ იყო გათვლილი, პარლამენტში ვის რა როლი უნდა ეთამაშა. ჩვენ გვეყო კაცობა და ამ გარიგებაზე არ წავედით. დიდი პოლიტიკოსი, დიდი პოლიტიკოსი, — შევარდნაძე რომ გაჰკივიან მისი მომხრეები, ედ დიდი პოლიტიკოსი კი არა, დიდი ინტრიგანია! კარგად იცის ძალაუფლების ტე-

ქნოლოგია და დიდ თუ პატარა კონკურენტებს თავიდან ადვილად იშორებს. ზოგჯერ კი, თუ დასჭირდა, ტერაქტს მართო სხვებს კი არა, საკუთარ თავსაც კი მოუწყობს და აკი მოუწყო კიდევ!

29 აგვისტოს ტერორისტულ აქტს გულისხმობთ?

— აბა რა! და თანაც, რამდენი კონკურენტი მოცილა კვირაიას მონაწილეობით დადგმული ამ სპექტაკლით? მართო იგორ გიორგაძე რად ღირს! თავს დავდებ, რომ გიორგაძემ ამ ტერაქტზე საერთოდ არაფერი იცოდა. იგორ გიორგაძის სახით, ქართულ პოლიტიკურ სცენას საკმაოდ ჭკვიანი პოლიტიკური ფიგურა, ჩინებულად მოაზროვნე ადამიანი მოაცილეს.

ქართულად მოაზროვნე?

— დამერწმუნეთ, რომ ქართულად! მამაშვილ გიორგაძეებს შორის ნამდვილად ძალიან დიდი განსხვავებაა. ბატონი პანტელეიმონი საბჭოთა სისტემის შეილია, კომუნისტი და სამხედრო გენერალი...

ბატონო იგორი კიდევ —

უშიშროების გენერალია! ისე, ბატონო თემურ, არ გეჩვენებათ, რომ იგორ გიორგაძის გარშემო ატეხილი აუიოტაჟი ცოტა გაზვიადებულია და შევარდნაძეს მართლა მისი ფიზიკური განადგურება რომ უნდოდას, მოსკოვშიც ადვილად მისწვდებოდა?


— იცი, ამ საქმისთვის შევარდნაძეს ხელი ნამდვილად არ დაუკლია. მაგრამ, გიორგაძე, როგორც რუსები იტყვიან: **Тогда не проста.** თანაც ის ძალიან კარგად იცნობს შევარდნაძეს, მასზე ყველაფერი დოკუმენტურად იცის: როდის, სად და რას აკეთებდა — საერთაშორისო პოლიტიკით დაწყებული და ოჯახური ბიზნესით დამთავრებული...

თუ ასეა, ჩამოვიდეს საქართველოში და თქვას ეს ყველაფერი.

— ჩამოვა და იტყვის კიდევ! დღეს მე ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, გამოვაცხადო: უკვე შეიქმნა პოლიტიკური ალიანსი, რომელსაც სათავეში იგორ გიორგაძე უდგას.

მიგინგზე მთავრობის სასახლესთან





პირველი მოწვევის პარლამენტის სხდომათა დარბაზში

საქართველოში...

— ახლა მე ნამდვილად ვერ მოგიყვებით, თუ კონკრეტულად სად და როდის ჩამოდის ან მეროვორ ვხვდები, მაგრამ იგორ გიორგაძე საქართველოში ნამდვილად ჩამოდის ხოლმე... ისე, დახმარებას რაც შეეხება, საქართველოში დაბრუნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, საფრანგეთიდან მივიღე მიწვევა, თანაც მთელი ოჯახით მეპატიებოდნენ, პოლიტიკურ თავშესაფარსაც მპირდებოდნენ. მეუღლემ მითხრა, იქნებ, ბავშვების გულისთვის ცოტა ხნით მართლაც წავსულიყავითო? — არა, ვერ გაძლებ, მოკვდები-მეთქი... თანაც, საზღვარგარეთ წასვლა დღეს შეიძლება, ჩემი შეილებისთვის მართლაც კარგი ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ იქ ხომ ქართველებად ვეღარ გაიზრდებოდნენ?

— შეილები რამხელეები გყავთ?

— უფროსები, მიმიკო და გოჩა პირველი მეუღლისგან მყავს და უკვე ორივეს საკუთარი ოჯახები აქვს. ჩემს მეორე ოჯახში კი — ნინო, ანო, თეო, ბექა, ეკატერინე და კონსტანტინე მოველინენ ქვეყანას. ნინო სკოლას ამთავრებს, კონსტანტინე კი ჯერ მხოლოდ სამი წლისაა. ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებით ვანებიერებთ, თანაც ცოტა შემთვლობაც არ უწყობს ხელს... უფროსი ბიჭებიდან, განსაკუთრებით შრომისმოყვარე იმიკოა. მხევერად მუშაობს, თავის ოჯახს, დეიფონს არჩენს და ბევრჯერ ჩვენთვისაც შეუშვებელია ხელი. გოჩა ცოტა უფრო ცუდლულია, ჩემსავით ყარაჩხელობა უფრო მოსწონს... ერთხანს ბიზნესის წამოწყება მეც ვცადე, მაგრამ, მოგესვენებათ, ბიზნესის წამოწყებას, სურვილით ერთად, ვუღიჯ რომ უნდა... ისე, ამჟამად, აეროპორტის მახლობლად, კერძო დასახლებაში ცვხვობთ და საკმაოდ მოზრდილი ეზოც გვაქვს, სადაც, ჩემი სიდედრის წყალობით, ქათმები, ინდაურები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ციცრებიც კი დარბიან. ასე რომ, ვუძღვებით ამ ცხოვრებას. ჰო, მართლა, ახლანან პენსიაც დამინიშნეს...

— ვინ დაგინიშნათ?

— ყველა ყოფილ პარლამენტარს, ზვიად გამსახურდიას დროინდელი პარლამენტიდან დაწყებული, პენსიები დაგვინიშნეს. მე ჯერ არ ამიღია. ისე, თუ არ ცვდები, 450 ლარი უნდა იყოს. ჩემმა შეილებმა რომ გაიგეს, სიხარულით ცას ეწივნენ, წინასწარ გაინაწილეს ყველაფერი... ჩემი ოჯახისთვის ეს ფული მართლაც მაღლია, მაგრამ ისე, ამხელა შეუსაბამობა გაგონილა?! — ყო-

მასში ათი პარტიაა გაერთიანებული — მათ შორის, ცხადია, ჩვენიც. ვიცი, მკითხავთ და ამიტომ დავასწრებთ: კომუნისტები ამ ალიანსში ნამდვილად არ არიან. უახლოეს მომავალში პრესკონფერენციასაც გამართავთ, სადაც გამოვაცხადებთ, რომ ჩვენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას ვიწყებთ და ბოლომდე ვიბრძობებით, რადგან საქართველოს ამ ხელისუფლებაზე მეტი მტერი არ ჰყავს. როგორც კი მას მოვიცილებთ, პანკისიც დაწინარდება, სამარაბლოც, აფხაზეთიც და მთელი საქართველოც შევებით ამოისუნთქავს.

— მონარქისტმა კაცმა, სხვა უკეთესი დასაყრდენი ვერაფრით ნახეთ?

— მერწმუნეთ, რა, ვერაფრით ვნახე სხვა ისეთი პიროვნება, ერთდროულად რეალური ძალაც რომ ექნებოდა, ნებისყოფაც, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობაც, პრაგმატიზმიც და, ცხადია, პატიოსნებაც, რომ საქართველოსთვის მართლა ეშველა. თორემ ისე, მე, შეიძლება, ხელისუფლებაში მოსვლაზე საერთოდ არ ვიფიქრო. მე მონარქისტი ვარ და ბოლომდე მონარქისტად დავრჩები...

— მერედა, იგორ გიორგაძეს ვითომ ძალიან გულზე ეხატება თქვენი მონარქიზმის იდეა? განა მას კი არა აქვს საქართველოს პირველკაცობის ამბიციაც?

— უამბიციო პოლიტიკოსი პოლიტიკოსი არ არის! მეც ამბიციური ვარ. ოღონდ, იცით, რისი ამბიციაც მაქვს? იმის, რომ ოდესმე თუ მაინც ეღირსა საქართველოს მონარქია, ვიღაცა იმასაც იტყვის, ამ საქმეში თემურ შორაფლიანის წვლილიც არისო. რაც შეეხება იგორ გიორგაძეს — მას მიაჩნია, რომ მხოლოდ ხალხის გადასაწყვეტია, ქვეყანაში როგორი მმართველობა უნდა იყოს. შეგარდნაძემ ერთხელ მაინც თუ ჰკითხა ხალხს რამე?! თუმცა, ბევრჯერ ჰკითხა, ოღონდ, საბოლოოდ, მაინც მხოლოდ ის გააკეთა, რაც თავად სურდა... იცით, ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ (ციხიდან რომ გამომიშვეს, თავი ერთხანს უცხოეთს შევფარე), მე კიდევ ერთხელ შევხვდი შეგარდნაძეს... ვიცი, რომ მატერიალურად ძალიან გიჭირსო, მითხრა...

— მართლაცდა, ბატონო თემურ, როგორ ცხოვრობთ, ამხელა ოჯახს რით არჩენთ?

— რა გითხრათ, აბა. ხომ იცით, ქართველ კაცს ზედმეტი წუწუნი არ უყვარს. ისე, მეც და ჩემმა ოჯახმაც მართლაც ძალიან მძიმე დღეები გამოვიარეთ. მაღლობა ღმერთს, დიდი სამეგობრო და საახლოლობო გყავს, ყველანი გვეხმარებოდნენ...

— ისე, როგორც ამბობენ, ხანდახან გიორგაძეც ჩამოიბრუნეს ხოლმე

ფილ პარლამენტარს 450 ლარს რომ უნიშნავ, რიგით პენსიონერს 14-15 ლარისთვის იმეტებ?!.

— პირველ მეუღლეს რატომ გაყვარეთ? მეორის სახით, ახალი დიდი სიყვარული გენვიათ?

— არა. ვერე ნამდვილად არ იყო. მე და ჩემმა პირველმა მეუღლემ, თითქმის ცამეტი წელი ვიცხოვრეთ ერთად. 18 წლის ვიყავი, როცა მოვიყვანე. მოგესვენებათ ახალგაზრდობის ამბავი — ეს სტუდენტობაო, ეს მეგობრები და ქეიფიო... მოკლედ, მთელი ეს წლები ყარაჩხელურად ვცხოვრობდი... ეტყობა, მობეზრდა ჩემი ყურება და ერთხელაც, ყველა საყვედური ერთად „გადმომიღავა“. მეც გაბრაზდი, ქული დავიხურე და წამოვედი და წამოვედი...

— ბატონო თემურ, ხელახლა რომ დაგენყოთ ცხოვრება ისევ ამ გზას გაივლიდით?

— ალბათ, კი. თუმცა, ჩემს ერთ შეცდომას კი უთუოდ გამოვასწორებდი. ჩვენ ხომ, ყველამ ერთად, ერთი დიდი შეცდომა დავეშვეთ: იმ კაცს — ზვიად გამსახურდიას მყავს მხედველობაში, — მეტად უნდა მოეფრთხილებოდით: მისი სახით, მართლაც პატიოსანი, მართალი და პატრიოტი ადამიანი დავკარგეთ. ვერ ვიტყვი, ბრძენი პოლიტიკოსი იყო-მეთქი, მაგრამ სტრატეგიაში მაინც ყველაფერი სწორად განჭვრიტა. ალბათ, ჩვენში მაშინაც ყველაფერი ქართულმა მაქსიმალიზმმა გადასაძლა. ტოტალიტარული რეჟიმიდან გუმინ თავდაღწეულებმა, ლამის მთელი დღესვე დემოკრატიის ოაზისის შექმნა მოვთხოვეთ. ეს იყო ძალიან მცდარი პოლიტიკა. თუმცა, რომელ პოლიტიკაზეა ლაპარაკი. ჩვენ ხომ მაშინ, პოლიტიკოსებზე მეტად, რომანტიკოსები და ენთუზიასტები ვიყავით — ასე გვეგონა, ყველაფერი მიტინგებზე შეძახილებით წყდებოდა... ნამდვილი პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში ახლაც იდგამს ფეხს და ნამდვილი ბრძოლაც ახლა იწყება.

კინოს მოყვარულებს კარგად გემახსოვრებათ ამერიკული მხატვრული ფილმი „საპარა“, სადაც მშვენიერი ბრუკ შილდსი მამაკაცებზე უკეთ დააქროლებს ავტომობილს, რის გამოც, გაოცებული არაბი ბედუნები „ცისფერთვალე ბა დემონსაც“ კი უწოდებენ... ასეთი „ცისფერთვალე ბა დემონი“ თბილისის ქუჩებშიც დააქროლებს ავტომობილს და ბევრ ქართველ მამაკაცსაც უხეთქავს გულს თავისი მშვენიერებითა და „სისხლში მოჭარბებული სანავით“.

როგორ გახდა მძლოლი, როგორი დამოკიდებულება აქვს საგზაო პოლიციასთან და საერთოდ, საქვსთან ჯდომისას, თავს გადამხდარი ამბების შესახებ „პირველი არხის“ სატელევიზიო პროგრამების — „ალიონისა“ და „ნაშუადღევის“ წამყვანი ნინო შუბლაძე მოგვითხრობს.

— ეკა ლომიძე



— 17 წლის ასაკიდან ვებეწებოდი მშობლებს — მანქანა მიყიდეთ-მეთქი, მაგრამ დედაჩემის კატეგორიული უარის გამო, ამ საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა. მეუბნებოდა: სანამ ცოცხალი ვარ, შენ საჭესთან ვერ დაჯდები, — მაგრამ მამაჩემის დახმარებით, ბოლოს, დედაც დავიყოლიე. მამას ვეწუწუნებოდი: აი, დაბადების დღეებზე ნასვამი ჩემი მეგობრები საჭეს რომ მიუსხდებიან და შინ მოვყავარ, — ხომ ვისკდება გული, რაზე არ მომივიდეს? — არ სჯობს, მე თვითონ ვიარო მანქანით-მეთქი?! ბოლოს და ბოლოს, ჩემმა წუწუნმა გაჭრა და აგერ უკვე 5-6 წელია, საჭეს მუდმივად ვუხივარ.



«ნიკი ლაუდა» ტოლკოვი ბელონაყვანი საუბარსას ლაუდას...

ორი დღითაც რომ გამოიფუჭდეს მანქანა და პროფილაქტორიუმში დაეყენო, ხელოვნმომტკრეულს ვემსგავსები — ვეღარაფერს ვაკეთებ. ამიტომაც, კატეგორიულად ვაპბობ: ავტომობილი გადაადგილების საუკეთესო საშუალება, საჭირო ნივთია და არა ფუფუნების საგანი.

— როგორ ისწავლე მართვა? დიდხანს დადიოდი კურსებზე?

— რას აპბობ, რა კურსებზე? ყველას ვებეწებოდი — საჭესთან დამხვით-მეთქი და ასე, სხვების მანქანებზე ვისწავლე მართვა. პირველად რომ დავჯექი საჭესთან, მაშინვე გავატარე. ვერაფრით ვხსნი ამ მოვლენას, მაგრამ ფაქტია: იძენად მინდოდა მანქანის მართვა მესწავლა, რომ საჭე დავეტრიალე და ჩვეულებრივად, გამოცდილი მძლოლივით დავძარი.

— ახლა „ჰიუნდაი-ლანტრას“ დააქროლებ. მანამდე თუ გყავდა სხვა მანქანა?

— ჩემს ჰიუნდაის „მისუკას“ ვეძახი, რადგან, ნომრის სერია MIS-ია. ეს ჩემი მეორე მანქანაა — სამი წლის წინ ვიყიდე ახალთახალი. პირველად მამამ ძველი „ბე-ემ-ვე“ მიყიდა. საერთოდ, ყველას ვურჩევდი, რომ თავიდან ძველი მანქანით დაიწყო მძლოლობა, ახლის ყიდვა არ ღირს: გაუსახუნებ რამეს და გული დაგწყდება. მასსოვს, „ბე-ემ-ვე“-ს რაღაც ნაწილი გაუფუჭდა, ვერაფერს გაუვო რა სჭირდა და რაღაც წუდილის ხმას გამოისცემდა, — მოკლედ, მივიდიოდი და ქუჩა მიმქონდა...

— ამ ნუღმა მოგაბეზრა თავი,

თუ ისე დაგიძველდა, რომ გაკეთება აღარ ღირდა?

— სამინელ ავარიაში მოვეყვი, ჩემს ორ მეგობარ გოგონასთან ერთად. მაშინ მივხვდი, რა პატარაა თბილისი: ავარია ჭავჭავაძის გამზირზე მოხდა. ერთ წუთში უამრავი ნაცნობი დამეხვია თავზე. ვინც დამეჯახა, გაიქცა, მაგრამ მალე „გაქანეს“ — ჩემი მეგობრის ქმარს დაუნახივართ იმ სამინელ წუთებში. რომ დარწმუნებულა, ცოცხლები ვიყავით, გაქცეულს გამოჰკიდებია და გამოუჭერია. არადა, ისტერიკა დამეძართა: მანქანა აღარაფრად ვარგოდა. ჩვენ დაშავებულები ვიყავით, დამნაშავე კი გაიქცა...

— „ნიკი ლაუდას“ რატომ გეძახიან?

— ჩქარი სიარულის გამო. მაგარი, ცნობილი „გონშიკი“ ყოფილა ნიკი ლაუდა. ამიტომაც შემარქვეს ეს მეტსახელი. საღამოობით მირეკავენ ახლობლები და მეუბნებიან: აქა და აქ დავინახეთ, გიჟივით ჩავიწვილე, ჭკვიანად იარეო. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ შესანიშნავი მძლოლი ვარ.

— სხვა მძლოლებს თუ აბრაზებ ხოლმე და წესრიგს თუ არღვევ?

— იცი რა, წითელ შუქზე „გარბენა“ მიყვარს. საერთოდ კი, ისეთი არაფერი ჩამიღენია, რომ ვინმესთვის რაიმე მეგნო. სამარშრუტო ტაქსების მტრად მთვლიან. ისე მოძრავლენენ, ნერვებს მიშლიან. ეგერი მარჯვენა ხოლში უნდა დადიოლენ და რომ დავინახავ — მარცხენაში გადადიან, არ ვასვენებ, სანამ მარჯვნივ არ გადავბრძანებ... ამას წინათ, სტუმრები გყავდა და მათ

სატარებლად „მარშრუტკა“ დავიქირავეთ. თურმე მძლოლი ხაზზეც შემაბოხს. ჩემი მანქანა რომ დაინახა, გაგიჟდა: შენა ზარ ის გადარეული, რუსთაველზე კინალამ თავზე რომ გადამარეო?..

— კრიტიკულ სიტუაციაში თუ ჩაგარდნილხარ და მაგრად თუ შეგ- შინებია?

— გერმანიაში ცხოვრობდა ჩემი და. ჩავაკითხე, სამი თვით დავრჩი. გერმანიის ავტობანებზე 250 კმ/სთ სიჩქარით დააქ- როლებენ მანქანებს. მე 150-ით „დავლო- ლავდი“. ერთხელ, მიუნხენიდან ფრანკფურტ- ში მოგვიწია წასვლა, დედა უნდა გა- მოგვეცილებინა თბილისში. აეროპორტში მივიღიადით. 500 კმ გავიარე გიჟური სის- წრაფით. უკვე აეროპორტში შესულს — საბედნიეროდ, შენელეუბლი სვლით, მუხრუ- ჳმა მიმტყუნა და ავტომობილს დავეჯახე. პოლიციელები რომ მოვარდნენ ჩართული სირენებით, კინალამ გული გამისკდა, — მეგ- ონა, გერმანიის ციხეში ამოვყოფდი თავს. მაგრამ იქ ისეთი კულტურული ხალხია, პოლიციელებიც ისეთი თავაზიანები არიან, რომ აღფრთოვანება ვერ დავფარე...

— ქართველ პოლიციელებზე რას იტყვი? მათთან როგორი ურთიერ- თობა გაქვს?

— კარგა ხანია მანქანას აღარ ვუჩერებ, — ხელს ვუქნევ სიცილით და „გავგრიბავარ“. უკან ვერ არ გამოძივდიან. ერთხელ, როგორც ჩანს, უადგილო ადგილზე გავაჩ- ერე მანქანა და საქმეზე წავედი. როცა დავბ- რუნდი, ნომრები ახსნილი იყო. პოლიციე- ლი კი იქვე ტრიალებდა. მივედი, ბოდიში მოუხადე და ვთხოვე, ნომრები დაებრუნე- ნა. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ფიცხი ვარ, გავბრაზდი და დავგუქურე: შენი ხელით მომიტან სახლში ნომრებს-მეთქი. შვილებს გევიცები — საბუთებსაც წაგართმევ და არც ერთს აღარ დაგიბრუნებო... ჩავჯექი მანქანაში, მივრეკ-მოვრეკე ახლოობებთან და ჩემი გასაჭირი შევჩივლე. დაუკავშირდნენ პოლიციელს და უთხრეს: რა არის, როგორ იტყვი, არ გრცხვენიაო?! მართლა თვითონ მომიტანა ნომრები შინ. რომ დავინახე, გული შემქანდა: შე დალოცვილო, რას ამოიწ- ყვიტე შვილები? — ახლა იმათი დარდი მომკლავს-მეთქი. სიცილი აუვარდა: შენ გგონია, შვილები მართლა მყავსო?..

— პროფილაქტორიუმში ხშირად თუ დადიხარ და თავად თუ გქმის რაიმე მანქანის მონყობილობის?

— სანამ „ბე-ემ-ვე“ მყავდა, პროფილაქ- ტორიუმის ხშირი სტუმარი ვიყავი, „მისუ- კა“ ახალია და „მკურნალი“ იშვიათად სჭირდება. ისე, თითქმის ყველა ხელოსანს ვიცნობ, ჩემთან მეგობრობენ და ფულსაც კი



„საფარი-რალი“ უდაბნოში — რა თქმა უნდა, მეც მივიღე მონაწილეობა...

აღარ მართმევენ ხოლმე. ადრე, სანამ მანქ- ნის მოვლას ვისწავლიდი, ცუდ დღეში ვვარდ- ებოდი. საბურავი რომ გამისკებოდა, ტაქ- სის გავაჩერებდი და ვთხოვდი — დამეხმ- არეთ-მეთქი. ახლა ყველაფერი მე თვითონ შემიძლია გავაკეთო და თუ კარგი ხე- ლოსანი გჭირდებათ, შემიძლია, მივასწავ- ლოთ კიდევ.

— როცა საქვსთან ზიხარ და ვილაცაზე ბრაზდები, ხომ არ ბილ- ნსიტყვაობ ხოლმე?

— საქვმე ცუდი სიტყვების თქმას შემაჩვია. თავიდან, რომ წამომცდებოდა რაიმე — უცე- ბვე შეცვებოდი და ჩემს მეზავრებს ბოდიშს მოუხდდი, მაგრამ ყველა მაშშვილებდა: არა უშავს, — მძლოლს ეპატებო. მეც მივჩვიე. „სიენალით საუბარიც“ შემიძლია, „სასიენა- ლო ლექსიკონში“ მაქვს: მისაღებება, გაბრა- ხება და ა.შ. მულტფილში „ზაქრო და შაქრო“ ხომ იცი? — „პაპაპაპოს“ ხე- ლოვნებას მეც კარგად ვფლობ.

— შენაირ გადარეულ მძლოლს და მშვენიერ ქალს, მამაკაცი კოლეგები გაგინრობენ ხოლმე გზაში?

— ეს მარტო ჩემზე არ ითქმის. როგორც ჩანს, ყველა მამაკაცის თვისებაა — საჭვსთან ქალს თუ მოჰკრა თვალი, კარგად უნდა შეათვალიეროს, გაუღიძოს და დაეინებულები მზერით დაასაჩუქროს...


— იმპროვიზებულ რალიში ხომ არ მიგიღია ოდესმე მონაწილეობა?

— ჩემი მეგობრის მეჯვარე ვიყავი. როგორც მაგარ მძლოლს, პატვი დამდეს და მითხრეს: შენი მანქანით შეგიძლია წამოხ- ვიდეო. ნეფე-დღოფლის მანქანის უკან არ ჩამაყენეს?! ისეთი ამბები დავატრიალე ჩემი მანქანით, რომ ყველა გაშუმდა და — მიბრ- დანდი, გენაცვალო, — შემინებულები გზას

მითმობდნენ... ამ ცოტა ხნის წინ კი, დუბაი- ში ვიყავი მშობლებთან ერთად სამოგზაუ- რო ტურში, რომლის პროგრამაც უდაბნოში მოწყობილი ავტორალით მთავრდებოდა. მოეწყო „საფარი-რალი“ — რობოლა ჯიპე- ბით. რა თქმა უნდა, მეც მივიღე მონაწილე- ობა. თავიდან არ დამსვენს საჭვსთან, მაგრამ მერე, მცირე ხნით, მაინც წამოვიდნენ დათ- მობაზე. როდესაც კვიშაზე მანქანის მართვა, მაგრამ ძალიან დიდი სიამოვნებაც მივიღე უდაბნოში ქროლვით. ირგვლივ არაფერი იყო, გარდა ქვიშისა და თეთრებში გამოწყ- ობილი ბელუნიებისა.

— შენს ალბომში ორი ძალიან საინტერესო ფოტოსურათი აღმოვა- ჩინე: ერთ მათგანზე ნიღბით ზიხარ ავტომობილში, მეორეზე კი — შვეულ- მფრენის კაბინაში, ძლოტის ადგ- ილზე მოკალათებულხარ. რა ხდება? საშავერო გზასაც ხომ არ მოუსინჯე კბილი?

— პირველ სურათზე ნიღბით იმიტომ ვარ, რომ ახალწლის უჩვეულოდ ექსტრავ- აგანტურად შეხვედრა მოვინდომე: საკარ- ნავალო კოსტუმში გამოვწყვე. სახეზე ნიღბი ავიფარე და ასე დავიწყე მისალოცად ახ- ლობლების ჩამოვლა. კურიოზი იყო: ზოგი ვერც კი მცნობდა და გაცივებულს, საერ- თოდ ავიწყდებოდა ახალი წლის მლოც- ვა. მთელი დამე ამ ფორმით დავაქროლებდი მანქანას... რაც შეეხება მეორე ფოტოს, ეს სურათი უბრალოდ, საბერძნეთში მოგზაუ- რობისას, სამახსოვროდ გადავიღე. ცას ვერ ვკარ შევწვდი, ვერ მხოლოდ ხმელეთზე ვვარგვივარ მძლოლად...





გალაკტიონი



მურად ჟვანია და აკაკი შანიძე

ევტიხი ჟვანია და მთვარიანი ღამე „გალაკტიონის ჰოსიტი“

6067 სხვარაშვილი

პირველი კერძო ფოტოსტუდიები საქართველოში 1840-იან წლებში გაიხსნა. 1848 წელს თბილისში პაუპტისა და ალექსანდროვსკის სტუდიები დაარსდა, 50-იან წლებში კი, თბილისის ხელები პირველად, რუსმა საბით ინჟინერმა ივანიცკიმ გადაიღო. მეორე საუკუნეში ფოტოატელიები ფართოდ გავრცელდა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია რუსთაველის გამზირზე მდებარე ატელიე, რომელიც ევტიხი ჟვანიას ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების შემდეგ, არ შეუწყვეტა არსებობა – მამის საქმე შეიღმა – მურად ჟვანიამ განაგრძო.

ახლა ჟვანიების ფოტოატელიე უკვე 90 წლისაა. მისმა უძლიერესმა არქივმა ჩვენი ქალაქის ხელები და ისტორიულ პიროვნებათა არაერთი სურათი შემოინახა.

— ბატონო მურად, ვფიქრობ, საუბარი მამათქვენის გახსენებით უნდა დავიწყოთ.

— მამჩემს ფოტოგრაფობა ბათუმში უსწავლია, 1912 წელს კი, თბილისში საკუთარი სალონი გაუხსნია. იმავე წელს მასთან მისულა ვალერიან გუნია და უთხოვია, გადაეღო ფოტო ლადო ალექსიმესხიშვილისათვის მის საიუბილეო საღამოზე. აი, ასე დიწყო ცვლაფერი. მამჩემს ფოტოსურათებმა შემოინახა სცენები მარჯანიშვილის სპექტაკლებიდან, მანვე გადაიღო პირველი ქართული მთავრობა, ვაჟა-ფშაველას უკანასკნელი ფოტო თბილისის ლაზარეთში, ასევე კონსტანტინე გამსახურდიას ერთადერთი კაბინეტური სურათი, ნოე ჟორდანიას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი... ყველა შეიძლება ვერც ჩამოვთვალო...

ეს სახლიც იყო და სალონიც. მეორე სართულზე ვცხოვრობდით, პირველზე კი ფოტოატელიე იყო. მე 1934 წელს დავიბადე. აქ, ამ ოთახის კუთხეში იდგა ჩემი აკვანი. 7-8 წლის ასაკში უკვე დაინტერესდი ფოტოგრაფიით. ვსწავლობდი პირველ საშუალო სკოლაში და პარალელურად, მამის ხელობას ვეუფლებოდი. მამჩემს ძალიან

ილია დათუნაშვილთან ერთად („ამ კაცმა ერევის „არარაგს“ 20 წუთში 5 ბურთი გაუგანა...“)



ევტიხი ჟვანია

უხაროდა, რომ ამ საქმით ვიყავი დაინტერესებული. ჩვენს სალონში ცნობილი ადამიანები მოდიოდნენ, აქ ყოველთვის ხალხმრავლობა სუფევდა. ბავშვი ვიყავი, მაგრამ მახსოვს, რომ ჩვენს სალონში სურათის გადაღება პრესტიჟულად მიიჩნეოდა.

— დღემდე, შავთეთრი ფოტოგრაფიის ერთგული რჩებით...

— მიმაჩნია, რომ შავთეთრი სურათი ხარისხით ყოველთვის სჯობს ფერადს. მე ფერად სურათებსაც ვიღებ, მაგრამ ტრადიციას არ ვღალატობ; შავთეთრი სურათის საიდუმლო ის გახლავთ, რომ გაცილებით კარგად გამოხატავს პიროვნების ხასიათს.

— თქვენი ფოტოსალონი ხშირად იყო ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა თავშეყრის ადგილი. იქნებ ცხოვრებისეული ეპიზოდებიც გაიხსენოთ?


— გალაკტიონ ტაბიძე ჩვენი ხშირი სტუმარი და მამჩემის მეგობარი იყო. გალაკტიონს ღვინო უყვარდა, მამჩემს ყოველთვის ედგა ბოცით „ქინძმარაული“, არავის ასმევდა და „გალაკტიონის ბოცას“ ეძახდა. დიდ პოეტს ხშირად, თვითონაც მოუტანია სასმელი. გვიან ღვინო მოდიოდა, ილიაში ამოჩრილ ღვინოს მაგიდაზე დადგამდა და ხელეგებამილი იტყოდა: „ჭემ-მარიტი ფოტოხელოვანი ჭემმარიტი პოე-



ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტექსტის კითხვებზე ვაკვირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

1. ჩამოთვლილთაგან რომე-
ლია საჭაღრაკო ტერმინი:



- ა) წისქვილი;
- ბ) აპერკოტი;
- გ) ჩანგალი.

2. რომელ ლიტერატურულ
ნაწარმოებში იყო პირველად
ნახსენები მაკარონი?



- ა) „ვეფხისტყაოსანში“;
- ბ) „ღონ კისოტში“;
- გ) „დეკამერონში“.

3. რას ეძახდნენ ბორის
პაიტაძეს?



- ა) ფეხბურთის კარუზოს;
- ბ) ფეხბურთის მარგალიტს;
- გ) ფინტების ჯადოქარს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

სენებისას ნოსტალგიას განცდით, არა?

— საერთოდ, ფოტოგრაფია ხშირად სვე-
დას აღძრავს ხოლმე: ვარბის წლები, წარ-
სულში რჩება ახალგაზრდობის ხანა, მას-
თან ერთად — სილამაზეც. ადამიანები
ძნელად ურიგდებიან სიბერეს. ჩემთან ხშირად
მოდიან ხნიერი ადამიანები, ძველი ფოტო-
სურათები მოაქვთ — ჯერ კიდევ მამაჩემის
გადაღებული, — და მოხოვენ, ხელახლა
გადავიღო... კარგად მესმის ყოველივე ეს.

როცა საქართველოს მეცნიერებათა აკა-
დემიის მოძვალმა აკადემიკოსმა, პაატა გუ-
გუშვილმა თანაკურსელებთან ერთად პირვე-
ლად გადაიღო სურათი მამაჩემთან, მაშინ
სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები იყვნენ,
— 60 შესანიშნავი ჭაბუკი. სწორედ მაშინ
დათქვეს: ყოველწლიურად, ერთად გადავღოთ
ჩვენთან ფოტოსურათი. გადაიღა წლები,
ყოველწლიურად თხელდებოდა ყოფილ
თანაკურსელთა რიგები, გარდაიცვალა მამ-
ჩემიც, ცოცხალი აღარ არის ბატონი პაატა
გუგუშვილიც... ვუყურებ ამ სურათებს და
წამის მარადიულობაზე ვფიქრობ...

ფოტოგრაფობა ჩემთვის ჰაერია. აქ
რომ მოვივარ, სულიერად ვისვენებ, ყოველ-
დღე, თავიდან ვათვალიერებ ხოლმე ამ
სურათებს. ეს ხალხი ყველას უყვარს,
მათ შექმნეს ჩვენი ეპოქა. მე იშვიათად
თუ გავსულვარ თბილისიდან, ძალიან
მიყვარს ჩემი ხელობაც და მშობლიური
ქალაქიც. ერთი დღეც არ მიცხოვრია
უთბილისოდ, ერთი ღამეც არ გამითევია
სხვაგან. მეამაყება, რომ პირველსკოლე-
ლი ვიყავი, მეამაყება, რომ ამდენ კარგ
ქართველს ვიცნობდი და ვიცნობ...

ტია, ჭეშმარიტ პოეტებს კი, ღამე უყვართ.
მოდი, ჩემო ვეტიხი, მთვარიანი ღამის სა-
დღეგრძელო შეესვათ...“ ხშირად გვიანობამ-
ღე შემორჩებოდნენ სუფრას და იგონებდ-
ნენ წარსულს.


ერთხელ გალაკტიონი მოვიდა, თან ნა-
ბადი და ფაფახი მოიტანა. ძამიკო, ამ ნა-
ბადში გადამიღე სურათიო, — გვითხრა.
ფაფახიანი მგონის ფოტოსურათი ვიტ-
რინაში რომ გამოვიკიდეთ, ზოგიერთებს
რატომღაც არ მოეწონათ: ამის გამო, მაშინ
ცეკვაშიც კი დამიბარეს, — გალაკტიონი
ფაფახს არ იხურავდაო(!!).

აკაკი შანიძესთან მაქვს სურათი გადა-
ღებული, მერე მის დაკრძალვაზეც მე ვიღებ-
დი ფოტოებს. ვაჟა-ფშაველას სურათის
გადაღება კი ასე მოხდა: 1915 წელს
მამაჩემთან მოსულა მისი ძველი მეგობარი,
ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღ-
ვაწე, იოსებ იმედაშვილი და უთქვამს: ვაჟას
ჯანმრთელობა საგრძობლად გაუარესდა, უმ-
ძიმეს მდგომარეობაშია, იქნებ სულის ამოხ-
დომამდე მოვასწროთ სურათის გადაღე-
ბაო. დასწრებული დიდი პოეტი წმ.
ნინოს ლაზარეთში (ამჟამად თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა. —
ავტ.) იწვა. ვეტიხი ფვანია წასულა და
სურათი გადაუღა. ამის შედეგად შემოგვრჩა
უკანასკნელი სასწოვარი ვაჟა-ფშაველაზე.
მეორე დღეს იგი გარდაიცვალა...

ძალიან მიყვარს ილია დათუნაშვილთ-
ან გადაღებული სურათი. ამ კაცმა ერევ-
ნის „არარატს“ 20 წუთში 5 ბურთი
გაუტანა...

— ალბათ ამ ადამიანების გახ-

ვაჟა-ფშაველას უკანასკნელი ფოტო წმ. ნინოს ლაზარეთში, ცხმ. იმედაშვილთან



როდესაც პატარა სალომე ბასშიანის მშობლებს მასთან გასაუბრების უფლება ვთხოვე, ბატონმა ავთომ მიპასუხა: ჩემს შვილს ჯერ არაფერი გაუკეთებია საიმისო, რომ პოპულარულ ჟურნალებში ინტერვიუები ბეჭდოსო... თუმცა, ბოლოს, თანხმობა მაინც მივიღე და გასვიანების ოჯახში სტუმრად მისულმა აღმოვაჩინე, რომ ამ 11 წლის გოგონას მართლაც ბევრი წარმატებისთვის მიუღწევია... თვითონ ნორჩი მომღერალი მოუთმენლად მელოდა: მისთვის ეს პირველი ინტერვიუ ყოფილა და მთელი სეროზულობით მოეკიდა, თუმცა, ბავშვური ცნობისმოყვარეობით იჭყიტებოდა ჩემს რვეულში, სადაც ჩანანერს ვაკეთებდი. რა უნდა მკითხოთ? სხვებს რა შევითხვებ უსვამთ? თქვენი საყვარელი კითხვა რომელიაო? — ვერ ისვენებდა სალომე. ჩემთან „ინტერვიუ“ რომ დაამთავრა, ბოლოს და ბოლოს, დაშოშმინდა და ეს ინტერვიუც ჩავწერეთ.

„ძარიან მიყვარს ნაყინი, მაგჩამ ახ მაქმევენ...“

მარი ჩაპარაძე



— სალომე, სხვა დროს არავის გამოუთქვამს შენთან გასაუბრების სურვილი?


— კი, მაგრამ დედიკო ამბობს, ინტერვიუ იმან უნდა მისცეს, ვისაც დიდი წარმატებისთვის მიუღწევიაო. ჩემი მასწავლებელი — ნუნუ გაბუნია საუბრობს ხოლმე ჩემ შესახებ ჟურნალისტებთან. ჩემთვის ეს პირველი ინტერვიუა. თუ რომელიმე კითხვაზე ვერ ვიპასუხებ, დედიკო დამეხმარება.

— შენი პირველი კონცერტი თუ გახსოვს?

— 6 წლის ვიყავი, როდესაც სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ვიმღერე. ეს იყო სიმღერა „გვირილები“. ძალიან ვნერვიულობდი. ახლაც, ყოველი კონცერტის წინ ვვლავ. სცენაზე — უკვე აღარ.

— მომიყვი შენი წარმატებების შესახებ.

— 1998 წელს, „ჰარის“ ფესტივალზე პირველი ადგილი ავიღე. იმავე წელს „ბროლის ნაძვის“ ლაურეატი გავხდი, 1999 წელს მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე — Юность планеты და „თბილისის-99“-ის ლაურეატის წოდება მომანიჭეს, 2000 წელს მოსკოვში ფესტივალზე — Зажи свою звезду კვლავ



ლაურეატი, ხოლო საქართველოში „ვარსკვლავთა ბილიკის“ ოქროს მფლობელი გავხდი. ერევანში, საერთაშორისო ფესტივალზე კვლავ ლაურეატობა მივიღე. სულ ბოლოს კი, ისევ მოსკოვში ჩატარდა ფესტივალი Детская академия музыки — და იქაც ლაურეატი გავხდი.

— მოსკოვში სულ ახლახან

ყოფილხარ. გაგვიზიარე შენი შთაბეჭდილებები.

— ფესტივალზე ძალიან მომეწონა ჩინელების გამოხედვა, რომლებიც ვიოლინოზე უკრავდნენ. ჩემი მასწავლებელი ნუნუ გაბუნია მიწვეული იყო მსახიობთა სახლში, ცნობილი რეჟისორის — ესკინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. ღონისძიებას მთელი თეატრალური ელიტა ესწრებოდა. იქ შევასრულე სიმღერა Гляжу в озера синие. ყველას ძალიან მოეწონა. მიხაროდა, რომ ის ადამიანები, ვინც მანამდე მხოლოდ ეკრანზე მენახა, მოდიოდნენ, გულში მიხუტებდნენ და მკოცნიდნენ. მეორე საღამოს, მსახიობთა სახლში ვიყავით მიწვეულები. ყველა ვეტერანი მსახიობი ვნახე. ვიმღერე „მეორე ლეგენდა“. აქაც იგივე განმეორდა — მეფერებოდნენ, საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან: უილიანოვი, შირვინდტი, ლანოვოი. კიდევ იცით, რა მახსოვს? — მოსკოვში ქალბატონმა ნუნუმ, ჯულია ხოფერიასა და სერგეი მირონოვის ქორწილში წამიყვანა (ისინი დიდი ხნის დაქორწინებულები არიან, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ დაიწერეს ჯვარი. — ავტ.). საოცრად ლამაზი პატარძალი იყო ჯულია. თვალს ვერ ვაცილებდი. ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი ვნახე. ქართველი

ლი მომღერლებიც იყვნენ: ნანი ბრეგვაძე, ლიზა ბაგრატიონი, ლელა წურწუშია, მერაბ სეფაშვილი... ამ ქორწილშიც ვიმღერე. ერთი კაცი ფეხზე წამოდგა და ისე მისმენდა. მერე გავიგე, რომ ეს კაცი იური ლუჯოვი ყოფილა (*მოსკოვის მერი - ავტ.*). ყვავილების უზარმაზარი თაიგულიც მომიძღვნეს. მოსკოვიდან რომ დავბრუნდი, ქალბატონმა სესილი გოგიბერიძემ დიდი მადლობა გადამიხადა იმისათვის, რომ საქართველო ვასახელე. თურმე, მისთვის მოსკოვიდან ოფიციალური წერილი გამოუგზავნიათ, სადაც მადლობას უხდიდნენ ნიჭიერი ბავშვების აღზრდისათვის.

— სალომე, ვიცი, რომ შენ ერთ-ერთ სიმღერაზე კლიპიც შეიქმნა.

— დიახ. ეს არის სიმღერა „ჩემი ბავშვობა“. დიდი ხანია ამ კლიპის გადაღება გვინდოდა, მაგრამ ბევრჯერ გადაიდო. თავიდან, როდესაც გადაწყდა, რომ კლიპი უნდა შექმნილიყო, სკოლაში, ჩემს მეგობრებს ვაცნობე ამის შესახებ და გული რომ არ დასწყვეტოდათ, შევპირდი, რომ მათაც მივალეინებდი მონაწილეობას. გადაღების დაწყება რომ გაჭიანურდა, ბავშვები აღარ მასვენებდნენ, ყოველდღე მკითხებოდნენ, როდის უნდა გადაგვიდო. მართლაც, კლიპში მონაწილე ყველა ბავშვი ჩემი მეგობარია. ზოგიერთი ეპიზოდის გადაღება გუდაურში მიმდინარეობდა. ძალიან მიხაროდა, რომ ჩემი მეგობრებიც ჩემთან ერთად მოდიოდნენ.

— კლიპის გაკეთება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. შენ ვინ დაგაფინანსა?

— ჩემი სპონსორი ჩემი მამიკოა. ფინანსურად ის დამხმარა. კლიპის რეჟისორი კი — ლევან ტორონჯაძეა. შეიძლება, რაღაც ვთხოვოთ?

— რა თქმა უნდა!

— აუცილებლად დაწერეთ, რომ კარგი რეჟისორია. ლევანი ძალიან მიყვარს.

— კარგი. ახლა ის მითხარი, საკონცერტო კოსტიუმებს ვინ გიკერავს?

— მაკა ასათიანი და ავთო ცქვიტიანიძე. სულ ბოლოს, ბატონი ავთოს დიზაინით, წითელი კაბა შემიკერეს. თვითონ ავტორი იმდენად კმაყოფილი დარჩა ნამუშევრით, რომ გამზადებული კაბა სალონში დაკიდა და ყველას ანახვებდა: შეხედეთ — შედეგრი შექმნილი. ეს კაბა მეც ძალიან მომწონს.

— როგორ წარმოგიდგენია შენ თავი ათი წლის შემდეგ?

— (*თვალებს ხუჭავს*) წარმომიდგენია,



რომ პოლიეუდის მომღერალი ვარ, თანაც, ძალიან პოპულარული...

— ნატვრისთვალა რომ გქონდეს, რას სთხოვდი?

— (*იციხის*) მეორე ნატვრისთვალას!

— ორი ნატვრისთვალა რად გინდა?

— მინდა, რომ ყველა გაჭირვებულს დავეხმარო, ამისათვის კი, ერთი ნატვრისთვალა არ მეყოფა.

— სალომე, როგორი ბავშვი ხარ?

— კეთილი, დამჯერი და ჭკვიანი. ძალიან მიყვარს ჩემი მეგობრები. არ მიყვარს ბოროტი ადამიანები. კიდევ, ძალიან მიყვარს ნაყინი, მაგრამ არ მაჭმევს, რომ ყელი არ გამიცივდეს.

— გაიხსენე რაიმე საინტერესო ამბავი.

— ერევანში მომხდარ ამბებს გავიხსენებ. კონკურსის დროს, სცენაზე გავდი. დაიწყო მუსიკა. მთელი შემართებით მოვიმარჯვე მიკროფონი და აღმოჩნდა, რომ არ მუშაობს. მიკროფონი ხელში შევატრიალე, დილაკებსაც დავაჭირე თითი, მაგრამ არაფერმა უშველა. გაბრაზებულმა, იატაკზე დავარტყი ფეხი და კულისებში გავედი. იქ მეორე მიკროფონი მომცეს. ვიმღერე და ლაურეატის წოდებაც მომანიჭეს. სომხები სულ „ცავატანემ“-ს მეძახდნენ დარბაზიდან. შემდეგ მიმიწვიეს ტელევიზიაში, ერთ-ერთ მუსიკალურ გადაცემაში. პირდაპირი ეთერი იყო. მამღერეს კიდევ. ისინი რუსულად მელაპარაკებოდნენ, მე ქართულად ვცემდი პასუხს, რაზეც გულიანად იცინ-



ოდნენ.

— კონცერტის შემდეგ რა გრძნობა გეუფლება?

— რომ ვიმღერებ, შემდეგ ყველას ვეკითხები, მოეწონათ თუ არა. მე ყოველთვის უკმაყოფილო ვარ ჩემი შესრულებით. ყველაზე მეტად კი, მომწონს, როცა ტაშს მიკრავენ...

სალომემ ხელოვანთა სახლში გამართულ, მედეა ძიძგურის ხსოვნისადმი მიძღვნილ როდნსების საღამოზე დამატყდა. პირველად, იქ გავხდი იმის მოწმე, თუ როგორი მქუხარე ოცაციებით ვგებებიან ნორჩ მომღერალს. დაე, უამრავი წარმატება და მყურებლის სიყვარული სდევდეს თან სალომეს! ჩვენი მკითხველისთვის მის გაცნობას კი, ღირიუორ ვოვი ჭიჭინაძის სიტყვებით დავასრულებ: „როდესაც ამ პატარა ვოვონას პირველად მოუხსმინე, გაეფიქრე: ის არც კი უნდა ლაპარაკობდეს — ის უნდა მღეროდეს და ყველაფერს სიმღერით გვეუბნებოდეს...“

დღოვის
ბელეფონი
822-009044
დღე-ღამის განმავლობაში
(18 წლიდან)



მოკლული
დათო პაპიკაშვილი

მეზო სანაპირო

20 წლის დათო პაპიკაშვილი, 2000 წელს, უნივერსიტეტში ლექციების დასრულების შემდეგ, ზაფხულის გასატარებლად, თბილისიდან, ჩვეულებისამებრ ბები-ბაბუასთან საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში ჩავიდა. ის ზაფხული დათოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა... მაშინ, როცა მეგობრებთან ერთად საქიფოდ ემზადებოდა და კიდევ ერთი მხიარული დღის გატარებას აპირებდა, იგი მოულოდნელად, თანატოლთა შორის მომხდარი ჩხუბის მსხვერპლი გახდა. მცირე გაუგებრობა, საბოლოოდ, უდიდესი ტრაგედიით დასრულდა – მეგობრის მიერ სანადირო თოფიდან გასროლილმა ტყვიამ დათოს სიცოცხლე შეიწირა...

მკვლელი, სოფელ მანავში მცხოვრები 23 წლის კახა დევდარიძე გახლავთ. იგი შარშან, ზაფხულში საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, თავდაცვის მიზნით ჩადენილი დანაშაულისთვის, ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ასეთმა განაჩენმა გარდაცვლილის ნათესავების აღშოთება გამოიწვია. მათი თქმით, კახა დევდარიძემ დათო პაპიკაშვილი განზრახ მოკლა. დაზარალებულის მხარე თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, ამჟამად საოლქო სასამართლოში იბრძვის.

საბრალდებო დასკვნაში საგარეჯოს რაიონის პროკურატურამ მომხდარი ფაქტი ასე წარმოადგინა:

„ვინ მესროლა?“ ის 20 წლის დათოს გოლო შეკითხვა იყო...

დაზარალებული ამტკიცებდა, რომ მას ტყვია მეგობარმა ესროლა

2000 წლის 30 ივლისს კახა დევდარიძე თანასოფელ მეგობარ ბიჭებთან ერთად თავისი ავტომანქანით, საბანაო თიანეთის რაიონის სოფელ სიონისკენ გაემგზავრა. სოფელ მანავში იმავე საღამოს დაბრუნდა. 2000 წლის 1 აგვისტოს, კახა დიდიდან თავისი მანქანის შეკეთებით იყო დაკავებული. საღამოს, დაახლოებით 6 საათზე, მას მეზობლის ბავშვმა – გიორგი ჩიტაძემ მიაკითხა და უთხრა – ბიჭები გეძახიანო. დევდარიძემ საქმე მაშინვე მიატოვა და მეგობრებთან წავიდა. დავით პაპიკაშვილმა სთხოვა: ბიჭებმა გადაწყვიტეთ, ისევ სიონში წავიდეთ და შენი მანქანით წაგიყვანო. ამაზე კახამ უარი თქვა: ჯერ ერთი, მანქანა გაფუჭებულია და მეორეც, სიონში პირველი წასვლისას ვალად აღებული ბენზინის თანხა არ გაქვთ გადახდილი და მევალე მე მაწუხებსო. ამის გამო, დათოსა და კახას შორის შელაპარაკება მოხდა. კამათი მალე ჩხუბში გადაიზარდა და მეგობრებმა ერთმანეთს ცემა დაუწყეს. ჩხუბისას დათომ კახას დაზიანებულ, მარცხენა თვალში მორატყა ხელი (ამ თვალით კახა ვერ ხედავს), თუმცა, როგორც დადგინდა, სიტყვიერი შეურაცხყოფის საფუძველზე პირველად, კახამ გარტყა დათოს ხელი. ისინი იქ მყოფმა მეგობრებმა გააშველეს. გაბრაზებული დევდარიძე სახლში წავიდა, ცოტა ხნის შემდეგ კი, პაპიკაშვილიც შინ დაბრუნდა. დათომ ბებიამისს ხუთი ლარი გამოართვა: კახას ვალი მაქვს და უნდა მივუტანო. იგი ფულის მისაცემად წავიდა.

კახამ, იმისათვის, რომ დათოზე შური ეძია, სახლიდან ორღულაიანი სანადირო თოფი გამოიტანა. ჩავიდა ეზოში, გააღო ჭიშკარი და დათო პაპიკაშვილს ოთხი მეტრის მანძილიდან ტყვია ესროლა. თოფში ჩადებული ე.წ. „კარტჩის“ (მსხ-

ვილი საფანტის) ტყვიები პაპიკაშვილს ფეხებში – ორივე ბარძაყში მოხვდა და კიდურების მაგისტრალური სისხლძარღვების მძიმე ხარისხის, სიცოცხლისთვის საშიფათო დაზიანება მიიღო. დათო პაპიკაშვილი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, თუმცა, მწვავე სისხლდენის გამო, იგი მეორე დღეს, 2000 წლის 2 აგვისტოს გარდაიცვალა.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ, კახა დევდარიძე მიიძალა. თუმცა, მოგვიანებით, საგარეჯოს რაიონის პოლიციაში თავისი ფეხით მივიდა.

პროკურატურამ საქმე აღძრა მუხლით, რომელიც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას (რასაც მოჰყვა სიკვდილი) ითვალისწინებს. თუმცა, გამოძიების დასრულების შემდეგ, დევდარიძეს განზრახ მკვლელობის მუხლი შეუფარდა.

საბრალდებო დასკვნაში წარმოდგენილ სურათს კატეგორიულად უარყოფს განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატი – **მასტანაძე მასიაშვილი:**

„კახა დევდარიძე თავს დამნაშავედ არ ცნობს და არც უნდა ცნობდეს, რადგან იგი დამნაშავე არ არის. ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ თავად აწ გარდაცვლილმა – დათო პაპიკაშვილმა უბიძგა კახა დევდარიძეს იმისკენ, რომ თოფი აეღო ხელში, თავად პაპიკაშვილმა გამოიწვია იგი საჩხუბრად. სამწუხაროდ, პროკურატურის მიერ წარმოდგენილ საბრალდებო დასკვნაში ფაქტი არასწორადაა გაშუქებული. გამოძიებელი ყველგან იმას ეცადა, რომ როგორმე კახა გამოეყვანა მთავარ დამნაშავედ და პოტენციურ კაცის მკვლელად.

პაპიკაშვილსა და დევდარიძეს შორის ჩხუბი პირველად, მათი

საცხოვრებელი სახლებიდან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით მოხდა. ჩხუბისას მათ ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მართლაც მიაყენეს, თუმცა, ამის შემდეგ, პაპიკაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგებს უთხრა – შინ წავალ, ტანსაცმელს გამოვიცვლი და ისევ დავბრუნდებიო, – ასე არ მოიქცა. სინამდვილეში, ისინი მოატყუა და კახას შინ მიაკითხა. გულმოსული, მივიდა თუ არა, კახას დაემუქრა: ერთი თვალი არა გაქვს და მეორესაც ამოვთხრიო.

კახა დევდარიძეს სრული საფუძველი ჰქონდა, რომ დათოსი შეშინებოდა, რადგან ეს უკანასკნელი მასზე ფიზიკურად ძლიერი იყო, თანაც კარატეში ვარჯიშობდა და კახას გალახვა თავისუფლად შეეძლო.

კახასთან იგი თავიდანვე აგრესიულად მივიდა, დაუძახა და იმ დროს, როცა კახა ეზოში გამოვიდა, ხელი უბისკენ წაიღო. როგორც ჩანს, იქ იარაღი – დანა, ქვა, რკინა ან რაიმე სხვა ედო.

აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების მიხედვით, დათო პაპიკაშვილის მიერ პირველი ჩხუბის შემდეგ, შინ წასვლისა და ტანსაცმლის გამოცვლის ფაქტი დადასტურდა, ხოლო ის, თითქოს დათო კახასთან შეიარაღებული მივიდა, არ დამტკიცდა. განსასჯელის ადვოკატი ამის მიზეზად, პროკურატურის მიერ შემთხვევის ადგილის არასრულ დათვალიერებას ასახელებს. „შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში მხოლოდ თავფურცლისგან შედგებოდა, რომელსაც დამსწრეები აწერდნენ ხელს. რას მოაწერეს ხელი, არ მესმის – ოქმში არაფერი ეწერა“, – აცხადებს ადვოკატი.

პანტაფილის ისტორია:

„კახამ იფიქრა, დათო თოფით ხელში რომ დამინახავს, შეეშინდება და წავაო. იარაღი ამიტომაც აიღო. თუმცა, პაპიკაშვილი კი არ წავიდა, არამედ კახას კვლავ აგრესიულად მიმართავდა და მისკენ წამოვიდა. სწორედ მაშინ, პაპიკაშვილისგან თავდაცვის მიზნით, გაიხსროლა კახა დევდარიძემ. გასათვალისწინებელია, რომ მან იარაღი აწვარდაცვლილს ფეხებში დაუმიზნა. რომ არ ეს-

როლა, პაპიკაშვილი მას ისევ სცემდა და შესაძლოა, ყველაფერი სხვაგანაირად – საპირისპიროდ დამთავრებულიყო. საუბედუროდ, ფეხებში დამიზნებას ცული შედეგი მოჰყვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დევდარიძეს მკვლელობის ჩადენა ჰქონდა განზრახული“.

გაჩნდა კითხვა – რატომ ჰქონდა დევდარიძეს „კარტჩის“ ტყვიებით დატენილი თოფი? ამ შეკითხვას განსასჯელმა ასე უპასუხა: საერთოდ, თოფში საფანტის ტყვიებს ვღებდი, რადგან, ჩვეულებრივ, ფრინველებზე ვნადირობდი. ორი კვირის წინ კი, თოფში „კარტჩის“ ტყვიები ჩავდე, რადგან მინდოდა, ჰაერში გამესროლა და ამით ძაღლი დამემინებინაო...

მარინა ივანელაშვილი, დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„სასამართლო სხდომაზე განსასჯელს ასეთი შეკითხვით მივმართე: იცოდი თუ არა, რამდენად ძლიერი ტყვიანა „კარტჩი“? მან გარკვევით მიპასუხა, რომ იცოდა – „კარტჩი“ დათვს კლავსო. საინტერესოა, რად უნდოდა დევდარიძეს დათვის მოსაკლავი ტყვიით ძაღლის დაშინება, ცხოველს რა, საფანტით ვერ შეაშინებდა? თანაც, ძაღლი რატომღაც არ დააშინა და მთელი მთრიფკის მანძილზე თოფი დატენილ მდგომარეობაში შინ, კედელზე მიყუდებული ედო? როგორც თავადი ახსნა – იარაღის დაშლა დამავიწყდაო.“

„ასე თავისუფლად საკმაოდ სუსტად უღერს, რადგან წარმოუდგენელია, აწყობილი თოფი რომელიმე ოჯახის წევრს ორი კვირის მანძილზე თვალში არ მოხვედროდა. ცხადია, დევდარიძემ იარაღი სწორედ მაშინ დატენა, როცა დათო პაპიკაშვილთან ჩხუბის შემდეგ შინ დაბრუნდა. იცოდა, რომ დათო მანქანის სათხონელად მეორე მგობარ ბიჭთან აპირებდა წასვლას და გზაზე, მის სახლთან გაივლიდა; დაელოდა დატენილი თოფით და მალულად ესროლა...“

კახა დევდარიძე, განსასჯელი:

„... სახლში შესვლის დროს, ეზოს რკინის კარი მივკეტე, საკეტი დაუკვირვებლად გადავატრი-

ალე. შემომესმა ჩემკენ მომართული აგრესიული ხმა და ვინება; დათო უახლოვდებოდა ჩემს ჭიშკარს და ყვიროდა: კახა, გამოდი, სულერთია, არ გაცოცხლებ, შენაბიჭვაროო!.. იგი კარს ფეხებს ურტყამდა. ცოტა ხანს ვუსმინე მის ვინებას და კარის რახუნს... ვიფიქრე, ცარიელი რომ გავიდე, შეიძლება, ისევ თვალში მომარტყას-მეთქი და შესაშინებლად, თოფი ავიღე. როცა ჭიშკარს მიუახლოვდი, მან კარს კიდევ დაარტყა ფეხი და შემოანგრია. კარს ხელი წავაკვლე და დათოსკენ გავიხედე... დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოქანდა. თოფი მისი ფეხებისკენ მქონდა მიმართული... გასროლა საერთოდ არ მახსოვს“.

თინა ფოცხვირაშვილი, გარდაცვლილის ბებია:

„დათო შინ რომ შემოვიდა, ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, ცხვირსახოციც გასისხლიანებული ჰქონდა. მთხოვა – 5 ლარი მომეცი, კახას უნდა წავულოო. პენსიიდან მივეცი ფული; მეზობლისთვის 15 ლარი უნდა მიმეტანა და დათო რომ წავიდა, სახლიდან მეც გავვიღი. დათო, ჩვეულებრივად, მშვიდი ნაბიჯებით მიდიოდა. უცებ კივილი და ყვირილი ატყდა. მეზობლის ქალებმა მითხრეს, შვილიშვილი მოვიკლეს და შენ სად ხარო?!“

შემთხვევის ადგილას შეკრებილი ხალხის ჩვენებით, დაჭრილი, მიწაზე დავარდნილი დათო პაპიკაშვილი კითხულობდა – ვინ მესროლაო? ეს როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისევე სასამართლოში, დადასტურეს პაატა პაპიკაშვილმა, დალი (ზაირა) ჩიტაშვილმა, გენადი ქვენიშვილმა და სხვებმა. ამ უკანასკნელმა ჩვენება მხოლოდ საოლქო სასამართლოში შეცვალა და აღნიშნა, რომ დათომ მას უთხრა – კახამ მესროლაო... საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ზემოთ ხსენებულ მოწმეთა ჩვენებები არ გაიზიარა და განაჩენში დასძინა, რომ პაპიკაშვილს არ შეეძლო, მკვლელი არ დაენახა. მოსამართლე მიხეილ გორგილაძემ არც გარდაცვლილის ბებიის – თინა ფოცხვირაშვილის ნათქვამი მიიჩნია სარწმუნოდ და განაცხადა, რომ ეს უკანასკნელი ტყუის, როცა ამბობს – შვილიშვილს ხუთი ლარი მივეციო. „სასა-

მართლო ძიებისას დადგინდა, რომ ბებია, როცა პაპიკაშვილი ტანსაცმლის გამოსაცვლელად მივიდა, იმ დროს შინ არც კი იყო, რადგან ერთ-ერთ სხდომაზე მან გასასჯელს მიმართა: ბირჟაზე რომ გავიარე, ვერ დამინახეო? განსასჯელმა კი, თავის ჩვენებაში დასძინა, რომ ჩხუბის დროს პაპიკაშვილის ბებია კახეთის გზატკეცილისკენ მიდიოდა. მოგვიანებით, თინა ფოცხვერაშვილმა განსასჯელისადმი ნათქვამი სიტყვები ასე ახსნა - წამომცდაო. ტყუილი არ შეიძლება წამოგცდეს, წამოგცდება მხოლოდ სიმართლე“, - წერს მოსამართლე განაჩენში.

მარინა ივანელაშვილი:

„სასამართლო რომ ტენდენციური იყო, ფაქტია. მოსამართლემ, რომლის ცოდვებზეც, სხვათა შორის, ამას წინათ „60 წუთშიც“ საუბრობდნენ, რატომღაც დევდარიძის საწინააღმდეგოდ საქმის მასალებში არსებული რეალური მტკიცებულებები არ გაიზიარა და მხოლოდ მოხუცი, დაბნეული ქალის მიერ ნათქვამი სიტყვით გადაწყვიტა ასეთი მძიმე დანაშაულის ამსახველი საქმის ბედი. განსასჯელის მხარემ ახლა იმდენი მოახერხა, რომ გენადი ქვეხიშვილი გადაიბირა და ათქმევინა: დათომ მითხრა, კახამ მესროლაო. თუმცა, ამას მხოლოდ ერთი ადამიანი ამბობს, დანარჩენი, ვინც კი, დაჭრილი დათო ნახა და საავადმყოფოში წაიყვანა, აღნიშნავს, რომ დათო კითხულობდა - ვინ მესროლაო?“

პროკურორის აზრიც ასეთია. თავის სააპელაციო საჩივარში, რომლითაც მან საოლქო სასამართლოს მიმართა, იგი წერს: „დევდარიძე გამოვიდა დატენილი თოფით საკუთარი ეზოს ჭიშკართან, შეამჩნია გზაზე მიმავალი დათო პაპიკაშვილი, გამოაღო კარი და ერთი საფეხურით დაბლა დაელოდა მას. როდესაც პაპიკაშვილი ხუთი მეტრის მანძილზე მიუახლოვდა დევდარიძის სახლს, ამ უკანასკნელმა, გაბოროტებულმა და შურისძიებით გამსჭვალულმა, განზრახ მოკვლის მიზნით ესროლა... დავით პაპიკაშვილი კახა დევდარიძის ჭიშკართან არ მისულა. გზაზე მომავალს დევდარიძემ ჭიშკრიდან მალულად ესროლა“.

ტრაგედია სკოლაში

13 წლის ბავშვი თანატოლის მიერ მოქნეულმა დანამ იმსხვერპლა

მეზო სანაძე

25 თებერვალს გლდანის მე-6 მიკრორაიონში მდებარე 115-ე საშუალო სკოლის ეზოსთან ტრაგედია დატრიალდა. დაახლოებით 3 საათზე ურთიერთშელაპარაკებისას დანით დაჭრეს აღნიშნული სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე, 13 წლის ბესიკ აზმაიფარაშვილი. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და ბესიკი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურაში აღიძრა. მეორე დღეს, 26 თებერვალს, სამართალდამცავებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი - 76-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, მე-10 კლასელი იმედა ნატროშვილი დააკავეს.

როგორც გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორმა ლენა კაპანაძემ გვითხრა, ნატროშვილმა თავი დამნაშავედ ცნო და ჩადენილი დანაშაული აღიარა. პროკურორის თქმით, ჩხუბი მხოლოდ აზმაიფარაშვილსა და ნატროშვილს შორის არ მომხდარა.

ლენა კაპანაძე:

„ურთიერთშელაპარაკება ვაჭუბის ორ გვეუფს შორის მოხდა. წინასწარი ინფორმაციით,

ტროშვილის მიერ მოქნეული დანა ბარძაყის არეში მოხვდა. თუმცა, ასეთი სავალალო შედეგი იმან გამოიწვია, რომ მთავარი არტერია გადაიჭრა, რამაც ჭარბი სისხლდენა გამოიწვია.

„სამწუხაროდ, შემთხვევის ადგილზე დაჭრილი ბესიკ აზმაიფარაშვილი, ფაქტობრივად, კარგა ხნის მანძილზე უყურადღებოდ დარჩა: როგორც გაირკვა, ჩხუბში მონაწილე ბიჭებს იგი მიუტოვებიათ. მხოლოდ მოგვიანებით მიუტოვებით მისთვის ყურადღება თვითმხილველებს და დაჭრილი ბავშვი შემთხვევის ადგილიდან მოშორებით გაჩერებულ ავტომანქანამდე ხელით უტარებიათ. ყოველივე ამან, ჭრილობიდან სისხლდენა უფრო გააძლიერა...“ - გვითხრა გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის უფ-



დაჭრილი ნიკა ნანუაშვილი

ზურგში, მხრის ადგილას, ტკივილი ვიგრძენი, უკნიდან ვიღაცამ (არ დამინახავს ვინ) დანა ჩამართყა. მე იმწუთას და საერთოდ, ჩხუბის დროს, დანა არც შემიინახავს ვინმეს ხელში

ვაკეთილების შემდეგ, 115-ე სკოლის ერთ-ერთ მოსწავლეს გოგონასთან დაკავშირებით უთანხმოება მოუხდა 76-ე სკოლის მოსწავლესთან. ამ უკანასკნელმა საქმის გასარჩევად 115-ე სკოლაში თავისი ამხანაგები წაიყვანა, მისმა მეტოქემ კი, თავის კლასელებს მოუხმო. მათ შორის იყო ბესიკ აზმაიფარაშვილიც. როგორც აღმოჩნდა, იგი ნატროშვილს არც იცნობდა. ბესიკ აზმაიფარაშვილს იმედა ნა-

როსმა, თემურ ანჯაფარაძემ.

თვითმხილველთა ინფორმაციით, ერთმანეთს დაახლოებით 25-30 ბიჭი ეჩხუბებოდა. მათივე თქმით, მოჩხუბრებს ხელში დანები, ბოთლები და ხის კეტები ეჭირათ. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს 115-ე სკოლის დირექტორი, ნათელა მურადაშვილი:

„ბოთლები იქ არავის ჰქონია, მაგრამ 76-ე სკოლის მოსწავლეები რომ დანებით



მოკლულის დედა ნანა აზმაიფარაშვილი

იყვნენ შეიარაღებულები, ეს ფაქტია. ჩემს მოსწავლეებს იარაღი თან არ ჰქონდათ - ამას კატეგორიულად ვაცხადებ! ამაზე

76-ე სკოლის მოსწავლემ. თუმცა, გოგონამ ორივეს უთხრა - არც ერთი არ მომწონხართ და თავი დამანებეთო. მის კლასში სწავლობდა ერთი ვაჟი, რომელსაც ძალიან უნდოდა, რომ ამ გოგონასა და მის მეგობარს შორის ურთიერთობა აღდგენილიყო. ამის შესახებ ხსენებულ 76-ე სკოლელ ბიჭს შეუტყვია და ამ ბიჭისთვის ე.წ. „სტრელკა“ დაუნიშნავს - მოდი, საქმე უნდა გავარჩიოთო, ერთმანეთს, ვაკეთილებს შემდეგ, ჩვენი სკოლის მახლობლად შეხვედრიან...“

ზემოთ ხსენებულ ვაჟს საქმის გარჩევაზე რამდენიმე მეგობარიც გაჰყვლია. თუმცა, მათ შორის ბესიკ აზმაიფარაშვილი და ნიკა ნანუაშვილი არ ყოფილან. ამ უკანასკნელის თქმით, ისინი ჩხუბს მოგვიანებით, შემთხვევით შეესწრნენ.

ნიკა ნანუაშვილი, ერთ-ერთი

რომ დანით დამჭრეს. შემეშინდა და მაშინვე გავიქეცი იქიდან, რათა თავისთვის მეშველა. ცოტა ხანს მივბოლოდი, მაგრამ მერე თვალთ დამიბნელდა და რა მოხდა, აღარ მახსოვს.

ბესის, არც იმ დღეს და არც მანამდე, მოსალოდნელი ჩხუბის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს. ვინმესთან რაიმე უთანხმოება რომ ჰქონოდა, მე აუცილებლად მეტყვოდა. ჩხუბი მას რატომ დაუწყევს, არ ვიცი. ალბათ, ბესიმ დაინახა, რომ მას ნაცნობს ან მეგობარს ეჩხუბებოდნენ და მის საშველად მივიდა მათთან. მე იქ არავინ მიცვნი, ჩემთვის ყველანი უცხოები იყვნენ. ჩხუბში მხოლოდ იმიტომ აღმოვჩნდი, რომ ბესის შველა მინდოდა...“

როგორც შევიტყვეთ, ნიკას მსგავსად, დანარჩენ დაჭრილებსაც - შენგელიასა და კვინიკაძესაც უკნიდან, ზურგში აქვთ დანა დარტყმული. პროკურატურის თანამშრომელთა თქმით, მოჩხუბართაგან, შეიარაღებულები მხოლოდ 76-ე სკოლის მოსწავლეები იყვნენ, თუმცა, ყველა ჭრილობა ერთი და იმავე დანითაა მიყენებული. ეჭვმიტანილის თქმით, დანები 115-ე სკოლელებსაც ჰქონდათ, მან კი იარაღი მხოლოდ იმიტომ მოიქნია, რომ მათგან თავს იცავდა...“

ნანა აზმაიფარაშვილი, ვარ-დაცვლილის დედა:

„ჩემი შვილი თავისი ამხანაგებისგან იმით გამოირჩეოდა, რომ საოცრად ჩუმი და უთქმელი ბავშვი იყო. მისგან საქმის გარჩევა კი არა, ოდნავ ხმამაღალი სიტყვაც არავის სმენია. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ აღმოჩნდა იმ დღეს ჩხუბში. რა უნდოდათ მისგან? ბესის ვის დაუშავებდა რამეს? როგორც მე მითხრეს, მასთან ერთ-ერთი თანასკოლელი მისულა და უთქვამს: საჩხუბრად არიან მოსულები და წამოდი, დაგვეხმარეო. ბესიც გაჰყვლია. ძალიან გახლდათ ჩემი შვილი - 182 სანტიმეტრი. ალბათ, ამიტომაც გაიყოლეს, თორემ ის რა საქმის გამრჩევი ან მოჩხუბარი იყო? მთელ სკოლაში თავისი ზრდილობითა და სიმშვიდით გამოირჩეოდა...“



მოკლული ბესიკ აზმაიფარაშვილი

დაჭრილი, ბესიკ აზმაიფარაშვილის კლასელი: „გაკვეთილი ჯერ დასრულებული არ იყო, როცა ბესიმ მითხრა: წამოდი, ეზოში გავიდეთ, წყალი დავლიოთო. მეც გავყვი. ამ დროს ხმამაღალი ლაპარაკისა და ჩხუბის ხმა შემოგვესმა. ბესიმ მითხრა - ვილაცები ჩხუბობენ და ერთი გავივით, ვინ არიანო. იგი გაიქცა, მე კი უკან ნელი ნაბიჯით მივეყვებოდი. სკოლასთან ახლოს, მოედანთან, დაუშთავრებელი შენობაა - იქ ჩხუბობდა დაახლოებით 20-25 ბიჭი. როდესაც მათ მივუახლოვდი, ვნახე, რომ ისინი ბესის ურტყამდნენ. მე, რა თქმა უნდა, ვავბრაზდი და ბესის საშველად მათთან მივევარდი. ამ დროს ზურგში, მხრის ადგილას, ტკივილი ვიგრძენი, უკნიდან ვილაცამ (არ დაძინახავს ვინ) დანა ჩამარტყა. მე იმწუთას დასაერთოდ, ჩხუბის დროს, დანა არც შემინიშნავს ვინმეს ხელში. მერე მივხვდი,

დაჭრილი ბესიკ აზმაიფარაშვილი, კარგა ხნის მანძილზე უყურადღებოდ დარჩა: როგორც გაირკვა, ჩხუბში მონაწილე ბიჭებს იგი მიუტოვებით. მხოლოდ მოგვიანებით მიუქცევიათ მისთვის ყურადღება...

მარტო ის მოწმობს, რომ 76-ე სკოლელთაგან არც ერთს დაზიანება არ მიუღია, ერთი ნაკაწრიც კი არ დაფიქსირებულა ექსპერტების მიერ მათ სხეულზე. ჩემს მოსწავლეთაგან კი, სამი დაიჭრა და ერთი გარდაიცვალა. ფაქტია, რომ ამ ბავშვებს თავად ისინი დაესხნენ თავს...“

სკოლის დირექტორის ინფორმაციით, აზმაიფარაშვილის გარდა, სამი მოსწავლე დაიჭრა - ლაშა კვინიკაძე (მე-11 კლასელი), ზაზა შენგელია (მე-9 კლასელი) და ნიკა ნანუაშვილი (მე-8 კლასელი). თუმცა, პროკურატურისგან ჩვენ მხოლოდ ერთი დაჭრილის - ნანუაშვილის შესახებ შევიტყვეთ. გამოძიებლებს დანარჩენი ორის თაობაზე რატომღაც არაფერი უთქვამთ.

ნათილა მურადაშვილი:

„მომხდარის შესახებ, ჩვენ დაახლოებით 3 საათისთვის შევიტყვეთ. გააკმითილები უკვე დასრულებული იყო. ყველაფერი კი, როგორც გაირკვა, ჩვენი სკოლის მოსწავლე გოგონას გამო მოხდა. ეს გოგონა თავის კლასელ ვაჟს მოსწონდა. ამის შესახებ შეიტყო თურმე მისმა მეორე თავყვანისძეველმა -

საქართველოს
გამომცემლობა



როდესაც ერთ-ერთი წვეულების წინ, მერილინ მონროს ჰყითხეს, თუ რას ჩაიცვამდა იმ საღამოს, მან დაუფიქრებლად უპასუხა: „შანელი 5“-ის ორიოდე წვეთს“ და დასძინა: დანარჩენს მნიშვნელობა აღარ აქვსო. ჩემი აზრით, იმ მრავალრიცხოვან რეკლამას შორის, რომელიც „შანელისთვის“ ოდესმე გაუკეთებიათ, ეს საუკეთესოა.

რეპროდუქციონი

სურნაშუსი შინაგონების

გაბრიელ ქიბიძაური

მამ ასე, სუნამო – ჩვენი ყოველდღიურობის აუცილებელი ატრიბუტი! რა ვიცით მის შესახებ? საიდან იღებს სათავეს მისი წარმოება და გამოყენება? როგორ ქმნიან თანამედროვე დიზაინერები სხვადასხვა ექსტრაქტისგან პარფიუმის წყალს და რას ითვალისწინებენ შექმნის პროცესში? რა უნდა ვიცოდეთ სუნამოს შერჩევისა თუ შექმნის დროს? – აი, ყველაფერი ის, რის შესახებაც, საქართველოში არსებული პარფიუმერიული ქსელის ორი მენეჯერი – ქეთი ტორიონჭაძე და ხათუნა ლომიძე გვესაუბრებიან.

მენეჯერებთან ინტერვიუზე მცირე ექსკურსი წარსულში: სად, როგორ და ვის მიერ იქმნებოდა უძველესი სურნელოვანი წყლები, რომელიც წარმართული რიტუალების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა და გარკვეულ მაგიურ თუ მისტიკურ დანიშნულებასთან ერთად, სამკურნალო და ესთეტიკურ დატვირთვაც ჰქონდა.

საუკუნეების მანძილზე მიაჩნდათ, რომ სასიამოვნო სურნელი ღვთაებრიობის ნიშანი იყო და ალბათ, ამან განაპირობა ის, რომ პირველი პარფიუმერები ქურუმები იყვნენ. უძველესი ისტორიული ჩანაწერები მოწმობს, რომ სუნამოს უხვად იყენებდნენ რელიგიური რიტუალების, განსაკუთრებით კი დაკრძალვის დროს. ძველი ბერძნები სუნამოს შესაქმნელად საჭირო კომპონენტებს ორი ნიშნით არჩევდნენ: სასიამოვნო სურნელოვან და სამკურნალო თვისებებით, მაგრამ სუნამოს დახვეწასა და სრულყოფაში, ვერავინ შეეძრება რომელიმე იმპერატორებს, რომლებიც კეთილსურნელებათა უზომო ტრფიალით იყვნენ განთქმულნი.

პარფიუმერიის ხელოვნება XVIII საუკუ-

ნეში ძირითადად, პუდრისა და ფერუმარილის წარმოებით შემოიფარგლებოდა, საკუთრივ სუნამოს სერიული წარმოება კი, პროვანსის პატარა ქალაქ გრასეში დაიწყო. თავდაპირველად ეს ქალაქი, რომელიც ნიციდან ალპების მთებამდე იყო გაჭიმული, ტყავის თრიძლვის ხელოვნებით იყო ცნობილი. მას შემდეგ კი, რაც იქ სუნამოს გამოსახდელი პირველი ქარხნები გაჩნდა, პარფიუმერიული პროდუქციის ცენტრად იქცა. ქიმიური მეთოდით იქ გამოხდილმა სურნელოვანმა ზეთმა, დიდი გავლენა მოახდინა მომავალში პარფიუმერიული პროდუქციის განვითარებაზე. XIX საუკუნეში სუნამოს ინდივიდუალური წარმოება, მასობრივ წარმოებაში გადაიზარდა, რამაც შედეგად, დღეს არსებულ ფართო არჩევანს დაულო სათავე. სუნამოს წარმოების ხანგრძლივმა ისტორიამ თანამედროვე პარფიუმერიული წარმოების ახალ ტექნოლოგიებთან მივიყვანა, რომლის შესახებაც საუბარს ქეთი ტორიონჭაძე განაგრძობს.

– პარფიუმერიული ნაწარმის შექმნისას დღეს გამოყენებული მეთოდის საფუძველი XIX საუკუნის მეორე ნახევარში უნდა ვეძებოთ. ეს არის ის პერიოდი, როდესაც ქიმიკში სინთეზის გამოყენება დაიწყო. სინთეზური ნაერთებით პირველი სუნამო 1876 წელს შექმნეს. რაც შეეხება დღევანდელ ტექნოლოგიებს და იმას, თუ ძირითადად რისგან იქმნება დღეს სუნამო, ზოგადი ვჯგუფების მაგალითებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. შეიძლება, პარფიუმერისტი, რომელიც გარკვეული არომატის შემქმნელად გვევლინება, კომპოზიტორის შეგადართო: როგორც კომპოზიტორი იყენებს მუსიკის შესაქმნელად 7 ნოტს, პარფიუმერისტიც, სუნამოს შექმნისას, ინგრედიენტების 7 სხვადასხვა ვჯგუფს იყენებს და ასე ქმნის არომატების სიმფონიას. პირველ

ჯგუფს მიეკუთვნება ყვავილები, მეორეს – ცხარე სურნელოვანი მცენარეები და ბალახები, რომელიც სითბოს შეგრძნებას ანიჭებს. მესამე ვჯგუფს წარმოადგენს ციტრუსოვანი ხილის ყველა სახეობა, რომელსაც ძირითადად, მსუბუქი სუნამოს შესაქმნელად იყენებენ. მეოთხე ვჯგუფს განეკუთვნება ფოთლები, ხავსი, ჭაობის მცენარეები. მეხუთეს – მარადმწვანე ხეები და გუმფირები (ხის წებო). მეექვსეს – ცხოველური სუბსტანციები, რომელიც სუნამოს სურნელს უნარჩუნებს. ბოლო, მეშვიდე ვჯგუფს, მიეკუთვნება ყველა არომატის სინთეზი, რომლის რაოდენობაც, დღესდღეობით 4000-ს აღწევს.

– რაზეა დამოკიდებული სურნელის ხანგრძლივობა და საერთოდ, სუნამოს სიცოცხლისუნარიანობა?

– სურნელის ხანგრძლივობა სუნამოს სტრუქტურაზეა დამოკიდებული, რომელიც ფუნდამენტურ პრინციპს ეფუძნება: ყველი სუნამოს შემადგენლობა, გარდა

ULTRAVIOLET-ისა, პირამიდის ფორმით გამოიხატება. იგი შედგება სამი ნაწილისაგან: სუნამოს საწყისი, სუნამოს გული და სუნამოს ფუძე. პირველი მიღებულია ადვილად აქროლადი სინთეზისგან და ქმნის პირველ შთაბეჭდილებას, რომელიც სუნამოს პეკურებისთანავე შეიგრძნობა და მხოლოდ რამდენიმე წუთის განმავლობაში რჩება; მეორე – სუნამოს გული, „ჯდება“ კანზე და მისი სურნელი რამდენიმე საათის განმავლობაში იგრძნობა, რადგან მიღებულია ყვავილების პარმონიული ბალანსისაგან; მესამე – სუნამოს ფუძე, სურნელის ხანგრძლივობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს: რაც უფრო კონცენტრირებულია ფუძე, მით უფრო ძლიერია სურნელი. ფუძე ფიქსატორებისაგან მიიღება და მას აქვს უნარი, მრავალი საათისა და დღის განმავლობაში იყოს ცხოველყოფილი.

ნათუნა ლომიძე:

– სხვადასხვა სუნამოს სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვაანაირია და ამიტომ, მისი შექმნისას მდიდრულს ყურადღებიდან არ უნდა გამოიჩეს სუნამოს გამოშვების თარიღი და შენახვის ვადა, რომელიც მითითებულია ყუთზე. მათი შენახვის ვადის საშუალო ხანგრძლივობა 3-5 წელია. ვადავასულ სუნამოს ეცვლება სურნელი, ხდება სწრაფად აქროლადი და, ზოგ შემთხვევაში, ტანსაცმელზე ტოვებს კვალს.

– რამდენადაც ვიცო, ტანსაცმელზე სუნამოს დასხმა მოდის სამყაროში ცუდ ტონად ითვლება.

ნათუნა:

– საერთოდ, სასურველია, რომ სუნამო ვიპკუროთ იქ, სადაც პულსაცია იგრძნობა, – მაგალითად, ყურის უკან, მაკუბზე, ყელზე. თუმცა, ის, თუ სად ან როგორ უნდა ვიპკუროთ ესა თუ ის სუნამო, მისი შექმნელი დიზაინერის მიერ, შექმნის პროცესშივე არის განსაზღვრული. მაგალითად, დიზაინერი ტიერი მიუგლერი გვიჩვენებს, რომ მისი ANGEL-ი

ზემოდან დავისხათ. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: „დადებით ANGEL-ის წვიმაში“. ცულ ტონად ითვლება ის, როდესაც ვერ განვსაზღვრავთ, თუ რამდენი უნდა ვიპყუროთ. საზოგადოებაში ვერასოდეს მივალწვეთ წარმატებას, თუკი ჩვენი, თუნდაც სასაიმოვნო სურნელი, სხვას შეგაწუხებთ.

ქაიტი:

— სუნამო კანთან ქიმიურ პროცესში შედის და კანიდან უფრო სწრაფად ორთქლდება, ვიდრე ქსოვილიდან. ალბათ, ამ მიზეზის გამო ამჟღავნებენ ტანსაცმელზე მის პკურებას. თუმცა, ჩემი აზრით, გაცილებით სასაიმოვნოა, სურნელოვანი იყოს ჩვენი კანი და არა ის ქსოვილი, რომელიც გვაცვია, პულსაციის წერტილებზე ნაპკურები სუნამოს სურნელი, გარკვეული პროცენტით, მთელ სხეულზე გრცელდება.

— რა უნდა ვიცოდეთ სუნამოს შერჩევისა და ყიდვის დროს?

ქაიტი:

— შერჩევის დროს, სუნამო უნდა დაიპკუროთ მაჯაზე და არ დაწიოსოთ მანამდე, სანამ ის კანზე არ შეშრება. თუ შერჩევის დროს, სხვა სუნამო გასხიათ, ახალი სურნელი აუცილებლად სპეციალურ ქაღალდზე — ბლოტერზე დასხმით უნდა შეაჩინოთ. არის კიდევ ერთი წესი, რომელიც არ უნდა დაგავიწყდეს. როდესაც შეგარჩევთ და შევიძინებთ სუნამოს, ყოველი პკურების შემდეგ, ფლაკონს კარგად უნდა მოვარგოთ სასურავი, რადგან ნებისმიერი სუნამო ორთქლდება. ის აგრეთვე უნდა მთავრდეს სითბოსა და სინათლის, რომ მის შემადგენლობაში ცვლილება არ მოხდეს. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ სუნამოს მდგრადობა ადამიანის კანის ტიპზეც არის დამოკიდებული. ცნიძიანი კანი უფრო დიდხანს ინარჩუნებს სურნელს, ვიდრე შშრალი. ცნიძილი ფაქტია: ერთი და იგივე სურნელი სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვანაირად „ჟღერს“. სუნამოს შერჩევა იმის მიხედვით ხდება, თუ რომელი ტიპის ადამიანს მიეკუთვნება და მოუხდება თუ არა ჩვენს ფსიქოტიპს, ჩაცმულობას, მანერებს ან იმ ადგილს, სადაც მივდივართ,



ესა თუ ის სუნამო. გასათვალისწინებელია ასაკიც, იმიტომ, რომ სუნამო, შექმნის პროცესშივე, გარკვეული ასაკობრივი ჯგუფისთვის არის გათვლილი.

ხატიუნა:

— აი, ამ შემთხვევაში გამოვვადლება იმის ცოდნაც, თუ რა კატეგორიებად ჰყოფენ დიზაინერები სხვადასხვა სუნამოს. არსებობს ზამთრისა და ზაფხულის სუნამოები, რომელიც თავის მხრივ, კიდევ სხვა ჯგუფებად იყოფა: აღმოსავლური (მაფური სურნელი), ყვავილოვანი (მოტები სურნელი) და ციტრუსოვანი (რბილი, ჰაეროვანი სურნელი) არომატები. არსებობს ყოველდღიური და საღამოს სუნამოები, მხოლოდ თინიფიკურებისთვის განკუთვნილი ე.წ. „მხიარული“ სურნელები (მაგ XS-EXTREMEGIRL) ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან 30 წლამდე და 40 წელზე ასაკოვანი მამაკაცებისთვის შექმნილი ტუალეტის წყალი.

— სჯობს, უფრო დავაკონკრეტოთ. მაგალითისთვის, როგორი ტიპის ადამიანს რომელ სუნამოს ურჩევდით და იქნებ, სუნამოების დასახელები-სა, მკითხველს მათი ფასებიც „შევაპაროთ“.

ხატიუნა:

— დავიწყეთ ყოველდღიური სუნამოთი. ის სასურველია იყოს რბილი და ჰაეროვანი, განსხვავებული იმ აღმოსავლური სურნელისგან, რომელიც მძაფრი სუნით გამოირჩევა. მაგალითად, CHROME-ი უფრო დარბაისელ მამაკაცს შეეფერება, რომელსაც წლებმა გრძნობები გაუსათუთა. მოჭარბებული ტემპერამენტის ადამიანებმა კი, სხვა არჩევანი უნდა გააკეთონ.

ქაიტი:

— საქმიანმა და აქტიურმა მანდილონებმა ყოველდღიურად შეიძლება გამოიყენონ ნინა რიჩის PREMIERJOUR („პირველი დღე“ — 116 ლარი). ის, პირველ ეტაპზე, აფრქვევს სურნელოვანი ბარდის და ორქიდეის ყვავილების სურნელს, ბოლოს კი, წმინდა ლუჩიას ტყის, მაისორეს და მუშკის სანდალოზის ხის არომატს. ამ სუნამოს აქვს თავისი „კრედი“: „დაივიწყე ყველაფერი, რაც იცი“. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ყოველ სუნამოს აქვს თავისი „კრედი“ და მინარსი, რომლის შესახებაც, ხშირ შემთხვევაში, არც მკიდველს აქვს ინფორმაცია და არც რეალიზატორს.

ხატიუნა:

— მამაკაცის სუნამო AZZURA (69 ლარი) შეიძლება გამოიყენოთ, როგორც ყოველდღიურად, ასევე საღამოს წვეულებაზეც. AZZURA-ს შეგვარებულების სუნამოდ მიიჩნევენ. მას ახასიათებენ, როგორც ელევანტურ, იდუმალ, მხიარულ და მომხიბლავ სუნამოს. საერთოდ, დიზაინერმა აზარომ, თავისი 23 წლიანი მოღვაწეობის შედეგად, მამაკაცისთვის განკუთვნილი სამი და ქალის ოთხი სუნამო შექმნა.




მისი უახლესი კომპოზიციაა მამაკაცის სუნამო PURE-VETIVER. მასში 60% — სინათლე და დინამიზმი, 40% კი — კლასიციზმი და ტყის ელევანტურობაა. მოდის სამყაროში მომუშავე ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ის მხოლოდ გამბედავი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი: PUREVETIVER-ის ფასია 87 ლარი. მის შესახებ ისიც შემიძლია ვთხრა, რომ ის განსაკუთრებული მინისტრის, ვალერი ზაბურძანას რჩეული სუნამოა. იქიდან გამომდინარე, თუ რომელ სუნამოს ხმარობს ესა თუ ის მინისტრი, პარფიუმერიის სექციაში მომუშავე ნებისმიერ გამყიდველს შეუძლია მისი რომელიმე თვისების დადგენა. ამ შემთხვევაში, PUREVETIVER-ი ზაბურძანას გამბედაობას „ამხელს“... საღამოს სუნამოს მიეკუთვნება დიზაინერ ტიერი მიუგლერის ANGEL-ი (50ML — 150 ლარი).

ქაიტი:
— მამაკაცის ყოველდღიურ სუნამოდ მიჩნეულია აგრეთვე პაკო რაბანის ULTRAVIOLETMAN (90 ლარი). რაც შეეხება ქალის ელიტალურ სუნამოებს — პირველ რიგში აღსანიშნავია: LA BAISER DE LALIQUE (100 — 486 ლარი). ამ სუნამოს საკოლექციო გამოშვების ნიმუში საქართველოს საპარტიუმერო ქსელში უკვე შემოვიდა და მისი სიძვირის მიუხედავად, კარგადაც იყიდება. მაგალითად, იმ სექციაში, რომელსაც მე ვემსახურებოდი, უკვე ორი ნიმუში გაიყიდა. LA BAISER DE LALIQUE-ის საკოლექციო გამოშვების ფასია — 1520 ლარი და 70 თეთრი. ასევე გაიყიდა მამაკაცის სუნამოს საკოლექციო გამოშვება LALIQUE POUR LOME, რომელიც ადენივე ღირს.

— რატომ არის ეს სუნამო ასე ძვირად ღირებული და საერთოდ, რა განსაზღვრავს სუნამოს ფასს?

ქაიტი:

— ზოგ შემთხვევაში, სუნამოს ღირებულებას განსაზღვრავს არა იმდენად სურნელი, რამდენადაც ფლაკონი და მისი დიზაინი. ზოგ ფლაკონზე არის წარწერა, რომელიც ოქროს შეიცავს. თვითონ ჭურჭელი კი, ხშირ შემთხვევაში (როდესაც ძვირად ღირებულ სუნამოსთან გვაქვს საქმე), შექმნილია სუფთა ბროლისაგან. LA BAISER DE LALIQUE-ის შემთხვევაში (ქართულად ითარგმნება, როგორც „კოცნა“), ძვირფასია, როგორც სურნელი, ასევე ფლაკონი. სუნამოს ისეთივე რომანტიკულ-ყვავილოვანი, ტკბილი და მგზნებარე არომატი აქვს, როგორც არის ნაზი კოცნა... სუნამოს ერთი სვედიანი სიყვარულის ამბავი დაედო საფუძვლად, რომელიც არასოდეს დასრულდება კონტით. საერთოდ, ლა ბაიზერის მთელ კოლექციაში ფიგურირებს სიყვარულის თემა — ვარდების, ეკლებების და გულის სახით. LA BAISER-ის ბროლის ფლაკონზე გამოსახულია საკონტელად მომზადებული



შეყვარებული წყვილი, მაგრამ კონცანდე საქმე არ მიდის... მამაკაცის სახე ბარელიფით არის გამოხატული, ქალის კი – ინტალითი, ამიტომ, შიდა და გარე ზედაპირზე მოთავსებული შეყვარებულების ტუჩები, ვნების მიუხედავად, ვერასოდეს შეეხება ერთმანეთს. შეყვარებულები მთლიანად გარემოცულნი არიან ვარდის ეკლებით; ეკლები მთლიანად მოოქრულია, ეს არის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე საუცხოო სუნამო, რომელიც სამწუხაროდ, ყველასთვის არ იქნება ხელმისაწვდომი. მის სიახლოვეს, ვისაც ეს სუნამო აქვს ნაკურები, სურნელი ასე ჟღერს: „რა ტკბილი იქნებოდა კონცა, ეს რომ შეუძლებელი არ იყო!“ ხოლო მამინ, რომელსაც ოდნავ მოეცილებათ ის, ვისაც სუნამო ასხია, სურნელი ოდნავ სხვაგვარ ჟღერადობას იძენს: „ყველაზე ტკბილია ის კონცა, რომელიც შეუძლებელია!“ მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ LA BAISER DE LALIQUE მთელი პროცესია და ის ნამდვილად ღირს იმდენი, რა ფასიც ადევს.

ხატიუნა:

– ალბათ აქვე უნდა ვახსენოთ ANGEL-ი. მისი ეკლესიური სახელწოდება და ძვირფასი ფლაკონი, რომელსაც ვარსკვლავის ფორმა აქვს, ისევე „სკანდალურობამდე ორიგინალურია“, როგორც თვითონ დიზაინერი ტიერი მიუელერი. ექსტრაგავანტური დიზაინით შექმნილი ვარსკვლავი ყინულოვან, მონაცრისფრო-მოციხფრო გამაში გადადის და ზეციდან „დაჭერილ“ ცისფერ სხივებს ირეკლავს. როგორც თვითონ მიუელერი ამბობს, ეს ვარსკვლავი წარმოადგენს მის სამყაროს და ბავშვურ ოცნებებს. ტიერის „ციური ოცნებანი“ 150 ლარი ღირს. ექსტრა-კლასის და ლუქს-კატეგორიის საღამოს სუნამოს მიეკუთვნება „შანელ №5“-იც.

– როგორც ამბობენ, „შანელი-5“ მზადდება ვარდისაგან, რომელიც ესპანეთში, მს-

ოლოდ ერთ პატარა სოფელში ხარობს. წერდნენ იმასაც, რომ ეს ვარდი დღეს გადაშენების პირასაა მისული. ამიტომ, მისი გამოყენება აიკრძალა და ახალი გამოხული „შანელი-5“ მხოლოდ იმიტაციადა წარმოადგენს.

ქატი:

– ამის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება ინფორმაცია, ისე, სუნამოს შექმნისას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა იმას, თუ კონკრეტულად სად არის ნედლეული მოპოვებული. ცნობილია, რომ „შანელი-5“ მერილინ მონროს განუყრელი სუნამო იყო, ისეთივე, როგორც დღეს მდღონასთვის არის „მატი“. ეს არის სურნელთა სამყაროში ამომავალი ვარსკვლავის იაბონელი დიზაინერის, მასაკი მაცუშიმას მიერ შექმნილი სუნამო, რომელიც უახლოეს მომავალში ჩვენთანაც შემოვა.

– კიდევ რა სიახლეებს უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში?

– ჩვენი ქსელი საგანგებოდ კატებისა და ძაღლებისთვის გამოშვებული სუნამოებითაც გამდიდრდება.

– ეს კი, მგონი, მართლაც სიახლეა. კატებისა და ძაღლებისთვისაც სუნამო, მათი ტიპისა და ჯიშის მიხედვით ხომ არ იქნება?

ქატი:

– ჯერჯერობით, ჩვენთვის ცნობილი არის მხოლოდ ის, რომ ეს სუნამო არაფრით არ შეიძლება ცხოველებს პირდაპირ ვაკურთო. სუნამოს, რომლის საკმაოდ ლამაზი დიზაინით შესრულებულ ფლაკონზე, ასევე საკმაოდ მომზიბლავი ძაღლი და კეკლუცი ფისოა გამოხატული, თან მოჰყვება სპეციალური ხელთათმანი, რომლის ინსტრუქციაში ნათქვამია: უნდა ჩაიცვათ ხელთათმანი, ამ ხელთათმანზე იპკურთო სუნამო და შემდეგ მოეფეროთ ცხოველს. ეს სუნამო, 50 მილიგრამი, საშუალოდ, 50-60 ლარი ღირს.

– არაფერი გვითქვამს ბავშვებისთვის განკუთვნილი სუნამოების შესახებ...

ქატი:

– ქვეყნებში, სადაც სუნამოს უფასო გამოყენები ეწეობა, საგანგებოდ ბავშვებისთვის შექმნილ პარფიუმერიულ ხაზს ცალკე სექცია აქვს დათმობილი. როგორც სპეციალისტები გვიჩვენებენ, არაფრით შეიძლება ბავშვებს, დიდებულების განკუთვნილი სუ-

ნამო ვაკურთო – მით უმეტეს ისეთი, რომელიც ეროტიკული კომპონენტებით არის მდიდარი. საფრანგეთში, კანში მოწყობილ გამოფენაზე ვნახე 30-მილიგრამიანი სუნამო საგანგებოდ ორი თვის ბავშვისთვის. არა მარტო სუნამო – ორი თვის ბავშვისთვის ტუჩის კოსმეტიკური საცხებიც არის შექმნილი, რომელიც ესთეტიკური ღირებულების გარდა, ვიტამინებით მდიდარი შემადგენლობითაც გამოირჩევა.

– როგორ გავარჩიოთ ნამდვილი ფრანგული სუნამო პატენტით გამოშვებულისგან?

ხატიუნა:

– რატომ მხოლოდ ფრანგული? დღევანდელ მსოფლიო ბაზარზე ფრანგულ სუნამოს, იაბონური სუნამოს სახით, სერიოზული კონკურენტი შეიძლება გამოუჩნდეს. იაბონელი დიზაინერები ჯერჯერობით ფრანგულ კომპონენტებზე დაყრდნობით ქმნიან ახალ სუნამოებს, მაგრამ მოთხოვნილება იაბონურ სუნამოზე სწრაფად იზრდება. რაც შეეხება პროდუქციის ფაქტორების პრობლემას – ეს ექსპერტებისთვისაც თავსატეხს წარმოადგენს. „პატენტი“ ისე ჰგავს ნამდვილს, რომ ხშირად ექსპერტებსაც კი უჭირთ ხოლმე მათი გარჩევა. ჩემი ინფორმაციით, „პატენტი“ ძირითადად, ბელგიაში, ჩინეთსა და ლუბაში მზადდება.

– ჩვენში გაყალბებისთვის ალბათ იმ სინჯებს იყენებენ, რომელიც წესით, უფასოდ უნდა რიგდებოდეს?

ქატი:

– წესით, სინჯები, რომელსაც ჩვენ საფრანგეთიდან ვიწერთ, მართლაც უფასოდ უნდა რიგდებოდეს, – ეს არის მხოლოდ და მხოლოდ რეკლამისთვის გამოგზავნილი მასალა. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ეს მასალა ბაზრობაზე ხდება და იყიდება.

– თქვენი აზრით, ქართველი ელიტარები მაინც რომელ სუნამოს ანიჭებენ უპირატესობას?

ხატიუნა:

– ვიცი, რომ ქვეყნებში, სადაც სუნამოს წარმოების მრავალწლიანი კულტურა აქვთ, ყოველი ახალი ეგზემპლარის შექმნას, სულ მცირე, ორი წელი სჭირდება. ალბათ, ოდესმე, საქართველოშიც შეიქმნება, მაგრამ როდის? – ამას ჩემი ფანტაზია ვერ სწვდება.

P.S. მანამდე, სანამ ქართული სუნამო შეიქმნება, იმ ინფორმაციით უნდა დაგეგმილოდეთ, რომლის მოპოვებაც, სხვა ქვეყნებში წარმოებული სუნამოების შესახებ შეგვიძლია. თუნდაც იმისთვის, რომ ისეთივე კურიოზი არ შეგვეთხვეს, როგორც საფრანგეთში ჩასულ საბჭოთა მაღალჩინოსნების მეუღლეებს შეემთხვათ: თურმე ოფიციალური მიღების დროს, ყოველი მათგანი „კლიმას“ სურნელს აფრქვევდა, გაოცებულ უცხოელებს კი, ვერაფრით გაეგოთ, „საბჭოთა ცოლებს“ რატომ ესხათ სუნამო, რომელიც პარიზელი მეძავეების „საფირმო“ ნიშნად იყო ცნობილი...



ლიანა ჭანკოტაქა

ოჯახის უფროსი ჯემალ შიუკაშვილი შინ არ დაგვხვდა. მისი მეუღლე, ქალბატონი ლენა კი, დაცარიელებულ სახლში ფუსფუსებდა. შემზარა შელახული ფასადის, უავეჯო, ნესტიანი ოთახისა და სველი კედლების ხილვამ. მასპინძელი ღორის ნაწლავებს რეცხავდა: მეზობლის ქალმა მომცა, გაახარებს ღმერთი, — დღეს ჩემს შვილებს ვახშამი ექნებათო... როგორ უნდა აჭამოთ ბავშვებს, რომელი კერძი უნდა მოამზადოთ-მეთქი? — კკითხე. — უპუროდ შეჭამენ. ცხიმი არა მაქვს, მარილწყალში მოვხარშავ და წვრილად დავეჭრიო... გაოცება და შეშფოთება რომ შეგვატყო, საქმეს თავი მიაჩება, ძველისძველი ქვაბი კუთხეში დალო და დიმილით მოიბოდიშა: ამ ქვაბისა და რამდენიმე თევზის გარდა აღარაფერი ვავაჩნია, ეს არის მთელი ჩვენი ავლადიდებო. საუბარი მეორე ოთახში განვაგრძეთ. იქ ოთხი საწოლი, პატარა მაგიდა და ჩამქრალი შეშის ღუმელი იდგა. გული შევიდონდებო, რომ წარმოიდგენ, — შეიდი ანგელოზივით ბავშვი ამ უღარიბეს, პირქუშ გარემოში ათენ-აღამებს. მერვე შვილი ქალბატონ ლენას შიმშილისგან დაეღუპა. მისმა სიკვდილმა ბავშვები ნაადრევად დაასერიოზულა, თითქოს დააბერა...

ქალბატონმა ლენამ თავისი ამბის თხრობა ასე დაიწყო:

— ქარელის რაიონის სოფელ დვინში დავიბადე, ძალიან ღარიბი, მეტიცმეტად ღარიბი ოჯახში. ოთხი და-ძმა ვიყავით. მამა ადრე დაგვეღუპა და დავრჩით ობლები ღვთისა და ხალხის იმედად. დედა ჩვენს გამოკვებას ვერ ახერხებდა. მე და ჩემი და-ძმები სოფელ-სოფელ დავდიოდით. თუ ვინმეს მუშა სჭირდებოდა, ჩვენ გვეძახდა. საქმის კეთება არც გვიჭირდა და არც გვეზარებოდა. თავაუღებლად ვაკეთებდით, რასაც დაგვაკვალდნენ. ჩვენი შრომის სანაცვლოდ, ხალხი ლუკმაპურს არ გვაძლავდა. თუ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდებოდა, ყველსა და პურს სახლშიც გვატანდა. მაშინ ხალხს ისე არ უჭირდა, როგორც ახლა... ასე, ტანჯვაში გაიარა ჩემმა ბავშვობამ.

— რამდენი წლის გათხოვდი?

— თხუთმეტი წლის ვიყავი, ახლობელმა ჯემალი რომ გამირიგა. გომში ცხოვრობდა. მომეწონა და გამოვეყვი.

— ქმრის ოჯახშიც სიღარიბე დაგხვდა?

— ჩემს ოჯახთან შედარებით, აქ უკე-

„ჩემი შვილები სიღარიბე დაახარა. დიდი აღამიანებოვით, უთქველად იტანენ ყველაფერს...“

საშურის რაიონის სოფელ გომში, ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე, ერთი მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობს. მოგესხენებათ, როგორი გაჭირვებაა საქართველოში, განსაკუთრებით, სოფლად. უჭირს ყველას, რადგან არც მეურნეობები ფუნქციონირებს, არც ფაბრიკები და აღარც მუშახელი სჭირდება ვინმეს. სოფლებში ახლა ძირითადად, მოხუცები და ბავშვები ცხოვრობენ, ახალგაზრდები, ლუკმაპურის საშოვნელად, ვინ იცის, სად არ არიან გადახვეწილები, მაგრამ იმან, რაც ამ ოჯახში ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...



თესი მდგომარეობა იყო. ჩემი მეუღლესც მუშაობდა და დედამთილიც. საჭმელ-სასმელი ყოველთვის გვქონდა, თუმცა, სიღარიბეში ვცხოვრობდით.

— ასე ძალიან როდის გაგიჭირდათ?

— ჩემი დედამთილი დაბრმავდა და ლოგინად ჩავარდა. მას შემდეგ, ჩვენი



საქმეებიც უკან-უკან წავიდა. ჩემს მეუღლესაც გული აწუხებს, ვეღარ მუშაობს. არც არის სამუშაო. სახლში თუ გააკეთებს რაიმე საოჯახო საქმეს, — ეს არის და ეს. ადრე ბაკურიანში მუშაობდა, ტურბაზას არემონტებდა. იქიდან რომ წამოვიდა, კერძოდ დაიწყო მუშაობა. თუ ვინმეს რემონტი ჰქონდა გასაკეთებელი, მასთან მიდიოდა. სამწუხაროდ, ჯემალი ახლა მძიმე ავადმყოფი და შრომისუნაროა.

— თავად თუ გიმუშავია, ან ახლა თუ მუშაობ?

— არა, არასდროს მიმუშავია. ახლა ხომ საერთოდ ვეღარ შევძლებ მუშაობას, რადგან მეც მძიმე ავადმყოფი ვარ. თრომბი მაქვს. ზოგჯერ ძალიან ცუდად ვხდები. ცოტა ხნის წინ, ისე ცუდად ვიყავი, მეგონა, ვეღარ გადავრჩებოდი და ღვთის ანაბარად მყოფ ჩემს შვილებს სულმთლად გავაუბედურებდი.

— ლენა, რამდენი წლის ხარ?

— ოცდათერთმეტი წლის გახლავართ. პირველი შვილი ჩვიდმეტი წლის ასაკ-

ში გაგაჩინე... იცით, ბევრი შვილი რატომ გვყავს? — იმიტომ, რომ მე და ჩემს ქმარს არ გვსურდა ბავშვისათვის სიცოცხლის მოსპობა. თუმცა, იმასაც ვხვდებოდით, რომ ეს უბედურებასაც ნიშნავდა, რადგან მშობლებისთვის მშვიდი შვილების ყურება ნამდვილი უბედურებაა. ჩემი ორი თვის შვილი შიმშილით გარდაიცვალა. მე რძე არ მქონდა, მისმა ორგანიზმმა შიმშილი ვერ აიტანა. უფროსი შვილი, ვერიკო 14 წლისაა, მას მოჰყვებიან ასმათი, ბესო, აჩიკო, ვახტანგი, გურამი და სულ უმცროსი, ხუთი წლის ნინიკო.

— პატარა დის გარდაცვალებას როგორ შეეგუვნენ ბავშვები?

— მასსოვს, სულ თავზე დასტრიალებდნენ, ეფერებოდნენ, როცა იგრძნეს, რომ თუა სიკვდილის პირას იყო მისული და ველარ გადარჩებოდა, სახლში აღარ შემოდოდნენ. არც ის უნდოდათ, ენახეთ, როგორ მოკვდებოდა პატარა თუა და არც ჩემთვის უნდოდათ ცრემლები დაენახებინათ: იცოდნენ, თავიანთი ცრემლიანი თვალებით მწუხარებას კიდევ უფრო მომიძატებდნენ. ჩემი თანდასწრებით ერთხელაც არ უტირიათ... მერე ჩუმად ეფერებოდნენ ხოლმე იმ ადგილს, სადაც ადრე თუას ვაძინებდი... ჩემი შვილები შიმშილმა დააბერა. დიდი ადამიანებივით არიან. თავებსაც თვითონ ირჩენენ.

— ასეთი პატარები როგორ ახერხებენ ლუკმაპურის შოვნას?

— ქუჩა-ქუჩა დადიან, ნაგავში იქექებიან, ცარიელ ბოთლებსა და ალუმიანის


ნაჭრებს აგროვებენ, შემდეგ აბარებენ და ალებული ხურდით პურს ყიდულობენ. ხატის წინაშე შემოიძლია დავიფიცო, რომ სხვისას ხელს არაფერს მოჰკიდებენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მათთვის შიმშილი აუტანელი ხდება.

— ოდესმე დახმარება თუ მიგიღიათ?

— ერთხელ ხაშურში მომცეს 15 ლარი, ისიც წამლებში დავხარჯე. იმ დროს მეც, ჩემი ქმარიც და ჩვენი შვილებიც ავად ვიყავთ და რომ არა ის ფული, ალბათ, დავიხოცებოდით კიდევ. დახმარებისთვის ჩვენი რაიონის გამგებელსაც მივმართე — იქნებ, პურის ფქვილი მაინც მოგვცეთ-მეთქი? იქ მომუშავე ქალებმა საშინლად გამლანძღეს: ჩვენი გამგებლის იმედი აჩენდი ამდენ ბავშვსო?! გამომაგდეს. ეს იყო და ეს. მე აღარავისთვის აღარ მიმიმართავს. ან ვინ რას მომცემდა?! ისიც კი მითხრეს — რომ გიჭირს, ბავშვები უპატრონო ბავშვთა სახლში ჩააბარეო. ამას ვერ გავაკეთებ, სულ რომ შიმშილით ამომხდეს სული. ჩემი შვილები სიცოცხლის ბოლომდე ჩემთან უნდა იყვნენ, — არა აქვს მნიშვნელობა, მიჭირს თუ მილხინს.

— როგორ ირჩენთ თავს? რით საზრდოობთ? მხოლოდ ბავშვების ხარჯზე ცხოვრობთ?

— მიწის პატარა ნაკვეთი გვაქვს, ერთი ძროხაც გვყავს. მართალია, არ იწველება, მაგრამ მაინც იმეღია... გვყავს კიდევ ერთი ქათამი... არ დაიჯერებთ, მაგრამ სულ მშვირები ვართ. არც პური გვაქვს, არც სხვა საჭმელი. არ ვიცვი, როგორ ვუ-



ჯემალ შაუკაშვილი

ძლებთ ასეთ შიმშილს. იქნებ, ამას გაძლება არც ჰქვია...

— ალბათ, ბავშვებს უფრო უჭირთ შიმშილის გაძლება?

— ვერც ჩვენ ვუძლებთ. ჩემი ქმარი უჭმელობამ და ნესტმა დააავადმყოფა. არც კი მასსოვს, ბოლოს როდის დავნაყრდით. თუ რამე გვაქვს, ბავშვებს დავსწამ ხოლმე საჭმელად — მე ეზოში გავდივარ: მეშინია, სულმა არ წამძლიოს და ჭამა არ მომიხდეს, მეც ხომ ადამიანი ვარ?! ჩემი პატარები, გურამი და ნინო, უჭმელობას სულ ვერ იტანენ — ხან ერთს და ხან მეორეს გული მისდის ხოლმე. ამის გამო, უფროსი ბავშვები ძალიან იტანჯებიან. დიდიდან საღამომდე ქუჩა-ქუჩა დადიან, რამე რომ იმოვონ, გაყიდონ და თავიანთ პატარა დაძმას პური მოუტანონ. როგორც არ უნდა შიოდეთ, თუ საჭმელი ცოტაა, თვითონ არ შეჭამენ, — გურამს და ნინოს მისცემენ თავიანთ წილსაც. განსაკუთრებით საღამო ხანს უჭირთ ბავშვებს, ამ დროს ყველაზე მეტად გრძნობენ ხოლმე შიმშილს. ერთი გადმოხედავენ საწყლად, სახეზე დამაკვირდებიან, ჩემი გამოძეტყველებით მიხვდებიან, მაქვს თუ არა რამე, რომ ვაჭამო, — და უსიტყვოდ წავლენ დასაძინებლად... ერთხელაც არ უთქვამთ: დედა გვშიაო. ვიტანჯები, როცა ლოგინში მშვიდი ბავშვები, გაღიმებულები წვებიან. ეშინიათ, არ ვინერვიულო...

— ნუთუ არავინ გყავთ, ვინც ზოგჯერ მაინც დაგეხმარებათ?

— ზოგჯერ მეზობლები გვეხმარებიან, მაგრამ სოფელში ყველას ძალიან უჭირს. სოფლის კბილის ექიმი გვეხმარება ხოლმე:



მარცხნიდან: ასმათი, გურამი, ნინიკო, ვახტანგი, აჩიკო, ვერიკო და ბესო

ხან ფქვილს გვაძლევს, ხანაც კარტოფილს ან პურს. ხანდახან მალახიის გამყიდველი ბავშვებს კანფეტებს აძლევს. ჩემს და-ძმებს აღარ ვაწუხებ — მათაც ძალიან უჭირთ.

— სოფელში ამბულატორია ფუნქციონირებს, ალბათ, ბავშვებს უანგაროდ უწევენ სამედიცინო დახმარებას?

— არც აქ და არც ხაშურის საავადმყოფოში, თუ ფული არ გაქვს, არავინ მოგხედავს. რამდენიმე ხნის წინ, ბავშვებს ბატონები შეხვდათ. იცით ალბათ — ბატონებს მოფერება უნდა. მე კი, რადგან იმის თავიც არ მქონდა, ტკბილი კვერები რომ გამომეცხო, ბატონები გაგვინაწყენდნენ. კინაღამ დამეხოცნენ ბავშვები. ხან ჩაი ვასვი, ხან თხის ქონით დავზილე და ძლივს მოვარჩინე... როცა ბავშვები მძიმედ არიან ავად, წამლები ნისიად მომაქვს ხოლმე. ვალს, როგორც კი ფული ჩამივარდება, მაშინვე ვინდი, აფთიაქარმა იცის ჩვენი გაჭირვება და წელიწადიც რომ დავაგვიანო ფულის გადახდა, არ მომაკითხავს... ვიბრძვი, რომ ბავშვები მყავდნენ კარგად, თორემ მე რა მიჭირს?! ისე მივეჩვიე შიმშილს, ერთი ვაშლი თუ შევჭამე, მეტი არაფერი მინდა, მყოფნის.

— ბავშვები სწირად ავადმყოფობენ?

— მაღლობა ღმერთს — არა. ზამთარშიც კი იშვიათად ცივდებიან... მათ ისიც ეყოფათ, რომ მშობლები ჰყავთ ავად. მე და ჩემი ქმარი უიძელო, უქეიმი ავადმყოფები ვართ. დედამთილი ერთი თვის წინ გარდაამეცვალა. ბოლოს დაბრმავდა, ლოგინად ჩავარდა. საწყალს, სულ შოდა, მაგრამ არაფერს ითხოვდა. მარტო მაშინ, როცა შიმშილს ვეღარ უძლებდებოდა, უსიტყვოდ ხელს გამოიშვერდა: თუ რამე მქონდა, მომაკვდავისთვის როგორ დავინანებდი?! — პურის ნამცეცს მაინც დავუღებდი ხოლმე ხელისგულზე...

— ასეთ გაჭირვებაში ცხოვრობთ, გაჭირვებას კი, უსიამოვნებები მოაქვს ხოლმე. ოჯახში სწირად გაქვთ კონფლიქტი?

— ბავშვებს ვეჩხუბები ხოგჯერ. ვეუბნები: კარგად ისწავლეთ-მეთქი. თუმცა, ისიც ვიცი, უჭმელობით გამოფიტულ ბავშვებს კარგად სწავლა არ მოეთხოვებათ. მაგრამ რა ვქნა?! მინდა, ცხოვრებაში სწავლით მაინც მიადწიონ რაღაცას, რომ ჩემსავით არ დაიჩაგრონ. სხვათა შორის,

კარგად სწავლობენ. ბიჭები ზარმაცები არიან, მაგრამ ხათრს ვერ მიტეხავენ. პატარა გურამი „ხუთოსანია“. ბავშვებს, რა თქმა უნდა, რცხენვით, კარგად რომ არ აცვათ, ჩანთები, ფანქრები, რვეულები რომ არა აქვთ, თუმცა, ამაზე ხმაძალა არასდროს საუბრობენ... ჩემს შვილებს მასწავლებლები შეღავათებს უკეთებენ. არც ფულს სთხოვენ და არც წიგნებს. იტანჯებიან ბავშვები, თანაკლასელებისგან წიგნების თხოვება რომ უხდებათ. სოფლის თავიდან ბოლოში გადიან, რომ ვინმეს წიგნი გამოართვან. ძალიან მიხარია, რომ მათ მეგობრები ჰყავთ და ამის გამო ბედნიერად გრძნობენ თავს...

— დღესასწაულებს როგორ ხვდებით ხოლმე?

— ძველი პურისა და ერთი თევზი მხალის გარდა, ახალ წელს არაფერი გვქონდა. ბავშვებმა უჩუმრად შეჭამეს და დაიძინეს. ნაძვის ხეც არ გვქონდა. ტელევიზორი, რა თქმა უნდა, არ გვაქვს. ჩემი შვილები სიღარიბემ დააბერა. დიდი ადამიანებივით, უთქმელად იტანენ ყველაფერს... თამაშიც კი აღარ უნდათ, შიმშილისა და სიცივის გამო.

ოთახში სამი ბავშვი შემოვიდა. გამხდარი, დიდთვალება ბავშვები, დედის უკან დადგნენ... მომაჩერდნენ. არ შეძებო, მათთვისაც არ დამესვა რამდენიმე კითხვა.

— ერთმანეთთან ჩხუბი არ მოგდით ხოლმე?

ასმათი (12 წლის):

— არასდროს გვიჩხუბია. ან რაზე უნდა ვიჩხუბოთ?! რა გვაქვს გასაყოფი?! — ჩვენ ხომ არც საჭმელი გვაქვს და

არც სათამაშოები.

— რაზე ოცნებობთ?

გურამი (6 წლის):

— ექიმი მინდა რომ გამოვიდე, როცა გავიზრდები, ჩემს ავადმყოფ დედ-მამას მოვარჩე.

ასმათი:

— მე კი, ჩემთვის არაფერი მინდა, მთავარია, ჩემს და-ძმებს არ მოშივდეთ. ოღონდ მათ ჰქონდეთ საჭმელი. ოღონდ პატარა ნინიკო არ გახდეს ცუდად. აღარ შემიძლია იმის დანახვა, მიწაზე როგორ ეცემა ხოლმე. მინდა, იმდენი პური გვქონდეს, ყველას რომ გვეყოს.

— სათამაშოები არ გინდათ?

მანსტანგი (10 წლის):

— სათამაშოების გარეშე ახლაც ვძლებთ და არც არასდროს გავვიჭირებთ. მთავარია, საჭმელი და ტკბილი რაღაცები გვქონდეს. სულ პატარა ვიყავი, შოკოლადი რომ ვჭამე...

გურამი:

— მე კი, შოკოლადი ჯერ არ მიჭამია...

— ქალბატონო ლენა, თქვენ თუ გაქვთ ოცნება?

— ჩემი ოცნებაა, პური მაინც ჰქონდეთ ჩემს შვილებს... მხოლოდ ღმერთის იმედად ვარ დარჩენილი. დღე და ღამ ჩემს შვილებზე ვლოცულობ... იმედი მჭირდება, ძალიან მჭირდება...

გულდამძიმებულები წამოვედით. ღმერთო, გადმოხედე ამ პატარებს!..




ბედნიერი ქალი ვარ: 3 შვილი, 8 შვილიშვილი და, ჯერჯერობით, 5 შვილთაშვილი მყავსო, – ამბობს მედეა ჩახავა – სახელოვანი ოჯახების შვილი და დედა, რომელმაც სიყვარულით სავსე ცხოვრების გზა განვლო.

ელისო გურბენიძე

სახელოვანი ოჯახების

შვილი და დედა



— ქნო მედეა, ნამდვილ სიყვარულს როგორ გაიხსენებდით? თქვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით რას იტყვოდით, არსებობს იგი — სიყვარული ქალსა და მამაკაცს შორის?..

— როგორ არ არსებობს?! არ შეიძლება, რომ არ იყოს — ეს ნამდვილად ვიცი. შეიძლება იფიქრო: ამ ქალმა ორი ქმარი გამოიცვალა და როგორ შეიძლება ორივე ნამდვილად ჰყვარებოდა?! მაგრამ როცა მიყვარდა, ჩემთვის ის გრძობა ნამდვილი იყო. ერთი რამის თქმა შემიძლია, ცხოვრებაში ნაბიჯი არ გადამიდგამს — სიყვარულის გარეშე. საქმე სიმრავლეში ხომ არ არის! ვინც მიყვარდა — თავდავიწყებით მიყვარდა. თუმცა, სიყვარული იბადება და კვდება, ადამიანის მსგავსად — ზოგჯერ აღერ, ზოგჯერ გვიან...

— პირველ სიყვარულს როგორ გაიხსენებდით?

— 7 წლის ვიყავი, 27 წლის კაცი რომ შემიყვარდა. სიყვარული იყო, აბა რა იყო?! — გული საგულედან მივარდებოდა, ხელში რომ ამიყვანდა!.. გავიდა დრო. არანორმალურად შემიყვარდა თემურის (ჩხეიძის. — ავტ.) მამა — ბიჭიკო (ნოდარ — ავტ.) ჩხეიძე. მაგრამ დავშორდით ერთმანეთს... თუმცა, თემურს რომ ჰკითხო, იტყვის: მამაჩემს ბოლო ამოსუნთქვამდე უყვარდაო მედეა ჩახავა... სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, მეც თავზე ვადექი ყოფილ მეუღლეს, ეს მაშინ როცა ჩემს უმცროს შვილებს — მაკასა და ივიკოს (მანარაძეებს. — ავტ.), სხვა მამა ჰყავდათ. სანამ ცოცხალი იყო

ბიჭიკო ჩხეიძე, მარტო თემურის მიმართ კი არ იჩენდა ყურადღებას, მაკაც უყვარდა და მასზეც ზრუნავდა. ეს ალბათ ჩემდამი მისი სიყვარულის ერთგვარი გამოხატულებაც იყო. შეიძლება იფიქრო: განა ასეთი გრძობის მიუხედავად, შეიძლება სხვა ვინმე შეყვარებოდაო? მაგრამ შემიყვარდა და თუ როგორი ურთიერთობა იყო ჩემსა და მას შორის (ქალბატონი მედეა კოტე მანარაძე-ეს გულისხმობს. — ავტ.), ეს კარგად იციან ჩვენმა შვილებმა. ამაზე არ მინდა ახლა საუბარი, დაე, მათ გაიხსენონ. მე უკვე წარმავალი ადამიანი ვარ და იქნებ, რაღაც მინდა ჩემთვის დავიზოგო და იმქვეყნად წავიღო... ერთადერთი, შემიძლია ვითხრაო, რომ უდიდესი სიყვარული იყო ჩვენ შორის. ამ გრძობის გამო, ბევრი რამ მიპატიებია მისთვის, ბევრჯერ გააჩუქებულვარ, რომ სიყვარული გამეზანგრძლივებინა ან შემენარჩუნებინა, მაგრამ დამთავრდა. მოსაშორებელი კბილი დროზე უნდა ამოიღო, თორემ მერე მთელ ორგანიზმს მოგიწამლავს. როცა ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა ფუჭდება, ეს არ უნდა აყურებინო შვილებს და სხვა ადამიანებს. სკანდალის გარეშე დავშორდით ერთმანეთს. ალბათ ამან შეგვანარჩუნებინა ცოლქმრობის შემდეგ ნორმალური ურთიერთობა.

— ბატონ კოტეს უთქვამს, რომ თქვენ გვერდით იზრდილებოდა რადგან მასთან შედარებით, უფრო ცნობილი და პოპულარული მსახიობი იყავით... ეს ხომ არ გახდა თქვენი დაშორების მიზეზი?

— ვგრძნობდი, რომ მას ეს აწუხებდა,

მაგრამ მე ამაში ბრალი არ მიმიძლოდა. მისთვის არასოდეს მიგრძობინებია, რომ მასზე პოპულარული და აღიარებული ვიყავი. როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, იქ არაინაა მეტი ან ნაკლები, მაგრამ მართლაც ძალზედ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩემდამი: მაყურებელს განსაკუთრებით უყვარდი. ამისთვის დღემდე მადლობელი ვარ ჩემი ხალხის, მათი ვინც ასეთი სიყვარულით მეპყრობა, მცნობს და როგორც ახლობელს, ისე მიღიმის ხოლმე.

— ალბათ ამ სიყვარულის გამოხატულება ისიც იყო, თქვენს სახლში შემოვარდნილმა მძარცველებმაც რომ დაგინდეს?

— მე ტელევიზორითაც გამოვუცხადე მადლობა იმ ბიჭებს, რომლებმაც ჯერ გული გაგვიხეთქეს, შემდეგ კი, ისე გავიღინე, რომ სახლიდან არაფერი წაუღიათ.

1994 წელი იდგა. მაკას სახლში ვიყავი. იმ დღეს 2 კბილი მქონდა ამოღებული და ყბაახვეული და შეწუხებული, ტახტზე ვიწექი. სახლში რომ შემოცვივდნენ, რევოლვერებით შეიარაღებული ნიღბიანები ვიფიქრე — ჩვენი ახლობლები არიან და ხუმრობენ-მეთქი. კარგით, რა, ბავშვებო, მოიხსენით ეს ნიღბები და ჩაის დაგაღვივებთ-მეთქი, — ვუთხარი. — აქეთ წამობრძანდით, ქალბატონო, — და მე და მაკა სააბაზანო ოთახში შეგვიყვანეს. ჩვენი სტუმარი, ნათესავი კაცი კი, სამზარეულოში, იატაკზე დაწვინეს, ხელები შეუკრეს და ერთ-ერთმა ზურგზე ფეხი დააჭირა. რა გინდათ-მეთქი? — ვკითხე. — ფულიო, — მიპასუხეს. — არ გადაძრით — მსახიობებს რა ფული

გვაქვს! — ალბათ ვერ მიცანით, სახე შეხვეული რომ მაქვს, მედეა ჩახავა ვარ-მეთქი, — ვუთხარი და სახვევი მოვიგლიჯე. ეს რომ გაიგონა, ბიჭი, რომელიც ჩვენ გვადგა თავზე, შემოსასვლელში გაგარდა და დანარჩენ ორს შესძახა: იქ მედეა ჩახავა, წამოდი, ჩქარა წავიდეთო!... შემდეგ, ტელევიზიით გამოსვლისას მივმართე მათ: ბიჭებო, როგორც ჩანს, შევიძლიათ ამ სამარცხვინო საქმეზე ხელი აიღოთ და თავს ნუ იღუპავთ — სანამ გვიანი არ არის, სხვა გზას დაადექით-მეთქი...

— **ქალბატონო მედეა, საყოველთაოდ აღიარებული მსახიობი, სახელოვანი ადამიანების დედა და ბებია ბრძანდებით? ალბათ ბედნიერი ქალი ხართ?**

— როგორ არ ვარ ბედნიერი? — ამდენი შვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილები.

— **უფრო ზუსტად?**

— 3 შვილი, 8 შვილიშვილი და, ჯერჯერობით, 5 შვილთაშვილი!

— **რა არის ბედნიერება ქალისთვის?**

— შთამომავლობა. პროფესიის გამო, დელობაზე უარის თქმა არასწორად მიმაჩნია. ქალისთვის ყველაზე ღირსეული „პროფესია“ — ღმერთს, დელობა უბოძებია. ბედნიერი ვარ იმითიც, რომ ყველა ჩემი შვილი სიყვარულის ნაყოფია. სხვათა შორის, მეც უდიდესი სიყვარულის შედეგად გავჩნდი ამ ქვეყანაზე.

— **როგორი იყო თქვენი ოჯახი?**

— მამაჩემი პროფესორი მეან-გინეკოლოგი იყო. ამის მიუხედავად, ჩვენს სახლში ხშირად იყრიდნენ თავს მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, ლიტერატურული საღამოებიც კი იმართებოდა. აკაკი გაწერელია დედაჩემს — მარო გაწერელიას ალაღ

ბიძაშვილად ეკუთვნოდა. დედა აკაკიზე გაცილებით უფროსი იყო და მასზე ზრუნავდა. მას შემდეგ, რაც მარო გაწერელიამ ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა, თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და პატარა ბიძაშვილიც თავისთან წამოიყვანა. აკაკი ჩვენს სახლში იზრდებოდა. მის სწავლა-განათლებას უშუალოდ დედა ხელმძღვანელობდა. ბიძაჩემი რომ წამოიზარდა, მისი მეგობრები ჩვენი ოჯახის მეგობრებიც გახდნენ. ჩვენთან სახლში ხშირად მოდიოდა კონსტანტინე გამსახურდიაც. ბიძაჩემი ზვიადის ნათლია იყო და მეც ხშირად მივყავდი სტუმრად ღიდ მწერალთან.

ჩემს მშობლებს ხელი არ შეუშლიათ ჩემთვის პროფესიის არჩევას. მამა აკაკი ზორავას ახლო მეგობარი იყო. წარმოშობით ორივენი ერთი რაიონიდან იყვნენ, შემდეგ კი, ერთად სწავლობდნენ კიევის სამედიცინო უნივერსიტეტში. თბილისში ჩამოსულმა აკაკიმ მედიცინას თავი მალე დაანება და სხვა გზა აირჩია... მამამ რომ შეიტყო, მსახიობობას ვაპირებდი, მირჩია, ზოგადი განათლების მისაღებად ჯერ უნივერსიტეტში ჩამებარებინა — თუ დარწმუნდები, შენი გადაწყვეტილება ურყევია, მალე აკაკი ზორავა თეატრალურ ინსტიტუტს დააარსებს თბილისში და სწავლას იქ გააგრძელებ, — ოღონდ იცოდე: თუ მსახიობი იქნები, პირველი უნდა იყო და თუ ასე არ იქნება, იმის ძალაც უნდა გეყოს, რომ ამ საქმეს თავი დაანებო... თუმცა, მსახიობი სცენის მტკვერს რომ ჩაისუნთქავს, იმაში ვეღარ დაარწმუნებ, რომ უნიჭოა...

— **ამბობენ, სცენაზე გასვლისას, ცნობილი მსახიობები ნერვიულობენო. თქვენ არ გემინოდათ ხოლმე?**

— არ გავეცინოთ და ახლაც მეშინია. მაგრამ ხანდახან, — ყოველთვის არა, —

უკვე სცენაზე გასული, რაღაც ძალას ვიგრძნობ. სულ რომ არ ველი, ისე, თავისთავად შემართება ხოლმე. არ ვიცი, რა ხდება ამ დროს ადამიანში. თქვენ გგონიათ, ყველაფერი ვიცი?

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ ზაბლონა მასწავლებლის როლს ვამზადებდი. სპექტაკლზე მუშაობა დასასრულს უახლოვდებოდა, მე კი არაფერი გამომდიოდა. ბოლო რეპეტიციაზე, თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა, — თითქოს რაღაცას მივაგენი და სპექტაკლში ისე ვითამაშე, ცხონებულმა ნოდარ დუმბაძემ მითხრა: მედიკო, რა არის ეს? — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ჰქვია ჩემს ნაწარმოებს, ზაბლონა მასწავლებელი კი არაო...

— **გამორჩეულად თუ გიყვართ რომელიმე თქვენი როლი?**

— პირდაპირ პასუხს არ გავცემთ. ადრე ფილმებს, რომელშიც ვითამაშობდი, ვერ ვუყურებდი. 10-15 წელია, რაც ეს ფილმები ვნახე. საერთოდ, როცა მსახიობი თავს ვარსკვლავად ჩათვლის, მისი საქმე მაშინ არის ცუდად. სასცენო როლი ყველა მიყვარს. თითოეულ როლში იმდენი შრომა მაქვს ჩადებული, რომ შვილივით ვუყურებ და ერთმანეთისგან ვერ გამოვარჩევ.

— **ქალბატონო მედეა, ტელესერიალში მონაწილეობაზე რატომ დათანხმდით?**

— დავიწყებ იქიდან, რომ როცა ადამიანი დასაქმებულია, ეს სტიმულს აძლევს და ახალისებს მას, რაც სიცოცხლისთვის აუცილებელია. როცა გადადება მაქვს, სახლიდან მოშვებული გამოვლივარ. ტელესტუდიაში ძალიან კარგი კოლექტივი მხვდება. რაც მთავარია, საჭირო ვარ. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი — შინ რომ ვიჯექი, ამას ძალიან განვიცდიდი-მეთქი. არ სჭირდ-



ება ჩემი ასაკის მსახიობი ჩემი თეატრის მთავარ რეჟისორს და მე დავას ხომ არ დაუწყებ – გინდა თუ არა, მათამაშე-მეთქი?! სახლში საქმე არასდროს მელევა. მაგრამ მატერიალურ მხარესაც ხომ აქვს მნიშვნელობა? ტელესერიალში გადაღებას ამ მიზეზის გამოც დავთანხმდი.

— რუსთაველის თეატრიდან ხელოფასს არ იღებთ?

— არა. პენსია მქონდა დანიშნული – 8 ლარი, შემდეგ 14 ლარამდე გამეზარდა. ახლახან შემთხვევით შევეტყვე, რომ ომის მონაწილის პენსია შეიძლება დამნიშნოდა: სტუდენტობისას, ომის დროს სამედიცინო მომზადებასაც გავდიოდით და 4-ჯერ პრაქტიკაზე ჰოსპიტალში წავიყვანეს. რამდენიმე წლის შემდეგ, ყველა ასეთ პრაქტიკანტს სამამულო ომში მონაწილის მედლები დაგვირიგეს, ახლა კი, შესაბამისი პენსიაც დამინიშნეს.

— ქალბატონო მედეა, თითქმის ყველა მსახიობს აქვს უკმაყოფილო გრძნობა და თავს არარეალიზებულად მიიჩნევს. თქვენ თუ გწყდებათ გული საოცნებო როლებსა თუ დაკარგულ ნლებზე?

— მთელი ცხოვრება იმდენად ვიყავი დაკავებული თეატრსა თუ კინოში, რომ ერთადერთი, რაზეც ვოცნებობდი, ეს დასვენება იყო. შინ ისე გვიან ვბრუნდებოდი, შვილები უკვე დაძინებულები მხვდებოდნენ. ერთხელ, თემურს რომ ჰკითხეს, როგორი იყო მედიკო სახლშიო, — მოკლედ უპასუხა: მენატრებოდა დედაო.

— თქვენ ბატონი თემურის მიერ დადგმულ სპექტაკლებშიც მონაწილეობდით. მისი შემოქმედება ყოველთვის იზიდავდა მაყურებელს თავისებური მუსტიით, რომლითაც მისი ყველა სპექტაკლი გამოირჩეოდა. თქვენ როგორ დაახასიათებდით თემურ ჩხეიძეს, როგორც რეჟისორს? რა გამოარჩევს მას კოლეგებისგან და რატომ ჩანს მსახიობი მის სპექტაკლში ყოველთვის?

— თემურს ყოველთვის აინტერესებს, რა ძვრები ხდება ამა თუ იმ პერსონაჟის სულიერ სამყაროში. არიან რეჟისორები, რომლებსაც ეს სრულიად არ აღელვებთ და მათთვის მთავარია, რასაც დგამენ, ერთი შეხედვით, თვალისთვის იყოს ეფექტური. თემური კი ყოველთვის უღრმავდება პერსონაჟის ხასიათს. სწორედ ამიტომ ჩანს მსახიობი ყოველთვის მის სპექტაკლებში.

— როგორი ურთიერთობა გქონდათ დედა-შვილს სპექტაკლებზე მუშაობის პროცესში?

— ბევრ ცნობილ რეჟისორთან მიმუშავია, თვით ბატონი მიშა თუმანიშვილი იმ-

დენად ახლოს იყო ჩემთან, რომ ჩემი სხეულის ნაწილად მიმაჩნდა. ვერ გეტყვით რა იყო ჩემთვის, — თვალი, გული, თავი თუ ხელი; ალბათ ცოტ-ცოტა, ყველაფერი... მაგრამ ყოველთვის ვამსობდი ჩემი შვილით, როგორც რეჟისორით. სპექტაკლებზე მუშაობის პროცესში კი, დედა-შვილი არ არსებობს — იქ მსახიობი და რეჟისორი ხვდება ერთმანეთს. რუსთაველის თეატრში განმარტებულიც კი იყო ერთი შემთხვევა. სპექტაკლში, რომელსაც თემური დგამდა, მეც ვიყავი დაკავებული. დილით რეპეტიციაზე გვაგვიანდებოდა. ჩემი თავისთვის ვვარც მოვიცალე. ფართხაფურთხით საუბრე გაუშვალე თემურს და სახლიდან რომ გადიოდა, მივამახე: მანქანას რომ გააჩერებ, მეც დამელოდე — ახლავე ჩამოვალ-მეთქი. სარკეში არც კი ჩამიხედავს, სასწრაფოდ ჩავიცივი და კიბე ჩავირბინე. სადღაა თემური? — ტაქსი გაჩერებინა და თეატრში წასულიყო... რეპეტიციაზე დაგვიანებით მივედი და ღარბაზში ფეხაკრეფით შევიპარე. თემური მიხვდა, ვინ შემოვიდა, და ისე, რომ ჩემკენ არც მობრუნებულა, მითხრა: ქალბატონო მედეა, დღეს რეპეტიციიდან თავისუფალი ბრძანდებითო... ვერაფერი უუთხარი, მაგრამ გუნებაში ვინ მოთვლის, რამდენი „ტეკილი“ სიტყვით მოვიხსენიე: თუ ჩემს გათავისუფლებას აპირებდა, შინ ეთქვა — თეატრში რაღას მიმარბენინებდა?!

— თქვენი შვილები მშობლების კვალს გაჰყვნენ. რამდენად მნიშვნელოვანი იყო მშობლების გავლენა მათ არჩევანზე?

— ჩვენ ხელი არ შევეუშალეთ ჩვენს

შვილებს, ჩვენს გზას გაჰყოლოდნენ, მათ არჩევანში არ ჩაერეულვართ. მეათე კლასში სწავლობდა თემური და არ ვიცოდი, რა პროფესიისკენ მიუწევდა გული. მეგონა, უნივერსიტეტში, ფილოლოგიურზე ჩააბარებდა: ბაბუამისი მამის მხრიდან ხომ, პოეტი, გიორგი ქუჩიშვილი იყო; თემურიც წერდა ლექსებს, ბაბუის გავლენით. სკოლა რომ დაამთავრა, იმ წელს, რუსთაველის თეატრს გასტროლები ჰქონდა ქუთაისში, თემურიც წავიყვანე. ვხედავდი, რომ მიშა თუმანიშვილი და თემური სულ ერთად დადიოდნენ და განუწყვეტილად რაღაცაზე საუბრობდნენ. ერთხელ მიშამ თემური ცალკე ოთახში გაიყვანა. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ოთახში შევიჭყვიტე, მგარამ მაინც ვერ დავადგინე, რასთან იყო დაკავშირებული მათი საიდუმლო საუბრები. მერე შევიტყვე, რომ თემურს რეჟისორობა გადაეწყვიტა.

— ტელესერიალში „ძილის წინ“ იდეალური დედამთილის როლს ასრულებთ. სინამდვილეში როგორი დედამთილი ბრძანდებით?


— 12 წელია ნინისთან — ივიკოს მუუღლესთან ერთად ვცხოვრობ. ნინო ჩვენს ოჯახში ერთადერთია, ვინც ხელოვნებას არ ემსახურება, — ექიმი. საკანდიდატო ლისერტაცია აქვს დაცული და სამედიცინო ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს. როგორი დედამთილი ვარ, ალბათ ნინო უფრო კარგად გეტყვია. მე ერთი რამის თქმა შემიძლია: ჩემი რძლები ჩემს შვილებად მიმაჩნია.

— მკითხველისთვის საინტერესო იქნება როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენ და ბატონი თემურის მუუღლეს — ნანი ჩიქვინიძეს ერთმანეთთან, როგორც ორ მსახიობს და რძალ-დედამთილს?

— ძალიან კარგი. ნანისთან ერთად, ორი წელი ვცხოვრობდი და მასზე მხოლოდ კარგი შემიძლია ვთქვა. როგორც მარჯანიშვილის თეატრის მსახიობით, ნანით ყოველთვის აღტაცებული ვიყავი. მარილაც იშვიათი მსახიობია... ის რომ უცხოელი ყოფილიყო, მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავი იქნებოდა. გული მწყდება, რომ მისი ტალანტი კინომ ვერ გამოიყენა. ნანიმ ბავშვობაშივე ითამაშა კინოში. მის მიერ „მაგდანას ლურჯაში“ შექმნილი სახე მართლაც შეუდარებელია. „ჩვენს ეზოში“ კი, ეპიზოდურ როლში, მასთან ერთად ჩემი ქალიშვილი — მაკაც გადაიღეს: იქ არის კადრი, სადაც პატარა ნანი და პატარა მაკამ — მომავალი რძალ-მული, — ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. შემდეგ, როცა მაკაც ვკითხე, რას ეჩურჩულებოდი-მეთქი ნანის? — მიპასუხა: ვუბნებოდი — იცია, რა კარგი ძმა მყავსო?! ■



ახალგაზრდა პარლამენტარს პეტრე ცისკარიშვილს ავტომანქანა „ბე-ემ-ვე“-ს და საყვარელი მეუღლის გარდა, ამ ქვეყანაზე, ძვირფასი სხვა არაფერი აბადია. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ირწმუნება: რა ცხოვრება-ქონებაც მაქვს, ყველაფერი დაუმალავად აღვნიშნე დეკლარაციაში — ან კი, დასამალი ვისთვის რა მაქვსო?!



ნინო ჯაფარიძე

ვისთან სწორად

უსახლკარო პარლამენტარი

დოსია:

პეტრე ცისკარიშვილი თბილისში 1974 წლის 27 თებერვალს დაიბადა. მამამისი — გიორგი ცისკარიშვილი, ფიზიკოსია, დედა — მედეა კობახიძე, სტომატოლოგი. ბებია და ბაბუა კი (მამის მხრიდან) პროფესორები ყოფილან და როგორც პეტრემ აღნიშნა, თავის დროზე საკმაოდ კარგი შემოსავალი ჰქონდათო. ცისკარიშვილების ოჯახი პრესტიჟულად იყო, ვაკის პარკთან ახლოს ცხოვრობდა. პეტრე, ბატონი გიორგისა და ქალბატონი მედეას ერთადერთი ვაჟი გახლავთ (მას 26 წლის და ჰყავს) და ალბათ პატარაობისას ძალიან ანებიერებდნენ კიდევ და ყველა ახირებასაც უსიტყვოდ უსრულებდნენ. თუშკა, ჩვენს დეკლარანტს დღემდე მწარედ ახსოვს, მშობლებმა, უფულობის გამო, ძვირად ღირებული ელექტრომანქანა რომ ვერ უყიდეს...

შარშანდელ დეკლარაციაში, რომელიც 25 აპრილს არის შევსებული, ანა სურმავე იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოხვდა, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო პეტრეს მეუღლე. ანა, რომელიც მეუღლეზე რამდენიმე წლით არის უძველესი, ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში, სახელმწიფო მართვის ფაკულტეტზე სწავლობს. ანამ და პეტრემ 1999 წლის შემოდგომაზე, კაფეში გაიცნეს ერთმანეთი. პეტრემ მაშინვე თვალი დაადგა უცნობ, მომხიბვლელ ქალიშვილს... საერთო მეგობრის დახმარებით ანას ტელეფონის ნომერი დაადგინა და იმ საღამოსვე დაურეკა. შარშან, 7 მაისს, კუს ტბაზე მანქანით სასეირნოდ

ასული შეგვარებული, შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს. ვათავისუფლების შემდეგ, ორიოდე თვეში, ანა და პეტრე დაქორწინდნენ კიდევ...

ვის სახლში ცხოვრობენ პეტრე და ანა

გულახდილად რომ ვითხრათ, ნამდვილად არ მეგონა, რომ იმ გრაფაში, სადაც, წესითა და რიგით, დეკლარანტის მთელი უძრავ-ძიძრავი ქონება უნდა იყოს ჩამოთვლილი, 5.400 ლარად შეფასებული მსუბუქი ავტომანქანის გარდა, სხვა არაფერი ეწერებოდა, საცხოვრებელი ბინაც კი... ახალგაზრდა წყვილი ალბათ ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი-მეთქი, გავიფიქრე და იმდენად დამაინტერესა ამ ამბავმა, რომ ინტერვიუს დასაწყისშივე კვითხე პეტრეს: დეკლარაციაში საცხოვრებელი ბინის მითითება შემთხვევით ხომ არ გამოვრჩა-მეთქი? პეტრემ იუარა: არაფერიც არ გამოვრჩენია — რაც არა მაქვს, როგორ უნდა ჩამეწერაო?!

— აბა, მართლა ღია ცის ქვეშ ხომ არ ცხოვრობთ შენ და ანა?

— (იცინის) ღია ცის ქვეშ ვინ დაგეტოვებდა?! უბრალოდ, ის ბინა, რომელიც ამჟამად ვცხოვრობთ, მამაჩემის სახელზეა გაფორმებული და დეკლარაციაში ამიტომაც არ აღვნიშნე: ის ხომ ჩემი საკუთრება არ არის?! რაც ამერიკიდან დავბრუნდი (პეტრე ოქსბურგის უნივერსიტეტში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე სწავლობდა. — ავტ.), შეიძლება ითქვას, რომ მშობლებთან ერთად აღარც კი მიცხოვრია, — ამერიკაში დამოუკიდებლად

ცხოვრებას მივქვივე. ჩემი მშობლები ვაკეში ცხოვრობდნენ, მე კი — წავკისში და ყოველდღე იქიდან დავდიოდი ხოლმე სამსახურში. ცოლის შერთვის შემდეგ, უკვე ძალიან გაგვიჭირდა წავკისიდან სიარული, ამიტომ, ბინა ვიქირავეთ ყოფშიძეზე. მამაჩემმა კი, მოლაპარაკება დაიწყო უძრავი ქონების ფირმასთან, რომელმაც შემოგვთავაზა: ვაკეში თქვენს სახლს დავანგრევთ და სანაცვლოდ, ახალაშენებულ კორპუსში ორ ბინას მოგცემთო. მშენებლობაც დაიწყო, მაგრამ გამოდიოდა, რომ მთელი ის პერიოდი, ვიდრე კორპუსი აშენდებოდა, ნაქირავებში უნდა ვყოფილიყავით. თან, ცოტა შემეშინდა კიდევ: სამწუხაროდ, ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო, მშენებარე შენობების დამთავრებას ბოლო არ უჩანს ხოლმე... მოკლედ, ფირმას ვთხოვეთ, რომ ბინა სხვა — უკვე აშენებულ კორპუსში მოეცათ და მანაც დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა. მართალია, უბნის თვალსაზრისით, ბევრად წავაგეთ — ვაკიდან ე.წ. შანსაზე (ყაზბეგის ქუჩის ბოლოს) გადავინაცვლეთ, მაგრამ ფართობის თვალსაზრისით კი, ნამდვილად მოვიგეთ. ორი ბინა მოგვეცეს: ერთში ჩემი მშობლები ცხოვრობენ, მეორეში — ჩვენ, მაგრამ ორივე, მამაჩემის სახელზეა გაფორმებული.

— საინტერესოა, მაინც რატომ არ გინდოდა, რომ შენს სახელზე გაგეფორმებინა ახალი ბინა?

— ვაკის ბინაც მშობლების საკუთრება იყო და მათ სახელზე იყო გაფორმებული. ეს ორივე ბინაც, ფაქტობრივად, ვაკის ბინის ფულით ვიყიდეთ და ისევ

მათ გაიფორმეს ორივე, — რა მოხდა? ჩხუბს ხომ არ დაუწყებდნენ მშობლებს — გინდათ თუ არა, მე გადმოგიფორმეთ-მეთქი?! იმის ნამდვილად არ მეშინია, რომ ოდესმე ქუჩაში დამტოვებენ და სხვა რა პრობლემა?!

— კარგი, მაშინ ის მითხარი, საკუთარ სახელზე თუ გადმოიფორმებ ოდესმე ამ ბინას, — დეკლარაციაში რამდენად შეაფასებ?

— არ ვიცი, მაშინ ალბათ უძრავ-მოდრავი ქონების რომელიმე სააგენტოს ვთხოვ ბინის რეალური ფასის განსაზღვრას.

2107“, შარშან 2.600 ლარად გაგიყიდა. გამოდის, რომ მთლად ზუსტად ვერ შეგიფასებია საკუთარი ქონება...

— იცი, რაშია საქმე? უბრალოდ, ძალიან ძველი მანქანა იყო და მართლაც არ მეგონა, თუ მასში 2.000 ლარზე მეტს მომცემდა ვინმე, მაგრამ, როგორც ჩანს, შევცდი... ბაზრობაზე ვაგვიყვანე თუ არა, მაშინვე იმდენი კლიენტი მომადგა, რომ ლამის აუქციონი გავმართე. მანქანა რამდენიმე კაცს მოეწონა, ბოლოს კი, ვიღაც აზერბაიჯანელებს მივიყიდე 1.300 დოლარად. მოკლედ, სარფიანად ვივაჭრე... სხვა,

იყო, მძლოლი კი საერთოდ არ ინდობდა მანქანას და ისე მოიშალა, რომ ახლა გამუდმებით რაღაც ნაწილები უფუჭდება ხოლმე.

— როგორც ჩანს, მეუღლისა და მანქანის გარდა, სხვა სიმდიდრე მართლაც არ გაქვს, ასეა?

— (გულთანად იცინის) ჰო, ასეა: მეუღლის, მანქანისა და ხელფასის გარდა, სხვა ავლადილება არ გამაჩნია. რომ გეუბნებით, არ გჯერათ?..

რაში ხარჯავენ

ცისკარიშვილები 600 ლარს

პანკისში ოთხდღიანი „მოგ ზაურობის“ შესახებ რამდენიმე ვერსია იყო გავრცელებული, როგორც ძალიან სტრუქტურებში, ასევე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ წრეებში. ერთი ვერსიის მიხედვით, გამტაცებლები მძველების გათავისუფლებაში გარკვეულ თანხას მოითხოვდნენ... ისიც ითქვა, რომ პეტრეს გატაცება გარკვეულწილად, პოლიტიკასაც უკავშირდებოდა, გენპროკურატურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა კი, „პროლეტარი“ დეპუტატი ნარკობარონობაშიც დაადანაშაულა. თუ ასეა, მაშ სად წაიღო ახალგაზრდა „ნარკობარონმა“ პანკისში ნაშენი ფული?

— ის ყველა ბრალდება, რაც მაშინ ჩემს წინააღმდეგ გაისმა, აბსურდული, შეკვეთილი ბრალდებაა. მძველად აყვანამდე რამდენიმე დღით ადრე, პრეზიდენტი გავაკრიტიკე: პრეზიდენტისა და მისი ოჯახის კორუფციულ საქმიანობას შევეჩუვთქვი, რომ გია მეფარიშვილი მისი „ჯიბის პროკურორი“ იყო და რომ კახა თარგამაძე ხელს უწყობდა შევარდნაძეების ოჯახურ ბიზნესს და მისი უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენდა... აი, ამის შემდეგ იყო პანკისი... მერე კი, ვიღაც დაქირავებულს ათქმევინეს, თითქოს მე ნარკობიზნესმენი ვიყავი... სად გავიგონილა, ნარკობიზნესმენი იყო და ამ დროს, პრეზიდენტსა და შინაგან საქმეთა მინისტრს ღიად უპირისპირდებოდე?! ეს მონაჩმაზი ჩვენი გუნდის დისკრედიტაციის მიზნით ვრცელდებოდა: საზოგადოების გარკვეული ნაწილი ხომ ასეთ ჭორებს ადვილად იჯერებს...

— ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ხარჯებს როგორ უმკლავდები?

— 600 ლარი მაქვს ხელფასი. 2-3 კვირა როგორღაც გყოფნის, ბოლო ერთი კვირა კი, თითქმის ყოველთვის, მშობლები გვეხმარებიან ხოლმე. თუ მომჭირნედ

საფრანგეთში წასვლა-წამოსვლა სულ რაღაც 50-60 ლარი დაგვიჯდა. პროდუქტს სუბერმარკეტებში ვყიდულობდით და სადილებს სულ სახლში ვაკეთებდით.

— დეკლარაციაში არც ნავის აგარაკი (და, შესაბამისად, მისი ღირებულება) გაქვს მითითებული, რატომ?

— წავკისის აგარაკი, თუ არ ვცდები, დედაჩემის სახელზეა გაფორმებული და იმიტომ! ეს აგარაკი მამაჩემმა 90-იანი წლების დასაწყისში იყიდა, როდესაც ფიზიკოსობას დაანება თავი და ბიზნესმენობა დაიწყო, — საქართველოში უცხოური წარმოების პროდუქცია შემოიჭინდა.

— შენ თვითონ არასდროს გიცდია, სამენარმოო საქმიანობისთვის მოგვიკიდა ხელი?


— საქართველოში — არა, მაგრამ ამერიკაში რომ ვსწავლობდი, იქ მქონდა ჩემი ბიზნესი. ბოლო წლებში, მეგობართან ერთად, საგამომცემლო ფირმა შევქმენი და პატარა ბუკლეტებს ვუშვებდით. საკმაოდ შემოსავლიანი საქმე იყო, საცხოვრებელ ხარჯებს და, ნაწილობრივ, სწავლის საფასურსაც თვითონ ვიხდიდი.

— რაც შეეხება მანქანას — დეკლარაციაში სულ რაღაც 2.000 ლარად შეფასებული „ვაზ-

უფრო ახალი მანქანის ყიდვა მინდოდა და ფულს ვაგროვებდი. იმ პერიოდში პარლამენტიდან შეერთებულ შტატებში ვიყავი მივლინებით. დღიური ხარჯების ასანაზღაურებლად, 1.100 დოლარი გამომიწერეს. ამ თანხის დიდი ნაწილი როგორღაც გადავარჩინე. ამას ისიც დაემატა, რომ ორი თვის ხელფასი და პრემია (დაახლოებით 2.000 ლარზე მეტი გამოვიდა) ერთბაშად მოგვცეს, მგონი, ცოტა ვისესხე კიდევ (დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მეგობრისგან, ავტომანქანის შესაკეთებლად და სხვა ხარჯების დასაფარავად, 400 ლარი ისესხა. — ავტ.) და „ბე-უ-მ-ვე“ ვიყიდე. თვითონ მანქანა ძვირი არ ღირდა, მაგრამ გერმანიიდან მისი ჩამოყვანა 1.000 დოლარამდე დაჯდა.

— ეს ის ისტორიული მანქანაა, რომლითაც პანკისში გაგიტაცეს, არა?

— სწორედ ეგ მანქანაა. დღესაც მაგიტო დავდივარ, თუმცა, პანკისში „მოგ ზაურობის“ შემდეგ ძალიან მაწვალებს: 7 კაცი ვისხედით, თან დანგრეული გზები



ბენიალური

ცხოვრებას იმით იწყებ ხოლმე, რომ სხვის შეყვარებაზე უარის თქმას სწავლობ, დასასრულისთვის კი, საკუთარ თავში ვეღარ პოულობ ვერაფერს ისეთს, შეყვარების ღირსად რომ ჩათვალო

ფრიდრიხ ნიცშე



დახარჯავთ, შეიძლება მთელი თვეც გაგვწვდეს, მაგრამ... ზამთრის თვეებში ცდუნებას ვერ ვუძლებ და შაბათ-კვირას გუდაურში ავდივარ ხოლმე (პეტრე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი იყო სამთო-სათხილამურო სპორტში. — ავტ.), ეს კი ძვირი სიამოვნებაა. ასეთ შემთხვევაში, ჩემი 600 ლარი ორი კვირაც კი არ გვყოფნის, თან — ანასაც ხომ უნდა მივცე ხოლმე ყოველდღიური სახარჯო ფული?

— პრეტენზიული ხომ არ არის?

— საბედნიეროდ, პრეტენზიები ჯერჯერობით არაფერში გამოუმჟღავნებია. როდესაც რაიმეს ყიდვა უნდა, ზოგჯერ თავის მშობლებსაც ართმევს ხოლმე ფულს, ზოგჯერ მე ვაძლევ ხელფასიდან 50-100 ლარს ტანსაცმლის საყიდლად. საერთოდ, თავს ცუდად არ ვგრძნობ: ჩვენ გარშემო ხომ უამრავი ოჯახია, რომელიც ჩვენზე უფრო მომჭირნედ ცხოვრობს?!

— ყველაზე ძვირფასი, რა საჩუქარი მიგიერთმევია მეუღლისთვის?

— ძვირფას საჩუქრებს იშვიათად ვყიდულობ ხოლმე. ბოლო ხელფასით ანას სათხილამურო აღჭურვილობა ვუყიდე.

— გულახდილად მითხარი, მზითვად ანას რა მოჰყვება?

— მზითვად? კი, რაღაც მზითვეი აქვს, მაგრამ ჯერჯერობით, ისევ მის მშობლებთან არის ყველაფერი...

— კონკრეტულად, მაინც რა არ გაგვიმხვალ?

— რა ვიცი, როგორც ანამ მითხრა, — როიალი, სერვიზები და ასეთი რაღაცები... როიალის დასადგმელი ადგილი ჯერჯერობით ჩვენს სახლში ვერ მოვნახეთ და ამიტომ, ვერ გადმოვავაქვს.

— ჩვენი ტრადიციული კითხვა: დაახლოებით, მაინც რა თანხა უდევს ხოლმე ჯიბეში პეტრე ცისკარიშვილს?

— ხელფასს რომ ვიღებ, იმ დღეს 600

ლარი მიღვეს ჯიბეში, ხოლო რაც შეეხება ყოველდღიური ჯიბის ფულს, — ეს თანხა 25-30 ლარს შეადგენს. ამაში კვების, მგზავრობისა და სხვა ხარჯები შედის.

ევროპაში გატარებული საქორწინო მოგზაურობა

პეტრემ და ანამ 9 ივლისს მოაწერეს ხელი და წაყვისში, ძალიან ვიწრო წრეში აღნიშნეს ვაებენიერება. ხელის მოწერის შემდეგ, შვეიცარია, იტალია და საფრანგეთი მოიარეს და არაჩვეულებრივი, ლამაზი მოგონებებით დახუნძლულები დაბრუნდნენ.

— თუ საიდუმლო არ არის, მაინც რა დაჯდა ეს ორკვირიანი ტურნე?

— სხვათა შორის, ძალიან იაფი, მაგრამ ჩემი ახლო მეგობარი, ამერიკელი დენიელი (ის საქართველოში ცხოვრობდა დიდხანს და აქ დაკვებობდით, ამჟამად კი, მოსკოვშია) რომ არ დაგვხმარებოდა, ძალიან ძვირი დაგვიჯდებოდა. თავდაპირველად, ციურისში ჩაფურინდით, იქიდან იტალიაში — მილანში (დენიელი ადრე იქ ცხოვრობდა. — ავტ.) წავედით, სადაც დენიელმა დაგვახვედრა სახლი, მანქანა და მობილური ტელეფონიც კი. თვითონ მაშინ ამერიკაში იყო წასული არდადეგებზე. დენიელის მანქანა დიზელის საწვავზე მუშაობდა, ასე რომ,

საწვავშიც მინიმალური თანხა გვეხარჯებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, საფრანგეთში წასვლა-წამოსვლა სულ რაღაც 50-60 ლარი დაგვიჯდა. პროდუქტს სუპერმარკეტებში ვყიდულობდით და სადილებს სულ სახლში ვაკეთებდით. მერე ზღვაზე, სხვა ქალაქში ვიყავით 5 დღე, სასტუმროში ვცხოვრობდით და გაცილებით მეტი ხარჯი გვქონდა... საერთო ჯამში, ყველაფერი ერთად რომ დავიანგარიშოთ, ის ორი კვირა სულ 2.000 დოლარი დაგვიჯდა.

— ვინ დაგაფინანსათ? მართო ხელფასით ნამდვილად ვერ მოახერხებდით ევროპაში მოგზაურობას...

— ვინ და მშობლებმა: თავიდან დიდი ქორწილის გადახდას ვაპირებდით, მაგრამ მერე გადავწყვიტეთ, რომ იმ თანხით, რაც ქორწილისთვის უნდა დაეხარჯათ მშობლებს, საზღვარგარეთ გვემოგზაურა! იტალიასა და საფრანგეთში სეირნობა არ სჯობდა ერთდღიან 300-კაციან სუფრას?!

პოსტსერიპტუმის მაგიერ:

როგორც პეტრემ გაგვიმხილა, თვითონ ძალიან უყვარს მოგზაურობა და ცდილობს, ანასაც შეაყვაროს... ახალგაზრდა პარლამენტარი, გარდა იმისა, რომ დიპლომებს „ავროპებს“ (დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის ფაკულტეტი, აქვს მინეაპოლისის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ეკონომიკის ბაკალავრის, ასევე — თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის მარკეტინგისა და კომერციის სპეციალისტის დიპლომი), იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ცდილობს, როგორმე იძენი ფული დაავროვოს, რომ ამ ზაფხულს მეუღლესთან ერთად, კვლავ იმოგზაუროს. ნასწავლ, მაგრამ ხელმოკლე დეკლარანტს, რომელსაც მეგობრებში ძალიან უმართლებს, ალბათ წელსაც დაეხმარებიან ამ გეგმის განხორციელებაში...



უეჭველია, რომ ყველა სასიკეთო წამოწყება, რომელმაც საზოგადოებას სარგებლობა მოუტანა, უცოლო ან უშვილო ადამიანს ეკუთვნოდა



მედიკოსი

ფრენსის ბეკონი

მედიკოსი

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის ნიენაკიდან:

1. ჟან მარე ჰომოსექსუალისტი იყო.
2. დანიას ამჟამად დედოფალი მართავს.
3. მეღუზის სხეულის 90 პროცენტი წყლისგან შედგება.



4. ავთორის კბილები სულ თავისუფლად ამსხვრევს ძვლებს.
5. კრეისერ „ავრორაზე“ ნ-დუმიანი კალიბრის ზარბაზანი იდგა.
6. ყველაზე კარგი ყნოსვა დედამიწაზე მამალ საიმპერატორო

ფარვანას აქვს.

7. პირველი კროსვორდი ნიუ-იორკში, ჟურნალ „წმინდა ნიკოლასში“ გამოქვეყნდა.

8. გ. ჟუკოვი, რ. მალინოვსკი, ა. გრეჩკო საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრები იყვნენ.

9. იმისათვის, რომ ქართველი მთიელები მიემხრო, შამილი ერეკლე მეორის შვილიშვილად ასაღებდა თავს.

10. „დღეს საქართველოში თუ არავინ გლანძღავს, ცუდადაა შენი საქმე“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ირმა სოხაძემ.

11. ნინელი ჭანკვეტაძემ ანა კარენინას როლი შეასრულა და მიანია, რომ ძალზე ბევრი მატარებელგადავლილი ქალი ცხოვრობს ირგვლივ, უფრო სწორად, მათ ჰგონიათ, რომ ცხოვრობენ, სინამდვილეში კი მატარებელგადავლილები არიან.

12. ელენე ახლავლელიანს სადილი ყოველთვის ეწვებოდა და სტუმრად მისულები შშივრები ვრჩებოდითო, – იხსენებს როსტროპოვიჩი.

13. „რად გინდა, იყო დიდი პოეტი, თუ ცხოვრებაში ზარ უბედური“, – ამბობდა გალაკტიონ ტაბიძე.

14. „ამაზე მეტი თავისუფლება პრესას არც ჰქონია. ჩვენ თავისუფლები კი არა, აღვირახსნილებიც ვართ“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში გოგი ქავთარაძემ.

15. დაბლიშვილი იეთიმ გურჯის ნამდვილი გვარია. იგი 1940 წელს გარდაიცვალა და თბილისში, დიდუბის პანთეონშია დაკრძალული.

16. ოსმალთა არარეგულარული ქვეითი ან ცხენოსანი ჯარის მოლაშქრე ჯარისკაცს XVII-XIX საუკუნეებში ბაშბუზუკი ერქვა. მოგვიანებით ეს სახელი ყაჩაღისა და ავაზაკის სინონიმად იქცა.

17. ზღვის ქარიელაბაის სხვანაირად ბარაკულას ეძახიან.



თამაზ ქორქოლიანი

ხეთვარსეკლავიანი რესტორანი

(ნამდვილი ამბავი, ავტორის მიერ ოდნავ სხვა თვალით დანახული)

კაცი რომ ფარას იშოვის, დასარჯვაც უნდა იცოდეს მისი – არ უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. პოლა, მომბეზრდა მწვალი, ხინკალი, ჩანახი, ჩაჭაფული, ოსტრი სალიანკა, საცივი და ხაჭაპური; კახური, იმერული და რაჭული ღვინოები და წავედი ხუთვარსეკლავიან ვეროპულ რესტორანში – ვეროპულად საქეფოდ, თან ჩემი მძისშვილი არნოლდია წაიყვანე.

მოგვეკვებნენ შესასვლელში, გაგვხადეს „პლაშები“, დაგვაბანინეს ხელ-პირი, თან ხუთ-ხუთი ლარი, მარტო შესვლისა, გადაგვანდევინეს. დავსხდით კუბეში... ბოლიში – ლუქს-კაბინეტში და თვალის დაბატუნება ძლივს მოვასწარი, „ავიციანტკა“ დაგვადგა თავს: კეთილი იყოს, ბატონებო, თქვენ მიზრძანება ჩვენს ხუთვარსეკლავიან, ელიტარულ რესტორანშიო, – გამოგვიცხადა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე. მესიამოვნა, რასაკვირველია. – რას ინებებთ, ბატონებო? – შეგვეკითხა ბოლოს, წმინდა ქართულით. ცოტა დავიბენი და – „ღლია ნაჲლა“, ქალბატონო, თითო კათხა „კოფე“ მოგვიტანეთ, დანარჩენს მერე მოვიფიქრებთ მე და არნოლდია-თქვა, – მიუგე მეც წმინდა ქართულით.

ფინჯანი ყავა ჩვენთან, ბატონებო, წინასწარ რომ იცოდეთ, 3 ლოლარი ღირს, ლარებში გადაყვანილი; ჩვენი რესტორნის ვიცე-პრემიერმა „საუღია ალ არაბიდან“ ჩამოიტანა, ჩვენ კი „ღლია პომპიდუს“ წესით ვამზადებთო... კი გამოკვირდა – რა ამბავია ამხელა ფარა „კოფეში-თქვა“, მაგრამ ქვეშიდან

ზომ არ გამევიდოდი – მეიტანე-თქვა, ვუთხარი.

მეიტანა მარა, რა მეიტანა, მარტო სუნი წააქცევდა კაცს, ახლა გემო? გავსინჯე და ვთქვი: ა „კოფე“, ამისთანა „კოფე“ ცხოვრებაში არ დამილევიო, ეს ყოფილა, თუ ყოფილა, აქამდე „კოფეს“ გემო არ მცოდნია-თქვა – ისე მომეწონა. – რას ამბობ, რეზო ბიძია? – ამისთანა ყავას, 3 ლოლარად ორ კილოს ვიყიდი, ჩვენი ჯიხურის გვერდით საწყობი რომაა, იქნაო, – მიჩურჩულა არნოლდიამ. – ენა გააჩერე, შეე მამამაღლო! სირცხვილია-თქვა, – ვუთხარი მე და ახლა „კოკა-კოლა“ შევუკვეთე.

ჩვენთან „კოკა-კოლა“ ათჯერ უფრო ძვირია, იმიტომ, რომ ჩვენი რესტორნის ვიცე-პრემიერმა პირდაპირ ვაშინგტონ-სიტიდან ჩამოიტანაო, – გაგვაფრთხილა „ავიციანტკამ“...

გავსინჯე ეს „კოკა-კოლა“ და ვთქვი – აი ეს არის „კოკა-კოლა“, აბა იმას კი არ ჰგავს, ჩვენთან რომ იყიდება-თქვა...

რას ამბობ, რეზო ბიძია? – მიჩურჩულა ისევ არნოლდიამ, – ეს სწორედ ის „კოკა-კოლა“ა, ჩვენთან რომ იყიდებო... ნუ მარცხვენ, შეე მამამაღლო-თქვა! – ვუთხარი და გავაჩემე. – ალკოჰოლიან სასმელებს არაფერს ინებებთ? – შემეკითხა „ავიციანტკა“, – ჩვენ ყველაფერი უცხოური და მაღალხარისხოვანი გვაქვს, ფასიც, რა თქმა უნდა, შესაბამისიაო.

„ამარეტო“ მოგვიტანე-თქვა. „ამარეტო“, ერთი ბოთლი, 70 ლოლარი

ღირს, 50-50 გრამს მოგართმევით. — როგორ გეკადრებათ, ქალბატონო?! — მოვეტანე მაგი ერთი ბოთლი-თქვა.

მეიტანა. გავსინჯე და ვთქვი: აი ნამდვილი „ამარეტო“, ამისთანა „ამარეტო“ ცხორებაში არ დამილევიდა-თქვა. რა დაგემართა, ბიძია, მაგი „ამარეტო“, ჩვენი ვიზუირიდან მარჯვნივ მესამე ვიზურში, ქუთაისელი მადონა რომ ვაჭრობს, იმისი ჩამოსხმულია, — „პროპკაზე“ ვიცანო, — მეუბნება არნოლდია...

ვერ გავაჩერე ეს ოხერი ბავშვი — ერთი-ორი წლის ჩამოსულია სოფლიდან და ყველაფერს ბანძურად უყურებს. — ენა გააჩერე, თუ არა, გაგაძვებ რესტორნიდან-თქვა, — გაგაფრთხილე უკანასკნელად.

დავლიეთ ის „ამარეტო“, ზედ 100-100 გრამი ფრანგული კონიაკი „რობესპიერი“ და ასევე ფრანგული შამპანური „გლობუსი“ მივაყოლეთ და ახლად დავაკვირდი იმ ქალბატონს, ასე მოხდენილად, ლამაზად და ზრდილობიანად რომ გვემსახურებოდა: ქალი იყო, მაგრამ რა ქალი! — ავ თვალს არ ენახებოდა — მაღალი, ჩამოსხმული, თავიდან ფეხებამდე... ნატურალური „კრასკით“ ისე ლამაზად იყო „გაკრასკული“, რომ ვერც შეატყობდი... ცოტას კი წოუკოვლებდა, პოლიუმიდან ახალგადადგინებულით, მაგრამ „პახოდაკა“ ჰქონდა, „პახოდაკა“! იქნებოდა ასე, 19-დან 40-წლამდე... ავი ქალი ჩემი უნდა განხედეს-თქვა, გაეფიქრე გულში და ისე ხმამაღლა გამიფიქრია, რომ არნოლდია მეუბნება: მაგი ქალი, რეზო ბიძია, ძველი ბაწრით მიბმული რომ ნახოს კაცმა ტყეში, — ბაწარს ახსნის და წამეიდებს, მაგას კი, დატოვებს...

ახლა კი ამეგსო მოთმინების ყველა ფიალა: შენ რა გესმის ქალების, შე ლაწირაკო?! ადექი ახლა და მოუსვი აქედან, შენი „დუხი“ არ იყოს აქანა-თქვა! მივეცი „მარშრუტკის“ ფული და გოგუშვი სახლში. თავი მარტო რომ დავიგულე, მივუბრუნდი ამ ქალბატონს. რამდენი ვეხვეწე, რამდენი და ძლივს მოვიჯინე მაგიდასთან... კაი მაგარი ვაჟკაცი ჩანხარი, — მითხრა, — მარა კარგად დაფიქრდი, ვისთან აპირებ საქმის დაჭერას: სხვანაირ ქალებში არ აგერიო, შვილიშვილებს გეფიცები, მამაკაცთან მე სიყვარულის გარეშე დალაპარაკებაც არ შემიდლია...

ჰოდა, მეც მაგისთანა ვარ — ქალი თუ არ შემეფარდა, მთელის ჩემის გულით, ვერ მივეკარები-თქვა, — მოვატყუე მე და „სვიდანა“ დოვუნშენი. — „სვიდანა“ რად გინდა? — აგერ არ ვარ ყოველდღეო?! — მიპასუხა იმანაც და მას მერე ყოველდღე ხუთფარსკვლავიან რესტორანში დავდიოდი ვითომ საქეფოდ, სინამდვილეში კი, ამ ქალის გამოსაჭერად.

ერთი წელიწადი ტყუილად ვიარე. მერე წელიწადს შევატყვე, რომ შევუყვარდი, მეც ვითომ შემეფარდა და რომ დამერწმუნებინა,

ლოვუწყე ლექსების წერა — ა, მაგალითად:

შენი მალაზია მალაზია,
დაბალზეა ჩემი მალაზია,
„ზატო“ შენსაზე ლამაზია...
ანდა, უფრო უკეთესი:
ქარმა გარეკა ზღვაში ბანდაყები,
არ შეგეშინდეს, ნუ დამანდაყები...
მესამე კიდევ, უფრო უკეთესი:
ქალო, რატომ იკბინები?
ხომ გიყიდე ბიკინები!...

მარტო ბიკინები კი არა, ვუყიდე კიდევ ოქროს „ცეპოჩკა“ მსხვილი და „ცეპოჩკა“ წვრილი, ბრილიანტის ბეჭედი „ბაღრა“ (2,6 კარატი), „ნორკოვი შუბა“ ახალთახალი, არმანის და ვერსაჩის კოლექციის კაბები, „პრესტიჟნი ლუხები“: „მანელ №747“, „კლიმა X“-ი, „ოპიუმი“ და „პრინცი იმპერიანი“ და კიდევ, რა ვიცი, რა... ჰოდა, მესამე წელიწადს ძლივს გამოვიჭირე. ვიქირავებ დიდუბეში ბინა და ვცხოვრობდით ერთი-ორი კვირა ბენდიერად, მაგრამ მერე ხასიათი შეეცვალა, ამიხრდა: გინდა თუ არა, ოთხთახიანი ბინა უნდა მიყიდე ვაკეში. მაგ ჭკუაზე ვიყავი ზუსტად, რომ ქალის დაკრულზე მეტეკვა... ავდექი და ოროთახიანი ვუყიდე საბურთალოზე... მერე მეხვეწა — „მერსედესი“ მიყიდეო. — ნურას უკაცრავად-მეთქი და „ოპელ-ვეტრაზე“ „დავსვი“, — ამითაც იოლად განვალ-თქვა. მოკლედ, ეხარდა, ეხარდა და ისე გაეზარდა ბოლოს მაღა, რომ ცოტაც და საკუთარ პატარა თვითმფრინავსაც მომთხოვდა, მაგრამ ვერ მივართვი — ვაჟკაცურად ვეწინააღმდეგებოდი: 100 დოლარს რომ მომთხოვდა ხოლმე სახარჯოდ, ორმოცდაათზე მეტს არ ვაძლევდი... მაინც ვერ „მოვბოლტე“. ბოლოს იქამდე გათამამდა — მიბრძანა: გაყიდე მამაშენის სახლი ბანძაში, შენი სახლი ნახალოვკაში, ზედ შენი „დრან-ლულიტი“ „ნივაც“ მაყოლე და ჩემი დებილი შევილიშვილი „გე-პე“-ს ფასიანიდან, ამერიკაში, ჰარვარდის ფასიანზე გადაიყვანო... ახლა კი გადახვედი მოუკრეფავში-თქვა, ვუთხარი, ახლა კი ამეგსო მოთმინების ყველა ფიალა-თქვა... რასაც ჭკვიანი კაცი იზამდა, ის გქენი ზუსტად მეც: გამოვიჯახუნე კარი და მიუხედავად იმისა, რომ გულსაკლავად მომხასოდა — ნუ წახვალ, ნუ, ჩემო ხელმწიფეო! — მაინც წამოვედი. გვერ, ვარკეთილში, მშვენიერი ოთახი აქვს ნაქირავები ჩემს არნოლდიას 40 ლარად და რაკი ნახალოვკის ბინა მაინც შემომეყიდა, მივედი მასთან. არნოლდიამაც ფართოდ გამიღო თავისი კარი, საყვარელ ბიძას და სანამ ცოტა ფეხზე დავდგები, კი ვიქნები მაგასთან. ის ქალბატონი კი, მას მერე, თვალითაც აღარ მინახავს, აღარც ხუთფარსკვლავიანი რესტორნისკენ გამიხედავს მას მერე, მასე უნდა მაგას: იჯდეს ახლა და უცადოს, როდის შესვლება კიდევ ჩემნაირი ვაჟკაცი...

ინფორმაციული-შეფასებითი კოლაჟი ეორი ღვალის უბის წიგნაკიდან:

18. „კტოტა ხორეტ მეფელ საბოი პერესორიტ ნაში სტრანი, ნო ნი ხრენა უ ნევი ნე ვიდეტ“. — ეს სიტყვები მსახიობმა ოლეგ ტაბაკოვმა აჭარის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში წარმოთქვა.

19. ჩინეთის პირველი იმპერატორი ცინში ხუანდი იყო. იგი ქვეყანას ჩვენს წელთაღრიცხვამდე 221-210 წლებში მართავდა.

20. „ინგლისში ვამაყობთ იმით, რომ მთელ მსოფლიოში რუსთაველის შემსწავლელთა შორის პიონერებად ვითვლებით...“ — ეს სიტყვები ინგლისელმა ქართველოლოგმა დევიდ მარშალ ლანგმა ახალციხეში, რუსთაველის ძეგლის გახსნაზე წარმოთქვა.

21. „მელიის ნაბიჯი“ ინგლისურიდან ასე ითარგმნება: ცეკვა „ფოქსტროტის“ სახელწოდება.

22. „იმდენი ვალები მაქვს, იმდენი ვალები, რომ თბილისში „ვერტალიოტი“ უნდა ვიარო,“ — ხუმრობდა ნიაზ დიასამიძე.

23. „თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში, კათოლიკური ტაძრის ნაცვლად, მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალ ედ-დინები, ჩინგის ხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე“, — წერდა თავის შრომაში — „თბილისის აპოლოგია“ — ავსტრიელი მეცნიერი ჰუგო ჰუბერტი.

24. გურამ ფირცხალავამ სავალდებულო სამხედრო სამსახური ციმბირში მოიხადა. ახალჩასული ჯარისკაცი ღამით საგუმავოზე გაამწესეს. სწორედ მაშინ ნახა მან პირველად სახელგანთქმული ჩრდილოეთის ციაგი („სევერნოე სიანიე“) და შიშისაგან გული გადაუბრუნდა. მთელი ცა ხანძარში იყო გახვეული. იმწუთას ტელეფონს ეცა და უფროსს დაუკავშირდა: — ტავარიშ ნაჩაღნიკ, უნას ზდეს ჰაჟარ! — შტო გარიტ? — ვსიო ნებო ვ ავნე! — ა ტი პადუი, პირცხალავა, პადუი! — ურჩია უფროსმა და ყურმილი დაკიდა.



ფ

სიქოლოგების აზრით, ხელმოწერას ადამიანის ხასიათის ბევრი თვისების გამჟღავნება შეუძლია. ხელმოწერის ანალიზისას გრაფოლოგები დაახლოებით ორმოცამდე ნიშან-თვისებას გამოყოფენ. მაგალითად, თურმე ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი დაბოლოება აქვს ხელმოწერას: ზემოთ მიიწვევს, ქვემოთ თუ სწორია. ზემოთ მიმართული „კუდი“ იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანი ოპტიმისტია, ენერჯოულია და დასახული მიზნის მიღწევას მთელ თავის ძალებს ახმარს, არ უჭირს წინააღმდეგობის დაძლევა და მუდამ დამუხტულია ახალი იდეებით. ხელმოწერის სწორი დაბოლოება იმის მიმანიშნებელია, რომ მის ავტორს თანაბრად ახასიათებს როგორც ოპტიმიზმი, ასევე პესიმიზმი, რაც უმეტესად, გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. თუ ხელმოწერის დაბოლოება ქვემოთ „იყურება“, ე.ი. ადამიანი უმეტესად, პესიმიზტურ მდგომარეობაში იმყოფება.

თუ ადამიანს გრძელი ხელმოწერა აქვს, იმას ნიშნავს, რომ იგი მოწესრიგებულია, არ უყვარს აჩქარება და ფაციფუცი, ცდილობს, ბოლომდე ჩასწვდეს საქმის არსს, სიჯიუტითა და გულმოდგინებით გამოირჩევა, თუმცა, შარინიციანია. ვისაც მოკლე ხელმოწერა აქვს, ადვილად კარგავს მოთმინებას, არ უყვარს მონოტონური სამუშაო, ადვილად სწვდება საქმის არსს და ძალიან აღიზიანებს ზანტი ადამიანები.


თუ ხელმოწერა მრგვალი ფორმის ასოებითაა შესრულებული, მისი ავტორი, როგორც წესი, კეთილი, მშვიდი და რბილი ხასიათის ადამიანია. და პირიქით – კუთხოვანი ასოები უმეტესად, მოუთმენელ და ფიცხ ადამიანებს ეკუთვნის. გარდა ამისა, კუთხოვანი ასოები დამოუკიდებლობაზე, კრიტიკულობაზე, სიჯიუტეზე, ძალაუფლებისკენ სწრაფვასა და პატივმოყვარეობაზე მეტყველებს.

თუ ხელმოწერის პირველი ასო დანარჩენებისგან ზომით ძვეთად განსხვავდება, მაშინ ადამიანი ჭირვეულია და გარშემოცოცხლებს ძალიან ბევრს მოითხოვს (ასეთი ხელმოწერები აქვთ ჯეინ სეიბურსა და ჯორჯ კლუნის). თუ ასოები ზომით თითქმის ერთნაირია, ე.ი. მისი ავტორი მოკრძალებულია და ცხოვრების მიმართ განსაკუთრებული პრეტენზიები არ გააჩნია.

ზედმეტად თვითდაჯერებული ადამიანები, ხელმოწერის დროს, კალამს მეტისმეტად აწვებიან (მაგალითად, სილვესტერ სტალონი);

ეს იდეალური ხელმოწერა

ადამიანები სხვადასხვა საბუთს თავისი ხელმოწერით უძველესი დროიდან ამონებენ. ყოველი ავტოგრაფი თავისებური და უნიკალურია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ადამიანის ხელმოწერას თურმე საერთო ნიშნებიც ახასიათებს.



ადი დაწოლით დასმული ხელმოწერა ადამიანის აგრესიულობაზეც კი მეტყველებს.

თუ ხელმოწერა რამდენიმე ადგილას წყდება, იმას ნიშნავს, რომ ადამიანს საკუთარი სურვილებისა და შესაძლებლობების პარამონაში მოყვანის უნარი აქვს.


თუ ადამიანს საკუთარი ღირსებების გადამეტებით შეფასება და შელამაზება უყვარს, მაშინ მისი ხელმოწერაც შესაბამისად „გალამაზებულია“. ასეთი ხელმოწერა უმეტესად, ხელოვან და მდიდარი წარმოსახვის მქონე ადამიანებს ახასიათებს. კომპაქტური ხელმოწერა იმ ადამიანებს აქვთ, ვისი გონებაც კონკრეტული სახეობის საქმიანობითა დაკავებული, გაკრული და გამშლილი ხელმოწერა კი, გლობალურად მოაზროვნე ადამიანებს ახასიათებს (მაგალითად, ცნობილ სატარი-

კოს მწერალს მიხაილ ფანერცკის), რომელთა შორისაც სშირად გვხვდებიან საზოგადო მოღვაწეები და ხელმძღვანელი მუშაკები.


ხელმოწერით თურმე იმის დადგენაც შეიძლება, ტენწია ადამიანი თუ ხელგამშლილი. თუ ასოები ერთმანეთისგან საკმაო მანძილითაა დაშორებული, ხელმოწერის ავტორი ხელგამშლილი და მფლანგველია, ხოლო თუ ასოები ერთმანეთზეა მიკრული, ეს ადამიანის გონომიურობასა და სიბუნწეზე მეტყველებს. სიბუნწის მაჩვენებელია აგრეთვე ძალიან პატარა ზომის ასოებიც.

თუ ადამიანი თავის ხელმოწერას ან მის ნაწილს წრეში აქცევს, იმას ნიშნავს, რომ იგი გულჩათხრობილი და ამავე დროს, დამოუკიდებელიცაა. თუ ხელმოწერა მარყუქებითაა გადატვირთული, ე.ი. მისი ავტორი ჯიუტი,

კელელმე ვასაკრავი მაგყელს ქსოვილი	პოლიციის უფროსი აშშ-ში	მენა	გამოს ნოტი	დედალი ლორი	უდიდესი შემოქმედების ნიჭი	ავეჯის ერთ-ერთ სახეობა																									
ვ	ა	ს	დ	გ	მ	ი	მ	მ	ი	ჩ	ი	ჩ	ი	ს	შ	ფ	ვ	ა	ნ	ე	ფ	ვ	ი	გ	ენი	ა	მ	ა	კ	ი	
ფანჯარაზე ჩამოსაფარებელი ქსოვილი	წიაღისეული წარმოშობის შავი ქვა	სხვისთვის გაუმჟღავნებელი მსჯელობა	ქართული საეცხრადო მთხვარალი	მღვის მგაყებელი	ვინმეზე გაწეული შრომა																										



ჯენ სემური



ჯორჯ კლვინი



თავნება და ფრთხილი ადამიანია.

ავტოგრაფში თავმოყრილი ბევრი წრე გარკვეული პრობლემის ან იდეის გამო აკვირდება მეტყველებს. რაც უფრო რთული და „გადატვირთული“ ხელმოწერა, მით უფრო მეტ პრობლემას იქმნის ცხოვრებაში მისი დამწერი, და პირიქით – რაც უფრო მარტივია ხელმოწერა, მით უფრო ნაკლები პრობლემა აქვს მის ავტორს.

თუ ხელმოწერაში ასოები ზევით-ქვევით „დასტის“, ეი ემოციურ, მოუთმენელ და გაუწონასწორებელ ადამიანთან გვაქვს საქმე (მაგალითად, იგივე სილვესტერ სტალონი). სწორი, თითქოს სასაზავით დაწერილი ავტოგრაფი თვითკონტროლსა და ადამიანის თავშეკავებულობაზე მეტყველებს. მყარი ჩვეებისა და აკვირებული იდეების მქონე ადამიანების ხელმოწერაში ხშირად მორიდება ერთი და იგივე ელემენტები.

ორიგინალური, სხვებისგან გამორჩეული ხელმოწერა დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მაჩვენებელია, მისი ავტორი მუდამ ცხოვრების გადახალისებას ცდილობს. თუ ადამიანი რამდენიმე სხვადასხვა ხელმოწერით სარგებლობს ხოლმე, იმას ნიშნავს, რომ ის ახლობლებს სხვადასხვაგვარად ექცევა. თუ ხელმოწერაში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ელემენტის კომბინაცია – მაგალითად, გვერდითი ასოების რაღაც საერთო დეტალით დაკავშირება, ასეთი ხელმოწერის ავტორები თაბტიმისტური ქმედებით გამოირჩევიან და რამდენიმე საქმის ერთდროულად შესრულებას ცდილობენ.

ძნელად გასარჩევი ხელმოწერის მქონე ადამიანები უმეტესად, ვკისრები არიან, თუმცა, ცდილობენ ამის დამალვას. თუ ხელმოწერა ადვილად იკითხება, ე.ი. მისი დამწერი ცდილობს, რომ გარშემომყოფებს კარგად ესმოდათ მისი.

თუ ხელმოწერაში ასოები დახრილი არ არის, ე.ი. მისი ავტორი თავშეკავებული, პირდაპირი და ჭკვიანი ადამიანია. თუ ასოები მარჯვნივა დახრილი, მის ავტორს გაწონასწორებული ხასიათი აქვს და კარგად ესმის ადამიანების. თითქმის „დაწოლილი“ ასოები იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანს ფსიქოლოგიური ხასიათის სერიოზული პრობლემები აწუხებს.

თუ ხელმოწერა მარცხნივა დაქანებული, იმის მანიშნებელია, რომ ადამიანის მოთხოვნები და ცხოვრების პირობები შეუსაბამობაშია მოქცეული. ეს აგრეთვე სიჯიუტისა და სხვა ადამიანებისგან გამორჩეულობის მიღწევისაკენ სწრაფვის მანიშნებელიც შეიძლება იყოს.

ლამაზი ხელმოწერა ადამიანის პიროვნულ ღირსებებზე, მის ინტელექტსა და კულტურაზე მეტყველებს. თუ ადამიანი ხელმოწერას შუაში წვევტს, ხაზით ისევ დასაწყისს უბრუნდება და ნაწერს თავიდან ავებს, იმას ნიშნავს, რომ ის ხშირად არის უმაყოფილო მიღწევით და გაბუდებით მისწრაფვის სრულყოფისკენ.


ხელმოწერის წერტილით დაბოლოება დისციპლინასა და საქმის სრულყოფილად შესრულების უნარზე მეტყველებს.

დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს ტალღისებური ხელმოწერა აქვთ; ისინი ადვილად გადიან ადაპტაციას და იოლად ეგუებიან ცხოვრების განსხვავებულ პირობებს. ვისაც ხელმოწერის ხაზგასმა სწვევია, ზედმეტად თავმოყვარე ადამიანია და ადვილად ბრახდება. მას ძალიან აინტერესებს გარშემომყოფთა აზრი საკუთარი თავის შესახებ. თუ ხელმოწერას ხაზი ზემოდან გასდევს, ე.ი. მისი ავტორი ამაყი და ქედმაღალი ადამიანია.


ხელმოწერის დაბოლოებისას „მოქმე-

ლი კულის“ სიგრძით, შეიძლება დაკავდნოთ, თუ რა რეაქცია უნდა ადამიანს მაშინ, როცა მის ცხოვრებაში ჩარევას ცდილობენ. რაც უფრო გრძელია „კული“, მით უფრო მძიმედ იტანს ადამიანი შენიშვნებს, მითითებებსა და მის ცხოვრებაში „ცხვირის ჩაყოფას“. ეს ავტორის სიფრთხილესა და წინდახედულებასზე მეტყველებს. თუ ადამიანი თავის ხელმოწერას შუაში ხაზით კვეთს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საკუთარი თავით უკმაყოფილოა, თვითკრიტიკულია და ხშირად ეპარება ეჭვი თავისი ქმედების სისწორეში.

ხელმოწერაში სიმეტრიული ნიშნების არსებობა ადამიანის ხასიათის სიმტკიცეზე მეტყველებს, მისი ავტორი განსაკუთრებით აფასებს სანდო ადამიანებს და სხვებისგან გამორჩეული ქცევები ახსიათებს.



სილვესტერ სტალონი



ქართული მხატვარი	მწერალი ... დედა	შექსპირის „ოტელოს“ პერსონაჟი	კონსტანტინოპოლი იყო ... იმპერიის დედაქალაქი	მიმართვა პოლონეთში ქალისადმი	მსახიობი გაეგანა სანჩეს ...											
ს	ვ	ჰ	ა	ფ	ი	ფ	ნ	ი	ე	ა	ს	ე	ნ	ი	ა	ს
თი... აზრობა	...? სი... რიდის?	უფსბურხელი შინელი ...	ბიბლიური წინასწარმეტყველი	ულაბნო ჩინეთის ტერიტორიაზე	ზარმაცი, მოუქნელი	ფოთლოვანი ბოსტნეული მცენარე	ყოფილი ქ. წულუკიძე									

სალომე მოშიტაშვილი

გველის სიმბოლო ქართულ ტრადიციაში უხსოვარი დროიდან მოდის. თუნდაც ის, რომ „ფუძის ანგელოზი“ გველთან ასოცირდება და რომ ფუძის გველის მოკვლა ოჯახის განადგურების ტოლფასად ითვლებოდა, გველს მისტიკური, ზებუნებრივი ძალით მოსავს.

ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში გველის სიმბოლოს შესახებ გვესაუბრება ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ნინო ავაკელია.

– ფართოდ გავრცელებულ რწმენათა მიხედვით, ყველა სახლს თავისი გველი, ანუ ფუძის მფარველი, ანგელოზი ჰყავს. ფუძის გველს მეორენაირად, „ალალ“ გველს უწოდებდნენ და იგი სახლის საძირკველში ბინადრობდა, ოჯახს ბოროტებისგან იცავდა. ხოლო „სხვა“ გველს, „არამს“ ეძახდნენ და იგი თავის მხრივ, თავადვე ასოცირდებოდა ბოროტებასთან.

– როგორ გამოარჩევდნენ ფუძის გველს „არამი“ გველისგან?


– ფუძის გველი ძირითადად, რუხი, შავი ან წითელი ფერისა იყო. იგი ოჯახის სიმდიდრის მფარველად ითვლებოდა. რძის პროდუქტების სიუხვეც მასზე იყო დამოკიდებული. წინათ, გველისთვის რძის დადგმა სცოდნიათ. ფუძის გველი შემთხვევითაც რომ ვინმეს მოეკლა, უბედურება გარდაუვალი იყო...

– ამ შემთხვევაში, რა რიტუალი არსებობდა, ე.წ. გველის რისხვისგან თავდასაღწევად?

– სასჯელის თავიდან ასაცილებლად ცოდვილს „გამოსასყიდი“ წესი უნდა შეესრულებინა. კახეთში ასეთი იყო დედა-მდეობარეს სუფრა (ანუ ფუძის ანგელოზის – გველის სუფრა). ამისთვის სპეციალურად ყიდულობდნენ იხვს, რომელსაც ეზოში ან ზედაშესთან (შეწირულ ქვევრთან, რომელშიც რომელიმე წმინდანის სახელზე შეთქმული ღვინო ასხია) დაკლავდნენ პირდაპირ მიწაზე. ზოგჯერ ცხვარს ან კიდევ ქათამს კლავდნენ. აკმევდნენ საკმეველს, ანთებდნენ სანთლებს და აუცილებლად წარმოთქვამდნენ ლოცვას: „ფუძის ანგელოზო, შენი სახელი დალოცვილია, თუ ვინმეს რაღე უნებლიეთ ისე გაუკეთებია, როგორც წესი არ არის, აპატიე და მიუტყე...“ და ასე რამდენჯერმე გაიმეორებდნენ. ზოგჯერ იმავე რიტუალს წინასწარ თავის დასაზღვევადაც ასრულებდნენ.

გველი ორბპარნი ყოფილა

– „ალალი“ და „არამი“ ...



ამბავი:

ამ ამბავს ქართული ეთნოლოგიის მეტრის, პროფესორ ვერა ბარდაველიძის ნაშრომში „ივრის ფშავლებში“ ვეცნობთ:

ქუბრიანთ ლევას ბარაქით სავსე ოჯახი ჰქონია. მის ცოლს, დიდას წითელთავა გველი „აჩენია“, რომელიც სულ თან დასდევდა, აღარ შორდებოდაო. ელდით და შიშით შეპყრობილი დიდა ლოგინად ჩავარდნილა და დიდხანს აღარც უცოცხლია. მისი სიკვდილის შემდეგ, ოჯახი უცბად გადატაკებულა, ფურ-კამეჩი და წვრილფეხობა ერთიანად დახოციათ. ამას ვინ დაეძებდა, სულ მალე ოჯახი მთლიანად ამოწყვეტილა. ჯერ შვილები დახოცილან, მერე ოჯახის უფროსი მომკვდარა. ქუბრიანთ ლევა ცოლის გვერდით დაუმარხავთ. როცა სამარეს თხრიდნენ, დიდას საფლავიდან წითელთავა გველი გამოჩნდაო...

არავინ იცის, რისთვის განურისხდა ფუძის ანგელოზი ოჯახს...

– ქალბატონო ნინო, ისიც ხომ ცნობილია, რომ გველს უმეტეს შემთხვევაში ოჯახის მცველის როლსაც მიაწერდნენ...

– დიახ, ქართულ ტრადიციებში იგი სიკეთის მომტანად და კეთილდღეობის მცველად ითვლება, მაგრამ მეორე მხრივ, შიშის მომგვრელი და ცუდის მომასწავებელიცაა. მისი გამოჩენა სახლთან ხშირად სიკვდილს უკავშირდება. რაც შეეხება მცველის ბუნებას, იგი გველის სხეულის სხვადასხვა ნაწილზეც ვრ-

ცელდება. რაჭაში ასეთი რწმენაც ყოფილა – ვინც მაისის გველს ცოცხლად ამოაძრობს ენას და ტანსაცმელში დამალავს, ის ადამიანი ყველა საქმეში გაიმარჯვებსო. ვინც გველის პერანგს ან ენას დაიკიდებს, ბედს ეწვევო და ა.შ. იმავე თვისების გამო, გველის პერანგს სახლის ზღურბლში ინახავდნენ – მშვიდობიანობისა და სიკეთის სიმბოლოდ... გარდა ამისა, თუ წითელ გველს მოკლავდნენ, საძირკველში დამარხავდნენ, ოჯახის მცველიაო – და მრავალი სხვა.

– რა კავშირია გველსა და გველემპას შორის, რწმენა-წარმოდგენების მიხედვით?

– თევზი და გველი ურთიერთშემცველი სიმბოლოებია, შესაბამისად, გველი და გველემპა ტრადიციულად უკავშირდება წყალს. თუნდაც მითოლოგიური სიუჟეტები გავიხსენოთ, რომლის მთავარი თემა გველემპათან ბრძო-

ლაა. ამ ბრძოლაში კი, რამდენიმე მთავარი მომენტი გამოიკვეთება: გველემპას მიერ წყლის მიტაცება, რასაც გველმა მოჰყვება; მსხვერპლშეწირვა ქალწულის სახით; გმირის მომზადება ურჩხულთან საომრად და გველემპას დამარცხება, ანუ ზღაპრის კეთილი ფინალი – მზეთუნახავის გათავისუფლება, წყლის გამოხსნა და ბოროტის ძლევის სიხარული...

– მითებისა და ლეგენდების მიხედვით, გველი და ნატჭრისთვალი განუყოფელია, საინტერესოა, ნატჭრისთვალი რით უკავშირდება გველს?

– გავრცელებული რწმენის მიხედვით, გველი ფლობდა თვალს (მძივს), რომელიც ხვითოს, მარგალიტის, ნატჭრისთვალის ან უბრალოდ, თვალის სახელითაა ცნობილი.

გველის თვალის, შავი კენჭის ან ღამით მანათობელი მძივის პონა დიდ ბედნიერებად ითვლებოდა. შესაბამისად, თვალის დაკარგვა უბედურებასთან ასოცირდებოდა. ასეთი რწმენაც ყოფილა: თუ წითელ გველს წითელ ნატჭრს გადაუგდებ, თვალმარგალიტს გადმოგიგდებს და რასაც ინატრებ, აგისრულდებაო...

P.S. კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა მითები გველსა და ნატჭრისთვალებზე, თუმცა, კახეთში დღესაც იხსენებენ ანაგის მთავარანგელოზის წმინდა ქალს, რომელსაც „მდეობარეს დედა თებრო“ რქმევია. მას გველები ესეოდნენ თურმე და როგორც ამბობდნენ, ქვევრის მკურნალიც ის ყოფილა: მისი „გამოწერილი“ თუნდაც ერთი წვეთი წყალი და ორი სიტყვა ყველას არჩენდაო...

ელენე სალარიძე

დადიანების სასახლიდან გატაცებული ეკატერინე ჭავჭავაძის მზითვის ერთი ნაწილი ჩხოროწყუში, ხვინის დროს იპოვა გლეხმა აღონი ესართიამ...

ამბობდნენ, ესართია ამისთვის გააციმბირესო. იმასაც ამბობდნენ, უთვალავი საგანძური იყო და სულ უცხოელებს მიჰყიდესო...

ერთი სიტყვით, ბევრ რამეს ამბობდნენ.


სინამდვილეში კი ყველაფერი ასე მოხდა:

გასული საუკუნის 30-იანი წლები იყო. ერთ ადრიან გაზაფხულზე, აღონი ესართია – ჩხოროწყუელი გლეხი კოლმეურნეობას გადარჩენილი ცალუღელა ხარით მიწას ხნავდა, მეზობელიც ეხმარებოდა. მოულოდნელად გუთანმა ბელტებს რაღაც ბრჭყვიალა ნივთები ამოაყოლა. მისცვივდნენ გუთნისდედები და რას ხედავენ – მოზრდილი, თვალმარგალიტით შემკული ოქროს თასი პირდაპირ ანათებს. ბელტები მიყარ-მოყარეს და ცოტა ხანში, თასს ასეთივე თვალისმომჭრელი ლანგარი და ექვსი მომცრო ჭიქა მიემატა. კიდევ დიდხანს იქექეს ნახნავში, ხელახლაც გაავლეს რამდენიმე კვალი, მაგრამ მეტი ვეღარაფერი იპოვეს...

ესართიამ მაშინვე „კოლექტივში შეყვანა“ დაუბრა ნაპოვნს, თუმცა, მეზობელი არ დათანხმდა. ბოლოს მორიგდნენ – ნივთები შუაზე გავიყიოთ და ჩვენს წილს თვითონვე მივხედოთო. ესართიას თასი ერგო, მის მეზობელს – ლანგარი და ჭიქები... ესართიამ თავისი წილი განძი პერანგში სათუთად გაახვია და საგულდაგულოდ გადაამალა...

რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყო, რომ მის მეზობელს ფოთში გაუყიდა ნაპოვნი ნივთები ვიღაც ბერძენ თუ თათარ ვაჭარზე... კაი ფასი მომცეს და შენც გაყიდეო, შეგაგულიანა თურმე ისიც. აღონი ესართიას ორი კლასის განათლება ჰქონია (მის მეზობელს კი, სკოლაში არ უვლია) და კარგად იცოდა, კომუნისტები არაფერს შეარჩენდნენ. ისიც უთქვამს, ასეთი ძვირფასი რამის გაყიდვა ცოდვა იქნებოდაო (როგორც ჩანს, მართლ „განათლება“ კი არა, სინდისიც ჰქონია ესართიას).

ასე იყო თუ ისე, ეროვნული საგანძურის შევსების სურვილმა თუ დაპატიმრების შიშმა, ესართია არტელში მიიყვანა



გუთანს ხაოხოლილი კვირუასი მზითავი

პერანგში გახვეული ოქროს თასით... იქ კიდევ, თქვეს – მართლ ეს ნივთი როგორ იქნებოდა იმხელა მინდორშიო და – სამი დღე-ღამით „ვირის აბანო“ გამოუწერეს (კიდევ კარგი, მართლა არ გააციმბირეს), რაც იცოდა და არ იცოდა, სულ პირვინდად დააფქვევინეს. ბოლოს, როგორც იქნა, მის უდანაშაულობაში დარწმუნდნენ და გამოისტუმრეს, არც ფულადი ჯილდო მიუცია ვინმეს და არც ქების სიგელი, ერთადერთი პერანგიც კი დაატოვებინეს...

მოგვიანებით, ოქროს ჭურჭელი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოიტანეს. მერე კი, როცა ამ ჭურჭლის „ისტორია“ შეიტყვეს ჩხოროწყუში და ისიც, რომ მათმა მეზობელმა ასეთივე უძვირფასესი ნივთები ვიღაც უცხოელს მიჰყიდა, იმდენი უქნიათ, რომ ის კაცი იძულებული გამხდარა, სხვაგან გადასახლებულიყო დედაბუდიანად...

ახლა ამ ხმაურიან ჭურჭელსაც შევაჯლოთ თვალი, საქართველოს საგანძურში რომ „მოკალათებულა“.

გვესაუბრება ხელოვნების მუზეუმის საგანძურის მცველი, ქალბატონი **ელენე კავალიშვილი**:

– როგორც ჩანს, თავის დროზე ეს ჭურჭელი მაღალეფიანი იყო და სავარაუდოდ, საღვინედ გამოიყენებოდა...

– ასეთი ძვირფასი საღვინე?

– დიახ, ეს სამეფო ჭურჭელია. იგი ორფენოვანია, შიგნით ვერცხლია, გარეთ – ოქრო. შემკულია ფირუზის და ძოწის თვლებით. ჩაკეთილფონიანი მცენარეული დეკორი პირდაპირ მიუთითებს სეფიანთა ირანის ხელოვნების გავლენას, ამისივე მაჩვენებელია ფირუზის სიჭარბე.

– ცნობილია თუ არა ამ ჭურჭლის დამზადების ადგილი?

– ნაკეთობა კახეთის საოქრომჭედლო სკოლას წარმოადგენს და როგორც გამოირკვა, იგი XVI საუკუნეში შეიქმნა კახეთისავე საოქრომჭედლო კერაში. ჭურჭელი საგანგებოდ შეისწავლა ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ, პროფესორმა რენე შერლინგმა (გერმანული წარმოშობის ქართველმა მეცნიერმა). ქალბატონმა რენემ დიდი შეფასება მისცა ამ უძვირფასეს ჭურჭელს და აღნიშნა, რომ მისი მსგავსი მხოლოდ „ერმიტაჟის“ სამეფო ჭურჭელი შეიძლება იყოს. ლენინგრადში გამოფენილ სამეფო ჭურჭელს კი, მოგეხსენებათ, მსოფლიოში ანალოგი ძნელად თუ მოეპოვება...

– კახელი ოქრომჭედლის ნოსტატარი როგორ მოხდა ჩხორონწყუში?

– სავარაუდოა, რომ ეს ნივთი ეკატერინე ჭავჭავაძის მზითვის ნაწილი იყო. როგორც ვიცით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში დადიანების სასახლე ზუგდიდში გაიძარცვა. ვინ იცის, მძარცველებმა სწორედ ამ სასახლიდან ნაძარცვი ნივთების ნაწილი ჩავლეს ჩხოროწყუში და ეს ნივთები ამოჰყვა იქაური გლეხის გუთანს...

P.S. ეკატერინე ჭავჭავაძის ხელშეწავლებ მშვენიერ საღვინესთან კარგა ხნით დაყოვნებულთ, სტუდენტების ჯგუფი შემოვიერთდა, მომავალ ხელოვნებათმცოდნეებს ქალბატონი ელენე კავალიშვილი ხელოვნების ისტორიას უკითხავს. მეც სიამოვნებით შეუვერთი მორიგ ერთსაათიან ლექციას, რომლითაც სტუდენტებმა თვალის ერთი გადავლებით მიმოიხილეს უმდიდრესი საგანძური საირხის ანტიკური ნივთებიდან დაწყებული, დადიანის ქალის მიერ აბრეშუმზე ოქრომკედლით ამოქარგული ხატიც დამთავრებული... დადიანის ქალის განსაკვივრებელ ნაქარგებს მომდევნო ნომერში ვაგაცნობთ.

ბუდასავით მუვიდი და უიდბლო რობი

დოსია:

დაბადების თარიღი: 1967 წლის 18 თებერვალი
 დაბადების ადგილი: კალდონო (ვიჩენცასთან მდებარე პატარა ქალაქი)
 სიმაღლე: 174 სმ
 წონა: 73 კგ
 პირველი კლუბი: „ვიჩენცა“ (1982)
 ძირითადი მიღწევები: იტალიის ჩემპიონი (1994/95; 1995/96), უეფას თასის მფლობელი (1992/93), მსოფლიო ჩემპიონატების ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლების მფლობელი (შესაბამისად 1990 და 1994 წლებში), 1993 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

ალექსი რეხვიავილი

რობერტო ბაჯო დიდ ოჯახში იზრდებოდა. ფლორინდო და მათილდა ბაჯოებს, რობერტოს გარდა, კიდევ შვიდი შვილი ჰყავდათ. ფლორინდო ბაჯოს საკუთარი მალაზია ჰქონდა და მისი საშუალებით ინახავდა ოჯახს. მათილდა კი, დიასახლისი იყო და ოჯახის საშინაო საქმეებს ავგარებდა. რობერტო ფეხბურთმა ბავშვობაშივე გაიტაცა. ამაში კი, იმანაც შეუწყო ხელი, რომ მამას იგი ხშირად დაჰყავდა სტადიონზე. გარდა ამისა, პატარაობისას, ნებისმიერ დროს შეეძლო ძმებთან ერთად ებურთავა და ამისთვის შორს წასვლა არ სჭირდებოდა. ისე კი, თავად ფლორინდო ბაჯო ახალგაზრდობაში ველომბროლელი ყოფილა და დიდი სურვილი ჰქონია, რომ შვილებიც სპორტის



უკვე მრავალი წელია, რაც „ბრეშას“ ნახევარმცველი, რობერტო ბაჯო იტალიელი ტიფოზების უსაყვარლეს ფეხბურთელად რჩება. ცოტა ხნის წინ, კუდა (სწორედ ასე მოიხსენიებენ ხშირად რობერტოს, მისი კიკინის გამო, ფეხბურთის გულშემატკიფრები) 35 წლის გახდა, თუმცა მას იტალიაში მაინც მიიჩნევენ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე, კორეა-იაპონიაში გასამგზავრებული ეროვნული ნაკრების რიგებში მოხვედრის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად. მიუხედავად იმისა, რომ 80-90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი ამჟამად ტრავმირებულია, იგი იმედს არ კარგავს, რომ მსოფლიო თასის გათამაშების დაწყებამდე რამდენიმე თვეში, სასურველ სპორტულ ფორმას დაიბრუნებს და „სკუადრა აძურას“ მსოფლიო თასის მოპოვებაში დაეხმარება.

ამ სახეობას გაჰყოლოდნენ. „მამა ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ველოსპორტს გავყოლოდი. მე ძალიან მიყვარდა ველოსიპედით სიარული, თუმცა, ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როდესაც ისე გამოიტაცა ფეხბურთმა, რომ მის გარეშე ყოფნა ერთი დღეც აღარ შემეძლო“, — იხსენებს რობერტო ბაჯო, რომელმაც ველოსპორტს ფეხბურთი არჩია და უკვე 9 წლის ასაკში ბავშვთა გუნდში დაიწყო თამაში. სხვათა შორის, რობის ერთ-ერთმა ძმამ, ედიმაც „იმედი გაუცრუა“ ფლორინდო ბაჯოს და დღეს ისიც პროფესიონალი ფეხბურთელია. ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში,

რობი „ვიჩენცას“ ხელმძღვანელობამ შენიშნა და კლუბის ახალგაზრდულ გუნდში მიიწვია. მაშინ „ვიჩენცა“ იტალიის სერია C-ში თამაშობდა, რობერტო ბაჯოს კი, უკვე სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც შესანიშნავ ბომბარდირს, თუმცა, მას რატომღაც თავიდან, ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდნენ. „ჩემთვის გაუგებარი იყო ის, თუ რატომ უნდა ვმჯდარიყავი სათადარიგოთა სკამზე, როდესაც ყოველთვის შემეძლო გოლები გატანა და საოლე პასების გაკეთება. სათადარიგოთა სკამზე ჯდომისას, ყოველთვის უსიამოვნო შეგრძნება მაქვს ხოლმე, თუმცა ვიცი, რომ ეს ყველაფერი დროებითია, საჭიროა მხოლოდ დიდი ნებისყოფა და სულიერი სიმშვიდე, რაც ჩემი



შემდგომი წარმატების საწინდარი იქნება. სწორედ შრომისმოყვარეობითა და მოთმინებით დავიმკვიდრე ადგილი დიდ ფეხბურთში“ – ამბობს ბაჯო, რომელმაც „ვიჩენცას“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაპყვადების შემდეგ, 1984-85 წლების საფეხბურთო სეზონში ნამდვილი ბომბარდირის თვისებები გამოავლინა, 29 მატჩში 12 გოლი გაიტანა და დიდი როლი შეასრულა იტალიის სერია B-ში თავისი გუნდის გადასვლაში. რა თქმა უნდა, „ვიჩენცას“ ნიჭიერი თინეჯერი ფორვარდი იტალიის სერია A-ში მოთამაშე გუნდების მესვეურთ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და 1985 წლის 3 მაისს რობინ კლუბ „ფიორენტინასთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბაჯოსთვის ბავშვობის წლები უკვე წარსულს ჩაბარდა და მას წინააღმდეგობებით აღსავსე დიდ ფეხბურთში ბრძოლით უნდა დაემკვიდრებინა ადგილი. „მეზვდი, რომ ის, რისი გაკეთებაც ბავშვობაში შემიძლო, ის საიმოწებოა, რომელსაც შინ თამაშით ვიღებდი, აღარასოდეს დამიბრუნდებოდა. ცხადია, ბავშვობაშივე დიდ ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი და სკოლაში სიარულიც მაინცდამაინც დიდ საიმოწებოს არ მანიჭებდა. უბრალოდ, ყოველთვის, ყველაფერს ფეხბურთის თამაშში მერჩივნა. შემდეგ დადგა დღე, როდესაც მივხვდი, რომ ჩემი მომავალი ფეხბურთთან იყო დაკავშირებული და ამ ყველაფრისგან ერთი ნაბიჯი მაშორებდა, თუმცა პროფესიონალურ ფეხბურთში ჩემი დებიუტი ძალიან რთული აღმოჩნდა“, – იხსენებს რობერტო ბაჯო, რომელიც ისევე, როგორც „ვიჩენცაში“ თამაშისას, პირველ სეზონში „ფიორენტინაშიც“ ძალიან იშვიათად გაჰყავდათ მინდორზე.

რობის დებიუტი იტალიის სერია A-ში 1986 წლის 21 სექტემბერს შედგა „ფიორენტინა“ – „სამპდორიის“ მატჩში, მაგრამ სამწუხაროდ, მან მალე მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და თითქმის ორი სეზონით გამოეშვიდობა მწვანე მინდორს. „მეგონა, ტრავმა სამუდამოდ დაუსვამდა წერტილს ჩემს საფეხბურთო კარიერას, – იხსენებს რობი, – ამ გარემოებამ დიდ ფეხბურთში ჩემი შესვლა საგრძნობლად გადაავადა. თითქმის ორი წლის განმავლობაში აღარ მითამაშია. ამ ყველაფერს დასასრული აღარ უჩანდა და ვგრძნობდი, რომ მაშინ სრულიად მარტო ვიყავი. ვისგანაც დახმარებას ან თანაგრძნობას ველოდი, არაფერი მიმიღია. მიუხედავად ამისა, ყოველთვის ვებრძოდი სიბნელებს და ვცდილობდი, ჩემი მდგომარეობა უკეთესობისკენ შემომებრუნებინა. ნათქვამია, რომ ზოგჯერ შხამმაც შეიძლება წამალივით იმოქმედოს“.

მიუხედავად იმისა, რომ ოთხმოციანი

წლების მეორე ნახევარში „ფიორენტინა“ იტალიის სერია A-ში მეშვიდე ადგილს არ ასცილებია, ამ გარემოებას გამოჯანმრთელებული რობერტო ბაჯოსათვის ხელი არ შეუშლია, რომ მაქსიმალურად გამოეყვლინა თავისი საფეხბურთო ნიჭი. სწორედ იმ პერიოდში გაიცნო მთელმა საფეხბურთო სამყარომ ახალგაზრდა, გრძელთმიანი იტალიელი მოთამაშე, რომელსაც გოლის გატანის არაჩვეულებრივი ალლო ჰქონდა, გამოირჩეოდა უნაკლო ტექნიკითა და დრიბლინგით და ბრწყინვალედ ხედავდა მიედანს. კუდა ფლორენციელთა ნამდვილ კერპად იქცა, თუმცა „ფიორენტინას“ უკვე მყარად ჰქონდა დამკვიდრებული ადგილი საშუალო დონის იტალიურ გუნდებს შორის, ხოლო ბაჯოს კი, თავისი სპორტული შესაძლებლობების უკეთესად გამოსავლენად, ისეთ გუნდში თამაში ესაჭიროებოდა, რომელთან ერთადაც დიდ გამარჯვებებსაც იზიემებდა. უკანასკნელი სეზონი, რომელიც რობინ „ფიორენტინაში“ ჩაატარა, ფეხბურთელისთვის ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. 32 მატჩში მან 17 გოლი გაიტანა და იტალიის საუკეთესო ბომბარდირის წოდებისათვის ბრძოლაში, პირველობა მხოლოდ ლეგენდარულ ვან ბასტენს დაუთმო. თუმცა, იმავდროულად, ერთი ბურთის უპირატესობით, უკან ჩამოივლო და დიეგო მარადონა, რომელმაც მაშინ „ნაპოლის“ სკუდეტო მოაგებინა. იმ სეზონში რობერტო ბაჯოს დიდი დამ-



სახურება მიუძღვოდა უეფას თასის გათამაშების ფინალში „ფიორენტინას“ გაყვანაში, თუმცა, ფინალურ შეხვედრაში ფლორენციელთა საყვარელმა კლუბმა, ერთ-ერთი პრესტიჟული ევროპული საკლუბო ტურნირის პირველობა ტურინის „იუვენტუსს“ დაუთმო. სწორედ იმ მატჩში რობის თამაშის ხილვის შემდეგ, „ბებერი ქალბატონის“ მესვეურთ დიდი სურვილი გაუჩნდათ, რომ ფლორენციული კლუბის შესანიშნავ ფორვარდს მათი გუნდის ღირსება დაეცვა. ორ კლუბს შორის გარიგება მალევე შედგა და „იუვენტუსმა“ – იმ დროისათვის ასტრონომიულ ფასად – 17 მილიონ დოლარად შეიძინა რობერტო ბაჯო. ამ ტრანსფერის შემდეგ, განსაკუთრებულად დაიძაბა ურთიერთობა „ფიორენტინასა“ და „იუვენტუსის“ გულშემატკივრებს შორის, რადგან ფლორენციელებს ვერ წარმოედგინათ, რომ მათი უსაყვარლესი ფეხბურთელი „ფიორეს“ იისფერ მისურს აღარ ჩაიცვამდა. „დიდად სასიამოვნოა იმისი შეგრძნება, რომ შენ პუბლიკის სათაყვანებელი პიროვნება ხარ. ეს მართლაც ბრწყინვალე განცდაა, თუმცა ვერ ავიხსნით რატომ. რა თქმა უნდა, ისეც ხდება ხოლმე, როდესაც დღეს შენ გულშემატკივართათვის ყველაზე საყვარელი ფეხბურთელი ხარ, მაგრამ დღეა დრო და მათთვის საბუღალველი ხდება. ეს ჩვენი პროფესიის ერთ-ერთი განსაკუთრებული მხარეა, რის შესახებაც ფეხბურთელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს. ნებისმიერ ქალაქში, ნებისმიერ გუნდში ამგვარი პოპულარობისას თავად უნდა გქონდეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, თუმცა ყველაფერს ის წყვეტს, თუ როგორ მოქმედებ საფეხბურთო მინდორზე“, – ამბობს რობი, რომლის „ფიორენტინადან“ „იუვეში“ გადასვლის გამო, 1990 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ, იტალიის ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაჯა კოვერჩანო (სადაც მაშინ „სკუადრ აძურა“ ემზადებოდა) ფეხბურ-



თის ფლორენციელმა გულშემატკივრებ-
მა ალფაში მოაქციეს. „ფიორეს“ ფანები
საყვარელი ფეხბურთელის გაყიდვით ისე
იყვნენ გაღიზიანებულები, რომ პოლიცია-
სთან დიდი შეხლა-შემოხლა მოუხდათ,
რის შედეგადაც 50-მდე კაცმა სხეულის
დაზიანება მიიღო, ხოლო 15 გულშემატ-
კივარი კი, დააპატიმრეს.

„იუვენტუსში“ გადასვლა რობერტო
ბაჯოსათვის მართლაც წარმატებული აღ-
მოჩნდა. კულა თანდათან აუმჯობესებდა
თავის ბომბარდირულ მანკვინებს და
1992-93 წლების სეზონში, 27 მატჩში 21
გოლი გაიტანა. იმავე წელს რობიმ,
ტურინულ კლუბთან ერთად, უეფას თა-
სიც მოიგო, წლის ბოლოს კი, მსოფლიოსა
და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად
დაასახელეს. „არ მიმჩნია, თავი მსოფ-
ლიოს საუკეთესო მოთამაშედ, — ამბობდა
ხშირად რობერტო ბაჯო, როდესაც პლან-
ეტის №1 ფეხბურთელად დაასახელეს, —
ვფიქრობ, პირველ რიგში, ადამიანი თავის-
უფალი უნდა იყოს იმ იარლიყისგან,
რომელსაც მას აწებებენ, — თუმცა, შენს
ყოველ ჟესტს გარშემომყოფნი ისეთ ინ-
ტერპრეტაციას უკეთებენ, თითქოს საუკეთესო
ხარ ან ასეთად ითვლები. მთავარი ის
არის, რომ საკუთარ თავთან პარმონიაში
ყოფნა შეგეძლოს. როგორ იცხოვრებ იმ
ზეწოლის ქვეშ, რომელსაც მართლაც გან-
იცდი გარშემომყოფთაგან, — ეს თავად
შენს ხასიათზეა დამოკიდებული. ყოველთვის
ვცდილობდი, რომ რაიმე გარე
ფაქტორს არ მოეხდინა ჩემზე ზემოქმედე-
ბა და ისევ იმას ვიტყვი: მთავარია დარჩე
იმაღ, რაც ხარ“.



1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი,
რომელსაც იტალიამ უმასპინძლა, რობ-
ერტო ბაჯოსათვის სადებიუტო აღმოჩნ-
და. აპენინის ნახევარკუნძულის მკვიდრნი
იმედს არ კარგავდნენ, რომ „სკუადრა
აძურა“ სამშობლოში თამაშის უპირატე-
სობას გამოიყენებდა და მსოფლიო თასს
დაეუფლებოდა. რობიმაც ამ ტურნირზე
დამაჯერებლად ითამაშა, თუმცა მისი გუნ-
დი ნახევარფინალურ მატჩში არგენტინ-
ის გუნდთან (რომელსაც მაშინ დიეგო
მარადონა კაპიტნობდა) პენალტების სე-
რიაში დამარცხდა და საბოლოოდ, მხ-
ოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

რობერტო ბაჯოსათვის გაცილებით
დრამატული აღმოჩნდა აშშ-ში ჩატარე-
ბული 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი.
გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით,
რომ იმ ტურნირზე იტალიელთა გუნდი
ფინალურ მატჩამდე სწორედ რობის უზა-
ლო ოსტატობამ და კრიტიკულ მომენტ-
ებში მთელი პასუხისმგებლობისა და თამა-
შის სადავეების საკუთარ თავზე აღების
უნარმა მიიყვანა. მერვედფინალურ მატჩ-
ში, რომელშიც შეხვედრის დასრულებამ-
დე 2 წუთით ადრე იტალიის ნაკრები
ნიგერიელებთან მარცხდებოდა, „სკუადრა
აძურა“ ტურნირიდან გამოთიშვას, შეცე-
ლაზე შემოსულმა რობიმ გადაარჩინა:
მატჩის 88-ე წუთზე ბაჯომ ანგარიშში
გათანაბრა, ხოლო დამატებით დროში
მის მიერ გატანილმა მეორე გოლმა იტალი-
ელებს მეოთხედფინალისკენ გაუხსნა გზა.
ესპანელებთან ჩატარებულ მეოთხედფი-
ნალურ მატჩშიც, იგივე 88-ე წუთი, „სკუად-
რა აძურასათვის“, მისი მწვრთნელის, არიგო
საკისა და რობერტო ბაჯოსათვის თითქოს
ფატალური აღმოჩნდა. ანგარიში 1:1 იყო
და საფინალო სასტვენამდე რამდენიმე
წუთით ადრე, კულამ გამარჯვების გოლი
გაიტანა. ნახევარფინალურ შეხვედრაში
იტალიის ნაკრებმა ბაჯოს მიერ გატანი-
ლი ორი ბურთის წყალობით, ანგარიშით
2:1 სძლია ბულგარეთის გუნდს, რომელ-
შიც მაშინ ხრისტო სტიოჩკოვი თამა-
შობდა. შეიძლება ითქვას, რომ რობერტო
ბაჯოს საფეხბურთო კარიერაში უმძიმესი
მატჩი იტალია-ბრაზილიის ფინალური
შეხვედრა იყო. მატჩის ძირითადი და
დამატებითი დრო უგოლოდ დასრულდა,
თუმცა ტრავმირებული რობი ყველანაირად
ცდილობდა, რომ ბრაზილიელთა კარში
გამარჯვების გოლი გაეტანა. მსაჯმა ნერვე-
ბის ამშლელი პენალტების სერია დანი-
შნა და აი, ბედის ირონია — რობის
სწორედ გადაწყვეტ მომენტში შეაქცია
ზურგი ფორტუნამ: კულას მიერ დარტ-
ყმული ბურთი, რომელსაც იტალიელთა
ბედი უნდა გადაეწყვიტა, კარის ძელს
გადასცდა. ბრაზილიის ეროვნული ნა-
კრები ჩემპიონობის მეოთხედ ზეიმობდა,



რობერტო ბაჯო და ფრანკო ბარეზი კი
(იტალიელთა კაპიტანი, რომელმაც ასევე
ვერ გამოიყენა პენალტი), ყველას დასან-
ახად ქვითინებდნენ: როდისღა მიეცემო-
დათ ან მათ, ან მათ გუნდს მსოფლიო
თასის მოგების ასეთი კარგი შანსი?..

მსოფლიო ჩემპიონატზე ნაგემმა მარცხ-
მა რობერტო ბაჯოზე დიდად იმოქმედა
თუმცა მან, როგორც ყოველთვის, ჩვეული
ნებისყოფა გამოიჩინა და კვლავ დაუბრუნდა
დიდ ფეხბურთს. ამბობენ, ცხოვრება პარა-
ლოქსებითა და მოულოდნელობებითაა
აღსავსე. მსოფლიო პირველობის შემდეგ,
„იუვენტუსსა“ და მილანში“ რობერტომ
სამი საფეხბურთო სეზონი ჩაატარა და
ამ ხნის მანძილზე მხოლოდ 15 გოლი
გაიტანა. ბომბარდირისათვის ასეთი და-
ბალი მაჩვენებლის მიუხედავად, ორივე
გუნდის შემადგენლობაში ბაჯომ სკუდე-
ტო მოიგო. ამის შემდეგ კულამ ჯერ
„ბოლონიას“, შემდეგ კი, მილანის „ინ-
ტერს“ მიაშურა. 1998 წელს, საფრანგეთში
ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, რობ-
ერტო ბაჯო „სკუადრა აძურას“ შემტვეი
ხაზის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო
(რა თქმა უნდა, მაშინ, როდესაც იგი სათ-
ადარიგოთა სკამზე არ იმყოფებოდა), თუმცა,
იტალიელებს კვლავ ბედმა უმტყუნათ.
ამჯერად ისინი მასპინძლებთან გამართუ-
ლი მატჩის პენალტების სერიის შედე-
გად გამოეთხოვნენ ტურნირს.

პირად ცხოვრებაში რობი, ფეხბურ-
თის ბევრი სხვა ვარსკვლავისგან განსხ-
ვავებით, სიმშვიდითა და მოკრძალებუ-
ლობით გამოირჩევა. არასოდეს ცდილობს
არასპორტული ქმედებით პოპულარობის
მოხვეჭვას და ამიტომ, მისი არასაფეხ-
ბურთო ცხოვრება ყველასათვის შეუქმნ-
ველი რჩება. რობერტო ბაჯო ძალიან
მორწმუნე ადამიანია, თუმცა, მან სარწმუ-
ნოება ჯერ კიდევ მაშინ შეიცვალა, როდესაც
დიდ ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს
დგამდა და ევროპელისთვის არატრადი-
ციული აღმსარებლობა აირჩია. „ვფიქრობ,
სულიერი საწყისი ყველა ადამიანისთვისაა

აუცილებელი. თითოეული პიროვნება თავის ცხოვრებისეულ გზას გაივლის და ამავე დროს, მას ყველასგან განსხვავებული საკუთარი სულიერი სამყარო აქვს. მე, 20 წლამდე, კათოლიკურ ეკლესიაში დავდიოდი, მაგრამ შემდეგ, ბუდიზმი აღმოვაჩინე. ამ ფაქტმა ჩემში დადებითი თვისებების მატარებელი ახალი ძალები გამოათავისუფლა. მას შემდეგ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც დადებით ენერჯიას ვფლობ, რომლის სხეულზე გადაცემაც კი შემიძლია“, – ამბობს რობი, რომელიც ამჟამად „ბრემას“ შემადგენლობაში თამაშობს და დიდი იმედი აქვს იმისა, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე, კორეა-იაპონიაში, იტალიის ეროვნული ნაკრების მაისურს კვლავ მოირგებს. ამის იმედს კი, რობის იტალიელთა მთავარი მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის ჯერ კიდევ შარშან გაკეთებული განცხადებაც აძლევს, რომლის მიხედვითაც, ტრაპს ძალიან სურს, რომ რობერტო ბაჯო „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში დააყენოს, რადგან რობის თამაშში გარდატეხის შეტანა შეუძლია. „მე კვლავ აღვიდგენ სასურველ ფორმას და იმედი მაქვს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს შევძლებ, – განაცხადა ცოტა ხნის წინ რობიმ, – ამასთან, ჩემი რწმენა და კორეა-იაპონიაში გამგზავრების სურვილი, იმის სტიმულსაც მაძლევს, რომ აგერ უკვე თავადაც აღარ ვიცი, მერამდენედ დავუბრუნდე ტრაპის შემდეგ მინდორს. სულმოუთქმელად ველოდები, როდის გამოაქვეყნებს ჯოვანი ტრაპატონი მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი გუნდის ფეხბურთელთა სიას“.



აელანეთში სათესმუდით ხულიგნები გამთრნდნენ



როგორც ჩანს, აელანეთში ცხოვრება ნელ-ნელა ჩვეულებრივ კალაპოტში დგება. სულ ცოტა ხნის წინ, ქაბულში, ადგილობრივ საფეხბურთო გუნდ „ქაბულ იუნაიტედს“ და აელანეთში განთავსებული სამხედრო-სამშვიდობო ძალების გუნდებს შორის, შეხვედრა გაიმართა, რომლის მსვლელობის დროსაც, სტადიონზე პირველად აელანელი საფეხბურთო ხულიგნები გამოჩნდნენ და

დიდი ჩხუბიც ატეხეს. თვითმხილველთა თქმით, მასობრივი შეხლა-შემოხლა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე ატყდა, როდესაც „ისტორიულ შეხვედრაზე“ დასწრების მსურველი აელანელთა მრავალათასიანი ბრბო ისედაც გადატვირთულ სტადიონზე შესვლას შეეცადა. ამის გამო, სტადიონის კართან საფეხბურთო მატჩზე დასწრების მსურველებმა, სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებსა და აელანელ პოლიციელებს ქვები დაუშინეს. ამ შეტაკებისას დაახლოებით 50 აელანელი და სამშვიდობო ძალების 5 ჯარისკაცი დაშავდა. მათ შორის ბევრმა – თავის დაზიანება მიიღო. გულშემატკივრები არც ამის შემდეგ დამშვიდებულან და მატჩის დროსაც განაგრძეს ხულიგნობა. განსაკუთრებით კი, მაშინ აქტიურობდნენ, როდესაც გოლი გადიოდა, ხოლო როდესაც მატჩი უცხოელი ჯარისკაცების გამარჯვებით, ანგარიშით 3:1 დასრულდა, კიდევ უფრო გაღიზიანდნენ. აქვე მკითხველს შევასწავებთ, რომ აელანეთში თალიბანის მმართველობის პერიოდში ფეხბურთი (და საერთოდ, სპორტის ნებისმიერი სახეობა) აკრძალული იყო. აელანეთის ახალმა, დროებითმა მთავრობამ კი, როგორც ჩანს, მოსახლეობაში ფეხბურთის პოპულარიზაცია განიზრახა, თუმცა, ვერ გაითვალისწინა, რომ ის მრავალი წლის განმავლობაში მკაცრი დიქტატურისა და აუტანელი სიდუხჭირის პირობებში ცხოვრობდა, რამაც შესაბამისი ფსიქოლოგიური დალი დაანია. მაშინ, როცა მასობრივი არეულობა დემოკრატიულ ქვეყნებშიც ხშირად ხდება ხოლმე, ეს მაგალითი სულაც არ არის გასაკვირი.

ატგენინელმა თანემმა მთგანდის სიცდცსლ იმსხეკბლეს

არგენტინის ჩემპიონატში მონაწილე კლუბების გულშემატკივრებს შორის იშვიათობას არ წარმოადგენს სისხლიანი შეტაკებები. ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს, მძიმე ტრავმები მიიღო 14 წლის ბიჭმა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ წარმომადგენლებს ამ სამწუხარო შემთხვევის შესახებ არავითარი კომენტარი არ გაუკეთებიათ. ადგილობრივი გამომცემების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ფეხბურთის გაავებულმა გულშემატკივრებმა ბავშვი სიკვდილამდე სცემეს „ესტუდიანტესისა“ და „ხიმნასიას“ შორის, მატჩის დროს. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი კვირის მანძილზე, გულშემატკივრებს შორის მომხდარი კონფლიქტისას დაფიქსირებული, ეს მეორე მკვლელობაა. ორი კვირის წინ, ანალოგიური ინციდენტის დროს, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ერთი მაყურებელი და პოლიციელი, 12-მა კაცმა კი, სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. „ესტუდიანტესისა“ და „ხიმნასიას“ შორის მატჩის მსვლელობისას ატეხილი ჩხუბის დროს, პოლიციამ 6 ხულიგანი დააპატიმრა. მკითხველს აქვე ვაუწყებთ, რომ არგენტინაში საფეხბურთო ხულიგნების ბანდები პირველად გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდნენ და მას შემდეგ, მათ არაადამიანურ და არასპორტულ ქმედებებს ათეულობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაედო სათავე, როდესაც სასულიერო განმათავისუფლებელ მოძრაობას ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) ჩაუდგა სათავეში. XX საუკუნის დამდეგიდან, ამ მიზნით დაარსდა „ავტოკეფალისტთა საზოგადოება“, მაგრამ მიზნის მიღწევა, მხოლოდ მეფის რუსეთის დამსობის შემდეგ — 1917 წლის 12 მარტს გახდა შესაძლებელი.

კახა მაისურაძე



ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის დრამატული ეპიზოდები

პროლოგი

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიიდან 10 წლის შემდეგ — 1811 წელს დაკარგა. რუსმა მოხელეებმა საქართველოს ეკლესია რუსეთის სინოდის განსაკუთრებულ განყოფილებას დაუქვემდებარეს. 1815 წელს კი, ეს განყოფილება საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორად გადააკეთეს. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ანტონ II რუსეთში გაიწვიეს. კათალიკოსობა საერთოდ გააუქმეს. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუყენეს ეგზარქოსი, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთრეხარისხოვან მოხელედ ითვლებოდა. ამით ქართული ეკლესია, ფაქტობრივად და ფორმალურად, რუსეთის ეკლესიას დაუმორჩილეს.

ამ ძალდატანებითი აქტის შესანიშნავად პირველ ეგზარქოსად ქსნის საერისთავო სახლის წარმომადგენელი ვარლამი დანიშნეს.

რუსული ეკლესიისა და ეგზარქატის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, საქართველოს ეკლესიის ქონების ხელში ჩაგდება იყო. ამ მიზნით დაიწყო ეპარქიების შემცირება და დახურული ეკლესიების ქონების სეკულარიზაცია. მაგალითად, ქართლ-კახეთში, 13 ეპარქიიდან 9 გააუქმეს.

ანალოგიური ღონისძიებები გაატარა რუსეთის ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოშიც, როდესაც იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში ეკლესიების დახურვა, სამსახურიდან მღვდლების დათხოვნა და ფულადი გადასახადების გაწერა შემოიღო.

პროტესტის ნიშნად, 1819 წელს, დასავლეთ საქართველოში სამღვდლოებისა და მოსახლეობის საყოველთაო აჯანყება დაიწყო, მაგრამ მეფის რეჟიმმა იგი სისხლში ჩაახშო. შეიპყრეს და რუსეთის გზას გაუყენეს მოძრაობის მესვეურები ექვთიმე გენათელი და დოსითეოს ქუთათელი. დოსითეოს გზაშივე, ტომარაში მოახრჩვეს, ხოლო ექვთიმე გადასახლეს სვირის მონასტერში, სადაც მალევე გარდაიცვალა.

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, საეკლესიო ქონება და მამულები სახაზინო საკუთრებად გადააქციეს, ხოლო სამღვდლოება სახელმწიფო ანაზღაურებაზე გადაიყვანეს. ცარიზმის ანაფორიანი და მუნდირიანი მოხელეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქართული ეკლესიის სულიერ და ნივთიერ ძარცვაში. ეკლესიიდან ეზიდებოდნენ განძეულს და ისტორიულ არქივებს. ქართულ მხატვრობას, ფრესკებს კედლებიდან ფხეკდნენ და კირით ათეთრებდნენ. რუსული მმართველობა მიზნად ისახავდა, ეკლესიიდან განედევნა ქართული ენა. ამ მიზნით ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვა, ხოლო სასულიერო სასწავლებლებში — სწავლება, რუსულ ენაზე შემოიღეს.

ქართული ეკლესია XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვერ უწევდა ჯეროვან წინააღმდეგობას რუსიფიკაციას, მაგრამ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან სასულიერო ეროვნულ მოძრაობაში ნამდვილი გარდატეხა მოხდა. ამ პერიოდიდან სასულიერო ბრძოლას რეჟიმის წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა ისეთი გამოჩენილი მოღვაწე, როგორც იყო ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე).

იგი წინ აღუდგა იმპერიის რუსიფიკატორულ პოლიტიკას განათლების სფეროშიც, გაილაშქრა იანოვსკი-ლევიცის რუსული ენის სწავლების მუხჯური მეთოდის წინააღმდეგ, ახილა გ. მუხრან ბატონის პოზიცია, რომელიც ამტკიცებდა, დიდი ერის მიერ პატარა ერებისა და მათი ენების გაქრობა-ასიმილაციის გარდაუვალობას.

XIX საუკუნის მიწურულიდან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში შეიძლება ითქვას, ახალი ფურცელი გადაიშალა.

ბრძოლა ავტოკეფალიის აღდგენისათვის

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგიდან, მოძრაობამ თვითმწყემსობის აღდგენისათვის აპოგეას მიაღწია, რაც ბევრმა ობიექტურმა მიზეზმაც განაპირობა. საზოგადოებაში შესაბამისი განწყობა შეიქმნა. მაგალითად, „მღვდელი, რომელიც ხალხთან ერთად უნდა ყოფილიყო ჭირსა და ღვინაში, ამ დროისათვის გადაიქცა რალაც საფრთხობელად. მას ყველა გაუბრბოდა, ერიდებოდა. სასულიერო პირები მიაჩნდათ საიდუმლო პოლიციის აგენტებად, გადაცემულ ჟანდარმებად“.

ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტის დაცემის, რწმენის შესუსტების ძირითად მიზეზად, ქართველი ეპისკოპოსები რუსეთის სინოდისა და მის მიერ დანიშნულ ეგზარქოსის ანტიხალხურ ქმედებებს ასახელებდნენ. ჩვენს მღვდელმთავრებს მდგომარეობის გამოსწორების წინაპირობად, ქართული ეკლესიის დამოუკიდებ-

ბლობის აღდგენა მიანდათ.

ეპისკოპოსი დავითი წერდა: „ეგზარქოსები არ მოგზაურობენ ეპარქიებში, არ ეცნობიან ხალხს, არ ზრუნავენ ეკლესიების კეთილმოწყობისათვის, აქამდე ერთი კაპიკი არ გაუღიათ სვეტიცხოვლის შეკეთებისთვისაც კი. სამღვდლოების მომზადება მხოლოდ რუსულ ენაზე სწარმოებს. სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სემინარიებს მიზნად უსახავენ არა პედაგოგიურ მიზნებს, არამედ იყენებენ ქართველი ხალხის გარუსების ინტერესებისათვის. ეგზარქოსის მმართველობისა და რუსების ბატონობის პირობებში საეკლესიო ცხოვრების ნაკლოვანებები არ აღმოფხვრება“.

1904 წლის თებერვალში, იმერეთის ეპარქიის სამღვდლოებამ გამართა კრება, შეიმუშავა და რუსეთის მთავრობას გაუგზავნა საგანგებო პეტიცია, სადაც უპირველეს ყოვლისა მოითხოვდა, აღდგენილიყო საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა.

ერთი თვის შემდეგ, ანალოგიური მოთხოვნა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოებამ, იმავე წლის აპრილში კი, ქართლ-კახეთის სამღვდლოებამაც შეიმუშავა მოთხოვნათა ნუსხა.

1905 წლის დამდეგიდან, აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდლოებამ არაერთხელ მოითხოვა ყრილობის ჩატარების უფლება, მაგრამ ეგზარქოსი ყოველმხრივ აჭიანურებდა ნებართვის გაცემას. მოთმინებადაკარგული სამღვდლოების წარმომადგენლობა თვითნებურად შეიკრიბა თბილისში, სასულიერო სემინარიის დარბაზში. ყრილობამ ეგზარქოსს სთხოვა, მისი კანონიერება ეცნო.

პასუხად, საქართველოს ეგზარქოსმა, ურჩი სამღვდლოების დასასჯელად პოლიციის რაზმი გააგზავნა. „სტრაჟნიკები“ შეიჭრნენ სემინარიის შენობაში და ყრილობა დაარბიეს. სამღვდლოების წარმომადგენლები ქუჩაში ცემა-ტყეპით გაყარეს.

1905 წლის 10 ივნისს, პოლიციის მიერ დარბეული ყრილობის თავმჯდომარე ეგზარქოსთან გამოცხადდა და ქართლ-კახეთის სამღვდლოების მიერ შედგენილ მოთხოვნათა ნუსხა გადასცა. სამღვდლოება მოითხოვდა: 1) საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას; 2) მცხეთის საკათალიკოსოს თავის ძველ საზღვრებში აღდგენას; 3) საეკლესიო თანამდებობის დაკავებაში არჩევითობის პრინციპის დაკანონებას; 4) საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიისათვის

ყველა იმ მამულის დაბრუნებას, რაც XIX საუკუნეში რუსეთის ხაზინამ მიითვისა. მიმართვას ხელს აწერდა სამღვდლოების 472 წარმომადგენელი.

ქართველი სამღვდლოების გამათავისუფლებელი მოძრაობა და მის მიერ წამოყენებული მოთხოვნები ცნობილი გახდა რუსეთის საზოგადოებისთვისაც, რომლის მცირე ნაწილმა გაიზიარა ქართველ მღვდელმთავართა პოზიცია. მაგალითად, ჭეშმარიტად მართლმორწმუნე მღვდელი, ნიკანდრო პოკროვსკი წერდა: „ჩვენს ერთმორწმუნე ქართველ ერს სურს, იყოს დამოუკიდებელი კოლექტიური პიროვნება და აცხადებს თავის უფლებას საეკლესიო-ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი გახდეს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მისი უფლება კანონიერია და ქრისტეს მოძღვრებით დადასტურებული. რუსები პატივს უნდა სცემდნენ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ქართველი ერისას, რომელიც ქრისტიანობაში მისი უფროსი ძმაა, ძმა მჭიდროთ დაკავშირებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებით“.

სულ სხვაგვარი პოზიცია დაიკავა იმპერიული რუსეთის მმართველი წრეების ზედა ფენამ. ქართველი სამღვდლოების თხოვნა-პეტიციები რუსეთის უმაღლეს სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლებამ არც განიხილეს. ყველა დოკუმენტი, შესასწავლად და დასკვნების გამოსატანად, საქართველოს ეგზარქოსს გადმოუგზავნეს.

საქართველოს ეგზარქოსმა ნიკოლოზმა ლეტალურად შეესწავლა მის ხელთ მოხვედრილი დოკუმენტები და სინოდს ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, სადაც განსაკუთრებულ სამიტროპოლიტო ოლქში ქართული ეკლესიის გაერთიანების წინადადებას გამოთქვამდა, თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, იმასაც მიიჩნევდა შესაძლებლად, რომ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზეც ემსჯელო.

მაგრამ რუსეთის სინოდს არ მოეწონა ეგზარქოსის პოზიცია. რუსეთის წმინდა სინოდზე არაერთხელ გაისმოდა: „ეს ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავს!“.

როგორც სინოდს, ისე მინისტრთა კაბინეტს, დაუშვებლად მიანდათ ის, რომ ხელიდან გაეშვათ ეკლესია – ქართველთა გარუსების საუკეთესო იარაღი. ამიტომ მალე, ეგზარქოსი ნიკოლოზი საქართველოდან გაიწვიეს და მის ადგილზე პირწავარდნილი შოვინისტი – რუსიფიკატორი ნიკონი დანიშნეს.

მაგრამ ბრძოლა ქართული ეკლესიის



დამოუკიდებლობისათვის სულ უფრო მძაფრ ხასიათის იძენდა. იმდროინდელი ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ალ. ცაგარელი აცხადებდა:

„თუ ქართული ეკლესია თავის 1,5-მილიონიანი მრევლით დაქვემდებარებული აღარ იქნება სინოდისადმი, ეს არ დაემუქრება რუსეთის სახელმწიფოს და მართლმადიდებლურ ეკლესიას რაღაც გაურკვეველი უბედურებით, როგორც ამას ზოგიერთები აცხადებენ. ქართული საკათალიკოსოს აღდგენა სეპარატიზმის გაძლიერებას კი არ გამოიწვევს, არამედ აღმოფხვრის ქართველთა უცმყოფილებას“. ქართველ „ავტოკეფალისტთა“ მოძრაობაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ეპისკოპოსები: ლეონიდი, კირიონი, პეტრე და დავითი. 1905 წლის ოქტომბერში, მათი ინიციატივით ჩამოყალიბდა „ავტოკეფალისტთა საზოგადოება“. ამ საზოგადოების წარმომადგენლებმა საპროტესტო წერილი გაუგზავნეს ახალ ეგზარქოსს ნიკონს, სადაც, კერძოდ, აღნიშნავდნენ: „თქვენ გეგავრებათ ქართველი ხალხი, არ იცით მისი ენა, ამიტომ სინოდს თქვენი ეგზარქოსად დანიშვნის უფლება არ ჰქონდა“. ისინი მოუწოდებდნენ ეგზარქოსს – თუ სურდა, ქართველი სამღვდლოებისა და მრევლის მტრობა აეცილებინა, თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადამდგარიყო. ჟანდარმერიის საარქივო მასალების ჭეშმარიტებას თუ ვირწმუნებთ, ნიკონმა მუქარის სხვა წერილებიც მიიღო, მაგრამ ეგზარქოსობაზე მაინც არ თქვა უარი და საქართველო არ დატოვა.

ურთიერთობა რუს ეგზარქოსსა და ქართველ სამღვდლოებას შორის კიდევ უფრო იძაბებოდა.



რეპრეზენტაცია

კაცი რაც უფრო ჭკვიანია, მით უფრო პოულობს ორიგინალურ ადამიანებს. მოუქნელი პიროვნებანი ადამიანებს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ.

ბლემ პასკალი

თვით ყველაზე უფრო ღრმად მოხუცნი იმედოვნებენ და გულში რაღაცას იზრახავენ, რომ როგორმე გაიუმჯობესონ ცხოვრება.

ჯაკომო ლეოპარდი

ვინც დროს აფასებს, ყველაფერს ასწრებს; ვერ შეაბრუნებ დრო-ჟამის ბორბალს; ვინც ეკალი და ჭინჭარი თესა, ვერ დაახვავებს ბელელში ზორბალს.

ადელბერტ ფონ შამისო

პატარა ნაგმა ნაპირ-ნაპირ უნდა იცუროს.

ბენჯამინ ფრანკლინი

ზოგჯერ ღუმილი ყოველგვარ მეტყველებაზე ბევრისმეტყველია.

შარლ ლუი დე სეკონდა მონტესკიე

სჯობს საქმე — უხმო სიტყვასა, თქმულსა არ გათავებულსა, თქმა და არა ქნა სარცხვინელ ჰყოფს კაცსა გათავებულსა.

არჩილ მეფე

სჯობს ხმელა პური მოგცენ ხალისით, ვიდრე ნახუქი — ვაით და ვიშით.

ესპანური ანდაზა

ხასიათის მქონე ადამიანის ყოველი სიტყვა და საქციელი კეთილსინდისიერია.

სამუელ სმაილსი

ვინც მკვეთრად გამოთქვამს სხვათა მოქმედების უარყოფას, ამით თავს ივალდებულებს, რომ თვითონ უკეთესად იმოქმედოს.

ვისარიონ ბელინსკი

„ავტოკეფალისტებმა“ შეადგინეს და დაბეჭდეს ბროშურა — „როგორ ტაქტიკას უნდა იყენებდეს ქართველი სამღვდლოება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში“, რომლის ავტორი აღნიშნავდა, რომ მიზნის მიღწევისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში უნდა გამოყენებულყო ყოველგვარი საშუალება — ფიზიკური ძალაც კი. „ავტოკეფალისტთა საზოგადოების“ დასასუსტებლად, ნიკონის რჩევით, სინოდმა საქართველოდან გაიწვია კირიონი და იგი ლიტვის ვიკარიად დანიშნა. ამან აღაშფოთა ქართველი საზოგადოება, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა, ეგზარქოს ნიკონის საქართველოდან გაწვევა და უდანაშაულო კირიონის სამშობლოში დაბრუნება. ულტიმატუმის ტონით განაწყენებულმა სინოდის მესვეურებმა ჯავრი კირიონზე იყარეს: იგი უბრალოდ, ბერად განამწესეს კურიაჟის მონასტერში — ხარკოვის გუბერნიაში.

თუმცა, ამ აქტმა რუს ხელისუფალთათვის გაცილებით სავალალო შედეგი გამოიღო: 1908 წლის 26 მაისს ნიკონი თავისივე ბინაში მოკლეს უცნობმა პირებმა. პოლიციას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მკვლელობა „ავტოკეფალისტთა“ მიერ იყო მოწყობილი, მაგრამ კონკრეტულ დამნაშავეს ვერ მიაგნო.

„ავტოკეფალისტთა საზოგადოების“ სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლამ რუსეთის ეკლესიის მესვეურები და ჟანდარმერია იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათ საქმე ჰქონდათ არა იმდენად სამღვდლოების საპროტესტო გამოსვლებთან, რამდენადაც ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობასთან, რომელიც გარკვეული მოსაზრებით, ინიღბებოდა ავტოკეფალიის მოთხოვნით. მაგალითად, ჟანდარმერიის საგამომიებო მასალებში, არის პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ „ავტოკეფალისტთა“ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტ-ფედერალისტები.

ნიკონის მკვლელობის შემდეგ, საქართველოს ეგზარქოსად დანიშნულ ინოკენტის საპოლიციო დაცვა დაუნიშნეს. იმერეთის ეპისკოპოსისთვის გაგზავნილ წერილში ახალმა ეგზარქოსმა აღიარა, რომ იგი, ისევე, როგორც ნიკონი, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ვერასოდეს იქნებოდა საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის მომხრე. ბუნებრივია, არც „ავტოკეფალისტთა საზოგადოება“ აპირებდა უკან დახევას. ქართველმა მღვდელმთავრებმა და საერო პირებმა თხოვნა-საჩივარი გააგზავნეს უცხოელი პატრიარქებისა და მსოფლიო საეკლესიო კრების სახელზე, სადაც კატეგორიულად მოითხოვდნენ, ჩარეულიყვნენ საქართველო-რუსეთის საეკლესიო კონფლიქტში და ქრისტიანული კანონიკური სამართლის საფუძველზე გადაეწყვიტათ საკითხი. მსოფლიო საეკლესიო კრება რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევას მოერიდა. იმედი, გარედან დახმარების მიღებაზე ფუჭი აღმოჩნდა.




იმპერიის ცენტრში ბევრს მუშაობდნენ სასულიერო სფეროს რეფორმაზე. რამდენიმე წელიწადი მონაღმრეს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის შედგენას, რომლის მიზანი იყო სინოდის პოზიციების განმტკიცება და „სეპარატიზმის“ მთლიანად აღმოფხვრა. აღნიშნული პროექტი იმდენად შოვინისტური იყო, რომ იგი რუსმა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებმაც კი აღიქვეს, როგორც რუსეთის სინოდის კონტრშეტევა ქართველ „ავტოკეფალისტთა“ წინააღმდეგ. მაგალითად, ქართველი ხალხის მეგობარი ნ. დურნოვი წერდა, რომ კიდევ ერთხელ მონაღმრეს საქართველოს ეკლესიის შეურაცხყოფა და მისი საბოლოო მოსპობა გაუქმება. „დაპროექტებულ კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქში შვევა საქართველოს ეკლესია და ამით ჯვარი დაესმება ქართველ ავტოკეფალისტთა კანონიერ მოთხოვნებს“, — აღნიშნავდა იგი.

მაგრამ რუსეთის იმპერიის ხელისუფალთ თავიანთი გეგმების რეალიზაცია აღარ დასცალდათ. არსებული ფორმით ხელუხლებელი დარჩა საქართველოს საეგზარქოსოც. „ავტოკეფალისტები“ კი, კვლავინდებურად აქტიურ ბრძოლას განაგრძობდნენ და ხელსაყრელი მომენტისთვის ემზადებოდნენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

იმ დღეს სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი ეკლესიის წინ იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ ვინმეს ეგონებოდა, თითქოს თვით რომის პაპის ვიზიტი იყო დაგეგმილი. ხალხმრავლობის მიზეზი კი, გაცილებით მარტივი იყო: ადამიანთა ყურადღება ჰოლივუდის ორი ვარსკვლავის ქორწილმა მიიპყრო: უჭკვიანეს და ულამაზეს ქალად აღიარებული კორტნი კოქსი, ცოლად არჩეულების ცნობილ მსახიობთა ოჯახის წარმომადგენელს, როზანასა და პატრისიას უმცროს ძმას – დევიდს მიჰყვებოდა ცოლად.



სანახაობა მართლაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა: ვალენტინოს კაბაში გამოწყობილი პატარძალი საკმაოდ მომხიბვლელად გამოიყურებოდა და გვერდს ელევანტურად ჩაცმული საქმრო უმშვენებდა. ქორწილს უამრავი ცნობილი ადამიანი დაესწრო. მათ შორის იყო სერიალ „მეგობრების“ ყველა ვარსკვლავი, რომლებთან ერთადაც კორტნი ყოველ კვირას ჩნდებოდა ტელეეკრანზე ამ პოპულარულ კომედიურ შოუში: ჯენიფერ ენისტონი და ბრედ პიტი (ისინი იმ დროს ჯერ შეუღლებულები არ იყვნენ). საყვარელი ძმის ქორწილი, რა თქმა უნდა, როზანა და პატრისია არკეტებმაც არ გამოტოვეს და დევიდის არჩევანით კმაყოფილნი, სიხარულს ვერ მალავდნენ.

ამერიკელებს ძალიან უყვართ კორტნი კოქსი და მას ხშირად სახელისა და გვარის ინიციალებით მოიხსენიებენ ხოლმე. ეს მსახიობის უდიდეს პოპულარობაზე მეტყველებს, რადგან ასეთი პატივი ძალიან ცოტას თუ რგებია წილად: აშშ-ში – მერილინ მონროს, საფრანგეთში – ბრიჯიტ ბარდოსა და იტალიაში – კლაუდია კარდინალეს. ამერიკელებს სჯერათ, რომ კორტნი ჭკვიანი, თავშეკავებული, მშვიდი და ოდნავ სარკასტული ლამაზმანია, – მოკლედ, ტიპური ამერიკელი ქალის განსახიერებაა. თავად კორტნი ამ აზრს არ ეწინააღმდეგება, თუმცა მიაჩნია, რომ ასეთი, თვითონ კი არა – სერიალ „მეგობრებ-

ნასიონალისტი ქალი და მისი „მხირანლოვანი“ ქმარი

ში“ მის მიერ განსახიერებული მონიკა გელერია.

კორტნი კოქსი 1964 წლის 15 ივნისს, ალაბამის შტატის პატარა ქალაქში დაიბადა. ოჯახში ოთხი ბავშვი იზრდებოდა და მათ შორის კორტნი ყველაზე უმცროსი იყო. როცა გოგონა 10 წლის გახდა, მშობლები გაიფარნენ და ყველა შვილი დედამ გაზარდა. კორტნის ძალიან უყვარდა ლალი, მხიარუ-

ლი მამა და დიდი ხნის განმავლობაში, ოჯახიდან მამაკაცის წასვლაში დედას ადანაშაულებდა. მაგრამ როცა გაიზარდა, მიხვდა, რომ ერთად გატარებული ცხრამეტი წლის მიუხედავად, მისი მშობლები ერთმანეთს არ შეეფერებოდნენ. იმ ამბების შემდეგ, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა კორტნი და დედამისი საუკეთესო მეგობრები არიან.

ახალგაზრდა პროვინციელმა გოგონამ დამოუკიდებლობის მოპოვება ძალიან ადრე მოინდომა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს, კორტნი პარალელურად, გამყიდველად მუშაობდა, ფულს აგროვებდა და თექვსმეტი წლისამ, პირველი ავტომანქანაც შეიძინა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ვაშინგტონში, ვერნონის კოლეჯის არქიტექტურის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. ეს პროფესია კორტნიმ მხოლოდ იმის გამო აირჩია, რომ მამაც მშენებელი იყო. გოგონა შესანიშნავად სწავლობდა, თანაკურსელთა უმრავლესობის მსგავსად, გატაცებული იყო ჩოგბურთით, ცურვით და საერთოდ არ ფიქრობდა სამსახიობო კარიერაზე. კოლეჯის ბოლო კურსზე სწავლის დროს, კორტნის თავისი მამინაცვლის ნათესავი, მაილზ კოუპლანდი შეუყვარდა, რომელმაც კო-





რტნის სამოდლო ბიზნესით დაკავებული საკუთარი მეგობრები გააცნო. კორტნიმ თავი, როგორც მოდელმა, მოსინჯა და საკმაოდ დიდ წარმატებასაც მიაღწია. შემდგომში ის, ყოველი შემთხვევისთვის, დრამატული ხელოვნების კურსებზეც ჩაეწერა.

კოქსის სამსახიობო კარიერა სარეკლამო რგოლებში გადაღებით დაიწყო. სხვათა შორის, როცა კორტნი ნამდვილი ვარსკვლავი გახდა, ჟურნალისტები ხშირად უსვამდნენ კითხვას „ტამპაქსის“ რეკლამის თაობაზე, რომელშიც ის ოდესღაც მონაწილეობდა. კორტნის საოცრად მობეზრდა ეს თემა და მსგავსი შეკითხვების თავიდან ასაცილებლად, ჟურნალისტებს ასხენებს ხოლმე, რომ იმ პერიოდში, კოსმეტიკური ფირმა „მეიბელინის“ სახე იყო და საკმაოდ ხშირად ჩნდებოდა მოდის ჟურნალებისა და

ქალთა რომანების გარეკანზე. პირველად კორტნი კოქსს ბრიუს სპრინგსტინის კლიპში – „ცეკვები სიბნელეში“ მიაქციეს ყურადღება. კლიპი რეჟისორმა ბრაიან დე პალმამ გადაიღო და კორტნის ჰონორარმა სულ 350 დოლარი შეადგინა. მცირე გასამრჯელოს მიუხედავად, კლიპი კორტნისთვის მშვენიერ სტარტად იქცა: ის მიიწვიეს ტელეპროგრამა „კვირის მუსიკის“ წამყვანად. ამას მოჰყვა აქტიური გადაღებები კინოსა და ტელევიზიაში: მან ითამაშა „ეის ვენტურაში“, ჯიმ ქერისთან ერთად და სერიალ „საოჯახო კავშირებში“; მაიკლ ფოქსთან ერთად, 1994 წლიდან დაიწყო სერიალ „მეგობრების“ გადაღება. კოქსი მიიწვიეს „კივილის“ სამივე ფილმში და დენი ბოილის „სასიყვარულო სამკუთხედში“, სადაც მას პარტნიორობას კენეტ ბრანა უწევდა.

ცხოვრების ხუთი წელი კორტნი კოქსმა მსახიობ მაიკლ კიტონთან გაატარა. ისინი ერთმანეთს 1995 წელს დაშორდნენ და მას შემდეგ, არანაირი ურთიერთობა აღარ ჰქონიათ. „განშორება ძნელი აღმოჩნდა, რადგან მეგონა, რომ ჩემი და მაიკლის ურთიერთობა უსასრულო იქნებოდა“, – აღიარა მოგვიანებით მსახიობმა. იმ პერიოდში, კორტნის ახალი რომანების გაბმის სურვილი აღარ ჰქონდა, მაგრამ პრესა არ ასვენებდა ქალს, რომელიც ჟურნალ People-ის მიერ შედგენილ მსოფლიოს 50 უღამაზესი ადამიანის სიაში იყო მოხვედრილი.

თავიდან ჟურნალისტებმა მას ქრისტიან სლეიტერთან ურთიერთობა დასწამეს, შემდეგ კი, ბევრ სხვა მსახიობთან და მუსიკოსთან ინტიმურ კავშირშიც „ამხელდნენ“. ამის პასუხად, კორტნი მხოლოდ მხრებს იჩენავდა: „საკმარისია, მეგობარმა აეროპორტში გაგაცილოს და გამოთხოვებისას გაკოცოს, რომ მეორე დღესვე ასობით გახეთი ახალი რომანის შესახებ აჭრელდება“. სწორედ ჟურნალების ფურცლებიდან შეიტყო მსახიობმა, რომ თურმე ბულებიით ყოფილა დაავადებული (ამ დაავადებას, პოპულარულ ენაზე, უბრალოდ ღორმუცელობა შეგვიძლია ვუწოდოთ). თავიდან ამან ძალიან გაანაწყენა მსახიობი, მა-



ფრანკ

ჭაბუკს დიდი სურვილი აქვს ერთგული იყოს, მაგრამ ვერ ახერხებს, ბერიკაცი კი, სიამოვნებით უღალატებდა ქალს, მაგრამ, აბა როგორ?!

ოსკარ უაილდი


ტესტი ერუდიციისზე

1. რა ერძვა გუნდს, რომელსაც ავარჯიშებდა იპოლიტე სპირიძის გმირი — ფეოლა აბავე სახელწოდების მხ/ფ-ში?



- ა) „უქიმერიონი“;
- ბ) „ქამელეონი“;
- გ) „დიოსკურია“.

2. სპექტაკლის დროს მსახიობებს ტექსტს პარანახ-ობს:



- ა) პრესტიდიჟიტატორი;
- ბ) რეკვიზიტორი;
- გ) სუფლიორი.

3. როდის არის დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე?



- ა) 31 მარტს;
- ბ) 22 აპრილს;
- გ) 26 მაისს.

4. აშშ-ის რომელ ქალაქში მდებარეობს „დისნეილენდი“?



- ა) ლოს-ანჯელესში;
- ბ) ნიუ-იორკში;
- გ) მაიაში.

გრამ შემდეგ სიცილ-სიცილით ახსნა ჭორის წარმოშობის მიზეზი: „მე ხომ ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი — ტკბილეული ძალიან მიყვარს-მეთქი“.

მიუხედავად ამისა, ამერიკული პრესა ზოგჯერ სიმართლესაც წერს კორტნის შესახებ. მაგალითად, იმას, რომ მსახიობი ფიზიკურ ფორმას იოგას მეშვეობით ინარჩუნებს, ან კიდევ იმას, რომ ოდესღაც, მსუბუქი ნარკოტიკებით იყო გატაცებული, მაგრამ ამ მხენე ჩვევისგან სრულიად განიკურნა. ისიც სიმართლეა, რომ კორტნი ძრავალი წლის მანძილზე ატარებდა კონტაქტურ ლინზებს, შემდეგ კი, ამის გამო, ალერგია დაეწყო. პრესა იმასაც წერს, რომ კორტნი არ აღიარებს პლასტიკურ ქირურგიას და ცდილობს, მოცილოს ახალგაზრდობაში გაკეთებული ყველა სვირინგი. ისიც სიმართლე ყოფილა, რომ კორტნი სახლებს ყიდულობს, უცვლის ინტერიერს, დიზაინს, ავეჯს და შემდეგ, მისი გაყიდვით, დიდ მოგებას ნახულობს. ძალიან უყვარს რჩევების მიცემა. მისი საყვარელი მსახიობი ბარბრა სტრეიზანდია. კორტნის არ უყვარს გაპრანჭული მამაკაცები და ძალიან ეშინია, რომ ვინმეს თავი არ მოაბეზროს.

საბედნიეროდ, ფილმ „კივილის“ გადაღების დროს, კორტნი დევიდ არკეტს შეხვდა. ქალი თავიდან მისმა მხიარულმა ხასიათმა მოხიბლა, არკეტმა კი გაუმხ-

ილა, რომ დანახვისთანავე შეუყვარდა. პირველ ერთობლივ ფილმს მეორე მოჰყვა და აღმოჩნდა, რომ მამაკაცის მხიარული ხასიათის მიღმა, სერიოზული პრობლემები იმალებოდა: დევიდი, სხვის დაუხმარებლად, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს ვერ ეშვებოდა. განსაკუთრებით, არკეტს დედის სიკვდილის შემდეგ გაუჭირდა და მხოლოდ იმან იხსნა, რომ კორტნიმ მისი სიყვარული უპასუხოდ არ დატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი მუდამ მის გვერდით იყო და ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაშიც დაეხმარა, კორტნის სიყვარულის საბოლოოდ მოპოვება დევიდს საკმაოდ გაუძნელდა და მათი ნიშნობა მხოლოდ 1998 წელს შედგა. დევიდი ლოს-ანჯელესის გარეუბანში, ბრენტვუდში მდებარე კორტნის ფეშენებელურ სახლში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ ქორწილამდე კიდევ ერთმა წელიწადმა განვლო. დევიდმა კორტნის მამისგან კურთხევა მიიღო, შესაფერისი დღე შეარჩია, საყვარელი ქალი პლაჟზე მიიყვანა და ცოლობა იმ მომენტში სთხოვა, როცა ოკეანის თავზე წინასწარ შეკვეთილი ფიერვერკი დაიწყო. კორტნი ყველაფერ ამას ვეღარ შეეწინააღმდეგა და დანებდა...

კორტნისა და დევიდის ქორწინება რაციონალისტი ქალისა და რომანტიკოსი მამაკაცის კავშირად მონათლეს. და მართლაც, ქორწილის შემდეგ, კორტნიმ ყველაფრის დაგეგმვას მიჰყო ხელი: მან ქმარს საქორწინო კონტრაქტის გაფორმებაც კი შესთავაზა, რაზეც დევიდს უარი არ უთქვამს... არკეტს ძალიან უყვარს ფულის ხარჯვა, კორტნი კი ცდილობს, ახალგაზრდა ქმარი (დევიდი კორტნიზე 7 წლით უმცროსია) ეკონომიას მიაჩვიოს. კორტნის საქორწინო ბეჭდის უკანა მხარეს ამოტვიფრულია წარწერა: „მორიგება მორიგება“ — ყველამ ისე გაიგოს, როგორც სურს.

კორტნი და დევიდი საქორწინო პრობლემების სპეციალისტ ფსიქოლოგთან დადიან — არა იმიტომ, რომ რაიმე სერიოზული პრობლემა აქვთ, არამედ იმისთვის, რომ ის არც მომავალში ჰქონდეთ. მეუღლეები ერთად მონაწილეობენ ფილმებში და ყველა გარშემომყოფს სჯერა, რომ მათ ქორწინებას საფრთხე არ ემუქრება.




მოამბეა
მანანა ლოლოპერიძე

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დასაწყისი იხ. „გზა“ №9

ჩემი ყურადღება ისევ ფერად ქაღალდს დაუბრუნდა.

— სურათი და ავტობიოგრაფია, — ჩაველაპარაკე, უჯრა გამოვხსენი და ქაღალდი ამოვიღე. ერთი ამოვიოხრე და წერას შევუდექი. ავტობიოგრაფია ნახევარ გვერდზე დამეტია. „ავტობიოგრაფიულ სიმწირეს“ განვიცდი-მეთქი, — ჩამელმბა. ხელმეორედ გადავიკითხე, — „რა მშრალი და არაფრის მთქმელია ფურცელზე გადატანილი საკუთარი განვლილი ცხოვრება. დავიბადე, ვისწავლე, ვსწავლობ, ჩემი მშობლები... და მორჩა, ეს არის ავტობიოგრაფია. სული კი, რომელიც ყოველდღე ცხოვრების ღუმელში იწრთობა, რომელიც სულ მუდამ ამბოხივით მოუსვენარია, ანცია და უსასრულო გრძნობის დამტყვია, ამ რამდენიმე ტრაფარეტულ წინადადებაში არ ჩანს. არადა, ჩემთვის მაინც სულიერებაა მთავარი“, — გავიფიქრე და ახლა სურათს დაკუწეე ძებნა. ხელში ის ფოტო შემრჩა, რომელიც მაშინ გადავიღე, როდესაც საბამ მიმატოვა, პასპორტისთვის მჭირდებოდა. ხელისგულზე დადებულ საკუთარ გამოსახულებას დავაკვირდი, რომელიც სულდარდიანი, სევდანარევი, გარიყული შემომცქეროდა. ავტობიოგრაფია გადაკვეცი და სურათთან ერთად კონვერტში ჩავდე. ხემოდან მისამართი და ტელეფონის ნომერი დავაწერე. ხელჩანთაში ჩავიდე, დილით რომ არ დამრჩენოდა. ძალაუნებურად, მზერა საწოლისკენ გამექცა. ჩემი ფუმფულა ლოგინი მიზიდავდა, როგორც უზარმაზარი მაგნიტი — რკინის ნამცეცხს. ერთი წამით ცაცხვს შევხედე, რომელიც ქუჩის მბჟუტავ განათებას ისე ლამაზად, ისე გამომწვევად გამოენათებინა, რომ თავი ვეღარ შევიკავე, ფანჯარა გამოვხსენი და ფოთლებს ხელი გადაუხსვი: ღამე მშვიდობისა, საბა, — ჩავიჩურჩულე, სარკმელი მივხურე, ფარდები გადავწიე და საწოლისკენ წავედი. ტანთ არც გამიხდია, ფეხსაცმელი გავიძრე, ხელები გავშალე და ზურ-



ბესიკ კეკელიძე

უსასრულობა

(საქურნალო პარიანტი)

ვით დამდგარი, თავისუფალი ვარდნით, ლოგინზე გავიშლართე. ახლა უფრო ვიგრძენი ჯინის სეირნობა ჩემს აზროვნებაში. თავბრუ ისე მენვეოდა, თითქოს ტვინში მორევი გამჩენოდა. ყურში რაღაც მელოდია მესმოდა. ჩემს იღუმალ სამყაროში ორკესტრს ჩაბუდებინა და ბეთჰოვენს მიკრავდა. როგორ უხდებოდა მორევის ორომბრიალი ბეთჰოვენის ღვარცოფა აბობოქრებას!.. თითქოს საკუთარ ცნობიერებაში ვიძირებოდი, ისე მოვდუნდი, რომ უწონადობაც კი შევიგრძენი...
დილით თბილი შხაპის მაღლი ვიგემე, მერე ვისაუზმე და ლექციებზე წასასვლელად მოვემზადე. ქუჩაში რომ გავედი, ორპირქარა გიორგი შემხვდა. თავისი ახალი მანქანით ლექციებზე წაყვანა შემომთავაზა. წინააღმდეგობა არ გამიწევია. მანქანა ისე სწრაფად დაჰყავდა, რომ დავრწმუნდი: ჩემი დიაგნოზი ნაღდი იყო — მას თავში ნამდვილად ორპირი უქროდა. სანამ უნივერსიტეტთან მივიდოდით, ფოსტასთან გავაჩერებინე, წერილი გავაგზავნე და როდესაც ადგილზე მშვიდობით მიმიყვანა, შევბით ამოვისუნთქე. დიდი მადლობა გადავუხადე და მანქანიდან გადავედი.
შენობაში შესვლისას ნატომ დამიძახა. მისკენ გავიხედე. იგი სირბილით მომიახლოვდა. სახეზე

უზარმაზარი კმაყოფილება აღბეჭდვოდა. ერთმანეთი გადავკოცნეთ.
— გუშინ ლევანმა სიყვარული ამიხსნა, — დიმილით მითხრა.
— ვინ, ჟირაფამ? — გავიკვირე.
— ნუ იცი ყველასთვის მეტსახელის დარქმევა, — დაცვა ახალგაცნობილი ყმაწვილი, — ისე როგორი ბიჭია?
მე ჩავახველე, დრო სპეციალურად გავწილე, რათა პასუხი მომეფიქრებინა. მის გაბრწყინებულ თვალებს რომ შევხედე, შემეცოდა, ვიგრძენი, რომ სიყვარულის აბლაბუდაში ნატოც გაბურდულა:
— კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ალბათ კარგი ბიჭია, — გავუმაგრე გული, — კი მაგრამ, როდის მოასწრო?
— შენ რომ მიგიყვანეთ, მერე დათო დავტოვეთ, იქიდან კი კაფეში მიმიპატიჟა და იქ.
— იქნებ ჩქარობ? სანამ გრძნობას გულში შეუშვებ, ჯერ ერთმანეთი გაიცანით. ხომ უნდა იცოდე, ვინ არის, რა შეხება აქვს ცხოვრებასთან. ერთი საღამოს შთაბეჭდილებით ჭეშმარიტი სიყვარული ვერ დაიბადება. ბოლოს და ბოლოს, მომავალი ფსიქოლოგი ხარ, ამდენი წელი ტყუილად ხომ არ გისწავლია?
— არა, უბრალოდ მომწონს, — ისეთი დარწმუნებით მითხრა ნატომ, რომ ჭკუის დარიგება უაზრო ჩავთვალე.

აუდიტორიაში შევედით.

– დღეს, ლექციების შემდეგ, კინოში გვეპატიჟება, – გადმომილაპარაკა ნატომ.

– ძალიან კარგი, – გავუღიმიე და მერხს მივუჯექი.

ორი ზღბოდა, როდესაც უნივერსიტეტის ბაღში ლევანი დაგვხვდა. ერთმანეთს ისე შევხვდით, თითქოს კარგა ხნის ნაცნობები ვიყავით.

– წავედით კინოში? – გვკითხა ორივეს.

– წავიდეთ, – დავთანხმდით ჩვენ და ბაღის გასასვლელისკენ გავეშურეთ.

ჟირაფა ახალთახალი „ტოიოტას“ ჯიბით იყო მოსული. მანქანასთან რამდენიმე მეტრით არ ვიყავით მისულები, ჯიბიდან პატარა პულტი ამოიღო და ჯიპს გოჭვივით დააჭყვიტინა, შემდეგ ნაბიჯს აუჩქარა და ნატოს წინა კარი გაუღო, მე უკან ჩამსვეს. ლევანი ისევ გუშინდელივით აქტიურობდა. საუბარ-საუბრით კინოთეატრს მივუახლოვდით. მანქანა გაჩერებაზე დავტოვეთ და სალაროსთან მივედით. ჟირაფამ სამი ბილეთი შეიძინა, შემდეგ საათს დახედა:

– მთელი ერთი საათი გვაქვს თავისუფალი, ბარში ხომ არ შევიდეთ? ჯინს დაგაღვეინებთ.

კინოთეატრის ბარში შევედით. უკრავდა წყნარი მუსიკა. დარბაზი აქა-იქ წითელა ნათურებით გაენათებინათ. დახლი, მაგიდები, სკამებიც წითელი იყო. რატომღაც ბავშვობა გამახსენდა, როდესაც წითელა დამემართა და დედამ მთელი ოთახი წითლად მომირთო. ძალაუნებურად გავიფიქრე: „ეტყობა, ამ ბარის უფროსს ბავშვობაში შეყრილი წითელი ჯერ არ გასვლია“, – საკუთარ აზრზე ჩამეცინა.

– არც ერთი მაგიდა არ არის თავისუფალი, – ფიქრიდან ლევანის ხმამ გამომიყვანა.

– ბარის დახლთან დავსხდეთ, – ჩაილაპარაკა ნატომ.

გრძელი დახლის ბოლოში ერთი სკამი იყო თავისუფალი, შუაში კი – ორი. ლევანი და ნატო შუა სკამებზე ჩამოსხდნენ. მე ჯინი

ავიდე და დასჯილივით, ბოლოში დავეჯექი. დარბაზს ზურგი შევაქციე და ჩემ წინ დაკიდებულ სარკეს, რომელიც მთელ სივრცეს ირეკლავდა, დააკვირვებით ჩავაშტერდი. სიგარეტს მექანიკურად მოვუკიდე, ღრმა ნაფაზი დავარტყი და სასმელი მოვსვი. ძალიან მსიამოვნებდა განმარტობა. ჯინი ისევ მოვყლუპე. ჩემში მისი „შემობიჯება“ და „მოსაღბუნება“ პირველად, კოჭებში ვიგრძენი.

ფიქრიდან ჟირაფასა და ნატოს ცეკვამ გამომიყვანა. სასწაული სიმარტოვე ვიგრძენი, სიგარეტი საფერფლეს „ვაჩუქე“, წამოვდექი და ბარიდან გავედი. კინოთეატრის დიდ მოსაცდელ დარბაზში სკამი მოვნახე და ჩამოვეჯექი. რამდენიმე წუთში ნატო მომიახლოვდა:

– ლიზა, რატომ გამოხვედი? – შემომცქეროდა გაკვირვებული.

– ნატო, უნდა წავიდე.

– რატომ?

– ახლა გამახსენდა, რომ აუცილებელი საქმე მაქვს, – მივუგე მე.

ამასობაში ლევანიც მოგვიახლოვდა:

– მოხდა რამე? – თავაზიანად იკითხა „კულტურის მინისტრობის კანდიდატმა“.

– არაფერი, – ვუპასუხე და წამოვდექი, – სულ დამავიწყდა, აუცილებელი საქმე მაქვს. აბა, კარგად იყავით, – დავემშვიდობე და გასასვლელისკენ წავედი. სამარშრუტო ტაქსიში ჩავუჯექი და იმ სკვერისკენ გავწიე, სადაც საბა სიყვარულში პირველად გამომიტყდა. ბაღში ისეთი გულისფანქალით შევედი, თითქოს საბა მელოდებოდა. ჩემს ბედად, ჩვენი სკამი თავისუფალი დამხვდა. მივუახლოვდი, ხელი გადავუსვი, ვითომ მტვერს ვწმენდდი, სინამდვილეში კი – მოვეფერე. ჩამოვეჯექი, თავი უკან გადავაგდე და სექტემბრის მზეს მივეფიცხე. სითბო მესიამოვნა, ამიარა, ჩამიარა, ჩემს სხეულში ჯინთან ერთად გაინავარდა. უზომო თავისუფლება შევიგრძენი და ეს სიყვარული იყო. ალბათ როცა ვიყვარს, თავისუფალი ხარ, და როცა

თავისუფალი ხარ – გიყვარს.

– საბა, მენატრები, – ისე ჩავიჩურჩულე, რომ საკუთარი თავი შემეცოდა. ჯიბე მოვიქექე და სიგარეტი ამოვიღე, მოვუკიდე. კვამლი ზედიზედ რამდენჯერმე ჩაველაპე და თვალი გავახილე, რათა ნაგვის ურნა დამენახა. მომივიხედე. ჩემ გვერდით კოპწიად ჩაცმული მოხუცი ქალი იჯდა. როდის მომიახლოვდა, ვერც კი გავიგე. სიგარეტი ურნაში ჩავაგდე და უცნობი შევათვალიერე.

ჭაღარა თმის ყოველი ღერი უკან გადაევარცხნა და კეფაზე მოეგროვებინა. ქალბატონს ეტყობოდა, რომ ახალგაზრდობაში საკმაოდ ღამაზი იქნებოდა. მთელი სახე დანაოჭებოდა. შავები ეცვა, მაგრამ მის სამოსში ერთ პატარა წუნსაც ვერ შეამჩნევდი. ფეხსაცმელი უპრიალბდა, რაც ამ ასაკის ხალხისთვის იშვიათობაა, შემომხედა, რაღაცის თქმა სურდა. მისი ცისფერი თვალებიდან შინაგანი სიმშვიდე და სისუფთავე შემომცქეროდა:

– ასანთი ხომ არ გექნებათ? – ხელჩანთიდან სიგარეტი ამოიღო. სანთებელა ავანთე და მოვუკიდე. – გმადლობთ, – გამიღიმა, – რა კარგი დღეა, მიყვარს სექტემბერი.

არაფერი ვუპასუხე.

– შემოდგომით ჭირნახულის დაბინავება იწყება, რათა ზამთარს ღირსეულად შევხვდე.

ვერ მივხვდი, ამით რისი თქმა სურდა, ეტყობოდა, სახეზე კითხვის ნიშანი გამოემხატა და უცნობმა თავად გამცა პასუხი:

– მე ჩემი ცხოვრების შემოდგომა მესტუმრა და ამ ბაღში, ამ სკამზე მეპატიჟება ხოლმე, რომ განვლილი ცხოვრება გავაანალიზო, კარგ მოგონებებს მივეფერო.

– ამ სკამზე რატომ? – ცოტა არ იყოს, მეწყინა: ეს ხომ ჩემი და საბას სკამია და მოხუცი საკუთრებაში მეცილებოდა.

– სამი წელია, რაც მეუღლე გარდამეცვალა, ორმოცდაათი წელი ერთად ვიცხოვრეთ. ალბათ თქვენი ასაკის ვიყავი, როდესაც ამ სკამზე, დღევანდელ დღეს, მითხრა – მიყვარხარო.

– მერე?

– მერე, დავოჯახდით და ორ-მოცდაათი წელი ჭაპანი ერთად ვწვიეთ.

ვიგრძენი, რომ ღმერთმა საინტერესო მოსაუბრე გამომიგზავნა და ახლოს მივჩოჩდი:

– თქვენი მეუღლე მთელი ცხოვრება გიყვარდათ?

– რას ჰქვია – მიყვარდა? – გაიკვირვა უცნობმა. – ახლაც მიყვარს. მერე რა, რომ ფიზიკურად ჩემთან არ არის, სულიერად ხომ მაინც ერთად ვართ. განვლილ გზაზე სულ მუდამ ვცდილობდი, სხვისი როლი არ მეთამაშა და ჩემი თავი მეპოვნა, იმიტომ რომ იქ, – ცისკენ აიშვირა თითი, – როცა გკითხავენ – რატომ არ იყავი ის ან სხვა ვინმეო, – ამაზე ადვილად უპასუხებ, მაგრამ თუ გკითხეს: შენ რატომ არ იყავი შენო? – აი, ამას კი ვერასდობით ვერ უპასუხებ. ამქვეყნად ოთხ რამეს ძალუძს გაპოვინოს საკუთარი თავი: სიწმინდეს, სიმდაბლეს, მოთმინებასა და სიყვარულს.

– კი, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ძალიან ფარდობითია? ყველასთვის სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სიწმინდესაც, სიმდაბლესაც, მოთმინებასა და სიყვარულსაც, ფაქტობრივად, არაცნობიერია.

– თქვენი სახელი? – სახის კმაყოფილი გამომეტყველებით შემომცქეროდა მოხუცი.

– ლიზა.

– ჰოდა, ჩემი ლიზიკო, იცოდე, არაცნობიერი ცნობიერების ფსკერზეა დალექილი, მას ცოტა შენჯღრევა სჭირდება და მომენტალურად ცნობიერად იქცევა. ამ დუნიაზე არ მეგულება ადამიანი, რომელმაც არ იცის, რა არის ჭეშმარიტი სიწმინდე, სიმდაბლე, მოთმინება ან სიყვარული. ამიტომაც არის საშინელება ცხოვრებაში სხვისი როლის თამაში.

– თქვენს მეუღლესთან კონფლიქტი არასდროს მოგსვლიათ?

– ერთად ცხოვრების ნახევარსაუკუნოვან პერიოდში წვრილმან გაუგებრობებს ადგილი ჰქონდა, მაგრამ ოჯახს გვინარჩუნებდა პირველ რიგში ურთიერთსიყვარული, ერთმანეთისადმი სუფთა დამოკიდე-

ბულება ანუ სიწმინდე, ურთიერთ-მიტევების უნარი ანუ სიმდაბლე და უზარმაზარი მოთმინება.

– ... და ურთიერთობაში მოსათმენი რა გქონდათ?

– მოსათმენი იყო ის ცხოვრებისეული მუჯღუგუნები, რასაც განგება, გამოცდის სახით, გამუღმებით გიმზადებს. მდიდრულადაც გვიცხოვრია და გაჭირვებაშიც, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა არც ოქრო-ვერცხლს შეუცვლია და არც შავ პურს.

ვგრძნობდი, რომ ეს ქალბატონი მართალი იყო. რატომღაც მისი მოფერება მომინდა, რასაც გონებაში ვაკეთებდი კიდევ. შემდეგ წამოვდექი:

– ასეთი საინტერესო საუბრისთვის დიდი მადლობა. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, – დავიხარე და ვაკოცე.

– ლიზიკო, კარგად იყავი, გისურვებ, იყო ბედნიერი, – გამიღიმა მოხუცმა.

ბალიდან გამოვედი, სამარშრუტო ტაქსი გავაჩერე და სახლისკენ გავწიე. შუა გზაზე გავაჩერებინე და ჩამოვედი, ფეხით გავლა მომინდა.

მოხუცის ნათქვამი ამეკვიატა. სულიერად ხომ მაინც ერთად ვართო... ჰმ, მეც ხომ საბასთან, სულიერად ვარ.

თავი ავწიე, ქუჩა შევათვალიერე. სახლს ასიოდე მეტრილა მაშორებდა. ნაბიჯს აეუჩქარე. სადარბაზოსთან ეკა შევნიშნე. ეს ის გოგოა, ვინც ჩემსა და საბას შორის ურცხვად ჩაეჩხირა. ის იყო, სადარბაზოში ფეხი უნდა შემედგა, რომ დამიძახა:

– ლიზა.

შევხედე, მაგრამ არაფერი ვუპასუხე.

– ლიზა, გამარჯობა, – მომიახლოვდა. სახე უჩვეულოდ ასწითლებოდა. თვალებში ჩავაშტერდი, – ლიზა, ბოდიშის მოსახდელად მოვედი. ძალიან ცუდად მოგექეცი, – თავი დახარა. წამიერი პაუზა ჩამოვარდა, შემდეგ ისევ შემომხედა და განაგრძო, – საბას მხოლოდ შენ უყვარხარ. თავს ისიც დამნაშავედ გრძნობს და შენთან ვერც დარეკვა და ვერც მოსვლა ვერ

გაუბედავს. საშინელ დებრესიაშია ჩავარდნილი. სახლიდან თითქმის აღარ გამოდის.

ღრმად ამოვისუნთქე. სასწაულებრივი შვება დამეუფლა. ვიგრძენი, რომ მონატრების დასასრული ახლოვდებოდა, ბედნიერება მეძახდა, მიყვიროდა და თავისთან მეპატიჟებოდა. ეკასთან ახლოს მივიწიე და ვაკოცე, შემდეგ კიბეზე ავირბინე და შინ შევედი. მოულოდნელობისგან თავბრუ მეხვეოდა, სუნთქვა მიჭირდა.

სამზარეულოდან დედამ დამიძახა. მივედი, ჩავეკარი და ყველაფერი ყურში ვუჩურჩულე. სკამი გამოვწიე და ჩამოვჯექი. სიგარეტს მოვუკიდე და ცრემლმორეული, ღიმილშეყინული, მშობელს შევაცქერდი. დაბნეულობისგან მანაც სკამი გამოწია და ჩემ პირდაპირ დაჯდა. ერთმანეთს უსიტყვოდ მივჩერებოდით, ორივეს ცრემლი გვდიოდა, ტუჩები გვითრთოდა და ჩემი სიმარტოვის დასასრული გვიხაროდა. სიგარეტი ჩავაქრე, წამოვდექი და საძინებელი ოთახისკენ წავედი. ფარდა გადავწიე, ცაცხვს მივესალმე.

– დიდება შენდა, უფალო! – პირჯვარი გადავიწერე.

III

შემდგომის რამდენიმე დღე მიწაზე ფეხს არ ვაბიჯებდი, დავფრინავდი, ყველა ბიჭში საბა მელანდებოდა. ბედნიერების ისეთ განზომილებაში ვიყავი, რომელიც დროის შეგრძნებას გაკარგვინებს, კვირის დღეებს ერთმანეთში გირევს, ყველას და ყველაფრის მიმართ ინტერესს გიქარწყლებს. მიდიხარ და ქვეყნიერება შენი გკონია, ყველა ყვავილის მეპატრონედ თვლი თავს.

რამდენჯერმე გადავწყვიტე, რომ ტელეფონით დამერეკა, მაგრამ ყურმილს როგორც კი ავიღებდი, რაღაც ქვეცნობიერი გრძნობა ცივად მაკიდებინებდა. ისე არ გამიგოთ, თითქოს საკუთარი თავმოყვარეობა მაკეთებინებდა ამას, – არა, უბრალოდ პირველი სვლა საბას მივანდე.

ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც ცაცხვს ვემშვიდობებოდი და ძილს ვაპირებდი, ტელეფონმა დარე-

კა. ყურმილს ვეცი:

- გისმენთ.
- ლიზას სთხოვეთ, - გაისმა უცნობი მამაკაცის ხმა.
- ლიზა ვარ.
- გამარჯობათ, ლიზიკო.
- გამარჯობათ.
- მე სეხნია ვახლავართ.
- დიახ, - დაძაბულობისგან ყურმილი ყურზე მივიბჯინე.

- თქვენ უამრავ მსურველს შორის გაიმარჯვეთ. ზვალ რომელ საათზე გეცლებათ, გასაუბრებაზე რომ მობრძანდეთ?

- დილით ლექციები მაქვს, სამზე თქვენთან ვიქნები.

- კეთილი, მისამართი ხომ გახსოვთ?

- დიახ, - მივუგე მე.

- მაშინ, კარგად ბრძანდებოდეთ, ზვალამდე, - დაკიდა ყურმილი მხატვარმა.

დილით მშვენიერ გუნებაზე გამომეღვიძა. ბოლო დღეებისთვის ჩვეული სიმსუბუქით წამოვდექი, ფანჯარაში გავიხედე და მოულოდნელობისგან ჩავიკეცი. ყველა ფოტოლზე ეწერა - მიყვარხარ. ისე, რომ არც ავმდგარვარ, მაგიდაზე ხელი მოვაფათურე, სიგარეტის კოლოფი და სანთებელა მოვნახე, ერთი ღერი ათრთოლებულ ტურებს შუა მოვიქციე და მოვუკიდე. ფანჯრის რაფიდან ოდნავ ავიჭყიტე - იმიტომ, რომ არ მჯეროდა, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენება არ იყო. წამოვხტი, ფანჯარა გამოვადე და ფოტოლების ფერება დავიწყე:

- მეც მიყვარხარ, მეც, - უაზროდ ვჩურჩულებდი და ჩემს საყვარელ მწვანე არსებებს ვეალერსებოდი. სიგარეტი ჩავაქრე, ზაფად გადავიცივი, ერთი ფოტოლი მოვწყვიტე და გულის ჯიბეში ჩავიდე. სწრაფად ვისაუზმე და უნივერსიტეტისკენ გავეშურე. ლექციებზე კიდეც ვიჯექი და არც ვიჯექი. ნატომ მაშინვე შემატყო, რომ ჩემს თავს რაღაც ხდებოდა. მე საბას გამოჩენის ამბავი მოვუყვი. ძალიან გაუხარდა, მომილოცა. დრომ მალე გაირბინა, ორი საათი ხდებოდა, როდესაც უნივერსიტეტის ბაღში გავედით, განმარტოებული სკამი მოვნახეთ და ჩამოვჯექით:



- როდის მოხდა ეს ყველაფერი?

- დღეს ჩემი ცაცხვის ფოტოლებზე ამიხსნა სიყვარული, - ჯიბიდან მოწყვეტილი ფოტოლი ამოვიდე და ვუჩვენე.

- თვითონ არ გამოჩენილა?

- რამდენიმე დღის წინ ის კეა იყო მოსული, ვინც საბა წამართვა და მითხრა: შენს დაკარგვას ძალიან განიცდის. დებრესიაშია ჩავადნილი, მარტო შენ უყვარხარ და დარეკვა ან ნახვა ვერ გაუბედავსო.

- მერე, შენ არ დაგირეკავს?

- შესარიგებელი პირველი ნაბიჯი საბას დავუტოვე, მან ეს უკვე გააკეთა. დღეს სეხნიასგან სახლში როცა მივალ, აუცილებლად დავურეკავ.

- საიდან მიხვალ? - გაიკვირვა ნატომ.

- სულ დამავიწყდა, მეტქვა, რომ

გუშინ სალამოს სეხნიამ დამირეკა და მითხრა, რომ მრავალ მსურველს შორის მე გავიმარჯვე და დღეს სამი საათისთვის მელოდებოდა.

- ვაა, ძალიან კარგია! ხედავ, ცხოვრება რა საინტერესოდ შემოგიბრუნდა? - ნატომ საათს დახედა, - ლიზა, სამის ნახევარია, არ დაავიანო, - წამოღვა.

მეც წამოვდექი და ავტობუსის გაჩერებისკენ წავედით.

- სალამოს დაგირეკავ, აბა, შენ იცი, - ნატომ სამარშრუტო ტაქსი გააჩერა და წაჰყვა.

რამდენიმე წუთში ავტობუსიც მორიხინდა. სამი სრულდებოდა, როდესაც ქალაქის გარეუბანში, ძველ სასაფლაოსთან ჩამოვედი.

გზის მოპირდაპირე მხარეს, სასაფლაოს წინ, წითელი აგურით ნაშენი, საკმაოდ დიდი და ლამაზი სახლი იდგა, რომელსაც ასევე აგურის დაბალი ღობე ჰქონდა შემოვლებული. სახლზეც და ღობეზეც ხასხასა მწვანე ფოთლებიანი სურო იყო გამეხებული. სუროს ფოთლებისგან ცარიელ ადგილებში, აგურის წითელი ფერი ისე მოჩანდა, როგორც ბროწეულის ყვავილები მოჩანს ხოლმე. რამდენიმე წამი მოჯადოებულივით შევცქეროდი, შემდეგ ქუჩა გადავირბინე და ალაყაფის კართან გავჩერდი. დავიბენი, როდესაც კარზე უამრავი ზარის დილაკი დავინახე. ყველას სხვადასხვა სახელი ეწერა, ხოლო კარის თავზე, რკალად, დიდი ასოებით სახელი „სეხნია“ იყო ამოტვიფრული. ძალაუნებურად გავიფიქრე - „საერთო საცხოვრებელია თუ რა არის?“ რომელიღაც დილაკს თითი მივაჭკირე, ზარის ხმა არც გამიგონია, რამდენიმე წუთში კარი გაიღო:

- თქვენ ლიზა ბრძანდებით? - შემეგება ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ლურჯი წინსაფარი ეკეთა და ხელში ბურქების შესაკრები მაკრატელი ეჭირა.

- დიახ, - თავი დავუქნიე მებაღეს.

- მობრძანდით, - ფართოდ გამიღო კარი, შემიშვა და წინ გამიძღვა.

გაგრძელება იქნება

E კლასის ხვედროვანი ხეჯოლცია



დეტროიტის ავტოსალონის ნაცვლად, კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერმა“, ამ ავტომობილის საბრუნველად, შედარებით კამერული – ბრიუსელის ავტო-შოუ აირჩია. E კლასის შესამუშავებლად კონსტრუქტორები 4 წლის მანძილზე შრომობდნენ და ყველა სამუშაო მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ შარშან ზაფხულში, გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: მანქანის პროტოტიპი ფილ-

მის „შავოსნები 2“ გადაღებებზე გაავხანეს და შემთხვევით, გერმანელმა ტურისტმა აღბეჭდა სამოყვარულო კამერის ფირზე. ცოტა ხანში ფოტოსურათი ბევრ ჟურნალში დაიბეჭდა. „დაიმლერ კრაისლერის“ ხელმძღვანელმა იძულებული გახდა, სასწრაფოდ გამოეცხადებინა პრემიერისა და, 2002 წლის დასაწყისშივე, მისი გაყიდვის დაწყების თაობაზე.

გარეგნულად ახალი კლასი თითქ-

მის არაფრით გამოირჩევა წინამორბედისაგან. სიახლეები უმეტესად, ტექნიკის სფეროს შეეხო. ეს პირველი სერიული ავტომობილია, რომელსაც ელექტრონული სამუხრუჭე სისტემა SENSOTRONIC-ი დაუყენეს, რომელმაც როდსტერ SL-ზე გაიარა გამოცდა. S კლასი პნევმატური საკიდრითაც აღჭურვის, რომელსაც აქამდე, მხოლოდ S კლასის ლიმუზინებზე იყენებდნენ. სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე „გონიერი“ სავარძელი, რომელიც იმისდა მიხედვით იღებს მძღოლისთვის მოსახერხებელ ფორმას, თუ რა მდგომარეობას იღებს მანქანა გზის საფარის შესაბამისად. მომხმარებელს 5 ძრავას – ბენზინის სამსა (6 და 8 ცილინდრიანს – 177 და 306 ცხ.ძ-იანს) და დიზელის ორს (150 და 177 ცხ.ძ-იანს) შესთავაზებენ.

E კლასი 1,5 ტ-ს, ე.ი. წინამორბედზე 20 კგ-ით ნაკლებს იწონის. წინა ფრთები, კაპოტი და საბარგულის სახურავი ალუმინისგან არის დამზადებული. რაც შეეხება ელექტრონიკას, E კლასი BMW-ს ახალ „შვიდიანსაც“ დაჯაბნის, რომელიც ინტერნეტით სარგებლობის საშუალებასაც იძლევა. ამ მანქანის ფასი ევროპაში, სულ მცირე, 35.000 ევრო იქნება. ■

„სამუდამო“

შვედურმა კომპანიამ გამოაცხადა „სამუდამო“ გარანტიის უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც 2002 წლის 1 იანვრიდან გაყიდულ ყველა მის ახალ მოდელზე გავრცელდება. გარანტია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედებს და არ არის დამოკიდებული იმაზე, პირველი მფლობელის ხელშია ავტომობილი თუ, ვთქვათ, მესამის. კონკრეტულად, ფირმის მომსახურება ამგვარია: შეკეთების საჭიროების შემთხვევაში, „ვოლვოს“ მექანიკოსები კლიენტს ადგილზე გაუწევენ უფასო მომსახურებას ან უახლოეს სერვის-ცენტრში გადაიყვანენ მანქანას. თუ შეკეთებას ოთხ საათზე მეტი დრო სჭირდება, ავტომფლობელს დროებით, ანალოგიური კლასის მანქანას ან, მისი არჩევანით, პირველი კლასის ვაგონში რეინიგზით მგზავრობას შესთავაზებენ. თუ რემონტი 8 საათში ვერ თავსდება, კლიენტმა – ცხადია, კომპანიის ხარჯით, – თვითმფრინავით შეიძლება ისარგებლოს. ისინი, ვინც შეკეთებამდე დაიცდის, სასტუმროს ხარჯს დაუფარავენ. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს შეღავათი არამარტო

გახანცია VOLVO-სგან



მძღოლზე, არამედ თითოეულ მგზავრზე (7 კაცი მაქსიმუმია) ვრცელდება. გარანტიის აუცილებელი წინაპირობა, „ვოლვოს“ სერვის-ცენტრებით რეგულარული

სარგებლობაა: ცენტრში თითოეულ შესვლას მექანიკოსები სასერვისე წიგნაკში აღნიშნავენ და გარანტია ავტომატურად, ერთი წლით გრძელდება. ■



დექსტონული ქეხთუკი

წვრილმანები, რომელიც სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება ჩვენს ყოფაში, ბევრ უხერხულობას გვიქმნის: მაგალითად, ჩვეულებრივი ფლეიერი ვერ თავსდება ჯიბეში, მისი სადენები კი ხშირად იბლანდება. ამგვარი პრობლემების გადასაწყვეტად, კომპანია SCOTT EVEST-მა სპეციალური ქურთუკი გამოუშვა, რომლის ჯიბეებშიც არა მარტო ყველა მობილური მოწყობილობა, არამედ საფულე, გასაღებების აცმა, საყვარელი ჟურნალი და, წარმოიდგინეთ, გამაგრებული სასმლის ბოთლიც კი მოთავსდება. ამ სამოსის ყველაზე მიმზიდველი თავისებურება ის არის, რომ შეგიძლიათ, სარჩულის ქვეშ მოიქციოთ ყველა სადენი, სპეციალური სისტემა, საყელოში ფლეიერის ყურსასმენების დამალვის

ეხი „სეიჯში“

ბოლო დროს, რამდენიმე მოწყობილობის გაერთიანების ტენდენცია გამოიკვეთა. კომპანია „სონიმ“ მომხმარებელს შესთავაზა კომბაინი BIT-PLAY, რომელიც სამუსიკო ცენტრის, DVD-ფლეიერის, ტელევიზორისა და ინტერნეტ-მისაბმელის ნაერთს წარმოადგენს. სამუსიკო ცენტრზე CD და MD-დისკების დაკვრა შესაძლებელია; გარდა ამისა, ის აღჭურვილია თხევადკრისტალებიანი ეკრანით, რომელიც არა მარტო ტელევიზორის ფუნქციას ასრულებს, არამედ ქსელში მოგზაურობის საშუალებასაც იძლევა. აქვე დავძენთ, რომ ანალოგიური შესაძლებლობები ექნება კომპანია „მაიკროსოფტის“ „საშინაო კომპიუტერს“, რომელიც მასობრივ სარეალიზაციო ქსელში წლეულს უნდა გამოვიდეს. ■

ციფრული მინიატურები

ციფრული ფოტოაპარატები საოცრებას აღარ წარმოადგენს, თუმცა, ჯერჯერობით არც ფართო მოხმარების საგნად ქცეულა. კომპანია „მინოლტას“ ახალი ციფრული კამერა DIMAGE X-ი თავისუფლად მოთავსდება მომცრო ჯიბეში – მისი ზომაა: 84,5X72X20 მმ, წონა კი, უელემენტოდ, 135 გ-ს შეადგენს. რაც მთავარია, ის საოცრად სრულყოფილია ტექნიკური თვალსაზრისით: არა მარტო 2 მეგაპიქსელის ტევადობის მატრიცა აქვს, არამედ სამსაფეხურიანი „ზუმი“ (მოახლოება-დაშორების სისტემა), რაც მინი-კამერებში არ გამოუყენებიათ. ფოტოსურათებს SD MEMORY CARD-ი იწერს. კომპლექტში შეტანილ 8-მეგაბაიტიან ბარათზე (მის ნაცვლად, 128-მეგაბაიტიანის გამოყენებაც შეიძლება) 13 კადრი ან 19-წამიანი ვიდეორგოლი თავსდება. ■



საშუალებას იძლევა; თუ ჯიბის კომპიუტერის მობილურ ტელეფონთან ან რადიომიმდებთან შეერთების საჭიროება შეგექმნათ, ესეც უპრობლემოდ მოხერხდება. ზურგზე ნოუთბუქისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩასადებია, რომელიც იმგვარადაა მოწყობილი, რომ ქურთუკის გაუნდელად ამოიღოთ.

ქურთუკი 120 ლოლარი ღირს. აშშ-ის ტერიტორიაზე კომპანიამ მასზე უამრავი შეკვეთა მიიღო. როგორც მწარმოებლები ირწმუნებიან, უკვე მარტის ბოლოსთვის, ქურთუკის ფასი 40 ლოლარამდე დაიწევს. ■



პატივსაცემი სალონ ალბომის პრეზენტაცია

რამდენიმე დღის წინ, ახალგაზრდულ კლუბ „ბუმში“ პატარა სალონ ახალი მუსიკალური ალბომის – SOS-ის პრეზენტაცია გაიმართა, სადაც სალომე ქერივიშვილს ყველა ქართველი რეპ-შემსრულებელი ესტუმრა. ყველა მომღერალმა საკუთარი კომპოზიცია ცოცხლად შეასრულა. განსაკუთრებული მოწონება ბედინასთან ერთად სალონ მიერ ნამდერ დუეტს ხვდა წილად, რომელიც მსმენელებმა მჭუსარე ტაშით დააჯილდოეს. ეფექტური იყო რეპ-მოცეკვავეთა ჯგუფის Flying style-ის გამოსვლა. მათ დიდი პროფესიონალიზმი გამოამჟღავნეს და ყველაზე კრიტიკულად განწყობილი სტუმრებც კი მოხიბლეს. უნდა აღინიშნოს, რომ პრეზენტაცია მხოლოდ რეპით არ შემოიფარგლა. სტუმრად მოწვეულმა მამუკა ონაშვილმა საკუთარი პიტების შესრულებით ხალისიანი განწყობა გაათამაგა და დარბაზიც მეტად გააქტიურდა: ცეკვადა ყველა – ყველაზე მორცხვი სტუმარიც კი. სტუმრებს შორის ჯგუფი „ფლეშიც“ გამოჩნდა, რომელმაც გულითადად მიუღოცა პატარა მომღერალს ალბომის გამოცემა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სადამო უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული და ბევრი სხვა მსგავსი პრეზენტაციისგან გააზრებული პროგრამით გამოირჩეოდა. დასასრულს, სალომემ სტუმრებს მორცხვად გაუშხილა, რომ ალბომის პრეზენტაცია მან მამიკოს დაბადების დღეს დაამთხვია.



„ცაში აცყობტნილი ქედეი“ მთელდნელი წაბმაცემა

ქართველებისთვის მტკივნეულ 1991-92 წლების თბილისის ომის თემას მრავალი პუბლიკაცია და ფილმი მიუძღვნა, მათ შორის ერთ-ერთმა – მოკლემეტრაჟიანმა ქართულ-პოლანდიურმა ფილმმა – „ცაში აცყობტნილი ქედეი“ – ევროპაში დიდი წარმატება მოიპოვა. სულ ახლახან კი, ამ სურათში როლების შემსრულებელმა ტყუპმა დამ, ქეთინო და თინიო ტყეშელაშვილებმა პოლანდიდან, მოკლემეტრაჟიანი ფესტივალის ორგანიზატორებმსგან სამადლობელი წერილი და სპეციალური პლაკატები მიიღეს. მათ მიერ განსახიერებული მოსწავლე გოგონების – შთამბეჭდავი სახეების შექმნისათვის. მარინა კულუმბეგაშვილი, ფილმის თანარეჟისორი:



– სურათის მთავარი რეჟისორი, პოლანდიელი სან დე ბლუმი გახლავთ. მან სამოქალაქო ომის თემა თავისი სადიპლომი ფილმისთვის შეარჩია და საუცხოოდაც გააართვა თავი დასახულ ამოცანას. გადაღებები ოქტომბერში, საქართველოში, კრძოდ – შუამთის მონასტრის ეზოში მიმდინარეობდა. ფილმი ომის დასასრულს ასახავს და დიდ ემოციურ მუხტს შეიცავს. როგორც ახლახან შევიტყვეთ, მას დიდი მოწონება ხვდა წილად და სპეციალური პრიზითაც აღინიშნა.

„პრესტიჟი“ 10 წლის სერემა

მუსიკალური სტუდია „პრესტიჟი“ დაარსების 10 წლისთავისთვის ემზადება. სულ ახლახან, ისრაელის საელჩოს ინიციატივით გაქართულ გალა კონცერტზე „პრესტიჟის“ აღსაზრდელებმა უცხოელ სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და რამდენიმე საინტერესო წინადადებაც მიიღეს. ბევრისთვის ალბათ ცნობილია, რომ ამ სტუდიის კურსდამთავრებულებს შორის ქართული შოუბიზნესის რამდენიმე ცნობილი წარმომადგენელია, მათ შორის: თამთა გოგუაძე, ნათია ქიქია, მარიკა ქაცარავა და ლევან ჯაყელი. როგორც შევიტყვეთ, 10-წლიანი იუბილე აპრილის ბოლოსთვის არის დაგეგმილი და სპეციალურად მასზე დასასწრებად „პრესტიჟის“ დამაარსებელი – მომღერალი მანანა თოდაძე ჩამოვა მოსკოვიდან, აშჟამად კი, სტუდიას მისი მეუღლე – კომპოზიტორი ბორის შხინანი ხელმძღვანელობს. მისი თქმით, სახეიძო სადამო, სავარაუდოდ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდება და მასში სხვა გამოჩენილი ქართველი მომღერლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

„თქმის დისკის“ მთელმთელში „ციცანიკში“

ქართველი მსმენელი მოუთმენლად ელოდა „ოქროს დისკის“ მფლობელების კონცერტს, რომელიც 28 თებერვალს უნდა გამართულიყო, მაგრამ როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, დაგეგმილი ღონისძიება რეა მარტისთვის გადაიდო. ამის ერთ-ერთ მიზეზად, მაია ჯაბუას თბილისში არყოფნა დაასახელეს, რომელიც „ოქროს დისკის“ მფლობელთა ქართულ ექვსეულში შედის. კონცერტის დასკვნითი ნაწილი კი, რესტორან „ტიტანიკში“ მაინც გაიმართა. იქ მისული მსმენელები არ გააწილეს: სადამოს ორგანიზატორმა ცაია ყიფიანმა დანაპირები პირნათლად შეასრულა და სტუმრებს დაუვიწყარი სადამო მიუძღვნა. „ტიტანიკში“ მისულ „ოქროს დისკის“ მფლობელებს ამჯერად, მაია ჯაბუას გარდა, თემურ თათარაშვილიც აკლდა. სადამოს წამყვანად, დიზანერი ბაკურ ბაკურაძე მოგვევლინა, რომელმაც თავიდანვე გაახალისა „ტიტანიკში“ შეკრებილი საზოგადოება და სასიამოვნო სიურპრიზის სახით, რამდენიმე პოპულარული შემსრულებელი წარუდგინა. კონცერტი გვიანობამდე გაგრძელდა. განსაკუთრებული მოწონება ეკა კვალაიაშვილისა და მერაბ სეფაშვილის გამოსვლებს ხვდა წილად. მამუკა ჩარკვიანმა კი, თათია გიორგობიანთან და ქეთა თოფურაიასთან ერთად შესრულებული ორი დუეტი შესთავაზა სტუმრებს. მოგვიანებით, ვარსკვლავთა ნაკრებს ნუკრი კაპანაძეც შეუერთდა და ჩვეული ოსტატობით შეასრულა რამდენიმე სიმღერა.

ენციონი ჰოპკინსმა თინჯანი ყავის სათესურად, მასწავლებლობა დაიწყო



ბრიტანული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი მსახიობი ენციონი ჰოპკინსი ქალაქ სანტა-მონიკას დრამის ხელოვნების სკოლაში სტუდენტებს სამსახიობო ოსტატობას ასწავლის და ამისთვის სიმბოლურ გასამრჯელოს — ერთ თინჯან ყავას ითხოვს.

„წარმოდგენელია, რომ ასეთი რანგის მსახიობი ამგვარად იქცევა, — მისი კურსი ხომ შექსპირიდან ჩეხოვამდე პროგრამას მოიცავს და დიდ შრომასა და ენერჯიას მოითხოვს...“ — გაოცებას ვერ მალავს სკოლის დირექტორი ჯონ რასკინი.



მბრე პიცი მასსოფტობას კატგავს

ამას წინათ, ბრედ პიტს შემაშფოთებელი რამ შეემთხვა: მსახიობმა აღმოაჩინა, რომ სრულიად დაავიწყდა თავისი როლი. მოუხედავად იმისა, რომ კინოვარსკვლავი საფუძვლიანად შეშინდა, მან საკონსულტაციოდ არა ექიმს, არამედ თავის ძველ მეგობარს — რობერტ რედფორდს მიმართა. გამოცდილმა მსახიობმა პიტს გონებისთვის სასარგებლო კოქტეილის მიღება ურჩია (მის ძირითად კომპონენტს, E ვიტამინი წარმოადგენს). აღმოჩნდა, რომ ბრედს მართლაც სწორი გადაწყვეტილება მიუღია, რადგან რედფორდის წამალმა სასწაულურად იმოქმედა და ბრედ პიტს მეზსიერება მალევე აღუდგა.

მბიჯიფ ჯონსი წინას კატგავს

ჰელენ ფილინგის რომანის ეკრანიზაცია — „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ შარშანდელი წლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფილმი აღმოჩნდა. მისი სიქველის გადასაღებად კი, ამჟამად, ინტენსიური მოსამზადებელი სამუშაო მიმდინარეობს. აღმოჩნდა, რომ ახალ ფილმში მთავარი გმირი გაცილებით გამხდარი იქნება. როგორც ცნობილია, პირველად, მთავარი გმირი საუცხოოდ განასახიერა რენე ზელვეგერმა და მაშინ მას, საგანგებოდ ამ როლისთვის, წონაში 10 კგ-ზე მეტი წონის მომატება მოუხდა. მამაცი რენე სპეციალურ დიეტას იცავდა და მცირე ხანში, პროტეინის კოქტეილებისა და „სნიკერსების“ წყალობით, საკმაოდაც გასუქდა. მაგრამ ამ „საემირო საქმის“ გამეორებას ზელვეგერი თურმე აღარ აპირებს: „არავითარ შემთხვევაში! — ვცირის ამჟამად უკვე წონადაკლებული მსახიობი, — ამას აღარ ჩავიდნ. ეს საშინელება ერთხელ უკვე გადავიტანე. ასე რომ, გასუქებაზე კატეგორიულ უარს ვაცხადებ!“



მანდრეასმა ლიუსი ლიუ გადააჩინა

ახალი ფილმის გადასაღებ მოედანზე კინლამ საშინელი ტრაგედია დატრიალდა: სპეცეფექტების ერთ-ერთი მოწყობილობის გამოცდისას, გადამღები ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ასაფეთქებელ ნივთიერებათა ექსპერტს მცდარი მითითება მისცა და რაკეტა პირდაპირ პავილიონში აიჭრა. ყველა იქ მყოფი, თავის გადასარჩენად, უძალ გაიფანტა, ანტონიო ბანდერასმა კი, რობერტ თავისი პარტნიორის — ლიუსი ლიუს გვერდით იმყოფებოდა, უძალ ხელი სტაცა ქალს, იატაკზე დააწვინა და ზედ გადაეფარა. როცა პანიკა ჩაცხრა, „ღლის გმირმა“ პიროტექნიკოსები კარგად გამოლაშქრა და მათ უსაფრთხოების წესების შესახებ „ლექციაც კი წაუკითხა“. ინციდენტმა არა მარტო მსახიობები შეაშინა, არამედ ფილმის გადაღების გრაფიკაც სრულიად შეცვალა. რადგან აღდგენითმა სამუშაომ ფილმი „ლიუსი“ უკვეტსაც დაასვა დაღი.

მეგ ტაინი რბთციკამ მიიზიდა

მოსალოდნელია, რომ კომედიების დედოფლად აღიარებულმა მეგ ტაინმა მკვეთრად შეიცვალოს ამპლუა: სულ მალე, მეგი ხელს მოაწერს კონტრაქტს ეროტიკული ტრილერის გადაღებ ჯგუფთან, რომლის პროდიუსერადაც, ამ ამპლუაში დებიუტანტი, კინოვარსკვლავი ნიკოლ კიდმანი მოგვევლინება.

ფილმის რეჟისორი ჯეინ კემპიონი იქნება, რომელმაც ფილმით — „პიანინო“ გაითქვა სახელი. სცენარი, ამერიკელი მწერალი ქალის, სიუზან მურის ნოველის მიხედვით



დაიწერა და ასახავს ნიუ-იორკელი მასწავლებლის ცხოვრების ამბავს, რომელიც მის მეზობლად მომხდარი საშინელი მკვლელობის გამოძიებულ დეტექტივს დაუახლოვდება. ფილმის სავარაუდო ბიუჯეტი, 12 მლნ დოლარს შეადგენს და მისი გადაღება ნიუ-იორკში, ივლისში უნდა დაიწყოს.

საფრთხა

რუბრიკას უძღვება ექიმი
მამარ მამასაშვილი

სად იმალება ინფექცია?

ბაქტერიები კაცობრიობის მტერია. ამიტომ აქტიურად მიმდინარეობს ტრიკლოზანის პასტის, „ტუალეტის იხვების“ და საშიშ დაავადებებთან მებრძოლი სხვა საშუალებების პროპაგანდა. ყველაფრის მიუხედავად, მსოფლიოში დროდადრო აფეთქებული გრიპის, ციმბირის წყლულისა და ქოლერის ეპიდემიები გვარიანად შეგვაშინებს ხოლმე. მაგრამ ჩვენი მთავარი მტერი უმეტესად საჭიროდ ჩავთვალეთ, კიდევ ერთხელ შეგასხენოთ ზოგიერთი რეალური „რისკის ზონა“.

გრანსპორტი

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტში სახელოურებზე უამრავი ჰეპატიტის, სიფილისის და სხვა დაავადების მატარებელი ჰკიდებს ხელს, ავტობუსში, ტროლეიბუსში, მეტროში დაინფიცირების შანსი ძალიან მცირეა – 1%-მდე.

სახლში დამზადებული კონსერვები, რძე

აუღლარი რძის დალევის შემთხვევაში თქვენ ბრუცელოზით დასნებოვნება გეპეტრებათ.

შინ დამზადებული კონსერვები: ხილის კომპოტები, სოკო, ბოსტნეული, მწნილი – ბოტულიზმის გამომწვევისათვის შესანიშნავ გარემოს წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ამ „შავ სიაში“ არ ხვდება მხოლოდ მურაბა, რადგან ბოტულიზმის ჩხირი ტკბილ გარემოში ვერ ცოცხლობს.

დასნებოვნების რისკი – 50%.

პროფილაქტიკა: კონსერვებს ნუ შეინახავთ 1 წელზე მეტხანს, დაიცავით დაკონსერვების წესები.

ფულის კუპირები

მიუხედავად იმისა, რომ ფულის კუპირები უამრავ ხელში გაივლის, ის პრაქტიკულად არასოდეს ხდება დაავადების გადამტანი.

დასნებოვნების რისკი: 1%-მდე.

ტუალეტი

თავიდანვე უნდა გაავანტოთ მითი ტუალეტის სახურის ქვეშ მოთავსებული ბაქტერიების შესახებ, რომლებიც თავისი ბიოლოგიური „მოწყობილობის“ მეშვეობით, ვერაფრით „ამოხტებიან“ უნიტაზიდან. საშიშროება სხვაგან იმალება: ტუალეტის ქალაღლით ჰიგიენური ქმედების ჩატარების დროს ადამიანს უმეტეს შემთხვევაში ესვრება ხელი, შემდეგ ამ ხელს ჰკიდებს ინკანს, კარის სახელოს, რომლებზეც შესაძლოა, დარჩეს ინფექცია. საკმარისია, ხელი პირში ჩაიდოთ და – ინფექციაც ორგანიზმშია. ამ გზით შესაძლოა ვირუსული ჰეპატიტით (ბოტკინის დაავადებით), მწვავე ნაწლავური ინფექციებით დაავადება.

დასნებოვნების რისკი: 50%-ია ინფექციის არსებობისას.

პროფილაქტიკა: ტუალეტში ყოფნის შემდეგ, აუცილებელია ხელების საპნით დაბანა.

სამზარეულო

აქ საშიში წერტილებია: სამზარეულოს ნიჟარა, საჭრელი დაფა, აგრეთვე დანები. მიზეზი უმეტესად კონტაქტია. ცალკე აღნიშნის ღირსია ქათმის კვერცხი, რომელიც სალმონელოზის გადამტანს წარმოადგენს. ცუდად გარეცხილი დაფა სხვა პროდუქტების დაბინძურების წყარო ხდება ხოლმე.

დასნებოვნების რისკი: 30-40%-ია ინფექციის არსებობისას.

პროფილაქტიკა: საგულდაგულო რეცხვა. ინფექციისათვის სისუფთავე ცუდი გარემოა. პროდუქტები სწორად უნდა იქნას შენახული – ერთმანეთისაგან განცალკევებულად.

აუცილებლად დაიბანეთ ხელები და გარეცხეთ დანა კვერცხის ნაჭუჭის გატეხის შემდეგ.

იქონიეთ სხვადასხვა საჭრელი დაფა ხორცისთვის, ბოსტნეულისა და პურისთვის.



სხვისი ნივთები: განსაცმელი, ფეხსაცმელი, სავარცხელი, კოსმეტიკა

ხელთათმანებით ადვილია მუნის გადაღება. სხვათა შორის, ეს დაავადება დღეს საკმაოდ გავრცელებულია. ფეხსაცმლით გადაღის სოკოვანი დაავადება. სავარცხლით – ტილი და სებორეა (ქერტლი გადაძვები დაავადება), კოსმეტიკით (ტუშით, პომადით, ფანქრით) – ჰერპესის გამოწვევი და კონტაგიოზური მოლუსკი (იწვევს მტკივნეულ ელემენტს კანზე, რომლის მკურნალობა ძალიან ხანგრძლივია).

დასნებოვნების რისკი: 50-100% ინფექციის არსებობისას.

პროფილაქტიკა: პირადი ნივთებით თავდაცვით და ნუ მისცემთ მათ სხვას.

ალარაფერს ვამბობთ თავად ადამიანზე, რომელიც ინფექციის ყველაზე საშიში გადამტანია.


დაიხსომეთ აუცილებელი წესი – დაიბანეთ ხელები ხანდახან მაინც. მაგრამ უკიდურესობაში ნუ გადახვალთ – არ არის აუცილებელი, გამუდმებით ანტიბაქტერიული საპნის გამოყენება. ასეთი საპნი მხოლოდ საჭიროებისას უნდა გამოიყენოთ. ჩვენი კანი ხომ დამცავი შრით და სპეციალური ბაქტერიებითაა დაფარული.

სამკურნალო დაწესებულებები

აქ მთავარ საშიშროებას ინსტრუმენტები წარმოადგენს. სამწუხაროდ, სტერილურობაზე ინსტრუმენტების შემოწმება პაციენტს არ შეუძლია. ერთჯერადი კომპლექტების გამოჩენის შემდეგ ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად შესუსტდა, მაგრამ ზოგჯერ ხდება, რომ მათ ერთჯერადობაზე „ეკონომიას“ აკეთებენ.

ყველაზე დიდი რისკის მატარებელია სტომატოლოგიური კაბინეტები და კლინიკური ლაბორატორიები. სისხლის გზით გადაღის B და C ჰეპატიტები და შიდსი.

დასნებოვნების რისკი: 100%-ია ინფექციის არსებობისას.



პროფილაქტიკა-მკურნალობა

ფსიქოსომატური დაავადებები - სული და სხეული ერთდროულად ავადდება

ფსიქოსომატური მოშლილობა და ფსიქოსომატური დაავადება

ფსიქოსომატური მოშლილობისა და ფსიქოსომატური დაავადების მიზეზი ფსიქოლოგიური ფაქტორებია, მაგრამ ფსიქოსომატური დაავადების დროს, ფსიქოსომატური მოშლილობისაგან განსხვავებით, სახეზეა რეალური ორგანული პათოლოგია. კლასიკურ ფსიქოსომატურ დაავადებებს მიეკუთვნება: ჰიპერტონიული დაავადება, ბრონქული ასთმა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, წყლულოვანი კოლიტი, ნეიროდერმიტი.

ამა თუ იმ დაავადებისადმი წინასწარ-განწყობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ რეაგირებს სხეული სტრესულ სიტუაციებზე. მაგალითად, ადამიანი კონფლიქტურ სიტუაციაზე რეაგირებს არტერიული წნევის მომატებით. ასეთი რეაქცია ფიქსირდება ყოველი მორიგი სტრესის დროს და ფარმოქმნება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფსიქოსომატური მოშლილობა. თუ რეაგირება გახდება მუდმივი, მაშინ წნევა მომატებს უკვე არა მხოლოდ კონფლიქტურ სიტუაციაში, არამედ უმიზეზოდაც. მაშინ ჩვენ საქმე გვექნება ჰიპერტონიულ დაავადებასთან. პირველ შემთხვევაში, თქვენ დაგეხმარებათ ფსიქოლოგი, რომელიც გასწავლით, როგორ აკონტროლოთ თავი, როგორ გათავისუფლდეთ ნეგატიური ემოციებისაგან; ხოლო მეორე შემთხვევაში საჭიროა კვალიფიცირებული, ექიმის დახმარება ფსიქოთერაპიასთან ერთად.

ფსიქოსომატური მოშლილობა და ტკივილი

თანამედროვე მედიცინაში ტკივილის სიმპტომის განვითარებას ფსიქოსომატურ მოშლილობასთან აკავშირებენ, რადგან ძალიან ხშირად მისი წარმოშობის, გაძლიერების, შესუსტებისა და გაქრობის მიზეზი სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფაქტორები ხდება ხოლმე. შინაგანი დამაბულობა და შიში აძლიერებს ტკივილს, გართობა ასუსტებს მას, იმ ადამიანის სიახლოვემ, ვისაც ენდობით ან ექიმის მოვლამ, შესაძლოა, მისი სრული გაქრობაც კი გამოიწვიოს (ან შეამსუბუქოს მაინც). კუნთების ტკივილი ხშირად გვხვდება მუსკულატურის ხანგრძლივი, გაუცნობიერებელი დამაბულობის დროს, როდესაც შინაგანი მდგომარეობა სხ-

ეულში ვლინდება ხოლმე. მედიცინაში ცნობილია ე.წ. „პლაცებოს“ ეფექტი. თუ ადამიანი ფიქრობს, რომ მას დაუნიშნეს მისი დაავადების სამკურნალო წამალი და სჯერა, რომ ის მას უშველის, ამან შეიძლება ტკივილის შეგრძნების სრულ გაქრობამდეც კი მიიყვანოს. ამიტომ, ვიდრე მიიღებდეთ ტკივილგამაყუჩებელი საშუალების მორიგ დოზას, დაფიქრდით, იქნებ იგი მსუბუქი დამამშვიდებელი შეგეცვალათ. თქვენი ნერვები დამშვიდება და ტკივილიც გაივლის.

ფსიქოთერაპია ხერხემალსაც ჯერნავს

„ზურგში ტკივილის“ მცნება მოიცავს სხვადასხვა ნიშანს: დაწყებული ზურგის კუნთებში უსიამოვნო შეგრძნებებიდან, დამთავრებული ხერხემალში მწვავე ტკივილით. ყველა ეს სიმპტომი ვითარდება ქრონიკული ტრავმებისა და ადამიანის მახასიათებელი პოზების ზეგავლენით. ამის მაგალითია ოფისში მომუშავეთათვის დამახასიათებელი ტკივილები ზურგის არეში. ადამიანი ხშირად იღებს მოუხერხებელ პოზას, რის შედეგადაც ხერხემალი და ზურგის კუნთები იძაბება მიუღივლი დღის განმავლობაში. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ხერხემლის სახსროვანი აპარატის დარღვევები აღენიშნება 75 წელს გადაცილებული მოსახლეობის 100 პროცენტს.

რა თქმა უნდა, ზურგში ტკივილის მკურნალობისათვის ექიმის დახმარება აუცილებელია, მაგრამ მკურნალობის ეფექტურობას ხელს უწყობს ფსიქოლოგის კონსულტაციაც. ამიტომ ფიზკულტურა, სითბო, დამაბულობის მომხსნელი ვარჯიშები, მედიკამენტების მიღება ფსიქოთერაპიასთან ერთად უნდა განხორციელდეს. ეს უკანასკნელი დაგეხმარებათ ტკივილის გამომწვევი მიზეზების დადგენაში, მათთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური კონფლიქტების დამუშავებაში, ცხოვრების სტილის შეცვლასა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. ზურგში ტკივილის დროს პირველი დახმარება თქვენვე შეგიძლიათ აღმოუჩინოთ საკუთარ თავს ექიმისა და ფსიქოლოგის გარეშე. შეარჩიეთ ისეთი დრო, როდესაც არავინ გაწუხებთ, ჩაჯექით სავარძელში და მოდუნდით. დააკვირდით თქვენს ხერხემალს, მოაღუნეთ ზურგის თითოეული კუნთი და ეძებეთ ის ადგილი, სადაც კუნთები დაჭიმულია. შემდეგ მიახდინეთ მიუღივლი ყურადღების კონცენტრაცია ამ ადგილზე. ტკივილი და დამაბულობა თანდათან გაძლიერდება. ეს კარგის ნიშანია, გააგრძელეთ კონცენტრირება. როდ-

საც პიკს მიაღწევთ, დაჭიმულობაცა და ტკივილიც გაქრება. საჭიროების შემთხვევაში, ეს პროცედურა გაიმეორეთ, რათა შედეგი განამტკიცოთ.

ნამდვილად გბტყავთ გული?

ფსიქოსომატური მოშლილობები შუახნის ასაკში ხშირად ვლინდება გულის ტკივილით (ე.წ. კარდიალგიით), რომელიც თავისი გამოვლინებით ძალიან ჰგავს სტენოკარდიულ ტკივილს. ამ ტკივილებს აქვს ერთი და იგივე ლოკალიზაცია გულის არეში. კარდიალგიის დროს სტენოკარდიული ტკივილის მსგავსად ტკივილი შეიძლება გადაეცეს მარცხენა მხარსა და ხელში. კარდიალგიური ტკივილებით შეპრობილი ავადმყოფი წლების განმავლობაში დღის ერთი ექიმიდან მეორესთან სენსივან განკურნების იმედით და მას მკურნალობენ ხოლმე, როგორც სტენოკარდიით დაავადებულს, მაგრამ ავადმყოფი შეგებას ვერ გრძნობს. ზოგჯერ ასეთი ავადმყოფები ითხოვენ ქირურგიულ ოპერაციასაც კი. ახლა გთავაზობთ ცხრილს, რომელიც საშუალებას მოგცემთ იპოვოთ განსხვავება ამ ორი სხვადასხვა გენეზის ტკივილს შორის.

როგორ განვასხვავოთ კარდიალგია სტენოკარდიისაგან?

სტენოკარდია

სტენოკარდიული ტკივილი მოჭერითი ხასიათისაა, მკვეთრია და შეიგრძნობა მკერდის ძვლის უკან;

სტენოკარდიული ტკივილი ფიზიკური დატვირთვის დროს მწვავედ და ძლიერდება;

სტენოკარდიულ ტკივილს ხსნის ნიტროგლიცერინი;

სტენოკარდიულ ტკივილს აქვს მუდმივი ხასიათი;

სტენოკარდიით ავადმყოფი ტკივილის შეტევებს შორის პერიოდში თავს ჯანმრთელად გრძნობს, არ აღენიშნება უსიამოვნო შეგრძნებები გულის არეში.

კარდიალგია

კარდიალგიის დროს ტკივილის შეგრძნება სხვადასხვაგვარია, არა აქვს მკვეთრი ხასიათი, ავადმყოფი მას აღწერს, როგორც ყრუ, დამწოვან ან მტეხავ ტკივილს (გულზე ზეწოლის, ტეხვის ან სიმძიმის შეგრძნება), ზოგჯერ კი როგორც მწიწკნავ, მხხლელებ ტკივილს;

ფიზიკური დატვირთვის დროს კარ-

დიალგიური ტკივილი შეიძლება გაძლიერდეს, მაგრამ შეიძლება გაქრეს კიდევ;

კარდიალოგის დროს ნიტროგლიცერინი ავადმყოფს შვებას არ ჰკვირის, სამაგიეროდ, ეფექტურია ფსიქოტროპული საშუალებები (მაგალითად ვალეოკორდინი);

კარდიალოგის ახასიათებს ტკივილის შეგრძნების არამუდმივობა, ჩნდება

ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენით; კარდიალოგიური ავადმყოფები მუდმივად „გრძნობენ გულს“, ტკივილის შეტევის გარეშეც.

ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გაეგოთ, რომ პაციენტს უფლება აქვს, თავად დაისვას დიაგნოზი გულის არეში ტკივი-

ლის დროს და არ მიმართოს ექიმს, რადგან ეს იმდენად ნატიფი ორგანოა, რომ ერთი შეცდომაც კი შესაძლოა საბედისწერო გახდეს, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იმ ფსიქოლოგიური ტერორის ფონზე, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა განიცდის, მრავალი ახალგაზრდა გახდა ფსიქოსომატური მოშლილობის მსხვერპლი.



კაკალი – სასარგებლოც, კალორიულიც

400 გ კაკალი ადამიანის საკვების დღიურ მოთხოვნილებას უზრუნველყოფს. ამიტომ კაკალი რეკომენდებულია მნიშვნელოვანი ფიზიკური და გონებრივი გადაღლის დროს, სპორტსმენებისათვის, კოსმონავტებისათვის, წონის ძლიერი დაკლების დროს, გამოფიტვისას, მძიმე დაავადების გადატანის შემდეგ, მეძუძური დედებისათვის, სუსტი და ძნელად განვითარებადი ბავშვებისათვის.

ხალხური გადმოცემით, კაკალი „ცხოვრების ხედ“ იწოდება.

კაკლის ნაყოფი მდიდარია ცხიმებით (40-80%), ცილებით (25%-მდე), მრავალი მნიშვნელოვანი მინერალით და მთრმლავი ნივთიერებებით, ვიტამინებით. იგი შეიცავს აბინძურებებს, რომელთა ნახევარი შეუცვლელია ე.ი. არ სინთეზირდება ადამიანის ორგანიზმში.

100 გ კაკალი 600-850 კკალ-ს გამოყოფს. კალორიულობით კაკალი 1,5-ჯერ აღემატება ცხიმოვან ღორის ხორცს, 2,5-ჯერ – თაფლს, 3-ჯერ – პურს, 4,5-ჯერ – ქათმის ხორცს, 7-8-ჯერ – თევზს და 10-ჯერ კარტოფილსა და რძეს.

ცნობილი სელექციონერები თვლიან, რომ კაკალი მნიშვნელოვან ადგილს უნდა იკავებდეს ადამიანების კვების რაციონში. მიჩურინმა კაკალს მომავლის პური უწოდა: რადიაციული მედიცინის ამერიკელ სპეციალისტს – დოქტორ გეილს კი მიაჩნია, რომ დღეს, მომატებული რადიაციის პირობებში ადამიანებს კარგი

კვება ესაჭიროებათ და ყოველდღიურ რაციონში შეტანილი უნდა იქნას 4-5 ცალი კაკალი.

კაკალი არა მხოლოდ საკვებია, არამედ მკურნალიცაა. კაკლის ხის ფოთლების ჩაი (50 გ ფოთლები 1 ლ წყალზე) სასარგებლოა კანის დაავადებების, მრგვალი ჭიების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებების დროს. კუჭსა და ნაწლავებში ტკივილის (მონელების დარღვევის) შემთხვევაში იყენებენ შემოუსვლელი ნაყოფის ნაყენს და ლიქიორს.

კაკლის ფოთლებისა და ნაყოფის ნედლი ქერქის წვენი ძალზედ ეფექტურია ღრძილების დაავადებების, პირის ღრუს წყლულების, ხახის შესივების, ყელის სხვადასხვა პათოლოგიის, თვალისა და ცხვირის ლორწოვანი გარსების ანთებების დროს; მას იყენებენ, როგორც საკვებს ან ადგილობრივად შესაზულ საშუალებას.

ფოთლებისა და ნაყოფის ქერქის ნახარშის თბილი კომპრესები კეთდება ბუასილის კვანძების, ქალური დაავადებების, მობერებული ვენერიული დაავადებების დროს.

კაკალი პოტენციას ადადგენს. ამიტომ მისი მიღება რეკომენდებულია სქესობრივი სისუსტის დროს.

ტიბეტური მედიცინის რეცეპტის მიხედვით, კაკალი ყველთან და ქიშიშთან ერთად ატონიზირებს ნერვულ სისტემას, ხსნის დაღლილობას, თავის ტკივილს, ამაგრებს გულის კუნთს. ერთ მიღებაზე საჭიროა 30 გ კაკალი, 20 გ ქიშიში და 20 გ ყველი.

გარეგანი ხმარებისათვის სისხლდენების, ჭრილობების, დაჩირქებების, მოყინვის, სიფილისური წყლულების დროს იყენებენ მაგარ ნახარშს, ფოთლებისა და მწვანე ქერქის წვენს, აგრეთვე მშრალი ქერქის ფხვნილს.

ფოთლებისა და მწვანე ქერქის წვენი, მაგარი ნაყენი ან ნახარში კარგია ჩირქოვანი გამოზნაყრის, ეგზემის, მუნის, აგრეთვე ტუბერკულოზის და ფილტვის სხვა დაავადებების დროს.

კუჭის აშლილობის (ფაღარათის) და სახსრების დაავადებების დროს სვამენ ნაყოფის უღლისგან დამზადებულ ნაყენს (0,5 კგ კაკლისაგან გამორჩეული უღე-

ლი 400 გ ღვინოზე ან არაყზე). ნაყენს იღებენ 2-3 ჩაის კოვზით სამჯერ დღეში ერთი თვის განმავლობაში.

ჭრილობების სამკურნალოდ იყენებენ საცხს, რომელიც მზადდება შემდეგნაირად: 15 გ გამხმარ, ან 50 გ ახალ ფოთლს ასხამენ 100 გ კაკლის ან მხესუმზირის ზეთს და აჩერებენ 10 დღე-ღამის განმავლობაში, შემდეგ ნაყენს დადგამენ მდუღარე წყლის ორთქლზე 3 საათის განმავლობაში. ზეთს ორჯერ გაწურავენ და კიდევ დადგამენ მდუღარე წყლის ორთქლზე 30 წთ-ით, რის შემდეგაც დაუმატებენ 15 გ ყვითელ ცვილს.

ახლად დანაყილ ფოთლებს იღებენ დამწვარ ადვილას.

ღერმატიტების (კანის ანთებების) დროს ნაყენი ასე მზადდება: 1 ს/კ გამოშრალ ფოთლებს ამატებენ 1 ჭიქა მდუღარე წყალს, დააყოფებენ 1 სთ-ს, გაწურავენ და მიიღებენ 1/3 ჭიქას 3-ჯერ დღეში.

მრგვალი ჭიების გამოსაღვენად ბავშვებს აძლევენ 1 ჩ/კ ნაყენს 3-4-ჯერ დღეში. ნაყენი ასე მზადდება: 1 ს/კ გამხმარ ფოთლს უმატებენ 1 ჩ/კ მდუღარეს, შეფუთავენ 2 საათით და გაწურავენ.

ორგანიზმის გასამაგრებლად პროფილაქტიკური საშუალების სახით სასარგებლოა ყოველდღიურად 5-7 ცალი ნაყოფის მიღება. ამის კეთება განსაკუთრებით აუცილებელია ორგანიზმში რკინის (ანემიების შემთხვევაში) და კობალტის (დიაბეტის შემთხვევაში) დეფიციტის დროს, აგრეთვე ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

კაკლის ნაყოფი მდიდარია იოდით. ამიტომ მისი მიღება აუცილებელია ჩიყვის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვისაც.

ღვიძლისა და თირკმლების დაავადებების დროს ამზადებენ შემდეგ სასმელს: ყვავილების თაფლს განაზავებენ წყლით თხელი მასის მიღებად, დაამატებენ 0,5 კგ ხორცსაყვ მანქანაში გატარებულ კაკალს, აურევენ კარგად და იღებენ ყოველდღიურად 3 სუფრის კოვზს დღეში, 2 კვირის განმავლობაში. ერთი კვირის შემდეგ, მკურნალობის კურსი მეორდება. ასეთი რეცეპტით დამზადებული სასმელი ძალიან ხშირად სრული განკურნების საფუძველი ხდება ხოლმე.

კითხვა



პასუხი

კითხვა: მაქვს ოსტეოქონდროზი. ცოტა ხნის წინ ჩავიტარე მანუალური თერაპიის რამდენიმე სეანსი, რის შედეგადაც დამეწყო ძლიერი თავის ტკივილები და ღებინება. მაინტერესებს, როგორ აფასებს თანამედროვე მედიცინა ამ მეთოდის ეფექტურობას?

პასუხი: მანუალური თერაპია დღევანდელი მედიცინის საკმაოდ მნიშვნელოვანი მიმართულებაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი საკმაოდ საპასუხისმგებლო და ექსტრემალური ზემოქმედება ორგანიზმზე და ზოგჯერ იძლევა მძიმე გართულებებს, ავადმყოფის დაღუპვამდეც კი მიყვარათ. იმისათვის, რომ მანუალურმა თერაპიამ ავადმყოფს მოუტანოს სარგებლობა და არა ზიანი, მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია მისი გამოკვლევა. არც ერთი თავისი საქმის მცოდნე მანუალური თერაპევტი არ ჩაუტარებს მკურნალობას პაციენტს დეტალური დიაგნოსტიკური კვლევის გარეშე. რომელ მანუალურ თერაპიაზე შეიძლება საუბარი, მაგალითად, ხერხემლის სიმსივნის დროს, როცა პათოლოგიური მოტეხილობები ჩვეულებრივი მოძრაობის დროსაც კი ვითარდება. ასევე კატეგორიულად დაუშვებელია მანუალური თერაპიის გამოყენება დისკების თიაქრის დროს. თუმცა ოპერაციის შემდეგ, პირიქით, გონივრულია მანუალური თერაპიის სპეციალური პროგრამის გამოყენება ავადმყოფის სწრაფი რეაბილიტაციისათვის.

მკითხველს ვურჩევთ, მიმართოს ნევროპათოლოგს ზუსტი დიაგნოსტიკისათვის. მხოლოდ სპეციალისტი გადაწყვეტს, დასჭირდება მას მანუალური თერაპია, მედიკამენტური მკურნალობა თუ ქირურგიული ჩარევა.

კითხვა: უკვე 10 წელია მაწუხებს კელოიდური ნაწიბურები. ისინი სოკოებივით ჩნდება ჩემს სხეულზე. დამით მალვიძებს ძლიერი ქავილი. ნუთუ არ შეიძლება ამ პრობლემის გადაწყვეტა, თუნდაც ქირურგიული გზით?

პასუხი: კელოიდი კანის მკვრივი კვანძოვანი სიმსივნეა. ნაწიბურის ამოკვეთა ეფექტს არ იძლევა, რადგან იგი ხელახლა იზრდება. კელოიდური ნაწიბურის მკურნალობა რთულია და რამდენიმე ეტაპად ტარდება. თავდაპირველად ჰორმონული პრეპარატების ადგილობრივი ინიექციები ნაწიბურის არეში; ეს იწვევს ნაწიბურის დარბილებას და ქავილსაც ასუსტებს. ნაწიბურები თანდათან კარგავს ფერს და მკრთალი ხდება. შემდეგ კი უნდა მოშორდეს ქირურგიული გზით, მაგრამ ოპერაციის შემდეგ კეთდება ადგილობრივი დასხივება, რათა კელოიდი ამოკვეთის ადგილას ისევ არ გაჩნდეს.

კითხვა: მყავს 31 წლის ქალიშვილი, რომელიც ორი შვილის დედაა. უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში იგი თავს შეუძლოდ გრძნობს, აქვს სისუსტე, თავბრუს ხვევა, თავის ტკივილები. ჩაუტარეთ მაგნიტორეზონანსული გამოკვლევა და დაუდგინეს კისრის ძალების ოსტეოქონდროზი და ჰემატომა თავის ტვინის მარჯვენა ნაწილში. ოსტეოქონდროზის დიაგნოზი მეტ-ნაკლებად გასაგებია, მაგრამ როგორ მოვიქცეთ ჰემატომასთან მიმართებაში, ვერ გადაგვიწყვეტია. ნუთუ აუცილებელია ნეიროქირურგიული ოპერაცია?

პასუხი: ჰემატომა სისხლძარღვებიდან გამოყოფილი სისხლის დაგროვებაა ქსოვილებში. მისი გაჩენა სისხლის ჩაქცევის შედეგად ხდება. თავის ტვინის ჰემატომის მკურნალობისათვის ასეთ ასაკში და ასეთი სიმპტომატიკით, სავარაუდოა, რომ საჭირო გახდება ქირურგიული ჩარევა. დღეისათვის არსებობს საკმაოდ დამზოგავი მეთოდები ჰემატომის (თუნდაც დიდი ზომის) მოსაშორებლად. დიდი ზომის ჰემატომით ადამიანმა შეიძლება იცხოვროს, მაგრამ მისი სიცოცხლის ხარისხი შესაძინევად ქვეითდება.

კითხვა: ვაძინევ, რომ ღრძილებიდან გამომდის ჩირქი. რასთან შეიძლება იყოს ეს დაკავშირებული?

პასუხი: ღრძილებიდან ჩირქდენა კბილის ირგვლივი ქსოვილის დაავადების – პარადონტოზის ერთ-ერთი ნიშანია. დასაწყისში ადამიანს აწუხებს ქავილი და ღრძილებიდან სისხლდენა. კბილებზე ლაგდება ქვები, რომლებიც მექანიკურ ზეწოლას ახდენს ღრძილის ლორწოვან გარსზე, ანფიცირებს მას და იწვევს ანთებას.

კბილებულიდან ჩირქის დენა და უსიამოვნო სუნი პირიდან დაავადების უკვე შორს წასულ სტადიაზე მოწმობს. შემდგომში შესაძლოა, განვითარდეს ღრძილის აბსცესები (შემოფარგლული ჩირქროვები), რომლებიც უკვე ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს.

პარადონტოზის პირველივე ნიშნების გაჩენისთანავე უნდა მიმართოთ სტომატოლოგს და თანამიმდევრულად შეასრულოთ მისი ყველა რეკომენდაცია.

კითხვა: რამდენიმე წელია, მაქვს შემაწუხებელი ბოყინი. რასთან შეიძლება იყოს ეს დაკავშირებული?

პასუხი: ბოყინი აირის უეცარი, უნებლიე გამოყოფაა კუჭიდან ან საყლაპავიდან პირის გზით. აირი კუჭში შეიძლება დაგროვდეს სწრაფი ჭამის დროს საკვებთან ერთად ჰაერის ყლაპვის შედეგად, გაზიანი წყლის დალევისას, მშრალი კვებისას.

ჯანმრთელ ადამიანებში ბოყინს ეპიზოდური ხასიათი აქვს. ხშირი ბოყინი, უმეტესად კუჭის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ბრმა ნაწლავის დაავადების შედეგია. ბოყინი შეიძლება იყოს ცარიელი (ჰაერი), საკვებით, მწარე, მყავე, მყრალი, აგრეთვე ხმამაღალი ან ჩუმი.

მყავე ბოყინი უფრო ხშირად კუჭის მომატებულ მჟავიანობის დროს გვხვდება; მწარე კი – ნაღვლის თორმეტგოჯა ნაწლავიდან კუჭში მოხვედრისას; მყრალი (ლაყე კვერცხის სუნით) ბოყინი გოგირდწყალბადის გამოყოფის მიმანიშნებელია, მას ადვილი აქვს კუჭში საკვების ხანგრძლივად დაყოვნების დროს; ხმამაღალი ცარიელი ბოყინი ნევროზული მდგომარეობის გამოხატულებაა ხოლმე.

ბოყინის მკურნალობა გულისხმობს იმ ძირითადი დაავადების მკურნალობას, რომელიც ბოყინს იწვევს. ამიტომ მუდმივი ან პერიოდული ბოყინის დროს უნდა გაესაუბროთ ექიმს.

კითხვა: რა ასაკში უნდა ამომივიდეს სიბრძნის კბილი? შეიძლება თუ არა, რომ საერთოდ არ ამომივიდეს?

პასუხი: 18 წლის ასაკში ადამიანს ყველა ძირითადი კბილი აქვს, მხოლოდ ე.წ. სიბრძნის კბილები ამოსდის მოგვიანებით – 18-25 წლის ასაკში.

ზოგიერთ ადამიანს ამოსდის ოთხივე სიბრძნის კბილი, ზოგს – ორი ან ერთი, ზოგს შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეს და ეს პათოლოგიად არ ითვლება.

სიბრძნის კბილის ამოსვლა ყოველთვის უმტკივნეულო როდია. ზოგჯერ ის ძნელად იჭრება, იწვევს ირგვლივი რბილი ქსოვილის ტრავმირებას, ანთებას. ადამიანს უჭირს პირის გაღება, ღეჭვა, ლაპარაკი, ზოგჯერ მატულობს ტემპერატურა. ასეთ დროს უნდა მიმართოთ ექიმს.

სახელგანთქმული კინოკომპანია METRO GOLDWYN MAYER-ი იყიდება. მისი აქციები ეცემა, ზარალი უიზრდება, მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ფინალი ბედნიერი იქნება, - ზუსტად ისეთი, როგორც ნებისმიერ ჰოლივუდურ ბლოკბასტერს აქვს.



ვივიენ ლი და კლარკ გეიბლი ფილმში „ქარწალებულნი“



„გარზანი“ ჯონი ვაისმიულერის მონაწილეობით

მეხსი სტუდია, რომელიც ჰოლივუდის ამინდს ქმნის

ამრიგად, იყიდება ლეგენდა და 4 მლრდ დოლარის მფლობელ ნებისმიერ ადამიანსა თუ ფირმას შეუძლია შეიძინოს ბიზნესმენ კერკ კერკორიანისგან კომპანია და მის საკუთრებაში შემაგალი 4100 მხატვრული ფილმი, 8900 სატელევიზიო პროგრამა, შვილობილი კომპანიები - UNITED ARTISTS-ი და ORION PICTURES-ი. მყიდველი ჯერჯერობით არ ჩანს. DISNEY PICTURES-ის მესვეურებმა, რომლებიც აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, ფასის გამოცხადებისთანავე, ხელი აიღეს განზრახვაზე. მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ შემოფოთების საფუძველი არ არსებობს: დადუპვა მხოლოდ ახალშობილ, დამოუკიდებელ სტუდიებს შეიძლება დაემუქროს, ჰოლივუდის მონსტრები კი, უკვდავები არიან და მხოლოდ მათ

ძალუბთ ე.წ. ჰიპერდადგმების განხორციელება და ამასთან დაკავშირებული რისკის გაწევა. ამ ტიტანთა სახელებია: WARNER BROTHERS-ი, UNIVERSAL-ი, PARAMOUNT-ი, DISNEY, 20-th CENTURY FOX-ი. ამ რიგშივე, რყევის მიუხედავად, ჯერჯერობით MGM-იც დგას.

„მეტრო გოლდვინ მაიერის“ ათი სიცოცხლე


ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სტუდია სინამდვილეში, არასოდეს ყოფილა საკუთრივ ჰოლივუდში. მისგან შეიდიოდა მილის (დაახლოებით ათიოდე კმ-ის) დაშორებით, მდებარეობს პატარა ქალაქი კალვერ-სიტი, სადაც 1915 წელს დაარსდა კომპანია TRIANGLE PICTURES-ი, რომელიც მომავალი გიგანტური საწარმოს ბაზად იქცა. 9 წლის შემდეგ კომპანია შეიძინა ლუის მაიერმა და ამით დაიწყო „მეტრო გოლდვინ მაიერის“ ისტორია.

მისი სახელწოდება სამი სიტყვისაგან შედგება: METRO - ბიზნესმენ მარკუს ლოუს კომპანიის ერთ-ერთი პირველი ფილმია; GOLDWYN-ი - გამოჩენილი პროდიუსერის გვარია; MAYER-ი - კომპანი-

ის დამფუძნებლის, ლუის მაიერის ავტორაფი - სტუდიის საყოველთაოდ ცნობილ „ქუდად“ ქცეული ლომის გამოსახულება, მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმიდან - „ლომი ლეო“ (1928 წ.) გადმოვიდა, კომპანიის დევიზად კი, იდიომა - „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ - იქცა.

„მეტრო გოლდვინ მაიერის“ მარკა ამერიკელთა რამდენიმე თაობისთვის კინოს „დიდი სტილის“ სიმბოლოდ იქცა. ვიქტორ ფლემინგის ორი ცნობილი ფილმი - „ოზის ქვეყნის ჯადოქარი“ (1939) და „ქარწალებულნი“ (1939), ძმები მარქსების კომედიები (1935-1941), ვაისმიულერის „ტარზანი“ (1932-1948) ამ ლეგენდის ნაწილი იყო მხოლოდ. მაიერი მისდევდა პრინციპს: „ჩვენზე მეტ ვარსკვლავს მხოლოდ ცა დაიტევს“ და უხვად აფორმებდა კონტრაქტებს სახელგანთქმულ ადამიანებთან: ბასტერ კიტონთან, ფრენკ სინატრასთან, ელიზაბეტ ტეილორთან და სხვებთან. 1959 წელს სტუდიამ რეკორდი დაამყარა: მისმა ფილმმა „ბენ გურმა“, ჩარლტონ ჰესტონის მონაწილეობით, თერთმეტი „ოსკარი“ მიიღო. MGM-ს ბევრი სხვა მიღწევაც აქვს.

კომპანიის ისტორიაში პირქუში ხანა კი, 1969 წელს - ე.ი. მაშინ დაიწყო, როცა ის პირველად შეიძინა კერკ კერკორიანმა. ის კინოთი გამორჩეულად არასდროს დაინტერესებულა, სხვადასხვა სფერო იზიდავდა - ავტოწარმოებიდან დაწყებული, სათამაშო ბიზნესით დამთავრებული. მისი მოსვლის დღიდან 10 წლის მანძილზე, კომპანიის არც ერთი ფილმი არ ქცეულა კინემატოგრაფიულ მოვ-



MGM-ის შტაბბინა სანგა-მონიკაში (კალიფორნია)

ლენა. ამის შესაბამისად, შემოსავალიც მცირდებოდა. 1979 წელს კერკორიანმა კომპანიის აქციათა ერთი პაკეტი და სტუდიის ტერიტორიის ნაწილი გაყიდა. აქედან მიღებული თანხა ბიზნესმენმა ლას-ვეგასში ასაშენებელ ოტელს მოახმარა. იმავე, 1979 წელს კერკორიანმა განაცხადა, რომ ამიერიდან MGM-ის მარკა მხოლოდ და მხოლოდ სასტუმროს ბიზნესს ეკუთვნის.

მაგრამ ექსცენტრიკულმა ბიზნესმენმა კინოსა და MGM-ის ერთმანეთისაგან დაშორება ვერ მოახერხა. სულ ცოტა ხანში, კერძოდ 1983 წელს, კერკორიანმა შეიძინა იმ დროს კრიზისში მყოფი „იუნაიტედ არტისტსი“, 1986 წელს კი, გაერთიანებული კომპანია – MGM/UA მედიამაგნატ ტედ ტერნერს მიჰყიდა. ტერნერის ბატონობა მხოლოდ რამდენიმე თვე გაგრძელდა. ამ პერიოდში მედიამაგნატმა ხორცი შეასხა ესთეტიკური თვალსაზრისით საკმაოდ საეჭვო აქციას (ჰოლივუდის შავ-თეთრი კლასიკის „გაფერადება“) და სტუდიის სახურავიდან MGM-ის ემბლემა მოახსნევინა. ამის შემდეგ, ძალიან მალე ტერნერმა, მხოლოდ მისთვის ცნობილი მოსაზრების გამო, ამ კომპანიის მოცილება გადაწყვიტა. „მეტრო გოლდვინ მაიერი“ იმავე კერკორიანმა შეიძინა, რომლისთვისაც ამ სტუდიის ყიდვა-გაყიდვა თითქმის პობად იქცა: 1990 წელს კერკორიანმა იგი იტალიელ ფინანსისტს, ჯანკარლო პარეტის მიჰყიდა 1,3 მლრდ დოლარად. ორი წლის შემდეგ, პარეტიმ კომპანია ფრანგულ ბანკს – CREDIT LYONNAIS-ს „გადაულოცა“. 1996 წელს კი, 3,5 მლრდ დოლარის ზარალის ძილების შემდეგ, ფრანგებმაც გაყიდეს სტუდია, რომელიც კვლავ კერკორიანმა შეიძინა.

ამით ნამდვილი „მეტრო გოლდვინ მაიერის“ ისტორიას წერტილი დაესვა. კერკორიანმა სტუდიას MGM PLAZA უწოდა და წელიწადში 12 ფილმის გადაღება განუსაზღვრა. მაგრამ ეს უკვე სრულიად განსხვავებული წარმოება იყო: ძველი სტუდიის ნაგებობანი SONY ENTERTAINMENT-ის მფლობელმა ყოვლისშემძლე იაპონელებმა შეიძინეს (მათ ხელში უკვე გადასული იყო COLUMBIA PICTURES-ი და TRI-STAR PICTURES-ი), რომლებმაც კინოფაბრიკის ნაშთებში 100 მლნ დოლარი ჩადეს და კინემატოგრაფისგან განცალკევებულ, ისტორიულ ატრაქციონად აქციეს.

MGM PLAZA-ს სულ სხვა გაქანება



ჰქონდა. ძირითადი აქცენტი წარმავალ ბლოკბასტერებზე კეთდებოდა, სამარკეტინგო პოლიტიკის სიმბოლოდ კი, ბონდიანის გაგრძელების უფლების შესყიდვა გახდა, რომლის ყოველი ფილმი სულ უფრო ნაკლებ წარმატებას იხვეჭდა. სტუდიის ჩავარდნები თითქოს შეწყდა, როცა როლანდ ემერიხის „ვარსკვლავურმა კარიბჭემ“ გაამართლა იმედი. ამის შემდეგ, წარუმატებლობას („სტრიპტიზორი ქალები“ და „პაკერები“) მოგების მომტანი პროექტები ცვლიდა (რიდლი სკოტის „ჰანიბალი“, მაიკლ ფიგისის „ლას-ვეგასის დატოვებისას“). სადღეისოდ, კომპანიისთვის ყველაზე მყარ შემოსავლის წყაროს მაინც უძღვევლი ჯეიმს ბონდი წარმოადგენს (ბონდიანის მეოცე ფილმის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით „გზის“ ფურცლებზე). სტუდიის უახლოეს პროექტებს შორისაა ჯონ მაკტირნანის ფუტურისტული „როლერბოლი“, რომელსაც ექსპერტები ჩავარდნას უქადაიან.

ამრიგად, კერკორიანის განზრახვაში

სკულია PARAMOUNT-ის მთავარი შესასვლელი (ზემოთ). 1996 წელს PARAMOUNT-ის ხელმძღვანელი შერი ლესინგი პირველი მენეჯერი ქალი აღმოჩნდა, რომელსაც ლოს-ანჯელესის ღიღების ხეივანში პერსონალური ვარსკვლავის გახსნის პატივი ხვდა წილად

– კიდევ ერთხელ გაყიდოს კომპანია, – საკვირველი არაფერია. თუმცა, იმასაც ამბობენ – გამორიცხული არ არის, ბიზნესმენი მომავალშიც მიუბრუნდეს თავის საყვარელ MGM-ს და ისევ დაიბრუნოს იგი. თუ, რასაკვირველია, მოასწრებს – ის ხომ საკმაოდ სოლიდური ასაკის – 84 წლისაა!

უორნერთა საძმომ

მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს კინოსაწარმოს წარმოადგენს ძმების – ჯეკ, სემ, ჰარი და ალბერტ უორნერების მიერ 1923 წელს შექმნილი კინოკომპანია, რომელიც ხმოვანი კინემატოგრაფის პიონერადაც გვევლინება: 1927 წელს გადაღებული „ჯაზის მომღერალი“ პირველი ხმოვანი ფილმი იყო, მაგრამ განსაკუთრებული სახელი უორნერთა საძმომ სულ სხვაგვარი ფილმების წყალობით მოიხვეჭა. თუ MGM-მა ორიენტაცია იმთავითვე მიუზიკლსა და ისტორიულ მელოდრამაზე აიღო, WARNER-ი შედარებით მცირეობუჯეტოანი შავ-თეთრი დრამებითა და განგსტერული ფილმებით იყო ცნობილი. მის კვლევებში გადაღებული „კასაბლანკა“ (1943) და „მაღტიელი მიმინო“ (1941) კინოს ისტორიაში შევიდა, თუმცა, „მთავარი“ „ოსკარებით“ სულ სხვა ფილმები აღინიშნა: „ლუი პასტერის ამბავი“ (1936), „ემილ ზოლას ცხოვრება“ (1937), „სიერა მა-



WARNER BROTHERS-ის მაღაზია ნიუ-იორკში

ძილზე გადაღებული პოლივუდური ჰიტების უდიდესი ნაწილი. უზარმაზარი მოგება მოაქვს ბოლო წლებში შექმნილ ისეთ მეგაბიუჯეტთან სურათებს, როგორცაა „მატრიცა“, „ბეტმენი“, „სუპერმენი“, „სასიკვდილო იარაღი“. ამ გიგანტის ნათელ მომავალს არავინ აყენებს ეჭვქვეშ. ამის უტყუარი საბუთია კრის კოლამბუსის „ჰარი პოტერი“ და სტივენ სოდერბერგის „ოუშენის თერთმეტი მეგობარი“, რომელმაც ეკრანებზე გამოსვლიდან სულ ცოტა ხანში, ორივემ ერთად, უკვე 500 მლნ დოლარი მოუტანა სტუდიას.

PARAMOUNT-ის მწვერვალი

ეს ერთადერთი სტუდიაა, რომელიც იმთავითვე პოლივუდის მთაზე მდებარეობდა. მისი ისტორია 1913 წლიდან იღებს სათავეს. კომპანიის პირველ კლასიკურ ფილმად, რუდოლფურ ვალენტინოს მონაწილეობით შექმნილი „შეიხი“ (1921) იქცა. ამ სტუდიაში დგამდა თავის თრილერებს ალფრედ ჰიჩკოკი, ფრენსის ფორდ კოპოლამ გადაიღო „ნათლიები“ (1972-1990), რომან პოლანსკიმ – „ჩინური კვარტალი“ (1974). სწორედ „პარამაუნტში“ შეასრულა თავისი კინოროლების უმეტესი ნაწილი ელვის პრესლიმ, ახალგაზრდა ჯონ ტრაუოლტამ კი, „შაბათის საღამოს ციებ-ცხელებაში“ გაიბრწყინა.

ინა. „პარამაუნტის“ ქვედანაყოფ RKO-ში გადაიღო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკული ფილმი – „ეს საოცარი ცხოვრება“ (1946) ფრენკ კაპრამ; ფრედ ასტერისა და ჯინჯერ როჯერსის მონაწილეობით შეიქმნა 9 მიუზიკლი. იქ დაიბადა „კინგ-კონგი“ (1933) და მსოფლიო კინოს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი – ორსონ უელსის „მოქალაქე კეინი“ (1941). მოგვიანებით, RKO ექსცენტრიკულმა მაგნატმა ჰოვარდ ჰიუზმა შეიძინა. სწორედ ამ კომპანიის წიაღში წარმოიშვა მედიაკორპორაცია „სი-ბი-ეს“-ი. ამასობაში, მთავარი კომპანია ყვაოდა, არად დაგიდევდათ ცალკეულ წარუმატებლობას და უწინდებურად დაჰყვებოდა პოლივუდის წამყვანი რეჟისორების ნება-სურვილსა და აზრს. უორენ ბიტის „წითლებმა“ (1981), ედრიან ლაინის „საბედისწერო ლტოლვაში“ (1987), მოგვიანებით კი, რობერტ ზემეკისის „ფორესტ გამპა“ და უამრავმა სხვა საუცხოო ფილმმა, მსოფლიოს უანრული კინოკლასიკის ოქროს ფონდი შეავსო.

თავისი მასშტაბითა და ზომებით, „პარამაუნტი“ რეალურ კონკურენციას უწევს „დისნეილენდს“; თვით სტუდიის შტატში 5000-მდე ადამიანი მუშაობს. ამ ორგანიზაციის მონუმენტურობა საუცხოოდ არის გამოხატული მის ლოგოტიპში – ოქროს ვარსკვლავებით მორკაულულ მთის დათოვლილ მწვერვალში. მისი ბოლოდროინდელი ნაწარმოებებიდან, ამ ცოტა ხნის წინ თბილისში ნაჩვენებ „კანილიან ცასა“ და კიდევ, „სანიმუშო მამრს“ დავასახელებთ. უახლოესი მომავლის პროექტებია: შეხარ კაპურის ისტორიული ბლოკბასტერი „ოთხი კალამი“, წყალქვეშა ტრაგედია „K-19“ ჰარი-სონ ფორდისა და ლაიამ ნისონის მონაწილეობით და ბრიტნი სპირსის კინოდებიუტი – ფილმი „გზავჯარდინები“. სამივე სურათს დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

დრეს განმეულობა“ (1947) პოლივუდის ოქროს ფონდის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.


სხვადასხვა დროს, „უორნერ ბრაზერსს“ ანგაჟირებული ჰყავდა ამერიკული კინოს ყველაზე კამკამა ვარსკვლავები: ინგრიდ ბერგმანი და ჰამფრი ბოგარტი, კერი გრანტი და ბარბრა სტენვიკი... სტუდიის პირველი პავილიონი, დღეს ლეგენდად ქცეულ სანსეტ-ბულვარზე აიგო, 1928 წელს კი, საწარმო სანფერანდოს ველზე გადავიდა, სადაც ნამდვილი შედეგები იქმნებოდა. „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“ (1951) მარლონ ბრანდოსა და ვივინ ლის მონაწილეობით, „ბონი და კლაიდი“ (1967) უორენ ბიტისა და ფეი დანაუეის მონაწილეობით, – მხოლოდ ორი ნიმუშია ასობით ბრწყინვალე ფილმისაგან შემდგარი ფონდისა, რომელიც ამ კინოკომპანიაში შეიქმნა.

ამჟამად „უორნერ ბრაზერსი“ პოლივუდის უმსხვილესი კომპანიაა. მის საკუთრებაშია ბოლო 70 წლის მან-



კვირის (11 - 17 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი


თიხეხვი - 20/II-20/III



თქვენი ექსტრავანტური აზროვნებით, ქმედებითა და ჩატყულობით გარემომოყრდნობით გააღიზიანებთ და გააოცებთ.

მეტად უჩვეულო იდეები დაგებადებით, მაგრამ აჯობებს მათ განხორციელებაზე ტყუილად დრო არ დაკარგოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნებები არ აგცდებათ.

მშვიდი - 21/III-20/IV




ყურადღებას ნუ მოაღუნებთ - ეს კვირა ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული პერიოდი იქნება თქვენს ცხოვრებაში. განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდეთ ჯანმრთელობას. ფრთხილად იყავით, რაიმე შეცდომა არ დაუშვათ სამსახურში. მოკლედ, აჯობებს ერთკვირიანი შევბუღება აილოთ და შინიდან არ გახვიდეთ.

მშრალი - 21/IV-21/V




განაახლეთ ურთიერთობა ძველ ნაცნობებთან, შეიძინეთ ახალი მეგობრები, განუწყვეტლივ ხალხში იტრიალეთ და წარმატებაც არ დააყოვნებს. უკეთესი იქნება, თუ ახალ-ახალ კავშირებს პრაქტიკული მიზნებისთვის, მაგალითად, კარიერის შესაქმნელად გამოიყენებთ.

მარტოობა - 22/V-21/VI




ამ კვირაში მატერიალური პრობლემების მოგვარებას მოახერხებთ. შესაძლოა, დაგაწინაურონ, ხელფასი მოგიმატონ და გვარიანად წაგახალისონ. ოღონდ, ყოველივე ეს იმ შემთხვევაში, თუ პირად ცხოვრებას გვერდზე გადადებთ და მთლიანად საქმეში ჩაეფლობით.

ბიძნობა - 22/VI-22/VII



ეცადეთ, თავი შეიკავოთ ნებისმიერი მოვზაურობისგან. იმიტომ კი არა, რომ იქ რაიმე სერიოზულ პრობლემებს გადაეყრებით, არამედ იმის გამო, რომ ახლა სწორედ სახლი და სამსახურია ის ადგილი, სადაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევთ და ავტორიტეტს ერთი ორად აიმაღლებთ.

ლომი - 23/VII-23/VIII




ეს კვირა თქვენგან დიდ მოთმინებას და დიდსულოვნებას მოითხოვს. შესაძლოა, სრულიად უმიზეზო კოფლიქტში ჩაერთოთ და სერიოზული სტრესიც მიიღოთ. თუ მოახერხებთ და ხუთშაბათამდე ამბიციებს მოთოკავთ, ფუჭ ნერვიულობას თავიდან აიცილებთ.

ქალწული - 24/VIII-23/IX




თავს გაართმევთ იმ საქმეებს, რომელთა განხორციელების იმედი უკვე დაკარგული გქონდათ. ადვილად მოახერხებთ, აგრეთვე, შეფერხებული გარიგებებისა და უსიამოვნო მოლაპარაკებების თქვენს სასარგებლოდ წარმართვას. მოკლედ, თავად გაიხსენეთ, რის განსახორციელებლად არ გყოფნიდათ ძალა და ნერვები - ახლა გეყოფათ!

სასწორი - 24/IX-23/X




რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის, ვინც გიცინის, ყველა მეგობარი როდია. დროა, გაერკვეთ თქვენს გარემოცვაში და საქმეში გამოცადოთ ე.წ. მეგობრები. ნუ შეგაშინებთ მარტოობა, მალე თქვენს ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები მოხდება, რაც შესაძლოა ხანგრძლივი სასიყვარულო რომანის დასაწყისიც იყოს.

ღიანბალი - 24/X-22/XI



ცოტაოდენი ოპტიმიზმი და თავდაჯერებულობა - და თქვენს ბედს, რომ იტყვიან, ძალლი არ დაჰყვეს. იმ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, რომელიც გაინტერესებთ და მატერიალური მდგომარეობა მაშინვე შეკეთრად გამოვიწოდებთ. სხვათა შორის, თავდაჯერებულობა საპირისპირო სქესთან ურთიერთობაშიც არ გაწყენთ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



ყველა და ყველაფერი გაიზიანებთ და ნერვებს გიშლით. არაფერი გამოგდით, მაგრამ გულს მაინც ნუ გაიტყვით - უმჯობესია, გარემომოყრდნობით დაანახვოთ, როგორი მომთმენი, დამყოლი და უწყინარი პიროვნება ბრძანდებით. იქნებ, ასე მაინც შეინარჩუნოთ სამუშაო და ოჯახი.

თხის რქა - 22/XII-20/I



თქვენს ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებები იწყება. შესაძლოა, რაიმე მულოდნელი და სასიამოვნო ამბავი გაიგოთ. სისარულს მოვანიჭებთ მეგობრებთან ურთიერთობა და მრავალრიცხოვანი წვეულებებიც. ფრთხილად იყავით, თქვენმა მოჭარბებულმა ემოციურობამ ოჯახში კონფლიქტი არ წარმოშვას.

მარტოობა - 21/I-19/II



სრულიად უმიზეზოდ აუტანელი მოწყენილობა და პესიმიზმი შეგიპყრობთ. მაგრამ ნუ შეშინდებით, ერთ კვირაში ყველაფერი დავიწყებას მიეცემა. ამ კვირაში კი ეცადეთ ყოველთვის გვერდით გეყვდეთ მეგობარი, ან ძვირფასი ადამიანი, მოკლედ, ის, ვინც მოგიხმენთ და განუგებებთ.



შეგიძლიათ თუ არა საკუთარი აზრის მკაფიოდ გადმოცემა?

- 1) ყოველთვის ზრუნავთ თუ არა იმაზე, რომ ყველამ შეძლოს თქვენი ნათქვამის სწორად გაგება?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 2) არჩევთ თუ არა სიტყვებს მოსაუბრის ასაკის, განათლების, ინტელექტისა და კულტურის დონის გათვალისწინებით?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 3) გაქვთ თუ არა ჩვევად ქცეული, ვერ აზრის ჩამოყალიბება და შემდეგ ლაპარაკი?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 4) ახერხებთ თუ არა

- აზრის მოკლედ გამოსატყვას?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 5) თუ მოსაუბრემ კითხვები არ დაგისვავთ, ფიქრობთ თუ არა, რომ მან ყველაფერი გაიგო?
 - ა) დიახ - 0;
 - ბ) არა - 1.
- 6) როგორ ფიქრობთ — ყოველთვის ნათლად გამოთქვამთ საკუთარ აზრს?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 7) ადევნებთ თუ არა თვალყურს საკუთარი საუბრის ლოგიკურობას?
 - ა) დიახ - 1;

- ბ) არა - 0.
- 8) აიძულებთ თუ არა მოსაუბრეს, აუცილებლად დაგისვას კითხვები?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 9) მოსაუბრის ნათქვამის უკეთ გაგების მიზნით, უსვამთ თუ არა მას კითხვებს?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 10) შეგიძლიათ თუ არა განასხვავოთ ერთმანეთისგან ფაქტები და შეხედულებები?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 11) ცდილობთ თუ არა შეეკამათოთ მოსაუბრეს?
 - ა) დიახ - 0;
 - ბ) არა - 1.
- 12) ცდილობთ თუ არა იმის მიღწევას, რომ საბოლოოდ, მოსაუბრე თქვენი აზრის სისწორეში დარწმუნდეს?
 - ა) დიახ - 0;
 - ბ) არა - 1.
- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.
- 13) გიყვართ თუ არა საუბრის დროს, უცხო, გაუგებარი ტერმინების გამოყენება?
 - ა) დიახ - 0;
 - ბ) არა - 1.
- 14) თქვენი აზრით, არის თუ არა მეგობრული და კეთილგანწყობის გამომხატველი თქვენი საუბრის ტონი?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 15) აქცევთ თუ არა ყურადღებას იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს გარშემომყოფებზე თქვენი სიტყვები?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.
- 16) გიყვართ თუ არა საუბრის დროს, მოსაფიქრებლად პაუზის გამოყენება?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 0.


დააჯამეთ ძულეგი

11-16 ძულე:
საკუთარ აზრებს ნათლად და მკაფიოდ აყალიბებთ, ამიტომ მოსაუბრეებს თქვენი გაგება არ უჭირთ. სიტყვათა ამოწურავი მარაგი და მაღალი ინტელექტი თქვენი წარმატების გარანტიაა. თამამად შეგეძლოთ, პოლიტიკოსის კარიერაზე შეგეჩერებინათ არჩევანი.

6-10 ძულე:
თქვენს გაგებას მხოლოდ ისინი ახერხებენ, ვინც კარგად გიცნობთ და თქვენი საუბრის სტილი იცის. სხვა შემთხვევაში, თავს შებოჭ-

ილად გრძნობთ და საუბარსაც თავს არიდებთ ხოლმე — იმის შიშით, რომ სწორად ვერ გაგიგებენ.

0-5 ძულე:
თქვენი თავშეკავებულობა და სიმორცხვე მხოლოდ იმით არის გამონწვეული, რომ აზრის ნათლად ჩამოყალიბება გიჭირთ. ეცადეთ, მეტი იკითხოთ და ხშირად ესაუბროთ ხმამაღლა საკუთარ თავს. ამით სიტყვათა დიდ მარაგსაც დაიგროვებთ და უფრო თავისუფლად იგრძნობთ თავს ნებისმიერ კომპანიაში.



ჩიხიანი ძალი ოსამად მონათეს

ბრაზილიის ქალაქ სან-ჟოზე-დოს-კამპოს მკვიდრის, აროლო რენატო მოტას მეტეზარმა ძალიან პატრონს შინ ყუმბარა მიუტანა და ფეხებთან დაუგდო. ყუმბარა ძველი და ჟანგიანი იყო, მაგრამ იატაკზე დავარდნისას ბოლი აუვიდა. ძალის პატრონმა პოლიცია გამოიძახა და ყუმბარა ადგილზევე ააფეთქეს.

ადგილობრივი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში მოტამ განაცხადა, რომ მის ძალს სწორად მიაქვს ხოლმე სხვადასხვა ნივთი და ერთხელ 22-კალიბრიანი რევოლვერიც კი მიუთრევია, აი, ყუმბარა კი, ძალმა პირველად იპოვა.

ამ შემთხვევის შემდეგ, პატრონმა გადაწყვიტა, იარაღის მოყვარული ძალისთვის ახალი სახელი დაერქმია და, ბუნებრივია, არჩევანი ოსამაზე შეაჩერა...

ჰოლივუდის ბიძოდაში ყველა ხეხი გამაჩთვებელია?

ხორვატიის ქალაქ ჰოლოსანიდან საოლქო საბჭოში სამი კანდიდატი გავიდა. სამივე, სამაგალითო მოქალაქედ ითვლებოდა და ქალაქის მცხოვრებთა ნდობა და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული.

ქალაქ ჰოლოსანში სულ 1430 ადამიანი ცხოვრობს და არჩევნებზე მათი 29,4% გამოცხადდა. ცხრა კანდიდატიდან, საოლქო საბჭოში გასასვლელი ხმების საჭირო რაოდენობა მხოლოდ სამმა დააგროვა, თანაც, ბელის ირონიით, სამივემ — აბსოლუტურად თანაბარი რაოდენობა. ამრიგად, გამარჯვებულის გამოვლენა ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ბოლოს

და ბოლოს, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არასტანდარტულ ხერხს მიმართა და სამეულს კამათლის გაგორება შესთავაზა.

მათ ადმინისტრაციის აზრი გაიზიარეს, რადგან იცოდნენ, რომ განმეორებითი არჩევნისთვის ფულს არ გამოუყოფდნენ.

პოლიტიკური ბრძოლის ამ „მძიმე“, დასკვნით ტურში იმ კანდიდატმა გაიმარჯვა, რომელმაც კამათლის გაგორებით ექვსი ქულა დააგროვა. ხუთ და სამქულიანმა ფარ-ხმალი დაყარეს, გამარჯვებულმა კი, „დამსახურებულად“ დაიკავა კუთვნილი ადგილი საოლქო საბჭოში.

ხემინედი მაუბლი შინ დაახუნეს

ადგილობრივმა მწყემსმა ტრანსილვანიის ერთ-ერთ ტყეში შვიდი წლის ბიჭუნა იპოვა. მას კინაღამ თავზარი დაეცა, როცა დაინახა, თუ როგორ ჭამდა პატარა ბიჭი ძაღლის ლეშს... ბავშვი დაუყოვნებლივ მიიყვანეს ქალაქ ბრასოვის საავადმყოფოში. ექიმებმა დაადგინეს, რომ ბიჭუნას რაქიტი ჰქონდა განვითარებული და ხელ-ფეხიც მოჰყინოდა.



სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ბიჭმა ტყეში დაახლოებით სამი წელიწადი გაატარა.

თუმცა, მათი აზრით, ის ვერ შეძლებდა ველურ პირობებში დამოუკიდებლად თავის გატანას და დაასკვნეს, რომ ბიჭს ალბათ ერთ-ერთი ველური ძალი ჰპატრონობდა.

პოლიციამ ადვილად მოახერხა ბავშვის დედის პოვნა. აღმოჩნდა, რომ ლინა კალდარარი 13 წლის იყო, ტრიაინი რომ გაჩინა. ქალმა განაცხადა, რომ სამი წლის წინ, ქმრის სახლიდან გამოიქცა, რადგან ვერ გაუძლო მის უზომო სისასტიკეს, ოთხი წლის ბიჭი კი, მამასთან დარჩა. მას შემდეგ, შვილის შესახებ ქალმა არაფერი იცოდა და ძალიან გაუკვირდა, როცა შეიტყო, რომ ტრიაინს სამი წელი ტყეში ჰქონდა გატარებული... ქალმა გადაწყვიტა, ბიჭუნას აღზრდაში თავისი 36 წლის დედა დაეხმაროს. ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის თანამშრომლები კი, რეგულარულად შეამოწმებენ ბიჭუნას საცხოვრებელ პირობებს. ამჟამად პოლიცია აქტიურად ეძებს ბიჭის მამას, რადგან ვერ კიდევ დაუდგენელია, როგორ მოხვდა ბიჭი ტყეში.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ვლადიმირ პუტინმა და ვლადიმირ ჟირინოვსკის.

ვულოცავთ ბატონ ვლადიმირს და ბატონ ვლადიმირს და ვუსურვებთ წარმატებებს!

„მომნი. თავი კიდევ მგელი ჰგონია“

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას ვთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩაავდეთ სამშაბათის (12 მარგის) 13 საათამდე.



**„ფანტაზია“
„გონი, თავი კიდეც
გგელი ჰგონია“**



**„ფანტაზიურებს
მკითხველი“
„თქვან შიგანის ძრავა
როგორ ვაწახვამთ?“**

გაშოვან 9 მარტს!

626/10

გაზეთის ფასი 50 თეთრი

TV

სილილი

19

(78)

ფასი 50 თეთრი

9 მარტი 2002 წელი



ტესტები
ანეკდოტები
სპანსორები
თეატრალური
ანონსი
ნოველა
კროსვორდები
კვირის ტელეპროგრამა



პარდისფარ
უჯრავში
შიილათ
უუაი გოლდბერგის
მეგსახელს
კოლივუდში

ყვალაზა გასართობი ჟურნალი